საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
30 იანვარი - 5 თებერვალი, 2013
№3 (190)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

რა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში? 15



4

## რატომ დაუპირისპირდნენ «ნაციონალები» პატრიარქს?

«ვინც თვითნებურად დააყენებს საპრეზიდენტო კანდიდატურას, ავტომატურად დატოვებს კოალიციას» 6

მისტერ მაიკლ სააკაშვილის ბებელსარიუმი 8

ელდარ შენგელაიას ოქროს მთები 12

ევრობრანნი და იოანე რიტორი 10

«033-ის ექიმები გადაცმული პოლიციელებივით იქცეოდნენ, დაზარალებულებს დაგვცინოდნენ, ეს გინდოდათ, მეტის ღირსები ხართო» 14

რას წარმოადგენს ამომრჩეველთა ლიგა, ანუ აშშ-ის ნახევრადდემოკრატია 18



კახა კალაძე:

## როცა უფლებამოსილება შეუწყდება, სააკაშვილს პროკურატურაში დაიბარებენ, სადაც უამრავ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა

7

## ნაციონალური მაზოხიზმის კვირეული 3

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახალი ხელისუფლება სულ უფრო ემსგავსება ჯაყოს პირისპირ დარჩენილ თეიმურაზ ხევისთავს, რომელიც უტიფარ და ხარბ ჯაყოს წინააღმდეგობას ვერ უწევს. ის კი მარგოსაც ეპატრონება, მის ქონებასაც და ინგლისურად პასუხობს: „აგრე ვიცის ჯაყომა“!**

# AGRE VICIS JAKOMA

**ჯიპიდან ველოსიპედზე გადამჯდარმა გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ,,ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ნიშნის მოგებით იკითხა: „ვინმემ ხომ არ დაითვალა, რამდენი მოქმედი საპროტესტო აქციაა დღეს ქვეყანაში?...“**

ამის შემდეგ არ დაიზარა და აქციების ჩამონათვალიც შესთავაზა საკუთარ მეგობრებს:

* თბილისი, პრეზიდენტის რეზიდენციასთან ითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას და ცდილობენ, ცოცხალი ჯაჭვი შეკრან, რბილად რომ ვთქვათ, „არაცოცხალი“ ხალხით;

* თბილისი, სამარშრუტო ავტობუსის მძღოლები ითხოვენ თითქმის ყველაფერს + „ნორკის შუბა“;

* წყალტუბო, „ქართული ოცნების“ შიდა დაპირისპირება — ვინ უნდა იყოს პარტიის თავჯდომარე?!

* ხონი, „ქართული ოცნების“ შიდა დაპირისპირება — რით ვართ წყალტუბოელებზე ნაკლები?!

* ქუთაისი, ყასბების პროტესტი — სასაკლაოების მოწყობა ფული ჯდება, ბიძიკო!

* ლაგოდეხი, სტიქიით დაზარალებულთა აქცია — 12 ლარი დაახვიეთ და გაიკეთეთ სადმე!

* ქუთაისი, 33-ე საჯარო სკოლა — არ გვინდა ახალი სასწავლო ნაწილი, ძველი გვირჩევნია! თან ახალი დირექტორის ცოლის დაქალია!

* თბილისი, ორი აქცია ეკონომიკის სამინისტროსთან. სოციალურად დაუცველები ითხოვენ ბინების დაკანონებას, ზღვის ქუჩის მოსახლეობა — ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

* თბილისი, 51 სკოლასთან პედაგოგებისა და მშობლების აქცია — ხელები შორს ჩვენი დირექტორისგან!

* რუსთავი, „სათნოების სახლის“ ბენეფიციარების აქცია — ნუ დაგვხოცავთ შიმშილით!

* თბილისი, დიდი ლილოს მოსახლეობა მოითხოვს, ეს ნაგავსაყრელი დაახვიეთ და გაიკეთეთ ისევ გლდანში!

„გააგრძელეთ, თუ რამე გამომრჩა“... — წერს უმცირესობის წევრი.

**ხაჩიძის დაწყებული საქმის გაგრძელება უმადური რამაა, მაგრამ ამ ჩამონათვალის გაგრძელება მართლაც შეიძლება. განა იმიტომ, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან წასვლამ წარმოშვა პრობლემები, არამედ იმ მარტივი მიზეზით, რომ თავად ისინი წარმოადგენენ ამ პრობლემის მიზეზსა და სათავეს.**

დღეს საზოგადოება იმაზე კამათობს, არის თუ არა ეს საპროტესტო გამოსვლები მართული. ვისგან შეიძლება ისინი იმართებოდეს, ეს საკამათო აღარ არის, თუმცა ხაჩიძეები ამტკიცებენ, რომ ახალი მთავრობა დანაპირებს არ ასრულებს და ხალხიც ამიტომ გამოთქვამს პროტესტს. თავის მხრივ, ახლები აქციებში „ნაციონალების“ ხელს ხედავენ. ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, სადღაც ამ ორ პოზიციას შორის არის.

პროტესტის ანატომია არახალია და დეჟავიუს წაავგავს. 2003 წლის გადატრიალებამდეც პერიოდულად პროტესტის კერები იფეთქებდა ხოლმე, მათ შორის ისეთი მიზეზებით, რომელთაც სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო. **ერთ-ერთი ასეთი საპროტესტო ტალღა იმით იყო განპირობებული, რომ „შევარდნაძე პურის გაძვირებას აპირებს“.**

პური გაძვირდა, ოღონდ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ, ვინც მაშინ პურის გაძვირების მათგანვე მოგონილ განზრახვას აპროტესტებდა. **პარადოქსია, მაგრამ რეალურ გაძვირებას პროტესტი აღარ მოჰყოლია!**

რატომო, იკითხავთ.

***ჯერ ერთი***, იმიტომ, რომ „ვარდების“ ხელისუფლებას ოპოზიცია ჯერ არ ჰყავდა, ხოლო როცა იგი გამოჩნდა, მას, ხალხისგან განსხვავებით, პურის კი არა, ხიზილალის საკითხი აწუხებდა.

**მეორეც,** საპროტესტო გამოსვლებზე ხალხს „დემოკრატიისთვის მებრძოლი“ სააკაშვილის რეჟიმი იმთავითვე ძალადობით გაუსწორდა.

**მესამეც,** მთავარი ის კი არ არის, რაც სინამდვილეში ხდება, არამედ ის, რასაც „რუსთავი 1“, „რუსთავი 2“ და „რუსთავი 3“ აჩვენებენ ეთერში.

**ახლაც მთავარი ის კი არ არის, თუ რა აწუხებს ქუჩაში გამოსულ ხალხს, არამედ ის, თუ რას განაცხადებს ქვეყნის მთავრობიდან იმავე ხალხის მიერ დათხოვნილი ესა თუ ის ყოფილი დიდმოხელე. „ნაციონალები“, რომლებიც ხალხთან ურთიერთობაზე 9 წელიწადი უარს აცხადებდნენ, დღეს ერთბაშად გამჭვირვალობისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლაზე გადაერთნენ.**



**ქვეყნის «გაღლეტილ» ხერხემლად გამოცხადებული და «ნაციონალური მოძრაობის» გენერალურ მდივნად დანიშნული ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ პარტიული მუშაობის ახალ ეტაპზე გადადის. ახალი ეტაპი კი კვლავ ვირტუალური სიმართლის შეთხზვას და ტირაჟირებას ითვალისწინებს**

ქვეყნის „გაღლეტილ“ ხერხემლად გამოცხადებული და „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივნად დანიშნული (არადა, წესდებით ყრილობაზე უნდა აერჩიათ!) ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ პარტიული მუშაობის ახალ ეტაპზე გადადის. ახალი ეტაპი კი კვლავ ვირტუალური სიმართლის შეთხზვას და ტირაჟირებას ითვალისწინებს. პარტიის ახალი ვებგვერდის პრეზენტაციაზე ვანო მერაბიშვილმა განაცხადა: **„ჩვენ გვინდა, ახალი ტექნოლოგიები დავნერგოთ ჩვენს პარტიულ და არა მარტო პარტიულ მუშაობაში. პარტიის ყველა ღონისძიება, მათ შორის – საპარლამენტო ფრაქციის, თბილისის მერიის, რუსთავის, ქუთაისისა და სხვა ყველა იმ საკრებულოსი, რომელშიც უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს, სრულიად გამჭვირვალე გახდება“.**

რას ნიშნავს ეს „არა მარტო პარტიული მუშაობა“ და რატომ ხდება „ნაციონალური მოძრაობა“ გამჭვირვალე მხოლოდ ახლა, უმრავლესობის დაკარგვის შემდეგ? თუმცა მივყვეთ მერაბიშვილის გულახდილ ნაუბარს: **„საქართველოს ისტორიაში პირველად, „ნაციონალური მოძრაობა“ გადადის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ახალ ეტაპზე. ამისთვის გამოვიყენებთ მთავარ საშუალებას – ინტერნეტს. დღეს გვაქვს ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია. იგი ყველაზე დინამიურია მათ შორის, რომლებიც ოდესმე პოლიტიკურ ორგანიზაციებს ჰქონიათ“.**

ასევე „საქართველოს ისტორიაში პირველად“ არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე მიხეილ სააკაშვილი „ელექტრონული მთავრობის“ შემოღების ინიციატივით გამოვიდა. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სასურველ მინისტრს დაელაპარაკოს: **„ვთქვათ, გინდათ მინისტრთან ლაპარაკი სასწრაფოდ, გულის გადაშლა, დააჭერ ღილაკს და მინისტრი ამოვა 3D გამოსახულებით, ძალიან მოცულობითი, მაგალითად, მოცულობითი ზურაბ ადეიშვილი (არ ვიცი, რა მოემატება მოცულობაში, რაც არ უნდა დიდი გააკეთო, მაგრამ რაც იქნება) გამოჩნდება შენ წინ. ეს არ არის ფანტაზია.**

**ჩვენ გვყავს მინისტრები, ფეხმარდები და მკვირცხლები არიან, მაგრამ მთავრობები შეიცვლება და შეიძლება ყოველთვის არ იყოს ისეთი მთავრობა, რომელსაც შეუძლია მუდმივად სხვადასხვა ადგილზე იყოს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც რომ დავდინჯდებით, შეიძლება ჩვენც აღარ ვიყოთ ეგეთები. ამიტომ აქედან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ იყოს ელექტრონული მთავრობა“.**

**დღეს „ფეხმარდი და მკვირცხლი“ 3D ზურაბ ადეიშვილი მართლმსაჯულებას ემალება (თუმცა მის სახელს კახეთში სტიქიით დაზარალებული გლეხების „სტიქიურ“ გამოსვლებს უკავშირებენ), ხოლო დასადინჯებლად გამზადებულ დანარჩენ „ნაციონალურ“ მთავრობას ხალხმა განაჩენი გამოუტანა. თუმცა ხალხის უმრავლესობა ინტერნეტში არ ცხოვრობს, იქ დაბუდებული პოლიტიკური შეკვეთების შემსრულებელი ტროლებისგან განსხვავებით.**

ტროლები სიჩუმეს და იგნორირებას ვერ იტანენ. ინტერნეტში გააქტიურებული „ნაცმოძრაობა“ უთუოდ მხარს აუბამს მათ პროვოკაციებს და კვლავაც ვირტუალურ საქართველოში გვაცხოვრებს. მიზანი ეს არის. თუმცა დღეს ინტერნეტშიც ისევე შეირყა მათი მონოპოლია, როგორც პოლიტიკაში. ისინი სულ უფრო ხშირად იღებენ დამსახურებულ პასუხს.

რუსთაველის თეატრში დაბრუნებული რობერტ სტურუა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს: **„ვიღაც-ვიღაცები მაბრალებენ არაინტელიგენტური გამოთქმების ჭარბად გამოყენებას... ახლა ვუსმენდი ჩვენი ფიტულ-დიდის გამოსვლას და დაქალებულ „კმარას“, ქართლის დედასავით ბავშვით ხელში რომ გაჰკიოდა რაღაც სისულელეს და გავიფიქრე: რა უსუსური, უფხო ინტელიგენტებივით ვექცევით ამ მოძალადეებს! არ კმარა?“**

შემოქმედის თვალი სრულიად უმნიშვნელო დეტალში ხედავს ხოლმე მთავარს. **ახალი ხელისუფლება სულ უფრო ემსგავსება ჯაყოს პირისპირ დარჩენილ თეიმურაზ ხევისთავს, რომელიც უტიფარ და ხარბ ჯაყოს წინააღმდეგობას ვერ უწევს.**

ის კი მარგოსაც ეპატრონება, მის ქონებასაც და ინგლისურად პასუხობს: **„AGRE VICIS JAKOMA“!**

სათაურში გატანილი ამ ფრაზის ინგლისური ტრანსკრიპცია ისეთივე მართლწერითაა შესრულებული, როგორითაც ჩვენებური ნამინისტრალი ველოსიპედისტები გვიმასპინძლდებიან სოციალურ ქსელებში. ჯაყო კი ისევ ჯაყოდ რჩება, გინდ პარლამენტში დასვი და გინდ ველოსიპედზე!

ველოსიპედისტმა შემთხვევით არ მოაქცია საპროტესტო გამოსვლების ჩამონათვალში „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნებისას მომხდარი გაუგებრობები. ამით გამჭვირვალედ მიანიშნებს, რომ ახალ ძალას საკუთარი მომხრეები უპირისპირდებიან. სხვაგვარად აუხსნელია, რა საერთო აქვთ მიკროავტობუსების მძღოლებს, სტიქიით დაზარალებულებს და სკოლის გათავისუფლებულ დირექტორებს. არადა, მათ საერთო ნამდვილად აქვთ — **ისინი, ყველანი „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ არიან დაზარალებულნი, ხოლო პროტესტის გამოხატვა მხოლოდ ახლა გაბედეს, რაკი იციან, რომ ახალი მთავრობა მათ ხელკეტებით, ტყვიებითა და მომწამლავი გაზით არ გაუმასპინძლდება.**

ამ სტრიქონების ავტორი ზუსტად ერთი წლის წინ ამტკიცებდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეექმნა, მაგრამ მაშინ ადგილებზე კოალიცია მასში შემავალ პარტიებს დაეყრდნო. ახლა, არჩევნების მოგების შემდეგ გამარჯვებულ ძალას ყველა აეტორლიალა (მათ შორის ყოფილი „ნაციონალებიც“) და ეს ატორლიალებულნი, როგორც წესი, ბევრად უფრო აქტიურნი და შემტევნი არიან, ვიდრე „ოცნების“ აქტივისტები, რომლებიც არჩევნებამდე თავსაც წირავდნენ და ახლობლებსაც.

**ბიძინა ივანიშვილმა კარგად უნდა ჩაიხედოს რეგიონებში მიმდინარე ამ სკანდალებში და, მათ შორის, იმაშიც, რომ გამარჯვებული „ოცნების“ კოორდინატორებს თუ საარჩევნო კომისიის წევრებს დღესაც არა აქვთ მიღებული ანაზღაურება.** თუ მაშინ ამის ახსნა ჩასაფრებული მოგელაძით შეიძლებოდა, ახლა ეს ფაქტორი აღარ არსებობს და შესაბამისმა პირებმა **უნდა განმარტონ, ამ იმედგაცრუებული ადამიანების ადგილებს რატომ იკავებენ არჩევნებამდე სხვა პარტიების რიგებში რიცხული ადამიანები.**

ჯაყო მხოლოდ „ნაციონალებში“ არ ეძებოთ. ჯაყოები სხვაგანაც მრავლად არიან — პარლამენტშიც და მის გარეთაც; ოპოზიციაშიც და უმრავლესობაშიც. ჩვენი მეგობრები კი დასავლეთში შფოთავენ და კოაბიტაციისკენ მოგვიწოდებენ, მაგრამ მათ „ჯაყოს ხიზნები“ არ წაუკითხავთ. შესაბამისად, არც ის იციან, რომ **ჯაყოსთან კოაბიტაცია ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს.** ამომრჩეველი კი, რომელსაც ველოსიპედისტი „კორექტულად“ და „რბილად“ რომ ვთქვათ, „არაცოცხალ“ ხალხს“ უწოდებს, გულისწყრომას ძლივს იკავებს.

**და მაინც, რამდენი მოქმედი საპროტესტო აქციაა დღეს ქვეყანაში?**

**ერთი — ხელისუფლებაში დარჩენილი და საკუთარი ხალხის მოძულე ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ!**

**ახალი მთავრობა ან ამ აქციის მხარეს უნდა დადგეს, ან თეიმურაზ ხევისთავის ბედს შეეგუოს!**

**საქართველოს, როგორც ჩანს, გაუმართლა იმ თვალსაზრისით, რომ სააკაშვილს არ აქვს საკმარისი გამბედაობა იმისთვის, რომ ყოველივე აღწერილი „რეალში“ მოაწყოს; ის თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს. მაქსიმუმი, რის გაკეთებასაც ის თანამდებობაზე ყოფნის დარჩენილ დღეებში მოახერხებს, სავარაუდოდ, ჩუმი საბოტაჟი და „ერთიანი ნაციონალური მაზოხიზმის“ მსგავსი სამოქმედო ტაქტიკების შემუშავება იქნება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაციონალური მაზოხიზმის კვირეული

**„როტორიკულ კითხვას დავსვამ: როდის დაამთავრებს ახალი მთავრობა აი ამ ჩუკენობას და როდის გადავა რეალური საქმის კეთებაზე?“ — განაცხადა გიგი უგულავამ, რის შემდეგაც საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ქალაქის მერის ქვეცნობიერის სიღრმეში ფარული და ამავე დროს საოცრად ძლიერი მაზოხისტური მოტივები ბუდობს, რადგან წესიერ საზოგადოებაში მსგავსი განცხადებებისთვის მთქმელს ზედმეტი ახსნა-განმარტებების გარეშე დაუნდობლად სცემენ. ქუჩაში ეს მომენტალურად ხდება, პოლიტიკაში კი სასჯელი შეიძლება ამა თუ იმ ფორმატში შეიფუთოს, ხოლო მისი აღსრულება გარკვეული დროით გადაიდოს, თუმცა, არსებითად, შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება და გამორიცხულია, მერს ეს სცოდნოდა. თუმცა რიგი გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ საქმე ამ შემთხვევაში არა პერვერსიულ ვნებების მოულოდნელ ვულკანურ ამოფრქვევასთან ან ბანალურ უზრდელობასთან, არამედ სააკაშვილისა და „ნაციონალების“ ახალ, ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხის სახელობის ტაქტიკასთან გვაქვს.**



არცთუ დიდი ხნის წინ ერთ შენობაში, სადაც პოლიტიკაზე საუბარი მიღებული არ არის, სადაც გაცილებით უფრო ხშირად გალობენ, ვიდრე მღერიან (ალბათ, უკვე გასაგებია, სად მოხდა ყოველივე ეს), ერთმანეთს ორი პოლიტიკოსი შეხვდა, თანაც არა უბრალოდ პოლიტიკოსი, არამედ მაღალი თანამდებობის პირი. გარკვეული დროის განმავლობაში საუბარი ამ ეზოპურ ფორმატში მოგვიწევს (ხანდახან ასე უფრო საინტერესოა), ვინაიდან მეტად სარწმუნო წყარო, რომელიც ამ შეხვედრის შესახებ გვიამბობს, სასტიკ უარს ამბობს მისი ვინაობის გამჟღავნებასა და დეტალების ყოვლისმომცველ დაკონკრეტებაზე და ჩვენ მისი თხოვნის გათვალისწინება მოგვიწევს.

მოკლედ, ამ ორ პოლიტიკოსს ერთმანეთის დანახვა გულზე ნამდვილად არ ეხატება, თუმცა, გარემოებათა გამო, იძულებული გახდნენ, ერთად დამჯდარიყვნენ. სიმარტივისთვის შეგვიძლია მათ „ა“ და „ბ“ ვუწოდოთ, თუმცა ეს მეტისმეტად შაბლონურია. მოდით, ასე ვქნათ, ერთ-ერთი დარჩება „ბ“, ხოლო მეორე იქნება „მ“. სხვათა შორის, მათთან ერთად იჯდა მესამე, „დ“-პოლიტიკოსიც (მაღალი თანამდებობის ტანმორჩილი, აშკარად დიეტაზე დასასმელი პირი), თუმცა ჩვენთვის საინტერესო მომენტში მას ხმა არ ამოუღია.

**მ.** ***(ემოციურად, ჟესტიკულაციით):*** — მიდი, დაიჭირე, ჩემი გუნდის ყველა წევრი დაიჭირე, ისინიც დაიჭირე (მან ორი პოლიტიკოსის გვარი დაასახელა, მათ პირობითად „გენმდივანი“ და „ქალაქის თავი“ ვუწოდოთ). მიდი, დაიჭირე...

***ბ. (მშვიდად):*** — შეგროვდება მტკიცებულებები და შეიძლება დავიჭიროთ კიდეც.

**მ.** ***(კიდევ უფრო ემოციურად):*** — რად გინდა მტკიცებულებები, ახლავე დაიჭირე!

**ბ.** ***(მცირე პაუზის შემდეგ):*** — ჭკვიანად თუ არ იქნები, ახლა აქვე დაგიჭერ.

ბოლო რეპლიკის მთელი ანეგდოტურობა იმაშია, რომ იქ, სადაც ისინი საუბრობდნენ, ადამიანების დაპატიმრება მიღებული ნამდვილად არ არის.

ძნელი სათქმელია, გადმოსცემს თუ არა წყარო ყველა რეპლიკას 100%-იანი სიზუსტით, თუმცა ერთი ფაქტია: **ბოლო დროს ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ქცევასა და განცხადებებში უცნაური მაზოხისტური მოტივები ფიქსირდება: მიდით, დაგვარტყით, დაგვიჭირეთ, გაგვასამართლეთ. საინტერესოა, რა მიზნის მიღწევას ცდილობენ ისინი?**

ერთის მხრივ, მათ, სავარაუდოდ, სურთ, საუბარი გააგრძელონ უცხოელ პარტნიორებთან „პოლიტიკურ რეპრესიებზე“ და „ძალისმიერ ზეწოლაზე“ და სჭირდებათ ახალი ფაქტები, რომლებიც ამის შესაძლებლობას მისცემენ. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანისთვის, როგორც ჩანს, სასურველია, შედარებით მსუბუქი ბრალდება დღეს წაუყენონ, ვიდრე გაცილებით მძიმე, მოგვიანებით, როდესაც პროკურატურა მთელ რიგ ეპიზოდებთან დაკავშირებით გამოძიებას დაასრულებს. სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური (მაგრამ არა ერთადერთი) საშუალება ბანალური პროვოკაცია და ახალი ხელისუფლების დუღილის სტადიამდე მიყვანაა.

**ბოლო დროს ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ქცევასა და განცხადებებში უცნაური მაზოხისტური მოტივები ფიქსირდება: მიდით, დაგვარტყით, დაგვიჭირეთ, გაგვასამართლეთ. საინტერესოა, რა მიზნის მიღწევას ცდილობენ ისინი?**

**ბიძინა ივანიშვილი, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, მოთმინების დეფიციტს ნამდვილად არ უჩივის. მის ადგილას რომ ყოფილიყო ადამიანი, რომელმაც მსოფლიოში სახელი, უპირველესად, იმით გაითქვა, რომ ჰალსტუხს ახალი ფუნქცია მოუძებნა, ალბათ, უკვე ათჯერ დააპატიმრებდა ან აცემინებდა თავის ზონდერებს მათ, ვინც ხელისუფლებას და მის მეთაურს ასე თავხედურად და გამომწვევად მიმართავენ.** მაგრამ ივანიშვილს სხვა პრობლემა აქვს, მისი მხარდამჭერების არცთუ მცირე ნაწილი მოუთმენლად, დაჟინებით მოითხოვს იმ ჩინოვნიკების დაპატიმრებას, რომელთა დანაშაული, მათი აზრით, ზედაპირზე დევს. მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ისეთია, რომ ნებისმიერ, თუნდაც მცირე, დაყოვნებას ახალ ხელისუფლებას სისუსტეში ჩაუთვლიან და „ნაციონალების“ სავარაუდო ტაქტიკა, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, როგორც ჩანს, ამ ფაქტორსაც ითვალისწინებს.

თუ ჩვენ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს „მ“-ის და „ბ“-ს დიალოგს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ პირველი მათგანი ნერვული აშლილობის ზღვარზე იმყოფება, ან კიდევ ძალიან ცუდი პოლიტიკოსია, რომელიც ვერ მალავს, რაზე ფიქრობს და რა შედეგის მიღწევა სურს და ამით ოპონენტს კონტრზომების მიღებისკენ უბიძგებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიტუაცია უპრობლემოა. სპეცსამსახურების თანამშრომლებს ტყუილად კი არ ასწავლიან, რომ ყველაზე საშიში მოწინააღმდეგეები მოხუცები, ბავშვები და სულელები არიან, მათი მოტივების დადგენა ძალზე რთულია, ხოლო შესაძლო მოქმედების წინასწარი განჭვრეტა — პრაქტიკულად შეუძლებელი.

უახლოეს მომავალში ჩვენ, სავარაუდოდ, ვიხილავთ უხეში პროვოკაციების მთელ სერიალს; იქნება შეურაცხმყოფელი განცხადებები და უკიდურესად გამომწვევი ქცევა, რომელთან შედარებით უგულავას განცხადება შეიძლება კურტუაზულ კომპლიმენტად მოგვეჩვენოს. საქმე შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ უახლოესი თანამებრძოლები ეტყვიან ივანიშვილს: „რაღას ელოდები, დაარტყი, თორემ ჩვენ თვითონ დავარტყამთ“. საინტერესოა, როგორ მოიქცევა „ქართული ოცნების“ ლიდერი სიტუაციაში, როდესაც მოთხოვნა პასუხის გაცემაზე, მეტიც, მასშტაბური რეპრესიების სასწრაფოდ დაწყებაზე მისი მხარდამჭერების დომინანტური მოთხოვნა გახდება.

„ნაციონალების“ საყურადღებოდ კი, ალბათ, შემდეგი რამ უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, როგორი იქნება ივანიშვილის მყისიერი რეაქცია კონკრეტულ ეპიზოდში, მათ, სავარაუდოდ, უნდა გაითვალისწინონ (პრინციპში, თავისი საქმის თვითონ იციან), რომ ეს კაცი არასოდეს არაფერს ივიწყებს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით — არაფერს და არასდროს! და მათ ინტერესებშია, ანგარიში გაუწიონ ამ გარემოებას, როდესაც უგულავას, ხაჩიძის (თუ ვინც იქნება, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს) მონაწილეობით ახალი ტაქტიკის ფარგლებში მორიგ აქციას დაგეგმავენ.

პოლიტიკური მაზოხიზმის მოტივებმა საინტერესო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, პოეტური ასახვა ჰპოვა მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ გამოსვლებში; აგერ, ელდარ შენგელაიას იუბილეზე (ვულოცავთ!) გამოვიდა და თქვა: „რა თქმა უნდა, ყველანი გავფრინდებით, აუცილებლად, ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება ყველა იმის ჯინაზე, ვისაც უნდა, დაგვაკაოს, დაგვამიწოს, ცხრაკლიტულში მოგვათავსოს. ჩვენი მთავარი ნატვრა ახდება, ყველაზე გაბედული რაღაცები მოხდება და საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა და როგორც ჩვენ ყველას გვინდა“.

ყურადღება მივაქციოთ კონტრასტს: ერთის მხრივ, ჰაერის სტიქია და ეს მფრინავი ერთაოზები სააკაშვილის თამადობით; მეორე მხრივ კი, მიწის სტიქია, რომელიც ცხრაკლიტულში ტანჯვას და ლამის კიდურების ფიქსაციას გულისხმობს, „ვამპირები, მუმიები, სხვადასხვა ურჩხულები“, — როგორც ფიგურანტმა თავის ერთ-ერთ ეპოქალურ გამოსვლაში ბრძანა. სიღრმისეული დრამატიზმი ამ სტროფებს, სავარაუდოდ, იმ ფაქტმა შეჰმატა, სააკაშვილს რომ მეორე თვითმფრინავი წაართვეს, თუმცა თავი დავანებოთ ამ მერკანტილურ ნიუანსებს, მთავარი ამ შემთხვევაში ტანჯვის მოტივია, რომელიც გმირს მის ნატვრასთან (სინამდვილეში კი ჭეშმარიტებასთან) აახლოებს და ამავე დროს პარადოქსულად აშორებს მას. და მთელ ამ პათოსს, მთელ აღმაფრენას კლავს ერთადერთი სიტყვა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის მთელი ხასიათი და შინაგანი ბუნება აირეკლა; ეს სიტყვაა „ჯინაზე“.

სწორედ ესაა მიზეზი, რომლის გამო სააკაშვილი ვერასოდეს გაფრინდება. არ შეიძლება იცხოვრო სხვის ჯინაზე, მიაღწიო წარმატებას სხვის ჯინაზე; თუ ამ მიდგომით იხელმძღვანელებ, კი არ გაფრინდები, გააფრენ!

ზედმეტი ფილო (სოფია + ლოგია) საგაზეთო ფორმატში მავნებელია, თუმცა საინტერესოა, რომ ეს სიტყვა რუსულად ასე ითარგმნება: „ნაზლო“. მისი ფუძე ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ შესაბამისი ქცევა ბოროტებას ამრავლებს. როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, თუ საიდან გაჩნდა ჩვენს ცხოვრებაში ამდენი ბოროტება, ერთი შეხედვით უწყინარი და კარნავალური „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ალბათ, ისიც უნდა დავუშვათ, რომ ის, მათ შორის (მეტიც, უპირველეს ყოვლისა), ამ მიმართულებიდან შემოვიდა.

**ალბათ, საინტერესოა იმაზე დაფიქრებაც, რაზე წამსვლელია სააკაშვილი „ივანიშვილის ჯინაზე“? საბოტაჟზე? დესტაბილიზაციაზე? იქნებ სამოქალაქო ომზეც, უცხო ქვეყნების ჩარევითა და საქართველოს მიწასთან გასწორებით?** სამწუხაროდ, სულ უფრო მეტი ადამიანი (და ეს ნათლად აისახება მედიასა და სოციალურ ქსელებში) მიდის დასკვნამდე, რომ ის წამსვლელია აბსოლუტურად ყველაფერზე. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არც ერთი მოწინააღმდეგე არ დარჩება და ქვეყნის ნანგრევებზე თავის შტანდარტს (ცოცხზე დამაგრებული წითელი ჰალსტუხი) დაარჭობს, ის მაინც ვერ გაფრინდება, იმ გაგებით, რომელიც თავის შესანიშნავ ფილმში ელდარ შენგელაიამ ჩადო. ვერაფერს ვიზამთ, ცხოვრება სასტიკი და ამავე დროს სამართლიანია: ვილჰელმ II-მ ვერ იხილა პარიზი (რაზეც მუდამ ოცნებობდა), სააკაშვილი კი ვერ გაფინდება.

**საქართველოს, როგორც ჩანს, გაუმართლა იმ თვალსაზრისით, რომ სააკაშვილს არ აქვს საკმარისი გამბედაობა იმისთვის, რომ ყოველივე აღწერილი „რეალში“ მოაწყოს; ის თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს. მაქსიმუმი, რის გაკეთებასაც ის თანამდებობაზე ყოფნის დარჩენილ დღეებში მოახერხებს, სავარაუდოდ, ჩუმი საბოტაჟი და „ერთიანი ნაციონალური მაზოხიზმის“ მსგავსი სამოქმედო ტაქტიკების შემუშავება იქნება.**

დასანანი კი ისაა, რომ ის თავის ახალგაზრდა მხარდამჭერებს (ცოტანი არიან, მაგრამ მაინც) ისეთ სურათს უხატავს, თითქოს ისინი „ვამპირების, მუმიების, სხვადასხვა ურჩხულების“ უღლის ქვეშ ცხოვრობენ და ამით, ფაქტობრივად, ფსიქიკას უნგრევს და სიცოცხლის ხალისს ართმევს მათ. ამით ის აქტიურად უწყობს ხელს იმას, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ შიში და სიძულვილი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობენ. საქმე, სავარაუდოდ, იქამდეც მივა, რომ ისინი საკუთარ სამშობლოს მტრულ გარემოდ აღიქვამენ. ეს დიდი პრობლემაა; ის, რომ ბევრი ადამიანი მას ვერ ამჩნევს, მის მასშტაბს არ ამცირებს და ჯერჯერობით გაუგებარია, რა შეიძლება გაკეთდეს მის გადასაწყვეტად.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მივცეთ შესაძლებლობა მთავრობას, იმოქმედოს, მანევრისთვის აუცილებელი სივრცე არ შევუზღუდოთ, ხოლო თუ მისი ნამოქმედარი არ მოგვეწონება, ახალი ავირჩიოთ და შემდეგ იმ ახალსაც ვაცალოთ. რომელია უფრო პატრიოტული და კონსტრუქციული მიდგომა — ეს თუ ისტერიული კივილი „რატომ უწოდა ძმა ან ხელი რატომ ჩამოართვა?“**

# რატომ დაუპირისპირდნენ «ნაციონალები» პატრიარქს?

**მთელი გასული კვირის განმავლობაში ის, რაც სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანისგან დარჩა, კიოდა საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე და იმაზე, რომ ახალმა ხელისუფლებამ ევროატლანტიკურ არჩევანზე უარი თქვა. ამავე დროს, არაერთმა ანგარიშგასაწევმა ექსპერტმა სცადა, ალეწერა სიახლეები საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი ვარაუდი გამოეთქვა. ბოლოს კი ქართულ პოლიტიკაში უპრეცედენტო რამ მოხდა: ,,ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა — ზურაბ ჯაფარიძემ და სერგო რატიანმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც გააკრიტიკეს პატრიარქი მოსკოვში გაკეთებული განცხადებების გამო. ყველაფერმა ამან ერთად შექმნა შესაბამისი საინფორმაციო ფონი და გააჩინა საზოგადოების ნაწილში განცდა, რომ ჩრდილოეთის მიმართულებით რაღაც ძალზე მასშტაბური ხდება. ასეა ეს თუ არა? არსებობს თუ არა საფუძველი შორსმიმავალი დასკვნებისთვის?**



### ფსიქოზის ეროვნული თავისებურებანი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დღევანდელ ეტაპზე და ზოგადად, საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბრის დაწყებამდე, ალბათ, სასურველია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ მას და რამდენად გვიშლიან ხელს სპეკულატიური ინტერპრეტაციები რეალობის აღქმაში; კოგნიტურ ფსიქოლოგიას შეუძლია ამ მხრივ კარგი სამსახური გაგვიწიოს. მის ფარგლებში **კოგნიტური ხარვეზის** ცნება არსებობს, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის ერთობ აქტუალური ჩანს. სპეციალისტების შეფასებით, მის მიერ გამოწვეული ეფექტი შეიძლება კომპიუტერული პროგრამის მოქმედებას შევადაროთ, რომელიც ინფორმაციის დამუშავების წესს განსაზღვრავს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, **თუ პაციენტი შფოთავს და დევნის მანია უყალიბდება, ის გარესამყაროდან მომავალი ინფორმაციის უზარმაზარი მასივიდან მიზანმიმართულად არჩევს იმ სიგნალებს, რომლებიც საფრთხეზე მიუთითებს და უგულებელყოფს იმ ინფორმაციას, რომელიც მოწმობს, რომ მისი უსაფრთხოება დაცულია, ან კიდევ, თავდაყირა აყენებს მას და საფრთხეზე მიმანიშნებელ სიგნალად აღიქვამს.**

ცნობილმა უკრაინელმა მკვლევარმა გიორგი პოჩეპცოვმა შეისწავლა კოგნიტური ხარვეზების გამოყენება პოლიტიკური პროპაგანდის მიზნებისთვის და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: **„ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ არა სინამდვილით, არამედ მისი ინტერპრეტაციის წინასწარ განსაზღვრული სქემით“** და იქვე ჩამოთვალა ის კოგნიტური ხარვეზები, რომლებიც ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათ შორის, ჩვენთვის, ალბათ, ყველაზე აქტუალურია **შერჩევითი აბსტრაგირება,** როდესაც ერთი დეტალის შეფასების საფუძველზე ხდება მოვლენის შეფასება მთლიანობაში, **დიქოტომიური აზროვნება,** რომლის ფარგლებში ყველა მოვლენა აღიქმება, როგორც მხოლოდ შესანიშნავი ან საშინელი (თუ რომელიმე კოგნიტურ ხარვეზს შეიძლება „ერთიანი ნაციონალური“ ეწოდოს, ალბათ, სწორედ ესაა) **ზე გენერალიზაცია,** როდესაც ცალკეული შემთხვევიდან ყოვლისმომცველი „კანონზომიერებების“ გამოყვანა ხდება, და **კატასტროფიზაცია,** ანუ რომელიმე მოვლენის შედეგებისთვის გადამეტებული მასშტაბისა და მნიშვნელობის მინიჭება. ამას, ალბათ, უნდა დავუმატოთ გლობალური თემებზე მსჯელობის ზოგადეროვნული უნარი, ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობის, კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, იმ აუტანელი სიმსუბუქით, როგორითაც ამას საგიჟეთიდან გაქცეული კონსპიროლოგები აკეთებენ.

**ბოლო წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ დიპლომატს ასე ოსტატურად, ერთ წინადადებაში არ უთქვამს უარი სტატუს-კვოს აღიარებაზე, კეთილი ნების გამოვლენის პარალელურად, თანაც იმ დისკურსის ფარგლებში, რომელიც თანამოსაუბრემ აირჩია**

დავუშვათ, რომ ვილაც მამაკაცმა საყვარელ ქალს აწყენინა, დაბადების დღეზე ყვავილები არ აჩუქა, ისე როგორც წარმოედგინა. ეს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტუაციაა, მაგრამ არაერთი ფსიქოლოგი დაადასტურებს, რომ ხშირად სწორედ ასეთი ეპიზოდები ახდენს ზემოთ ნახსენები „პროგრამების“ აქტივირებას, რომლებიც ინფორმაციას ობიექტის (ან პროცესის) შესახებ „წინასწარ განსაზღვრული სქემის“ მიხედვით ახარისხებს. ხშირად სვლა არაკორექტული (და არსებითად — შიზოფრენიული) გლობალური დასკვნებისკენ — „ყველა მამაკაცი არამზადაა“ და „არავის ვუყვარვარ“, სწორედ ასეთი უწყინარი ეპიზოდებიდან იწყება. **თუ ადამიანს არ ძალუძს, კოგნიტური ხარვეზების ზეგავლენისგან გათავისუფლდეს და რეალობა ადეკვატურად აღიქვას, მისი ცხოვრება, საბოლოო ჯამში, ერთ დიდ მენტალურ აშლილობად გადაიქცევა.**

კარგი იქნება, თუ ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, თვალს გადავავლებთ გასულ კვირას მედიასა და სოციალურ ქსელებში გაკეთებულ, მართლაც კოსმოსური მასშტაბის მელოდრამატულ დასკვნებს კურსისა და ლამის ორიენტაციის შეცვლის თაობაზე, რომელთაც საფუძვლად არ ედო არაფერი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვებისა და იმ ფაქტის გარდა, რომ დავოსში ბიძინა ივანიშვილი დიმიტრი მედვედევს, ხოლო მოსკოვში ილია II ვლადიმერ პუტინს შეხვდა. ჩვენ, დიდი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ **როგორც „პროამერიკელები“, ისე „პრორუსები“** (ეს დაყოფა ძალზე უხეში და პირობითია, თუმცა ამ კონტექსტში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს) **შერჩევითი აბსტრაგირების, ზეგენერალიზაციის და ა.შ. საფუძველზე, ხშირად ძალზე არაკორექტულ, სამამულო წარმოების კონსპიროლოგიით გაჟღენთილ დასკვნებამდე მიდიოდნენ.** არადა, **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან მიმართებაში საჭიროა ობიექტურთან მაქსიმალურად მიახლოებული ხედვა და აღწერილი ხარვეზებისგან მეტნაკლებად თავისუფალი გონება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ისევ ავცდეთ რეალობას, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში და უახლესი ისტორიის სხვა საბედისწერო ეპიზოდებში მოხდა.**

დღეს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ნორმალიზაციაზე ორიენტირებული პირველი ნაბიჯები იდგმება. ხელის ჩამორთმევა, კეთილი ნების გამოვლენა, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები — ყოველივე ეს აუცილებელი დიპლომატიური უვერტიურაა დიალოგის დაწყების წინ და ჯერ არავინ იცის, იქნება ის ნაყოფიერი თუ პირიქით — წარუმატებელი. მიუხედავად ამისა, ქართულ საინფორმაციო სივრცეში ატეხილია დიდი ხმაური საგარეო ორიენტაციის შეცვლაზე. სოციალურ ქსელებში იმართება მეგადისკუსიები თემაზე **„უნდა ეწოდებინა თუ არა პატრარქს რუსებისთვის ძმები, მას შემდეგ, რაც 2008-ში მოხდა?“, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატები ჯაფარიძე და რატიანი ავრცელებენ განცხადებას,** რომელშიც ნათქვამია: **„ვთვლით, რომ შეუძლებელია, რეაგირების გარეშე დარჩეს პატრიარქის უკანასკნელი ვიზიტი მოსკოვში... მტრული სახელმწიფოს პირველ პირთან გადაჭარბებული მოწიწებით საუბარი ვერ იქნება საქართველოს სუვერენიტეტისთვის სიკეთის მომტანი პოლიტიკური გზავნილი; რუსეთი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, დაწყებული სტალინის ეპოქიდან, ე.წ. მშვიდობის პოლიტიკას იყენებდა საკუთარი აგრესიული პოლიტიკის და უკვე განხორციელებული ოკუპაციების გადასაფარად, მათ შორის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობითაც. ეს საქართველოს ნებისმიერ, საერო თუ სასულიერო ლიდერს მუდამ უნდა ახსოვდეს, როდესაც საუბრობს სამარადჟამო „ძმობაზე“ იმპერიასთან...“** და არავის აზრად არ მოსდის, გადაიკითხოს სტენოგრამა, რათა ნახოს, რა თქვა სინამდვილეში ილია II-მ და რა საინტერესო ქვეტექსტი ჩადო თავის ნათქვამში; ეს ძალზე საგულისხმო მაგალითია და მის განხილვას, ალბათ, ორიოდე წუთი უნდა დავუთმოთ.

### რუსი გენერლის ჯვარი

23 იანვრის შეხვედრის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ილია II-ს იმისთვის, რომ ის **„აკეთებს ყველაფერ შესაძლებელს ორ ჩვენს მოძმე ერს (ბრატსკიმი**

▶

მოკლედ

## სააკაშვილი მასობრივად ათავისუფლებს უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდებულ პატიმრებს

**შეწყალების პროცესიდან პარლამენტარების ჩამოშორება დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა პრეზიდენტის მიერ პირადი კომფორტის შექმნად შეაფასა. დეპუტატის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილს სურს, ამა თუ იმ პატიმარზე შეწყალების გადაწყვეტილება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღოს.**

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი მთელი რიგი პირების დაუმსახურებლად შეწყალებას ყოველთვის ცდილობდა. თავად გიორგი ცაგარეიშვილმა შეწყალების კომისია წინა მოწვევის პარლამენტში პრეზიდენტის მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის ბრალდებული პირების შეწყალებისთვის დატოვა.

**„ბატონი სააკაშვილის მიერ შეწყალების აქტების გამოცხადებას სხვადასხვა დროს მოჰყვა ძალიან ბევრი კითხვა. იგი მასობრივად ათავისუფლებს უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდებულ პატიმრებს, რომლებიც არიან მკვლელები, ყაჩაღები და რეციდივისტები. უამრავი ასეთი ადამიანი არის გამოშვებული. მას დისკომფორტს უქმნიდა ის, რომ კომისიაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამაზე ხმამაღლა საუბრობდნენ და ამას ხაზს უსვამდნენ. ეტყობა, გადაწყვიტა, რომ მთავრობისა და პარლამენტის წევრები აღარ სჭირდება კომისიაში. ახლა დააკომპლექტებს კომისიას თავისი ახლობლებისგან და ნათესავებისგან“,** — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საინტერესოა, რას იტყვიან ამის თაოგაზე ისინი, ვინც დღეს პატრიარქს აკრიტიკებენ? არ უნდა ჩამოეკიდებინა ჯვარი ბორისოვისთვის ან მისთვის მართლმადიდებელი ძმა არ უნდა ეწოდებინა, იმის იმედით, რომ ამით თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა? იქნებ უნდა დაეწყევლა, რათა ბორისოვი განრისხებულიყო და გორელებისთვის თავები დაეჭრა, რათა შემდეგ მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი ფოტოები გაეროში ეფრიალებინა?

**◀ ნაროდამი) შორის ჰუმანიტარული, სასულიერი კულტურული კონტაქტების შენარჩუნებისთვის“.** ამის პასუხად კი პატრიარქმა ბრძანა: **„მინდა გადმოგცეთ დიდი მოკითხვა ჩვენი ახალი პრემიერ-მინისტრისგან. ის აკეთებს ყველაფერს აუცილებელსა და შესაძლებელს, რათა დაალაგოს ურთიერთობები ყველასთან. ვფიქრობ, რომ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, მოიხსნება და ჩვენ კვლავინდებურად ძმები ვიქნებით“.** ჩვენ ვხედავთ, რომ საუბარი ძმობაზე პირველმა ვლადიმერ პუტინმა დაიწყო, უწმინდესმა კი ისეთი პასუხი გასცა, ბევრ ექსტრაკლასის დიპლომატს რომ შეშურდებოდა. მან მიანიშნა, რომ დღევანდელი ურთიერთობები არ შეიძლება განხილებოდეს, როგორც ურთიერთობები ძმებს შორის, მაგრამ ამავე დროს არ უარყო თანამოსაუბრის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია (რაც ამ კონტექსტში ხელის ჩამორთმევაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა), დაუკავშირა რა ის წარსულის გამოცდილებას და რაღაც იდეალურ მდგომარეობას მომავალში, რომლისკენაც მხარეები, იდეაში, უნდა ისწრაფვოდნენ. **ბოლო წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ დიპლომატს ასე ოსტატურად, ერთ წინადადებაში არ უთქვამს უარი სტატუსკვოს აღიარებაზე, კეთილი ნების გამოვლენის პარალელურად, თანაც იმ დისკურსის ფარგლებში, რომელიც თანამოსაუბრემ აირჩია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსკოვში ვიზიტის დროს, ილია II ხაზგასმით საუბრობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე.**

ამ ეპიზოდის დაკვირვებამ შეიძლება გაგვახსენოს 2008 წლის დეკემბრის მოვლენები, როდესაც პატრიარქმა მიაღწია იმას, რომ რუსულმა ჯარებმა სოფელი პერევი დატოვეს. მაშინ ბევრს უკვირდა — როგორ მოახერხა უწმინდესმა განრისხებული დათვის დათანხმება ამაზე? სამწუხაროდ, იმ მოლაპარაკებების სტენოგრამა ხელმისაწვდომი არაა და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ილია II-მ დიალოგი მაშინაც ისეთივე იუველირული სიზუსტით წარმართა, როგორც გასულ კვირას მოსკოვში. მაშინ, **2008 წლის დეკემბერში ყველაფერი მიხეილ სააკაშვილმა გააფუჭა, როცა შეეცადა, „პერევის გათავისუფლების“ ხმაურიანი პიარაქცია მოეწყო, რის შემდეგაც რუსები სოფელში დაბრუნდნენ. დღეს კი მისი აპოლოგეტები სოციალურ ქსელებში უწმინდესს ტალახს ესვრიან იმის გამო, რომ რუსებს ძმები უწოდა.** პატრიარქს ამით, ცხადია, ვერაფერს დააკლებენ, მაგრამ მთლიანობაში ეს სურათი ძალზე დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ არც ომი იციან, არც დიპლომატია, არც ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება შეუძლიათ და აბსოლუტურად გაუგებარია, ვინ არიან და რა უნდათ საერთოდ.

**ან ის მაინც გაიხსენონ, როგორ შევიდა ილია II 2008 წლის აგვისტოში კონფლიქტის ზონაში და ჩვენი დაღუპული სამხედროების ცხედრები გადმოასვენა, რომლებიც ხელისუფლებამ და სარდლობამ ბრძოლის ველზე მიატოვა და მათ გადმოსვენებაზე არც უფიქრია.** იქნებ იმისთვის გააკრიტიკონ, მაშინ გენერალ ბორისოვს ჯვარი რომ ჩამოჰკიდა? მოლაპარაკებების ერთ-ერთმა მონაწილემ, ლეონარდო დევდარიანმა, ის შეხვედრა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ასე აღწერა: **„პატრიარქმა ბორისოვს უთხრა: „აბა, შენ იცი, მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი დაუშავო, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, მოუარე ჩვენს ხალხსო“. მერე უბეში ხელი ჩაიყო და პაკეტი ამოიღო. „აი აქ 20 ათასი დოლარიაო“, და გაუწოდა ბორისოვს. ბორისოვი გაშეშდა... „ამას გაძლევ იმიტომ, რომ გორში ყველაზე გაჭირვებულებს და უმწეოებს მოუარო და შენი ხელით გაუნაწილო ეს თანხაო...“.** შემდეგ კი ომების ისტორიაში სრულიად უპრეცედენტო რამ მოხდა. დევდარიანის თქმით, **გამარჯვებული ჯარის სარდალმა, რომლის ხელში იმ მომენტში ათიათასობით, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ უპატრონოდ, ყოველგვარი ევაკუაციისა და დაცვის გარეშე მიტოვებული ქართველის ბედი იყო, „ფული გამოართვა, დაეცა მუხლებზე, კალთაზე აკოცა და უთხრა, გეფიცებით, უწმინდესო, ყოველი კაპიკი მივა გაჭირვებულ და უმწეო მოსახლეობასთან, ყველა კაპიკზე ჩაგბარდებათ სრული ანგარიშიო“.**

**საინტერესოა, რას იტყვიან ამის თაოგაზე ისინი, ვინც დღეს პატრიარქს აკრიტიკებენ? არ უნდა ჩამოეკიდებინა ჯვარი ბორისოვისთვის ან მისთვის მართლმადიდებელი ძმა არ უნდა ეწოდებინა, იმის იმედით, რომ ამით თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა? იქნებ უნდა დაეწყევლა, რათა ბორისოვი განრისხებულიყო და გორელებისთვის თავები დაეჭრა, იმისთვის, რომ შემდეგ მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი ფოტოები გაეროში ეფრიალებინა?**

თუმცა დისკუსიას ამ თემაზე აზრი, ალბათ, არ აქვს, ის ფსიქოლოგიური ხარვეზები,



## «პატრიარქმა ბორისოვს უთხრა: «აბა, შენ იცი, მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი დაუშავო, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, მოუარე ჩვენს ხალხსო»

რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ხელს უშლის მათ, ვინც დღეს პატრიარქს აკრიტიკებს, გაიგონ თუ რაზეა საერთოდ საუბარი ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში. ისინი კონტექსტიდან არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების, არამედ ფაქტების ამოგლეჯას ახდენენ. მაგალითად, იმას, რომ ივანიშვილმა მედვედევს ხელი ჩამოართვა, რთული კონსპიროლოგიური წიაღსვლების მეშვეობით, საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის უტყუარ ნიშნად წარმოაჩენენ, ხოლო იმ ფაქტს, რომ ახალმა ხელისუფლებამ საგანგებო დადგენილებით დაავალდებულა საზოგადოებრივი მაუწყებელი, აწარმოოს აგიტაცია ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ, ან არ ამჩნევენ, ან კიდევ ამბობენ, რომ ეს ორიენტაციის შეცვლის შენიღბვას ემსახურება. **ყველაზე ტრაგიკული კი ისაა, რომ საქმე შეგნებულ პროპაგანდისტულ მანიპულაციასთან ყოველთვის როდი გვაქვს, ზოგი ამას უბრალოდ, კოგნიტური ხარვეზებით და სტერეოტიპებით დამძიმებული ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და ინფორმაციის დახარისხების თავისებურებებიდან გამომდინარე აკეთებს.** თუმცა ამ პრობლემატიკას თავი რომც დავანებოთ, შეიძლება გაჩნდეს საინტერესო კითხვა: **შეიძლება თუ არა გამოიყენოს ოპოზიციამ ყველა თემა მთავრობის კრიტიკისთვის? ერთი შეხედვით, პასუხი ამ კითხვაზე დადებითია, თუმცა საინტერესოა, რომ ფინეთის გამოცდილება საპირისპიროზე მიუთითებს.**

### დღეს ყველანი ფინელები ვართ?

ფინელები ჩვენთან შედარებით გაცილებით ცუდ მდგომარეობაში არიან. ის ტერიტორიები, რომლებიც მათ ომის შემდეგ დაკარგეს, მოქცეულია რუსეთის ფედერაციის საზღვრებში და ეს ცვლილებები აღიარებულია მთელი მსოფლიოს მიერ. მიუხედავად ამისა, ფინეთში არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც დაკარგული მიწების დაბრუნებას მოითხოვენ, ხოლო ფინეთის ხელისუფლება ამ საკითხს მოსკოვში ძალიან ფრთხილად, ზედმეტი ხმაურის გარეშე პერიოდულად აყენებს. არსებობს ინფორმაცია 1946, 1955, 1963, 1965, 1967, 1968 წლების მოლაპარაკებების შესახებ, თუმცა, საკითხით დაინტერესებული მკვლევარების აზრით, იყო სხვა შემთხვევებიც. დროდადრო ფინეთის ხელისუფლება სთხოვდა კარელიის მიწების დაბრუნების იდეის გარშემო გაერთიანებულ ორგანიზაციებს, შეემცირებინა საკუთარი პროპაგანდისტული ძალისხმევა; როგორც წესი, მსგავსი თხოვნა წინ მოსკოვთან მოლაპარაკებების მორიგ უშედეგო მცდელობას უძღოდა წინ. საინტერესოა, რომ ეს აქტივისტები მთავრობას უჯერებდნენ, დროებით მშვიდდებოდნენ და, რაც ყველაზე, მთავარია, არ ატარებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში მორიგი წარუმატებლობის კვალობაზე (მაგალითად, კეკონენისა და ბრეჟნევის მოლაპარაკების შემდეგ). ამას შეიძლება საერთო-ეროვნული კონსენსუსი ეწოდოს: არის საკითხები, რომელთან დაკავშირებით შეიძლება ერთმანეთს თმები დავაპუტოთ, მაგრამ არის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელთან მიმართებაში ყველანი, ხელისუფლება-ოპოზიციანად, უპირველეს ყოვლისა, ვართ ფინელები; **მივცეთ შესაძლებლობა მთავრობას, იმოქმედოს, მანევრისთვის აუცილებელი სივრცე არ შევუზღუდოთ, ხოლო თუ მისი ნამოქმედარი არ მოგვეწონება, ახალი ავირჩიოთ და შემდეგ იმ ახალსაც ვაცალოთ. რომელია უფრო პატრიოტული და კონსტრუქციული მიდგომა — ეს თუ ისტერიული კივილი „რატომ უწოდა ძმა ან ხელი რატომ ჩამოართვა?“**

ფინურ გამოცდილებაში კიდევ ერთი საყურადღებო შემადგენელი არის, რომელიც შეიძლება გავიზიაროთ (ან პირიქით, არ გავიზიაროთ), თუნდაც იგივე აფხაზეთზე გამავალ რკინიგზასთან დაკავშირებით; ეს მთავარი და მეორეხარისხოვანი, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნაა. არის ასეთი საიმას არხი, ფინეთის ყურესა და საიმას ტბას შორის, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ფინური ეკონომიკისთვის. ომის შემდეგ მისი ნაწილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოჩნდა; ნაოსნობა შეწყდა. ფინეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოლაპარაკება არხის სამხრეთ ნაწილის იჯარის შესახებ; მას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ამით ირიბად ომის შემდეგ შექმნილი სტატუსკვოს და ახალ საზღვარს აღიარებდა. 1958-ში ფინელებმა მიიღეს თავისუფალი ტრანზიტი საიმას არხზე, ხოლო 1962-ში არხის „საბჭოთა ნაწილი“ და მიმდებარე ტერიტორია 50-წლიანი იჯარით აიღეს (2011-ში ხელშეკრულება 2063 წლამდე გაახანგრძლივეს). მხარეებმა მოახდინეს არხის რეკონსტრუქცია და ის ფინური ეკონომიკისთვის მკვებავი არტერია გახდა (წელიწადში იქ 3000-მდე გემი გადის). ამ ტერიტორიაზე განსხვავებული სამართლებრივი, სასაზღვრო და გამარტივებული სავიზო რეჟიმი მოქმედებს.

**იმოქმედა თუ არა რამენაირად ამ არხის ამოქმედებამ კარელიის საკითხზე? არც არანაირად, ყველა, ვინც ითხოვდა ტერიტორიების დაბრუნებას, თავის პოზიციაზე დარჩა, ხოლო ფინეთის ხელისუფლება სსრკ-ის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გამართვას კვლავინდებურად ცდილობდა. სამაგიეროდ, ამ და უამრავი სხვა ერთობლივი პროექტის განხორციელების შედეგად, ფინეთის ეკონომიკა გაცილებით ძლიერი გახდა. რომელი ქვეყანა დგას უფრო ახლოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარებასთან — ძლიერი თუ სუსტი?**

დასასრულს, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინელები ჩვენთან შედარებით გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. **თუ მათ პრობლემასთან დაკავშირებით ვლადიმერ პუტინი ამბობს: „ტერიტორიული საკითხი ჩვენთვის საბოლოოდ გადაწყვეტილია და მოხსნილია დღის წესრიგიდან“, საქართველოზე საუბრისას მან არაერთგზის მიანიშნა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე** (ცნობილი გამოსვლები სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ და ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე), თუმცა მთავარი ამ კონტექსტში სულ სხვა რამ არის: ქვეყნის გამთლიანების პრობლემის გადაწყვეტა გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, ვიდრე ქართული საზოგადოება (ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი) დღეს ავლენს.

**დიმიტრი მონიავა**

## მამა ელიზბარმა ჟვანიას საქმეზე პროკურატურას ჩვენება ბარამიძის წინააღმდეგ მისცა

**„პირდაპირ ვამბობ: ჟვანია მოკლულია და ის სააკაშვილმა მოიშორა თავიდან“, — ამის შესახებ განცხადება მამა ელიზბარ დიაკონიძემ გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ გააკეთა.**

მისი თქმით, სააკაშვილს მრავალი მიზეზი ჰქონდა, რომ ჟვანია თავიდან მოეშორებინა.

**„არსებობს ქალბატონი, ნათელა მოდებაძე, რომელმაც დაინახა, როგორ შეიტანეს ჟვანიას და უსუპოვის ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში. არსებობს მეორე ადამიანიც, რომელიც ადასტურებს, რომ ჟვანია მოკლეს კაბინეტში, სადაც რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, ესენი იყვნენ: გიორგი ბარამიძე, მიშა მაჭავარიანი და თავად ჟვანია“,** — აცხადებს მამა ელიზბარი.

მამა ელიზბარი ჟვანიას მკვლელობის ინსცენირებაში გიორგი ბარამიძეს ადანაშაულებს.

**„შესაძლოა, მაჭავარიანი და ბარამიძე უშუალოდ არ შესწრებიან მკვლელობას, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის მითითებით სწორედ მან მოაწყო საბურთალოს ქუჩაზე პრემიერ-მინისტრის სიკვდილის ინსცენირება“,** — განაცხადა მამა ელიზბარმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მამა ელიზბარმა პროკურატურაში ჩვენება მისცა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სამკურნალოდ გადაყვანილი პატიმრების უმრავლესობას ცხვირი ჰქონდა ჩამტვრეული ან ხერხემალი დაზიანებული. მგონი, განმარტება აღარ არის საჭირო, რომ ეს ყველაფერი პატიმართა მასობრივი და სისტემატური ცემისა და წამების შედეგი იყო“.**



სოზარ სუბარი:

# ვინც თვითნებურად დააყენებს საპრეზიდენტო კანდიდატურას, ავტომატურად დატოვებს კოალიციას

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი.**

**— ბატონო სოზარ, თქვენთან საუბარს 23 იანვარს რესტორან „ბაბილოში“ მომხდარი ინციდენტის გახსენებით დავიწყებ. თქვენი უწყების თანამშრომელმა, ნასვამ მდგომარეობაში, თანმხლებ პირთან ერთად, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა უახლოესი სუფრის წევრებს, მერე კი ტაბელური იარაღი ამოიღო და კონფლიქტის ერთ-ერთ მონაწილეს დაუმიზნა. ამ ფაქტს განვაზოგადებ და გკითხავთ: ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენი სისტემის ზოგიერთ თანამშრომელს კვლავ შემორჩენილი აქვს დაუსჯელობის ბაცილა, რომლითაც ისინი თავის დროზე ბაჩო ახალაიამ „დააავადა“?**

— ვინც კანონზე მაღლა დააყენებს საკუთარ თავს, ყველა უმკაცრესად დაისჯება. ეს ჩვენი სისტემის ყველა თანამშრომლის გასაგონად მინდა ვთქვა. ყველა ხელოვნური პრივილეგია წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, მართლა უსიამოვნო ამბავი მოხდა: რესტორან „ბაბილოში“ ჩვენმა ორმა მთვრალმა თანამშრომელმა ჯერ ჩხუბი ატეხა, მერე კი ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელს იარაღი დაადო. ცხადია, ეს პიროვნებები გავათავისუფლეთ სამსახურიდან, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ახლა მათ საქმეს პროკურატურა სწავლობს. მოდით, დაველოდოთ გამოძიების შედეგებს.

**— ეს და არა მხოლოდ ეს ფაქტი დასტურია იმისა, რომ თქვენს სისტემაში ფართომასშტაბიანი წმენდა, ალბათ, გარდაუვალია.**

— ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დაახლოებით 400 თანამშრომელი გავუშვით, აქედან 29 — გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე და მათი საქმეები პროკურატურას გადავუგზავნეთ.

**— ეს ის 29 კაცია, პატიმრების ცემასა და არაადამიანურ მოპყრობაში რომ არიან ეჭვმიტანილნი?**

— სწორედ ისინი არიან. **გეგუთის ციხეში ახალი დირექტორი რომ დავნიშნეთ, აღმოჩნდა, რომ ციხეში 19 თანამშრომელი ვერ შედიოდა, პატიმრებთან გამოსაჩენი პირი არ ჰქონდათ, იმდენად ცუდად ეპყრობოდნენ მათ.** ეს ხალხი ერთ დღეში გავათავისუფლეთ. პარალელურად, შემოდის საჩივრები პატიმრებისგან, ყველა მათგანს გულდასმით განვიხილავთ და მერწმუნეთ, ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დანაშაულში იქნება მხილებული, აუცილებლად დატოვებს სამსახურს, ხოლო ვის დანაშაულშიც სისხლის სამართლის ნიშნები იქნება, მათ საქმეებს პროკურატურას გადავუგზავნით. ხელს ნამდვილად არავის დავაფარებთ.

**— უმძიმესი მდგომარეობა იყო სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებებში. რა შეიცვლება პატიმართა სამედიცინო მომსახურების მხრივ?**

— **ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო როგორ მდგომარეობაში ჩავიბარეთ, იცით? ცარიელი კედლები და სამედიცინო პერსონალი დაგვხვდა, მეტი არაფერი. კარდიოგრამა და რენტგენი რომ გადაუღო პატიმარს, ამისი საშუალებაც არ არის, სისხლის ანალიზსაც კი ვერ გაუკეთებ, რადგან მთელი სამედიცინო აპარატურა მწყობრიდანაა გამოსული.**



## «ქართული ოცნება» არ არის მე-8 საპყრობილე, რომლიდანაც არ გიშვებენ და ვერ გადიხარ»

იყვნენ ექიმები, რომლებიც გულგრილად ეკიდებოდნენ პატიმართა ჩივილებს და მათ განკურნებაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ ადმინისტრაციის მითითებებს ასრულებდნენ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პატიმართა წამებაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ამ დანაშაულებზე თვალს ხუჭავდნენ. ცხადია, ასეთი „ექიმების“ ადგილი ციხეებში არ არის. იმდენად აუტანელი რეჟიმი იყო ციხეებში, ბევრი დაავადებული პატიმარი იმას კი არ ცდილობდა, დროულად გამოჯანმრთელებულიყო და დაბრუნებულიყო ციხეში, პირიქით, ხელოვნურად ცდილობდა საკუთარი დაავადების დამძიმებას, რათა რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო საავადმყოფოში. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელი დაავადება აწუხებდათ მასობრივად პატიმრებს?

**— სავარაუდოდ, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, C ჰეპატიტი და ტუბერკულოზი....**

— ვიცოდი, რომ ამას იტყოდით, მაგრამ ცდებით. **ოქტომბერში 733 პაციენტი გადავიყვანეთ სამოქალაქო სექტორში სამკურნალოდ, ნოემბერში — 1148, ხოლო დეკემბერში — 440. მათ დიდ ნაწილს ცხვირის ძგიდეების გასწორებისა და ხერხემლის ოპერაციები გაუკეთეს. კი, სხვა ტიპის დაავადებებიც უხვად იყო, მაგრამ სამკურნალოდ გადაყვანილი პატიმრების უმრავლესობას ცხვირი ჰქონდა ჩამტვრეული ან ხერხემალი დაზიანებული.**

მგონი, განმარტება აღარ არის საჭირო, რომ ეს ყველაფერი პატიმართა მასობრივი და სისტემატური ცემისა და წამების შედეგი იყო.

**— ე.წ. ციხის კადრების გავრცელების შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რეჟიმი შესუსტდა. დამეთანხმებით, ეს სერიოზული საფრთხის შემცველი ფაქტორია.**

— კი, ამ კადრების გავრცელებას რეჟიმის შესუსტება, პატიმართა ზომაზე მეტად გათამამება მოჰყვა. ეს ფაქტია, თუმცა პრობლემა მოგვარდება. ადრინდელი რეჟიმი ნამდვილად არაადამიანური იყო. ამ კადრების გავრცელების შემდეგ, ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომისია როცა შევიდა გლდანის ციხეში, მახსოვს, მათ დასკვნაში ჩაწერეს, — ციხეში სამარისებური სიჩუმე დაგვხვდაო. წარმოიდგინეთ, პატიმრები ისე იყვნენ დაშინებულნი, ხმას ვერ იღებდნენ — 3 კორპუსში 4000 კაცი იჯდა და ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეს არ არის რეჟიმის დაცვა, ეს არის სადიზმი. პატიმარმა, თუ საჭიროა, უნდა დაიყვიროს და უნდა იხმაუროს კიდეც, კორპუსიდან კორპუსში გადაძახილი ხომ ციხეში ჩვეულებრივი ამბავია. მთავარია, დანაშაული არ ჩაიდინოს. ჩვენ ახლა ახალ კანონს ვამზადებთ, რომელიც ზომიერად ლმობიერი იქნება. ამ კანონის ახალი რეჟიმის წესების დაცვა კი ყველა პატიმრისთვის სავალდებულო იქნება. ამთავითვე ვაფრთხილებ საზოგადოებას, ნურავის გაუკვირდება, თუ პატიმრები მკაცრად დაისჯებიან.

**— ნარკოკარტელის გახმაურებული საქმის ერთ-ერთი მონაწილე „კანონიერი ქურდის“, შაქრო კალაშოვის, თანამზრახველი ელგუჯა გურჩიანი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სიაში მოხვდა და ციხიდან გამოვიდა. არადა, მას 24 წელი ჰქონდა მისჯილი. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები თქვენკენ იშვერენ ხელს — სოზარ სუბარის რეკომენდაციით მოხვდა გურჩიანი სიაში, სვანმა სვანს ხელი გაუმართაო.**

— ელგუჯა გურჩიანი 223-ე პრიმა მუხლით იყო გასამართლებული ქურდული სამყაროს წევრობისთვის. 16-დან 28 დეკემბრის ჩათვლით, პრეზიდენტმა 1544 მსჯავრდებული შეიწყალა; გურჩიანის გარდა, ამ მუხლით გასამართლებული კიდევ ერთი პატიმარი მოხვდა შეწყალებულთა სიაში. ელგუჯა გურჩიანისთვის რეკომენდაცია არ გამიწევია, ეს რომ მექნა, არც პასუხისმგებლობას გავექცეოდი. ჩემკენ ტყუილად იშვერენ ხელს ოპონენტები. იმ შეწყალებულ 1544 კაცში 88 პატიმარი ჩვენი რეკომენდაციით მოხვდა შეწყალებულთა სიაში და მათზე პასუხისმგებლობას არ ვიხსნი. ესენი იყვნენ, ძირითადად, მძიმე ავადმყოფები, მაშინ „აქტირების“ კომისია არ მუშაობდა, არ არსებობდა სხვა მექანიზმი, რომ მათ დროულად დაეღწიათ თავი საპატიმროსთვის, ამიტომ მივმართე ამ ერთადერთ გამოსავალს მათი სიცოცხლის გადასარჩენად და რეკომენდაცია გავუწიე, რათა შეეწყალებინათ.

**— ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილმა ვიცე-პრემიერობიდან მოხსნა. კი, გაკეთდა ამ გადაწყვეტილების შესახებ განმარტებები, მათ შორის, პრემიერის მხრიდან, მაგრამ ბევრი თვლის, რომ ალასანიას გათავისუფლების რეალური მიზეზი არ დასახელებულა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— მთავრობის სხდომაზე იყო ამ საკითხზე ლაპარაკი. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა განიხილოს კოალიციამ, მასში შემავალმა ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა ერთად და არა ცალცალკე. მან ისიც თქვა, რომ საპრეზიდენტო კამპანიას კოალიციის ყველა წევრი ერთად დაიწყებს. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი, მათ შორის, ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერის პოსტიდან გათავისუფლების რეალური მიზეზიც.

კი, ვიცე-პრემიერის პოსტი მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც ის თანამდებობაა, რომელიც დღეს უჭირავს — თავდაცვის მინისტრის პოსტი. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი მთავრობა წარმატებული მთავრობაა და ირაკლი ალასანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია. ბიძინა ივანიშვილმა შეგვახსენა: ჩვენ ვართ არა რომელიმე პარტიის ან კოალიციის მინისტრები, არამედ საქართველოს, ქართველი ხალხის მინისტრები და ეს გვავალდებულებს, ყველანაირი პარტიული თუ კოალიციური ამბიცია ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს დავუქვემდებაროთ.

**— სხვათა შორის, ისიც ითქვა — კოალიციას, შესაძლოა, რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდესო...**

— თუ ვინმე თვითნებურად, კოალიციასთან შეუთანხმებლად დააყენებს საპრეზიდენტო კანდიდატურას, ცხადია, ის პარტია თუ პოლიტიკოსი ავტომატურად დატოვებს „ქართულ ოცნებას“. ჩვენი კოალიცია არ არის მე-8 საპყრობილე, საიდანაც არ გიშვებენ და ვერ გადიხარ.

**— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ხელისუფლებისთვის არც თუ სასიამოვნო რეზოლუცია მიიღო. ის სავსეა ახალი ხელისუფლების კრიტიკით. როგორ შეაფასებთ მას?**

— არ ვეთანხმები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას! იქ წერია, რომ **ევროსაბჭო შეშფოთებულია საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსური პოლიციის მოულოდნელი შესვლით.** მოულოდნელი აქ არაფერი იყო. საზოგადოებრივ მაუწყებელს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება ამოწმებდა, **მრავალმილიონიანი დავალიანება ამ არხს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს აღმოუჩინეს და დაუფიქსირეს... მაშინ, უბრალოდ, არ სთხოვდნენ ამ დავალიანების დაფარვას, ახლა კი სთხოვენ და სრულიად კანონიერადაც.** დასკვნაში არასწორად წერია ისიც, თითქოს პრემიერ-მინისტრი საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „მე-9 არხის“ გაერთიანებას აპირებდა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, თუ „მე-9 არხი“ დაიხურება, მის აპარატურას საზოგადოებრივ მაუწყებელს გადავცემ და ეს არხი ამით უფრო მოძლიერდებაო. „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი პოლიტიკა ხომ პიარზე იყო აგებული და ამ შემთხვევაშიც პიარით, ლობისტებისა და ძველი კონტაქტების მეშვეობით მოახერხეს ამგვარი რეზოლუციის მიღება. მე ამას დიდ მარცხად არ ვთვლი და ევროპული საზოგადოება ნელ-ნელა შეიტყობს სრულ სიმართლეს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

**— ბატონო სოზარ, მედიით არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი სამინისტროს გენინსპექციის უფროსი მირზა სუბელიანი თქვენი ბიძაშვილია და ამ პოსტზეც მხოლოდ ამიტომ დანიშნეთ. მართალია ეს?**

— არა, ეს სიმართლე არაა. მირზა სუბელიანი პროკურატურაში მუშაობდა, პატიოსანი და პროფესიონალი პროკურორი იყო და სწორედ ამიტომ მოვიყვანე ჩვენს სისტემაში. ჩვენ ბიძაშვილები კი არა, ნათესავებიც კი არ ვართ.

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

**„ერთ-ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა ამაყად აღნიშნა, საფრანგეთმა ჩვენგან გადაიღო ციხეების მართვაო. შემდეგ ვნახეთ შემზარავი კადრები... ამ ყველაფრისთვის არა მარტო ბაჩო ახალაიამ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა პირებმა, არამედ მთლიანად იდეოლოგებმა უნდა აგონ პასუხი. იდეოლოგი კი არის მიხეილ სააკაშვილი.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კახა კალაძე: როცა უფლებამოსილება შეუწყდება, სააკაშვილს პროკურატურაში დაიბარებენ, სადაც უამრავ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა

**მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე.**





**— ბატონო კახა, ირაკლი ალასანიასთვის ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების შეწყვეტამ უკვე თითქმის სკანდალური ხასიათი მიიღო. ყველა, მათ შორის ექსპერტებიც, იმაზე საუბრობენ, რომ პრემიერმა მას გუნდის სხვა წევრებთან შეუთანხმებელი მოქმედება არ აპატია და დასაჯა. ლაპარაკია გარკვეულ შიდაბზარებზეც კოალიციაში. რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს სინამდვილეში?**

— სინამდვილეში ხდება ის, რაზეც რამდენიმე დღის წინ ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა. მარტივად გეტყვით: კი, გარკვეული მსჯელობა, დისკუსია, შესაძლოა, ყოფილიყო, მაგრამ ისეთი გაუგებრობა ან რაიმე მსგავსი დამოკიდებულება, რომ კითხვები გაჩნდეს, ნამდვილად არ არსებობს, ამას სრული გულწრფელობით ვამბობ. რომ ყოფილიყო პრემიერსა და ირაკლის შორის სერიოზული გაურკვევლობა, შელაპარაკება, გარწმუნებთ, მაშინ ის არც თავდაცვის მინისტრის პოსტზე დარჩებოდა. რაც შეეხება მიზეზს, რატომ ჩამოერთვა ვიცე-პრემიერის ფუნქცია, მე ვფიქრობ, რომ ირაკლის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა აქვს, ამიტომ, ამის შემდეგ, მას უფრო მეტი დრო დარჩება საკუთარი უწყებისთვის და იმ პრობლემების გამოსასწორებლად, რომლებიც დღესდღეობით ქართულ ჯარშია შექმნილი.

**— ანუ დროისა და რესურსის შეუთავსებლობა იყო ამ ყველაფრის მიზეზი?**

— ფაქტობრივად ასე გამოდის. მოგეხსენებათ, მეც ვარ ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი, მაგრამ შეუძლებელია, შეადარო ენერგეტიკისა და თავდაცვის სამინისტრო ერთმანეთს. ეს ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი სამინისტროა თავისი ყველანაირი რესურსით. აქედან გამომდინარე, ცხადია, ბევრად უფრო შრომატევადი საქმე აქვს ბატონ ირაკლის და მხოლოდ ეს იყო მიზეზი. სხვას მე ვერაფერს ვხედავ.

**— გასაგებია, მას სამუშაო ბევრი აქვს, მაგრამ რატომ თავიდანვე არ იფიქრა პრემიერმა იმაზე, რომ ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის — თავდაცვის მინისტრობისა და ვიცე-პრემიერობის შეთავსება რთული იქნებოდა, მით უფრო, ალასანია დასაწყისშივე საუბრობდა, უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვხვდებაო?**

— საქმე ისაა, რომ დროთა განმავლობაში უფრო იჩინა ამ ყველაფერმა თავი. ამიტომ თვითონ ირაკლი ალასანიაც, ალბათ, საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რა გადაწყვეტილებაც მან და პრემიერმა შეთანხმებულად მიიღეს...

**— ბიძინა ივანიშვილმა ალასანიას შეცდომად ჩაუთვალა ის, რომ პრემიერთან შეუთანხმებლად მან თავის თანაპარტიელებთან ერთად დაიწყო პრეზიდენტობის კანდიდატის საკითხის განხილვა. თქვენი აზრით, არის ეს შეცდომა?**

— ზოგადად კოალიცია იმიტომაა კოალიცია, რომ, როდესაც ჩვენ გარკვეულ თემებზე გვიწევდა მუშაობა, განხილვა ხდებოდა ერთად. სხვანაირად, უბრალოდ, პოზიციების შეჯერება შეუძლებელია, **რაც შეეხება, იყო თუ არა შეცდომა, თუ ერთი გუნდი ვართ, რა თქმა უნდა, მას უნდა დაეყენებინა ეს საკითხი; აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტი ასეთ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდა დამოუკიდებლად, ჩემი აზრით, შეცდომაა.**

— თქვენმა მთავარმა ოპონენტმა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ეს ყველაფერი იმით ახსნა, რომ თურმე პროდასავლური ორიენტაციის მქონე ალასანიასთვის პრორუსულად მოაზროვნე ივანიშვილის პოლიტიკა მიუღებელია. რა აზრის ხართ ამაზე?

— საერთოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო დროს ისეა გამწარებული, მე მგონი, თვითონ ვერ ხვდება, რა განცხადებებს აკეთებს, სად იმყოფება და რა რეალობაა დღეს ქვეყანაში. **რაც შეეხება საგარეოპოლიტიკურ კურსს, ჩვენ არაერთხელ გვითქვამს წინასაარჩევნო პერიოდშიც და ახლაც ამას ვადასტურებთ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები, რომ საქართველოს სწრაფვა არის ევროპისკენ.**

ცხადია, ამისთვის ჯერ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, უწინარესად კი, გასაძლიერებელია დემოკრატიული ინსტიტუტები, შესაქმნელია ისეთი გარემოება, როგორიც დასავლურ ცივილიზებულ ქვეყნებშია, და ახალი ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა ეს მოხერხდეს. თქვენ გახსოვთ, რა მდგომარეობაში ვცხოვრობდით ცხრა წლის განმავლობაში — საზოგადოება იყო ზეწოლის, ტერორის ქვეშ; სააკაშვილის ხელისუფლება იდგა შიდა და გარე პიარსა და შიშზე, რომელიც მათ დათესეს მოსახლეობაში პოლიციის ხარჯზე. ახლა მთავარია, რომ ეს დამთავრდა, დანარჩენი, რა თქმა უნდა, **ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველო შევიდეს ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში, ნატოში და საბოლოოდ გახდეს იმ ერთიანი გეოპოლიტიკური ოჯახის წევრი, რომელსაც ევროპული ოჯახი ჰქვია.**

**— რუსეთის მიმართ რა პოლიტიკა გაგვაჩნია?**

— ზუსტად ამ საკითხამდე მივდივართ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მეტად მნიშვნელოვანია და სწორედ ამას გვახსენებენ მუდმივად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები — როგორც ამერიკელები, ისე ევროპელები. თქვენ ხედავთ, რომ პრემიერი უკვე ეძებს იმ გზებს, რომლითაც შეიძლება ამ ეტაპზე მივიდეთ რაღაც საერთო კონსესუსამდე. ცხადია, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ მთავარია, არის ნება. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და ვნახოთ, რა ხასიათს მიიღებს ამ ხნის განმავლობაში პროცესები.

**— რაც შეეხება ტარიფებს, დენის ღირებულება 3,54 თეთრით შემცირდა. თქვენ ეს დისტრიბუციის კომპონენტში არსებული პრობლემების გადაჭრით ახსენით. სხვა კიდევ რის ფასად დაუჯდა ახალ მთავრობას ამის მიღწევა?**

— სხვა მეტი არაფერი, ძირითადი ეს იყო. თვითონ ტარიფის შემადგენლობაა დისტრიბუცია, გენერაცია, ანუ წარმოშობის წყარო და გადაცემა. **ამ ორში — გადაცემასა და გენერაციაში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო ტარიფის შემცირება და მომავალშიც შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეს პირდაპირ დაარტყამს ინვესტიციების შემოსვლას, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუშლის ახალი პროექტების განხორციელებას.** ჩვენ რაც მოვახერხეთ და მთავრობამ რაზეც იმუშავა, ესაა ის, რომ შემცირება მომხდარიყო იმ კომპანიების ამონაგების ხარჯზე, რომლებიც დღეს ქართულ ბაზარზე არიან. ესაა „ენერგოპროჯორჯია“ და „თელასი“. ამ კომპანიებს აქამდე თუ, ვთქვათ, მოგება ჰქონდათ ათი ლარი, ახლა ექნებათ შვიდი ლარი. აი, ამის ხარჯზე მოხდა ეს ყველაფერი.

**— ამის გაკეთება შეიძლებოდა თუ არა წინა ხელისუფლების დროს?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ესაა სწორედ მტკივნეული და საწყენი, რომ ამ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელი იყო 2007-2009 წლებში და არ გაკეთდა. ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობის ზურგზე გადაიარა სიდუხჭირემ. ამ დანაზოგით კი ყოველწლიურად ბიუჯეტში დარჩება 35-40 მილიონ ლარამდე.

**— ცნობილია, რომ ენერგეტიკის სამინისტროში თქვენი მოსვლის შემდეგ აუდიტი ჩატარდა. რაიმე სერიოზული დარღვევა თუ აღმოაჩინეთ?**

— აუდიტი ჯერ არ დასრულებულა, სამუშაო კი ძალიან ბევრია. ახლა ჩვენ ვამოწმებთ ყველა იმ ხელშეკრულებას, რომლებიც დაიდო ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის სამინისტროს მეშვეობით, ვეცნობით გარიგების მემორანდუმებს და ა.შ. კითხვები, რა თქმა უნდა, გაგვიჩნდა. ამასთან დაკავშირებით მე უახლოეს მომავალში ვაპირებ ბრიფინგის ჩატარებას. შემდეგ ამ ყველაფერს გადავუგზავნით შესაბამის ორგანოებს და ისინი, ალბათ, დაიწყებენ გამოძიებას.

**— გამოსაძიებელი პროკურატურას ისედაც ბევრი აქვს. ფაქტობრივად, დღე ისე არ გავა, ვინმე არ დაკითხონ ან არ დააკავონ. ალბათ, ეს ყველაფერი სამართლიანადაც ხდება, მაგრამ ამის მიუხედავად, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს სწამთ, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული შანსები პოლიტიკაში. მაგალითად, სააკაშვილმა, დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, მომავალ არჩევნებში დიდი უპირატესობით გავიმარჯვებთო.**

— რა გითხრათ, სააკაშვილის შანსი ნულია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ნულს ქვემოთ ნამდვილადაა. ეს კაცი არის რეალობას აცდენილი, ვერ ხვდება, რა მდგომარეობაა ქვეყანაში. თქვენ ხედავთ, რა დამოკიდებულება აქვს ხალხს მათ მიმართ, სადაც უნდა წავიდნენ, რომელ კუთხეში და ქალაქში. რაც ამ ადამიანებმა ცხრა წლის განმავლობაში აკეთეს ხალხის წინააღმდეგ, ენით აუწერელია. **ძალიან ბევრი შემზარავი ფაქტია, რომლებიც მოსახლეობისთვის არაა ცნობილი და ამასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს; უამრავი მკვლელობაა ჩადენილი. ასე რომ, მათი უკან შემობრუნება წარმოუდგენელია.** სხვათა შორის, ძალიან ბევრ მათგანს, რომლებიც დღეს არხეინად არიან, მოუწევს მომავალში კითხვებზე პასუხების გაცემა. არაა გამორიცხული, მათ შორის აღმოჩნდეს სააკაშვილიც, იმიტომ, რომ ის იყო იმ ყველაფრის იდეოლოგი, რაც ხდებოდა ქვეყანაში, საპატიმროებში. თქვენ გახსოვთ, ერთ-ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა ამაყად აღნიშნა, საფრანგეთმა ჩვენგან გადაიღო ციხეების მართვაო. შემდეგ ვნახეთ შემზარავი კადრები... ამ ყველაფრისთვის არა მარტო ბაჩო ახალაიამ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა პირებმა, მთლიანად იდეოლოგებმა უნდა აგონ პასუხი. იდეოლოგი კი არის მიხეილ სააკაშვილი.

**— გინდათ, თქვათ, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა სააკაშვილსაც შეეხება?**

— რა თქმა უნდა, როცა ამ ადამიანს უფლებამოსილება შეუწყდება, პროკურატურა დაიბარებს და ძალიან ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. სხვანაირად გამორიცხულია, ჩვენ ვიქნებით დამნაშავეები, რომ არ მოვთხოვოთ მას სათანადოდ იმ დანაშაულებზე, რომლებიც მისმა რეჟიმმა ჩაიდინა. ეს არა მარტო ჩვენი სურვილია, ეს საზოგადოების ნებაა. გარდა ამისა, **სამართალი და სამართალწარმოება ყველასთვის უნდა იყოს ერთი, ადამიანმა დაარღვია კანონი, არ აქვს მნიშვნელობა, შენ პრეზიდენტი ხარ, მინისტრი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე.**

ასე რომ, საზოგადოება დღეს რასაც მოითხოვს, ის აუცილებლად უნდა შესრულდეს.

**— დასასრულს, სააკაშვილის გამოსვლაზეც გკითხავთ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მან თითქმის მთელი 25 წუთი ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასამარებენ თურმე დღეს საქართველოში დემოკრატიას, როგორ იჭერენ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით და ა. შ. როგორ ფიქრობთ, რეალურად მოახდინა თუ არა პრეზიდენტმა ამით ახალი მთავრობის დისკრედიტება?**

— სააკაშვილის უპირველესი მიზანიც სწორედ ესაა და ამას ემსახურება მისი ბინძური პიარსაშუალებებიც. ამისთვის იბრძვიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ ყველა ყველაფერს ხედავს. ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობის ბედი, ხალხის განწყობა. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, როგორი მოლოდინი და დამოკიდებულებაა დღეს ახალი რეალობის მიმართ.

მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რას შევადარო, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეა მისი საქმე. არანაირი შანსი არ აქვს მას და მის გუნდს, ესენი არიან პოლიტიკურად გაკოტრებული ადამიანები. ასე რომ, რაც უნდა ილაპარაკონ, რაც უნდა ამტკიცონ, დემოკრატიას სპობენო, ამ ბინძური პროპაგანდით არაფერი გამოუვათ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ვაი ჭკუისაგან

2006 წელს მარიონეტი სააკაშვილი, რა თქმა უნდა, თავისი დასავლელი პატრონების ბრძანებით, ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან პროვოკაციას. და ეს ზნეობრივად, პოლიტიკურად მავნე, ფსევდოისტორიული მუზეუმი იყო, აშშ-ის სახდეპარტამენტში დაგეგმილი დიდი პროვოკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი!

**— სადაა აქ ოკუპაციის მუზეუმი? — ვეკითხები ბილეთების გამყიდველ ქალბატონს და ეროვნული მუზეუმის დათვალიერების უფლებას ხუთ ლარად ვიძენ.**
**— მეოთხეზე, — ვღებულობ უხალისო პასუხს.**
**არადა, „შავბნელი და წყეული“ კომუნისტების დროს ამჟამად ვადაგასულ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სტუმრობა, როგორც საბჭოთა სკოლის მოსწავლეს, შემდგომ კი, საბჭოთა სუკ-ის სასაზღვრო ჯარების სერჟანტს, უფასოდ ერგებოდა! ხოლო როგორც ზრდასრულ რიგით მოქალაქეს, ათი კაპიკი დაუჯდებოდა. თუ ბილეთის საფასურით ვიმსჯელებთ, მიშას (ისევე, როგორც ჩვენ) ორმოცდაათჯერ გაუძვირდა ცხოვრება, არც მეტით და არც ნაკლებით!.. აჰ, გამახსენდა! მუზეუმები ხომ თვითდაფინანსებაზეა გადასული. სახელმწიფომ, უფრო ზუსტად, დამოუკიდებელი (მხოლოდ, დე იურე) საქართველოს ხელისუფლებებმა საზოგადოების კულტურული დონის ამაღლება ზედმეტ ტვირთად ჩათვალეს და: „ხალხო, თავში ქვა გიხლიათო“... ხალხმაც მონური მორჩილებით, თავში ქვა იხალა. მოიპოვა რა თავისუფლება, სინამდვილეში, დასავლეთის ქვეყნებში მაწანწალობის (თანაც ფასიანი) უფლება, გროშების, სარჩოს მოსაპოვებლად, გერმანელ, ინგლისელ, იტალიელ, ესპანელ, ფრანგ, ჰოლანდიელ, ბერძენ, თურქ, ამერიკელ ლოგინზე მიჯაჭვულ პენსიონერებს, მეტ-ნაკლები წარმატებით, უკანალებს უწმენდს!..**

# მისტერ მაიკლ სააკაშვილის გებელსარიუმი

ავდივარ მეოთხე სართულზე. ესეც „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“! როდესაც კონკრეტულ ისტორიის მონაკვეთს ასეთ პატივს დადებ, ანუ შექმნი მუზეუმს მუზეუმში, მისმა ექსპონატებმა დამთვალიერებელს თმები ყალყზე უნდა დაუყენოს, რა თქმა უნდა, თუ იგი მელოტი არაა. ბედს არ ვუჩივი, ღმერთმა დამინდო და თმებიც შემინარჩუნა, მაგრამ საინტერესოა, დამიდგება ყალყზე თუ არა? — ვეკითხები საკუთარ თავს და მოწიწებით ვაბიჯებ მუზეუმის ზღურბლს. აღმოვჩნდი შედარებით მცირე მოცულობის დარბაზში. ხელმარცხნივ დაცხრილული ვაგონია. მსმენია ეს ამბავი, 1924 წლის აჯანყების შემდეგ, ასეთ ვაგონში ბოლშევიკებმა გამოამწყვდიეს მეამბოხეთა ჯგუფი და ტყვიამფრქვევი დაუშინეს. მასზე მიმაგრებული **წარწერა მამცნობს, რომ ეს ზუსტად ის ვაგონია, თანაც სასწაულებრივად გადარჩენილი, რომელშიც ბოლშევიკი ჯალათები ხოცავდნენ აჯანყებულებსო.** ამ ფაქტს მე ვერ უარვყოფ, მაგრამ **ექსპონატის ორიგინალობაში ეჭვი მეპარება და, აი, რატომ: ახლო მანძილიდან ნასროლი ტყვიამფრქვევის ჯერი ვაგონის თხელ ხის კედელს ნაფოტებად აქცევდა, ამაში კი მხოლოდ ნახვრეტებია. არა, არა, ნამდვილად ნასროლია, მაგრამ ავტომატიდან და, მინიმუმ, 50-55 მეტრის დისტანციიდან.**

თუ არ ვცდები, ორი ჯერია გაკეთებული — მარჯვენა და მარცხენა კუთხიდან ცენტრისკენ. ყალიბი უფრო 5,45 მილიმეტრიანს ჰგავს. Ну, да Бог с ним. ვისაც რა უნდა, ის იფიქროს. ეს მხოლოდ ჩემი აზრია. გვერდით კედელზე თვალი მოვკარი ეკრანს, რომელზეც კრემლის პალატებში მოსიარულე პუტინსა და მედვედევს „ვაფიქსირებ“. მათ ცვლიან შვეულმფრენები, ტანკები, გორის დაბომბვა, ომის საშინელებები და ა.შ. ამ კადრებს „დესერტისთვის“, გამოსვლისას დავიტოვებ.

**„ოკუპაციის მუზეუმის“ დიდი, ძირითადი დარბაზი იდუმალ ბინდბუნდშია „გახვეული“. შთაბეჭდილებას ამძიმებს ზედა განათება, რომელსაც საექსპოზიციო სტენდები და ექსპონატები თითქოს ისტორიის ჯურღმულიდან გამოჰყავს სინათლეზე.** დახვეწილი კომპოზიციისთვის რაღაც აკლია. ნეტავ, რა? ყვავილებში ჩაფლული პოზუმენტებიანი კუბო, რა თქმა უნდა, ჩეკისტის ქურთუკში გამოწყობილი მიცვალებულით? სინამდვილეში კი, საკმაოდ ფართო, ვარდისფრამდე გახუნებულ ფიანდაზს მასიური მაგიდისკენ მივყავარ, რომელიც დახუნძლულია ადამისდროინდელი შავი ტელეფონით, მარმარილოს დაფით, სამელნით, საწერი კალმებით, მასიური მელნის საშრობით და აუცილებლად ღამის ლამპით, შხამიანი სოკოს ფერის აბაჟურით. ფიანდაზის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოკიდებულია ერთმანეთის შემყურე სამსამი რკინის კარი პატარა სათვალთვალო სარკმლით. ამის შემქმნელის ჩანაფიქრში, სახაზინო მუხის მაგიდამ თავისი გაწუყრელი ატრიბუტებით, ალბათ, ყოვლისშემძლე ლავრენტი პავლოვიჩის ან შინსახკომის უფრო პატარა გასაქანის მოხელეთა კაბინეტის ასოციაცია უნდა გამოიწვიოს. დანაშაულის ჩასადენად აქ ყველაფერი მზადაა. დარჩენილია: ხალხის მტრის დაკითხვაზე შეყვანა, ცემა, შამფურის ყურში გაყრა, დახვრეტა და, ბოლოს, სიკვდილმისჯილის ოჯახში ქვითრის გაგზავნა მოთხოვნით, რომ სახელმწიფოს აუნაზღაუროს ვაზნის საფასური!.. ამაზეც ბევრი მსმენია! მართალია, ამ ამბის მომყოლნი იფიცებიან, რომ ასე იყოო, მათ საკუთარი თვალით უნახავთ ეს ქვითარი, იციან სადაა, თუმცა დამამტკიცებელი საბუთები დღემდე მოაქვთ... **ვაკვირდები კამერის კარს და ვორჭოფობ: რომელი უფრო საიმედოა — აი, ეს თუ გლდანის მერვე საპყრობილისა — სააკაშვილის სულის ასლისა?**

**„ოკუპაციის მუზეუმში“ სამოცდაათწლიანი კომუნისტური პერიოდი მკვეთრად დაყოფილია. თითოეული პერიოდის სტენდთან პატარა მონიტორია, რომელზეც კინოქრონიკის კადრებს ატრიალებენ.** აგერ — დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია ალუმზე. ყველაფერი ევროპულ დონეზეა, გაუთავებელი ძვირადღირებული ბანკეტებისა და მეჯლისების ჩათვლით. **დაკვირვებული დამთვალიერებელი უნებლიეთ გაავლებს პარალელს მენშევიკ ჟორდანიასა და ნაციონალ სააკაშვილს შორის. ორივეს ქვეყანა თავზე ენგრეოდა, ისინი კი ტაშფანდურით იყვნენ დაკავებულნი; ორივე ევროპისკენ მიისწრაფვოდა, ევროპელობას იფიცებოდა, მაგრამ, ევროპელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. ორივენი „დასავლელმა პარტნიორებმა“ თხებივით გაყიდეს: პირველი —**







**1921 წლის 25 თებერვალს, მეორე — 2008 წლის აგვისტოში. ევროპული ღალატის სცენარი საოცარი სიზუსტით მეორდება, ანუ დასავლურ კუზს სამარე თუ გაასწორებსო.......**

აი, კიდევ მენშევიკური უტვინობის, არაეროვნულობისა და გამცემლობის მაგალითი — ილიას დისშვილის, კოტე აფხაზის მიერ შექმნილი სამხედრო ცენტრის ტრაგედია. ეს ცენტრი შედგებოდა იმდროინდელი სამხედრო არისტოკრატიის რჩეულებისგან; გენერლები: კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე; პოლკოვნიკები: გიორგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, ივანე ქუთათელაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი, სიმონ ჭიაბრიშვილი, ელიზბარ გულისაშვილი; კაპიტანი იასონ კერესელიძე, როტმისტრები — სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, ფარნაოზ ყარალაშვილი და ნიკოლოზ ზანდუკელი, გაასამართლეს და 1923 წლის 20 მაისს დახვრიტეს. ყველა მათგანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ოღონდ არა ბაჩუკი ქარდავას) წევრები გახლდნენ და ძალზე კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობისა და პარლამენტის მიმართ, რომელიც თითქმის მთლიანად (97%) დაკომპლექტდა სოციალ-დემოკრატებით. **მენშევიკების ელიტამ, ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წლის მარტში მოკურცხლა, თან საკმაოდ დიდი განძეულობა გააყოლა ხელს და არხეინად დაასრულა წუთისოფელი შორეულ ლევილში. ეროვნულ-დემოკრატები კი დარჩნენ და სამშობლოს თავი შესწირეს.** ვამაყობ, რომ ბაბუაჩემი, პოლკოვნიკი ივანე ქუთათელაძე მათ რიცხვშია. ის მხოლოდ 38 წლისა იყო... სამხედრო ცენტრისთვის გამოტანილ განაჩენს, სხვათა შორის, ხელს აწერენ მიქელაძე, ელიავა და ცნობილი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის, სიმამრი — ორახელაშვილი. „ლენინური გვარდიის“ ყველა ზემოჩამოთვლილმა წევრმა თავისი მისაგებელი 1937 წელს მიიღო...

**37-ის მოვლენები ფართოდაა წარმოდგენილი, ძირითადად, რეპრესირებულთა სურათებით, მათ შორის, რეჟისორ სანდრო ახმეტელისა და მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის.**

გამოყოფილია, აგრეთვე, სტალინის სიკვდილის შემდგომი პერიოდი. ერთ-ერთ სტენდზე ჩემს ყურადღებას იპყრობს პორტრეტი, საიდანაც მიყურებს პეწიანად ჩაცმული მამაკაცი, მწყაზარი სახით, რუდოლფო ვალენტინოს სტილის წვრილი ულვაშებით, ნატიფი თითებით, რომლითაც ლამაზად უკავია სიგარეტი. ეს ბატონი გივი იასონის ძე ბადრიძეა. დაბადებულია 1929 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი. მიუხედავად უპარტიობისა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სტრუქტურაში უკავია კარგი, პრესტიჟული თანამდებობა, კერძოდ, კინოფიკაციის სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელია. დაპატიმრებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სუკ-ის მიერ და 1958 წლის 16 იანვარს გასამართლდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) და 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედობა მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლებით. ანტისაბჭოური პროკლამაციების გარდა, ბატონი გივი პოეზიის ენითაც ებრძოდა კომუნისტურ ხელისუფლებას:

**„სჯობს უცხოელთა**
**მიენდო მტრობას**
**და ნუ ენდობი ნიკიტას**
**ნათქვამს.**
**ებრძოლე სუფრულ**
**პატრიოტობას,**
**თუ სინდისი გაწუხებს**
**მართლა.**
**ბრძოლით განკურნავ**
**მრავალ ჭრილობას,**
**ლახვარი ჩაეც შავბნელ**
**პარტიას,**
**რადგანაც იმის დროშაზე**
**მხოლოდ**
**სიბოროტე და ტანჯვა**
**ხატია“.**

მართლაც ძალიან მამაცი ადამიანი გახლდათ ბატონი გივი. არ დაგვავიწყდეს, რომ 1958 წელია, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ სიძლიერის ზენიტშია, მსოფლიოს, მათ შორის, ბრიტანეთს და მის განუყრელ დომინიონს — აშშ-ს, აზანზარებს და პარტიის ასეთი შეურაცხყოფა დამწერს კარგს არაფერს უქადის. ეს დაახლოებით იგივეა, „წმინდა ინკვიზიცია“ სატანის მსახურებაში დაადანაშაულო, რასაც უმალ მოჰყვება ტოლედოს, მადრიდის ან ვენეციის მთავარ მოედანზე კოცონის აგიზგიზება! საინტერესოა, როგორ იქცევა ბაქრაძის მიმართ საბჭოთა „ინკვიზიცია“? ვაი, სირცხვილო! კომუნისტებმა, თავისი არაადამიანურობით იმედი გამიცრუეს — **ბატონ გივის ჯერ 8 წელიწადი მიუსაჯეს, მაგრამ ეს არ იკმარეს და საპატიმრო ვადა სამი წლით შეუმცირეს. არასრული ხუთი წლის შემდეგ, იგი 1963 წლის 15 იანვარს ოჯახს დაუბრუნდა.** უნებლიეთ მახსენდება ერთი ამბავი. **ვანო მერაბიშვილის დედას მეზობელმა ქათამი მოპარა. ქურდობა დანაშაულია, მაგრამ მისი სიმძიმე ხომ გასათვალისწინებელია? და, რა? როგორ მოიქცა „დემოკრატიის შუქურის“ სასამართლო? ქურდს 11 (თერთმეტი) წლით პატიმრობა მიუსაჯეს!!! ჩემი ცნობით, ვანოს დედის მეზობელი დღემდე ციხეშია!..**

უკვე მეორე წრეს ვარტყამ დიდ დარბაზს და ვუბრუნდები 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში დაღუპული იუნკერების სტენდს. მახსენდება სააკაშვილის სიტყვები იუნკერებზე: **„დღევანდელი თაობები სწავლობენ ამ გმირულად დაღუპული იუნკერების მაგალითზე — როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ებრძოლო მის მტრებსო“.** ენა უძვლოა. ერთია, მგზნებარედ მოუწოდო, და სულ სხვაა, მისცე „დღევანდელ თაობებს“ პირადი გმირული მაგალითი. შიშით პარალიზებულმა „მთავარსარდალმა“ სააკაშვილმა გორის ქუჩა ცხვირით მოხნა... ყველაფერი ხდება!

**რაც უფრო მეტ დროს ვარ აქ, სულ უფრო და უფრო მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს მუზეუმი კი არა, მოძრავი გამოფენაა ძალზე სუსტი თემატიკით და ექსპოზიციით. სულ ცოტა, აქ არაფერია ისეთი, რაც არ მსმენია.**

თუმცა რა მაკვირვებს. ჩვენთან პროფესიონალიზმს „ნაციონალებმა“ დაუნდობელი ომი გამოუცხადეს უკლებლივ ყველა სფეროში. აქაც, სამუზეუმო საქმეში, რაში სჭირდება სოროსის მოჯამაგირეებს პროფესიონალი ისტორიკოსის მომსახურება? მათთვის ისტორიაში ხომ „ყველაფერი გასაგებია“. რა უნდა მოსთხოვო იმათ, ვინც საქართველოს ყოფს „ნაციონალებად“ და „ჩარეცხილებად“, ვინც მარტო შავ-თეთრ ფერებში აღიქვამს წარსულს, ვინც დღეს ხალხებს ყოფს „ოკუპანტად“ და „ოკუპირებულად“ და ამგვარი პროვოკაციებით შუღლს, მტრობას თესავს ორ მართლმადიდებელ ერს შორის! ▶

# ეს მუზეუმი სიყალბეა, რადგან პათოლოგიური მატყუარას — სააკაშვილის პირმშოა! გმირების სახელს თავისი კაცთმოძულე მიზნებისთვის იყენებს. რა საერთო აქვს მას, რა აკავშირებს ამ თახსირს წმინდა პატრიარქ ამბროსისთან, დევგმირებთან — კოტე აფხაზთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ან გიორგი მაზნიაშვილთან? ესენი ხომ სააკაშვილის ანტიპოდებია!

ვაი ქვეყნისაგან
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეჭვიც არ მეპარება, **2006 წელს მარიონეტი სააკაშვილი, რა თქმა უნდა, თავისი დასავლელი პატრონების ბრძანებით, ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან პროვოკაციას. და ეს ზნეობრივად, პოლიტიკურად მავნე, ფსევდოისტორიული მუზეუმი იყო, აშშ-ის სახდეპარტამენტში დაგეგმილი დიდი პროვოკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი!** არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამერიკის ხელისუფლებებს სჩვეოდა და სჩვევია საკუთარი ქვეყნის, ხშირ შემთხვევაში, კერძო ინტერესები სხვების სისხლით დაიცვან.

**მართლაც, რა საჭიროა „ოკუპაციის მუზეუმები“? რა დანიშნულება აქვს მათ? მაგალითად, ინგლისელები რატომ არ უძღვნიან მუზეუმს ნორმანელ დამპყრობლებს? ან ფრანგები — ინგლისელ ან გერმანელ ოკუპანტებს? თავის მხრივ, გერმანელები მუზეუმების გახსნით რატომ არ „სცემენ პატივს“ შვედ, დანიელ და სხვა დამპყრობლებს? ან სპარსეთმა რა დააშავა? რატომ არ ხსნიან იქ „ქართველ აგრესორთა მუზეუმს“, როდესაც ჩვენი ჯარი, „ნაქურთალი მონოფიზიტის“ — ივანე მხარგრძელის სარდლობით, 1209 წელს შეიჭრა ირანში და ბევრი ქალაქი დაარბია, მათ შორის, დედაქალაქი თავრიზი? ან რატომ არ უძღვნიან თურქები მუზეუმს „გურჯისტანის სისხლიანი მეფეს“ — დავით აღმაშენებელს, რომელმაც, ფაქტობრივად, გადამწყვეტი როლი შეასრულა სელჩუკთა იმპერიის დამხობაში? მან ხომ უამრავი თურქი, ძირითადად, მეომარი გაწყვიტა! ან სააკაშვილს რატომ არ მოუვიდა იდეა ტვინგამოცლილ თავის ქალაში, როცა ბათუმს „ალამაზებდა“, შეექმნა „თურქების მიერ აჭარის სამასწლიანი ოკუპაციის მუზეუმი“? რამ შეუშალა ხელი? მისი ხნის თურქმა მამინაცვალმა?**

სერიოზული სახელმწიფოები ამგვარ მუზეუმებს არ ქმნიან, რადგან ეს მეზობლების გაღიზიანებას, მტრობას გამოიწვევს! გინდა-არ გინდა, მეზობელს პატივი უნდა სცე და, თუ იყო მისი მხრიდან ძალადობა, აპატიე, მაგრამ მისი ჩადენილი არ დაივიწყო. **ამგვარი „დაწესებულებების“ შექმნა მხოლოდ არშემდგარი სახელმწიფოების ხვედრია, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზზე არავითარი წონა, ავტორიტეტი არ გააჩნია!**

მაგრამ, გაოცება წინ მელოდა, როცა რკინის კიბით დარბაზის მეორე სართულზე ავედი. აქ 20-30 წლების საარქივო დოკუმენტებია გამოფენილი.

ცნობილია, როდესაც ღმერთი სჯის ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, გონებას ართმევს. არ ვიცი, ვისი ინიციატივით გამოიფინა ეს დოკუმენტები, უეჭველად დილეტანტის მიერ. პროვოკაციასაც პროფესიონალიზმი სჭირდება! იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამ გაყვითლებული ქაღალდების შინაარსი „ნაცხელისუფლების“ წინააღმდეგ მუშაობს! ვკითხულობ ქართული სოფლის დევრისის მოსახლეობის საპროტესტო წერილს ამ სოფლის სამხრეთ ოსეთის ოლქში ჩართვის გამო. ხელს აწერენ 80 ოჯახის წარმომადგენლები. წერილი დათარიღებულია 1921 წლის დეკემბრით. „სამხრეთ ოსეთის ოლქში ჩართვა“ აღაშფოთებს, აგრეთვე, კეხვის, დოესისა და ლიახვის ხეობის სხვა სოფლის მოსახლეობას! რა გამოდის? მუზეუმის ინიციატორი — ნაცპარტია ბელადითურთ, ადანაშაულებს და სავსებით სამართლიანად ბოლშევიკურ ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ შექმნას; მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, 2006 წელს, „ფანდარასტად“ წოდებული სააკაშვილი ამ უკანონო წარმონაქმნს უბრუნებს 1991 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გაუქმებულ სტატუსს!.. **თუ ბოლშევიკების მიერ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა სახელმწიფო დანაშაულია, სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ აღორძინება რაღაა?!**

მაგრამ **ეს ყველაფერი ფერმკრთალდება იმ დოკუმენტებთან, რომლებსაც ახლა წარმოგიდგენთ. მათში ერთ-ერთი ხელმომწერი ლავრენტი ბერიაა. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1924 წლის 6 სექტემბრით და დაგზავნილია აჭარის, აფხაზეთის შინსახკომებში და ასე შემდეგ.**

საქართველოს შინსახკომი წინადადებას იძლევა, ჩატარდეს აჯანყებაში მონაწილეთა საყოველთაო ფილტრაცია, კერძოდ: **„პირველი, ორი დღის ვადაში გათავისუფლდნენ გლეხები — აჯანყების რიგითი მონაწილეები, პატიმრობაში დატოვეთ აჯანყებულთა ჯგუფების ხელმძღვანელები და მეთაურები;**

**მეორე, გათავისუფლდეს ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც არ მონაწილეობდა გამოსვლებში და შემჩნეული არაა აგიტაციაში და ისინი, ვისზეც არაა ბრალეულობის მასალები... მეოთხე, ყველა თავადი და აზნაური, რომლებიც არ გახლავან მავნეები და ვის წინააღმდეგ არაა ბრალეულობის მასალები — გათავისუფლდნენ... და მერვე, დახვრეტილთა, ასევე გაქცეულ აქტიურ მონაწილეთა ქონება ექვემდებარება კონფისკაცია, იმათი გამონაკლისით, ვისაც ოჯახები დარჩათ“!**

დაუჯერებელია! „პირსისხლიანი ბოლშევიკები“, როგორც მათ დღევანდელი ლიბერალური „ინტელიგენცია“ უწოდებს, რომელიც ხალხში, ლიბერასტების სახელითაა ცნობილი, თავისი დახვრეტილი მტრების ოჯახებზე ზრუნავდნენ? დაუჯერებელია, მაგრამ, აი, უტყუარი ფაქტი — ბებიაჩემი თავისი ხუთი მცირეწლოვანი შვილით ბოლშევიკებს ქუჩაში არ გაუძევებიათ. ბაბუაჩემის სახლი ბელინსკის ქუჩაზე მის საკუთრებაში დარჩა. გამოდის, ამ დადგენილების წყალობით. ჩემს ეჭვს, საბოლოოდ, აი, ეს, „ფრიად საიდუმლო“ გრიფდადებული ცირკულარი მიფანტავს. მკითხველს მას მთლიანად ვთავაზობ.

**სასწრაფოდ.**
**ფრიად საიდუმლოდ.**
**ცირკულარი**

**„მაზრების აღმასკომის თავმჯდომარეებს, პოლიტბიუროების უფროსებს, პროკურორის თანაშემწეებს მაზრაში.**

**რესპუბლიკის პროკურატურაში და საგანგებო კომისიაში შემოდის ცნობები რაიონის ხელისუფლებების მიერ ჩადენილი უკანონო მოქმედებების შესახებ, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელ დროს მომხდარი ამბების გამო დახვრეტილთა და დატუსაღებულთა ქონების კონფისკაციაში. საამისო არსებული წესის მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირთა კონფისკაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დახვრეტილ ან დატუსაღებულ პიროვნებას არ ჰყავს ოჯახი და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ქონება შეადგენს მის (დახვრეტილ ან დაჭერილის) პირად საკუთრებას.**

ხშირი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მრავალრიცხოვან ოჯახის წევრთა შორის, ერთი წევრი ოჯახისა ხელისუფლების მიერ ისჯება. დასჯასთან ერთად კონფისკაციას უშვრებიან მთელი ოჯახის ქონებას, რის გამოც დაუმსახურებლად ისჯება დანარჩენი ოჯახის წევრებიც. ასეთი გარემოება, რასაკვირველია, ქმნის მრავალ გაუგებრობას და უკმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ, რაც ყოვლადდაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. იმ შემთხვევაში, როდესაც მაზრის ხელისუფლების ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულს ჰყავს ოჯახი, და ამავე დროს მაინც საჭიროთ თვლის ქონების კონფისკაციას, აუცილებლად მას (მაზრის ან რაიონის ხელისუფლების ორგანომ) საქ. საგანგებო კომისიიდან ყოველ კონკრეტულ ამგვარ შემთხვევაში საჭიროა სანქცია, რომლის შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული ქონების კონფისკაცია.

პროკურატურას და საგანგებო კომისიას აქვს ცნობები, კონფისკაცია ქმნილი ქონება იყიდება მცხოვრებთა შორის, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, კონფისკაცია ქმნილი ქონება შეიძლება მოხმარდეს პირველ რიგში უღარიბეს გლეხობას სრულიად უსასყიდლოდ და, აგრეთვე, შესაძლებელია, გადაეცეს რომელიმე სახელმწიფო ან საზოგადო ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, წინადადებას გაძლევთ, მიიღოთ ყოველი ზომები თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, თავიდან აიცდინოთ ზემოხსენებული არანორმალური მოვლენები და კანონიერ ფარგლებში ჩასვათ მაზრის ხელისუფლების ორგანოს მოქმედება ხსენებული საკითხის გადაჭრის დროს. აღნიშნული ცირკულარის მიღების შემდეგ ჩადენილი უკანონო კონფისკაცია გამოიწვევს ყველა დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემას.

ცირკულარი იგზავნება ფრიად საიდუმლოთ და ინახება მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, პროკურორის თანაშემწის და პოლიტბიუროს უფროსის პასუხისმგებლობის ქვეშ, სასტიკათ აკრძალულია აღნიშნული ცირკულიარიდან ასლის გადაღება ან ვინმე პირზე გადაცემა.

ცირკულარის მიღებისთანავე საიდუმლოთ გვაცნობეთ მიღება ცირკულიარისა მიღების დროს აღნიშვნით.

**რესპუბლიკის**
**პროკურორი ვარძიელი**
**საქ.საგ. კომისიის**
**თავმჯდომარე**
**კვანტალიანი.**
**დედანთან სწორია:**
**თვარაძე“**





## სიცრუე, სიცრუე და არაფერი სიცრუის გარდა! ამ „დაწესებულებით“ სააკაშვილმა მარტო ის დაამტკიცა, რომ იოზეფ გებელსის მოწაფეა, მართალია, უნიჭო, მაგრამ მაინც — მოწაფე!

თუ ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში შედარებითია, მაშ შევადაროთ ბოლშევიკები და ამჟამინდელი „ნაციონალები“. რას ვხედავთ? ერთის მხრივ, ბოლშევიკები თავიანთი მტრების ოჯახებს ინდობდნენ, ხოლო „ნაციონალები“, როცა „ფული მოშივდებოდათ“, მომხრეებსაც ოჯახიანად აწიოკებდნენ. ამის მაგალითი უამრავია! და კიდევ, ერთი საინტერესო დეტალი: **თუ არქივიდან ამოღებული საიდუმლო საბუთებიც ბოლშევიკების ხელისუფლებას წარმოგვიდგენენ საკმაოდ ლმობიერ ხელისუფლებად, საინტერესოა, როგორ გამოჩნდება ნაცპარტია და მისი ბელადი, როცა მზის შუქს იხილავს მათი „საქმენი საგმირონი“?!**

„საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“ — ვფიქრობ, სააკაშვილს არ ესმის, რას ნიშნავს სიტყვა ოკუპაცია. იმას, რასაც იგი ქმნიდა, ეს სიტყვა არ შეესაბამება. „ოკუპაცია“ ნიშნავს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვისი ტერიტორიის დროებით დაკავებას. 70 წელი ძალზე დიდი დროა ოკუპაციისთვის. მისტერ სააკაშვილს თავისი „პირმშოსთვის“ ასე უნდა დაერქმია: „ძალადობრივი ინკორპორაციის, ანექსიის მუზეუმი“. მოგახსენებთ, **ისტორიაში არ გამიგია სხვა მაგალითი, როცა ოკუპირებულ სახელმწიფოში იქმნება ფუნდამენტური სამეცნიერო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, კვლევითი ინსტიტუტები; ადრე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ხდება განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულად. აყვავებულია ხელოვნება: მუსიკა, კინო, თეატრი! „საბჭოთა ოკუპაციის“ ხანაში ნახევარმილიონ თბილისში შენდება მეტრო, რომელიც ბევრ დედაქალაქს დღემდე მხოლოდ ესიზმრება, აგრეთვე, სანაპირო!**

„ოკუპაციის“ დროინდელი მიღწევების სია შეგვიძლია გავაგრძელო, მაგრამ, ესეც საკმარისია. აბა, რით შეუძლია იტრაბახოს „ნაცმოძრაობამ“? განათლების მოშლით, სამეცნიერო სკოლების მოსპობით, კვლევითი ინსტიტუტების დახურვით, ინდუსტრიის განადგურებით, უმუშევრობით, უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტით, ზნეობის დაცემით, უცხოელ „ბიზნესმენთა“ თარეშით, საქართველოს მოსახლეობის ჩაგვრით, 2008 წლის სისხლიანი ავანტიურით, ბათუმის ბორდელად და ტრეფიკინგის ცენტრად გადაქცევით, მათხოვრობით, ძვირადღირებული მშენებლობით, თანაც უხარისხოდ და ისიც თითზე ჩამოსათვლელი; უაზრო ქანდაკებებით, აგრეთვე, გზებით, რომელთაც ექსპლუატაციაში გაშვებიდან მალევე კაპიტალური რემონტი ესაჭიროება! ამ სიის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ კმარა.

დიდი დარბაზიდან ვბრუნდები მცირე დარბაზში. ისევ შევხედე კედელს, რომელზეც უჩვენებენ კრემლს, პუტინს, მედვედევს, ვერტმფრენებს, გორის დაბომბვას, სისხლს... საზარელი კადრები მთავრდება ჯონ მაკკეინის არანაკლებ საზარელი (თავისი ფარისევლობით) სიტყვებით: დღეს ჩვენ, ყველანი ქართველები ვართო. ვისზეა ეს გათვლილი? ვის აუჩუყებს გულს? უპირველეს ყოვლისა, გამოუსწორებელ ქართველ პროვინციალებს!

რატომ არ ჩათვლის მაკკეინი თავს ქართველად, როცა ქართველობა პირადად მისთვის დიდად სარფიანია. ჯონი ხომ ამერიკელია, ამერიკელი კი მარადიულ, უცვლელ, ადამიანის გონებისთვის აუხსნელ ფენომენს — დროს, პრიმიტიულად ზომავს „მწვანე „ქაღალდით“ — დოლარით!.. სხვათა შორის, **დღემდე ვერ გავვირკვევია, სად წავიდა ის ერთი მილიარდი დოლარი, რომელიც ამერიკელმა გადასახადის გადამხდელმა უბოძა ქართული ჯარის მოდერნიზაციას? იმ ჯარს, რომელსაც სააკაშვილის ავანტიურის დროს რაციებიც არ აღმოაჩნდა?** რა გასაკვირია, რომ 2008 წლის აგვისტოში ქართველად საკუთარი თავი ჩათვალეს: ჩეინიმაც, ბუშმაც და ეშმაკი უწყის, კიდევ რომელმა ვაშინგტონელმა მოხელემ.

იქვე, ქვემოთ, მინის ქვეშ „დასვენებულია“ შავი ჩოხა სატევრით, ხმლითა და ორდენით. წარწერით ვიგებ, სატევარი და „თეთრი გიორგის“ ორდენი საქართველოს ეროვნულ გმირს, პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეკუთვნოდა. რა მეზობლობაა — ქაქუცა და ჯონი! ქვეყნის პატრიოტი და ოკეანისგაღმელი პოლიტიკური თაღლითი! რა ცინიზმია!

**ეს მუზეუმი სიყალბეა, რადგან პათოლოგიური მატყუარის — სააკაშვილის პირმშოა! გმირების სახელს თავისი კაცთმოძულე მიზნებისთვის იყენებს. რა საერთო აქვს მას, რა აკავშირებს ამ თახსირს წმინდა პატრიარქ ამბროსისთან, დევგმირებთან — კოტე აფხაზთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ან გიორგი მაზნიაშვილთან? ესენი ხომ სააკაშვილის ანტიპოდებია!** ქაქუცას რომ დაენახა, როგორ ზილავდა გორის ქუჩის ტალახს „მთავარსარდალი“ სააკაშვილი, აი, ამ სატევრით მას უთუოდ თავს წააცლიდა!

„ოკუპაციის მუზეუმიო“ — ამბობს დეგრადირებული სააკაშვილი. ვინაა „ოკუპანტი“? ომისა და შრომის ვეტერანები: დავით იაკობაშვილი, მოსე მდინარაძე, ეთერ სოლომონია, ზურაბ სალარიძე და უამრავი სხვა, რომლებმაც თავის სისხლითა და ოფლით იმ „ოკუპაციის დროს“ საქართველო ერთ-ერთ უმდიდრეს რესპუბლიკად რომ აქციეს?! და რომელთა ნაამაგარზე სააკაშვილი და მისი ხროვა დღემდე პარაზიტირებს?!

**სიცრუე, სიცრუე და არაფერი სიცრუის გარდა! ამ „დაწესებულებით“ სააკაშვილმა მარტო ის დაამტკიცა, რომ იოზეფ გებელსის მოწაფეა, მართალია, უნიჭო, მაგრამ მაინც — მოწაფე!**

ჩვენ გვაქვს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა პერიოდი. რა არის „საბჭოთა ოკუპაცია“, სულიერად და ფიზიკურად გახრწნილი სააკაშვილის გაგებით, ეს მე არ მაინტერესებს. მაგრამ, ჩემი აზრით, **აუცილებელია, შეიქმნას ექსპოზიცია „საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდი“. ამ საქმისთვის უნდა მოიწვიონ სერიოზული ისტორიკოსები და არა სიმონა მასხარაშვილის მსგავსი ვულგარიზატორები; უნდა გამოქვეყნდეს დოკუმენტები, რომლებიც აუწყებენ დამთვალიერებელს, მაგ დროს რა გაკეთდა კარგი და რა — ცუდი. დაე, თვითონ მან, შედარების შემდეგ, გააკეთოს სწორი დასკვნა. იდეალური დრო კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს. დედამიწა სამოთხე არაა!**

**გიორგი კორძაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპას საქართველოს ხელისუფლებაში სწორედ სააკაშვილისნაირი ლიდერი აძლევს ხელს, ზნეობის, ჰუმანურობის ნორმებს მოკლებული უტყვი შემსრულებელი, გარყვნილი წარმოსახვითა და საკუთარი ხალხისადმი სიძულვილით შეპყრობილი ცახესი.**

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე „ნაცმოძრაობამ“ ქართული ოცნება ბეჭებზე დადო. ჯერ იყო და სააკაშვილმა თითქმის ნახევარსაათიანი მოხსენებით სცადა, ივანიშვილისგან ერთგვარი კავკასიური თურქმენბაში დაეხატა, მერე კი ავადსახსენებელ რეზოლუციაში „ოცნების“ ლიდერის მიმართ ისეთი მინიშნებები ჩაიდო, როგორითაც სიტყვის თავისუფლებისჭამია აფრიკელ დესპოტებს ამკობენ ხოლმე.**
**რაც უნდა იძახონ მეოცნებე რესპუბლიკელებმა, — ეს ყველაფერი ნაცების მტრული პროპაგანდის ბრალია და ევროპას მიხეილის არ სჯერაო, ფაქტია, რომ „ოცნებას“ არც ევროდიპლომატია უვარგა და გაუგებარია, საგარეო საქმეთა მინისტრიც რისთვის ჰყავს.**

# ევრობრანწი და იოანე რიტორი

## DAS IST FANTASTISCH!

ამ ევროპელებმა სულ დაკარგეს ნამუსი. სანამ ცხრა წლის მანძილზე სააკაშვილს საკუთარი ხალხი ჩოქბჯენში ედგა და ცოცხსა თუ რეზინის ხელკეტს ფალოიმიტატორივით ხმარობდა, ევროპელებს საყველპურო შეშფოთებაც არ წამოსცდენიათ; სანამ სააკაშვილი ცხრა წლის მანძილზე ხან ერთ ტელევიზიას „შეაწერდა“ კანონიერ მესაკუთრეს, ხანაც პირდაპირ ეთერში უვარდებოდა სპეცრაზმით დამოუკიდებელ ტელეარხებს, ევროპელებს პროტესტი არ გამოუხატავთ...

**ბებერი ბემურაზი ევროპა, როგორც ჩანს, მართლა გაირყვნა და საყოველთაო ვუაიერიზმი შეეყარა. ვუაიერიზმია, აბა, რა ჯანდაბაა, როდესაც ცხრა წლის განმავლობაში ხელისუფლების საკუთარ ხალხთან პორნოგრაფიულ აქტივობას ხელებისა და თვალების ფშვნეტით უყურებ და, არათუ პროტესტი არ გიჩნდება, შიგადაშიგ აღტაცებული შეკნავლებებიც აღმოგხდება — ო, რა დემოკრატიულია, ყოჩაღ, მიშა, უფრო სწრაფად, უფრო ღრმად — ფანტასტიკური დემოკრატიის მწვერვალებისკენ!**

როგორც იტყვიან, das ist fantastisch!

მესმის, რომ ცოტას ვაზვიადებ, მაგრამ კვამლი ცეცხლის გარეშე არ ჩნდება, ანუ **ევროსაბჭოს ასამბლეის რეზოლუცია სულაც არ არის ტრაგედია და სავიშვიშო...**

წერონ და იკითხონ, როგორც ჩვენ ვწერდით და ვკითხულობდით ევროპის იმედით ცხრა წლის მანძილზე **სააკაშვილის პორნოგრაფიულად დემოკრატიული დესპოტიზმის** შესახებ და პასუხად — **ფანტასტიშ ჯორჯიან დემოკრასი** გვესმოდა!

თამროსი არ იყოს, ეს ხომ ის ძველი ევროპა აღარ არის. მას შემდეგ, რაც იანკებმა ევროკავშირში კოოპტაციის წესით შეათრიეს რიგი აღმოსავლეთ ევროპული და პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ევროპის ძლიერებამ სული განუტევა. იგი იძულებულია, საკუთარი მოხმარების ტემპები შეამციროს, რათა ვალებში არ ამოხდეს სული და ამ ფონზე ერთი ნატეხი შაქრის გულისთვის, „ნაცმოძრაობის“ კი არა, კოლა მუნჯის დაკრულზეც იცეკვებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება გერმანიას, საფრანგეთს, მაგრამ ეხება იმ მუქთახორა წევრებს ევროკავშირისა, რომლებიც მორალს გვიკითხავდნენ და „ნაცმოძრაობის“ საკუთარ ხალხთან „პორნოგრაფიულ კოაბიტაციას“ დემოკრატიის ზეგამოვლინებად ასაღებდნენ.

**ხარობენ „ნაცმოძრაობის“ წევრუკები — ბრანწი უჩვენეს ბიძინას ევროსაბჭოს ასამბლეაზეო!.. თბილად ან თბილ ადგილას შეინახონ ბრანწი ევროპელებმა. ის ურჩევნიათ, საკუთარ ქვეყნებში მზარდ უკმაყოფილებას მიაქციონ ყურადღება.**

ბავშვმაც კი იცის დღეს, რომ ევროსტრუქტურების ომახიანი ლიდერები სინამდვილეში კარიკატურული ფიგურები არიან და, ამერიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ, მორჩილად უწევენ ისეთი ფორმალურად ხელქვეითი ლიდერების ნებისმიერი სურვილის შესრულება, როგორიც გერმანიის ან საფრანგეთის ხელმძღვანელები არიან.

**და ვინაიდან მათ (ევროსაბჭოს მესვეურებს) თვით ევროკავშირშიც არავინ უწევს სერიოზულად ანგარიშს, ჩვენც ვერავინ დაგვავალებს, უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ თითოეული მათი კაპრიზი. თუმცა კაპრიზი არ გამოხატავს ევროპის ქცევის არსს — ეს ღია, უტიფარი აბუჩად აგდება და ორმაგი სტანდარტების შეუნიღბავად გამოყენებაა...**

**ევროპა აცხადებს, რომ ის ქართველი ხალხის მეგობარია, მაგრამ დუმს, როდესაც ამ ხალხს უზურპატორი აწიოკებს.**

უფრო მეტიც — უზურპატორის მიერ საკუთარი ხალხის, ანუ ევროპის მეგობარი ქართველების დაწიოკებას დემოკრატიულ პროცესად მიიჩნევს და ერთიმეორეზე მიყოლებით ახდენს რეჟიმის მიერ ტოტალურად გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმაციას.

**ევროპა დუმს რეჟიმის მიერ სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებების, საკუთრების, სიცოცხლის უფლების ხელყოფის უამრავ ფაქტზე და, ამ საგანგაშო ტენდენციების მიუხედავად, ქალბატონი ეშტონი სააკაშვილს ლამის დემოკრატიის გურუს უწოდებს...**

სამაგიეროდ, როდესაც „ევროპის მეგობარი“ ქართველი ხალხი ახერხებს, რომ დესპოტს ფალოიმიტატორივით მომარჯვებული ცოცხი და ხელკეტი გააგდებინოს და ნაწილობრივ ჩამოაშოროს იგი უზურპირებულ ძალაუფლებას, როგორც კი ქართველი ხალხი ახერხებს რომ სიცრუის მანქანად, „ნაცმოძრაობის“ მიერ პროპაგანდის რუპორად ქცეულ ქართულ მედიაში თავისუფლების სიომ დაქროლოს, ევროპა შფოთავს: ნუ აპატიმრებთ დემოკრატიის მშენებლებს, ხელები შორს სიტყვა თავისუფლებისგანო...

**რა გამოდის? — ევროპა სინამდვილეში არა ქართველი ხალხის, არამედ მიხეილ სააკაშვილის მეგობარია** და, სანამ მის მეგობარს არ მოეკითხება, აქ, ჯორჯიაში, ქვასაც უთოვია?!

ცხადია, რომ **ევროპას საქართველოს ხელისუფლებაში სწორედ სააკაშვილისნაირი ლიდერი აძლევს ხელს, ზნეობის, ჰუმანურობის ნორმებს მოკლებული უტყვი შემსრულებელი, გარყვნილი წარმოსახვითა და საკუთარი ხალხისადმი სიძულვილით შეპყრობილი ცახესი.**



**სპეციფიკური სამეტყველო აპარატის მიუხედავად, ხერხემალყოფილ ვანო მერაბიშვილს ორატორობაში საგრძნობი წინსვლა აქვს. ყოფილ პრემიერ-მინისტრს დემოსთენემდე და ქსენოფონტემდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ ჩიორა თაქთაქიშვილსა და ნუგზარ წიკლაურს უკვე დაეწია**

ასეთი დამოკიდებულება მეგობრობა არ არის. ეს მტრობაა.

მტერი კი, ევროპელი იქნება იგი თუ ბანგლადეშელი, საშიშია!

შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო და ხელისუფლებას, ძვირფას „ქართულ ოცნებას“ უნდა ვთხოვოთ — ახლა დაღრეჯვის დრო არ არის, დროა, ის დიპლომატები, ვისაც ევროპელებთან ვითარების გარკვევა ევალებოდათ და ამ საქმეს თავი ვერ გაართვეს, გავწკეპლოთ, ევროპელებს კი თავაზიანად ვთხოვოთ — უაზრო, ქართველი ხალხისთვის მიუღებელ რეზოლუციებზე დროსა და ქაღალდს ნუ დახარჯავენ...

ხოლო თუ მაინცდამაინც ახალაია-ქარდავებზე შესტკივათ გული, კი, ბატონო, აღარ დავიჭერთ, ოღონდ ერთ მარტივ შეკითხვაზე გაგვცენ პასუხი: **რა საერთო აქვს ანუსში ცოცხისა და ხელკეტის გაყრას, ცემით მოკლული მომიტინგეების სახურავზე დაყრას და საკუთარი მოსახლეობისთვის ღირსების, პატივის აყრას ევროპასთან და დემოკრატიასთან?**

თუ არაფერი აქვს საერთო, მაშინ რას გვერჩით ან რას ელოდებით? მაქა გაქვთ ჰააგის ტრიბუნალი, აგერ გყავთ სააკაშვილი და გვიჩვენეთ დემოკრატიისა და სამართლიანობის მასტერ-კლასი ან, თუ ვერ გვიჩვენებთ, ჩვენ მაინც გვაცალეთ...

მაგრამ, თუ აქვს რაიმე საერთო დემოკრატიას ამ მარტივ შეკითხვაში ჩამოთვლილ ამბებთან, მაშინ ნურას უკაცრავად, ასეთი დემოკრატიაც და ასეთი რეზოლუციაც ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!

**ევროპა აცხადებს, რომ ის ქართველი ხალხის მეგობარია, მაგრამ დუმს, როდესაც ამ ხალხს უზურპატორი აწიოკებს**

## იოანე რიტორი

**სპეციფიკური სამეტყველო აპარატის მიუხედავად, ხერხემალყოფილ ვანო მერაბიშვილს ორატორობაში საგრძნობი წინსვლა აქვს. ყოფილ პრემიერ-მინისტრს დემოსთენემდე და ქსენოფონტემდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ ჩიორა თაქთაქიშვილსა და ნუგზარ წიკლაურს უკვე დაეწია.**

ძველი და ახალი ვანოიზმების განხილვამ რიტორიკის ტევრში უგზო-უკვლოდ რომ არ დაგვკარგოს, ამჯერად მის უახლეს, მაგრამ არქიმნიშვნელოვან ორატორულ მარგალიტს შევეხები მხოლოდ.

სანამ მარგალიტზე გადავალ მოკლედ გეტყვით, ამნისტიის ფარგლებში საპატიმროდან გათავისუფლდა პატიმარი ვაჰაგან ჩახალიანი. ამ ფაქტს შს ყოფილმა მინისტრმა, ამჟამად კი „ნაცმოძრაობის“ „გენსეკმა“ ვანო მერაბიშვილმა ბრიფინგი მიუძღვნა, რომელზეც ჩანხალიანს **„ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი მტერი“** უწოდა და „ნაცმომეტყველების“ სხვა ქრესტომათიულ ნიმუშებთან ერთად შემდეგი რამ განაცხადა — **„იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მტერი — ჩახალიანი თავისუფლდება, ახალმა ხელისუფლებამ ცეზარ ჩოჩელი დააპატიმრა. მასზე ბევრს არ ვისაუბრებ, ვიტყვი, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პატრიოტია“.**

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „ნაცმოძრაობის“ „გენსეკმა“ ცეზარ ჩოჩელს „ერთ-ერთი ყველაზე დიდი პატრიოტი“ შეგნებულად უწოდა, რადგან „ყველაზე დიდი“ მხოლოდ ერთია და მას მიხეილ ადეკვატური ჰქვია, მეორე ადგილზეა ბაჩანა (ცოტნე) ახალაია, მესამე საპრიზოს კი ცეზარა ჩოჩელი და მეგისა ქარდავა ვერ იყოფენ.

„პირველმა და მთავარმა პატრიოტმაც“ არ დააყოვნა და აგერ მერამდენე დღეა, მამაო ჩვენოსავით იომეორებს ჩახალიანის თემას. უფრო მეტიც, **სააკაშვილმა ჩახალიანს საქართველოს სახელმწიფოს მტერი №1 უწოდა და მისი გათავისუფლება ახალ ხელისუფლებას უმძიმეს ცოდვად ჩაუთვალა.**

**ერთი სიტყვით, ამ ჩახალიანის გამოშვებამ ივანე ექსხერხემალი და მიხეილ ადეკვატური ისე შეაწუხა, რომ სინანულით ჩივიან — „აღნიშნული გადაწყვეტილება არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება... ყველა სხვა საკითხს ეშველება, მაგრამ არის ნაბიჯები, რომელთა გადადგმას გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ“.**

ძნელია, არ დაეთანხმო ამ სახელდახელოდ გაორატორებულ ადამიანს — იოანე რიტორს: ჩახალიანის ციხეში ხელახლა შებრუნებაა უსაშველოდ შეუძლებელი, თორემ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ▶

ავი მესაიფი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სეპარატისტული იდეების ქადაგებით ახვანცალებული ბრიყვულად დილეგში რომ აღმოჩნდები, ის უფრო დიდი მტრობაა ქვეყნისთვის, თუ ვიღაც გადამთიელების გულის მოგების სურვილით აშლიგინებული, ქვეყნის ტერიტორიების ერთ მესამედს რომ დაკარგავ და საქართველოს ისტორიაში პირველად რომ „მოახერხებ" ძირძველ ქართულ მიწებზე არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნას?

რა უნდა, აგერ მობრუნდება ახლა იოანე რიტორი ხელისუფლებაში და ისე მოაქცევს საქმეს, რომ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მხოლოდ ჩელა და მრავალჟამიერი ისმოდეს...

არ არის ზურგსუკან ლაპარაკი კარგი საქმე და ვინაიდან იმ ბრიფინგებზე, სადაც იოანე რიტორმა და მიხეილ ადეკვატურმა ეს თემები ატრიალეს, არ გახლდით, შესაბამისად, არ მქონდა შესაძლებლობა, მათთვის კითხვები პირისპირ დამესვა. საჯარო ფორმას მივმართავ და აქვე დავსვამ ზუსტად ხუთ („ნაცმოძრაობის" საყვარელი ციფრია) შეკითხვას და, თუ ძვირფას იოანე რიტორს სურვილი ექნება, მის პასუხს შემდეგივე ნომერში გაახლებთ.

მაშ ასე,

**შეკითხვა პირველი:**

**— ვინ უფრო არის ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი მტერი — სეპარატისტობაში ხელმოცარული მოქალაქე ჩახალიანი თუ ის მოქალაქე პრეზიდენტი, რომელმაც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების წინაპირობა წარმატებით შექმნა?**

**შეკითხვა მეორე:**

**— სეპარატისტული იდეების ქადაგებით ახვანცალებული ბრიყვულად დილეგში რომ აღმოჩნდები, ის უფრო დიდი მტრობაა ქვეყნისთვის, თუ ვიღაც გადამთიელების გულის მოგების სურვილით აშლაგინებულიქვეყნის ტერიტორიების ერთ მესამედს რომ დაკარგავ და საქართველოს ისტორიაში პირველად რომ „მოახერხებ" ძირძველ ქართულ მიწებზე არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნას?**

**შეკითხვა მესამე:**

**— რა უფრო ადვილია: ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება თუ სეპარატიზმის ჟინს აყოლილი ჩახალიანის კვლავ ციხეში ჩაყუდება?**

**შეკითხვა მეოთხე:**

**— ბიზნესმენების დარეკეტება, დამოუკიდებელი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში სპეცრაზმით შევარდნა, ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა, სხვაგვარად მოაზროვნეთა უმოწყალო დარბევა, ჰალსტუხის ღეჭვა და ასეულობით მილიონის ქარისთვის გატანება უფრო სახიფათოა ქვეყნისთვის, თუ ქარაფშუტა ჩახალიანის სეპარატისტული ბოდვა, რის გამოც ერთხელ უკვე ამოყო დილეგში თავი და, თუ ენას კბილს არ დააჭერს, არც მომავალში მოერიდება ვინმე?**

**შეკითხვა მეხუთე:**

**— რა უფრო სახიფათოა ქვეყნისთვის: ციხეებს რომ საკონცენტრაციო ბანაკებად აქცევ, ციხის ზედამხედველ პერსონალს პატიმრების უკანალებზე ცოცხითა და ხელკეტით მონადირე სადისტებად გაწვრთნი, მინისტრის მითითებით (ზოგიერთი მტკიცებით, — მონაწილეობით) პოლიტიკურ ოპონენტებს რომ გააუპატიურებ, თუ „დიდი არმენიის" შესახებ ნაბოდვარს გაიმეორებ ჯავახეთში და ამის გამო დილეგში ამოყოფ თავს?!**

დიდი იმედი, რომ იოანე რიტორი ამ შეკითხვებს უპასუხებს, არ მაქვს, ამიტომ ბოლოთქმის მაგიერ ექსხერხემალს, გავკადნიერდები და, ერთ უფასო რჩევასაც მივცემ: ძვირფასო ბატონო ივანე, „დიდი არმენიის" ბოდვითი იდეით ტვინგახურებული მოქალაქე ჩახალიანის თვალში ბეწვს რომ ხედავთ, საკუთარი პრეზიდენტის, მოქალაქე სააკაშვილის თვალში დირე მაინც დაინახეთ და, სანამ უბადრუკ ჩახალიანს საქართველოს მთავარ მტერს უწოდებთ, სამჯერ დაფიქრდით, ემანდ ისე არ გამოგივიდეთ, მტერს გარეთ რომ ეძებდნენ და შინ ჰყავდათ, თორემ, ქართველი კაცის ენამოსწრებულობა რომ ვიცი, მოკლედ მოგიჭრიან — ამათ...

## ქიროჯან, შენს დედას რა ჰქვია, სირუმა?

**საპატრიარქოში გამართული ძველით ახალი წლის კოაბიტაციის მორიგი რაუნდის შემდეგ, მიხეილ ადეკვატური რეაქტიულად ჰიპერაქტიური იყო, ბიძინა ივანიშვილთან თანაცხოვრებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — რუსეთის აგენტების ამნისტირების გამო პროტესტის ნიშნად, შსს-დან საკუთარი ნებით (?!) წამოსული კარინა გრიგორიანი ავლაბრის რეზიდენციაში მიიწვია და ღირსეული ნაბიჯისთვის ღირსების ორდენი ჩამოჰკიდა.**

ორდენოსანს მისასალმებელ-სამადლობელი ერთიორი სიტყვა ცერემონიის თავსა და ბოლოში კი ათქმევინა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ თავისქებისა და კარინას „პატრიოტული ნაბიჯის" ფონზე, ამნისტირებული რუსეთის „შპიონების" ლანძღვას თუ „ქართული ოცნების" განქიქებას მოჰყვა. სადაური კოაბიტაციაა ეს?

**როგორც ოსტაპ ბენდერმა ვასიუკი, ისე დააბოლა მიშამ ქუთაისი! თუმცა ოსტაპი, მიშასგან განსხვავებით, კეთილშობილი თაღლითი იყო, მაგრამ ერთი საერთო მაინც აქვთ ორ თაღლითს — ოსტაპის მამა თუ „ტურეცკი პოდდანნი" იყო, არც მიშიკოს დედაა თურქეთისთვის შორებელი!**

ჰოდა, გახსოვთ, ალბათ, ქუთაისის ა.წერეთელის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე „გაილექსა" — მეტი დამაჯერებლობისთვის სტენდიც მოაწყობინა, რომელზეც შლიდა თუ „კრუგავდა" შესაბამის სიტყვებს, ვითომ კურსორის გარეშე არ შეიძლებოდა იმ სისულელეების ლაპარაკი, რაზედაც მოკლედ ერთი რამის თქმა შეიძლება მხოლოდ: გარეკა, მაგრამ რა გარეკა?!

უფრო ვრცლად კი რამდენიმე „მარგალიტს" მოვიყვან: **„რამდენი ხანია, რაც მხოლოდ კარტოფილი** (ლობიო დაავიწყდა. — დ. მ.) **აღარ არის თქვენი ძირითადი საკვები?"** ანდა: **„ბოლოს როდის დაიძინეთ თბილი პალტოთი გაყინულ ბინაში? ჩემამდე გაზი და შუქი რომ არ გქონდათ, ხომ გახსოვთ?"**

და თავმდაბლობის ნასახის გარეშე: **„ეს ყველაფერი დიახაც მე და ჩემმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" გავაკეთეთ"!**

იქვე მოაყოლა: **„არ იქნება პარლამენტი ქუთაისში, არ იქნება დიდი საერთაშორისო აეროპორტიც, რომელიც არამხოლოდ კავკასიაში, არამედ ევროპის უდიდესი აეროპორტი უნდა ყოფილიყო და ამის მაგივრად, როგორც ადრე, მხოლოდ 2 რეისი იქნება ქუთაისიდან მოსკოვსა და კიევში და აღარც 5-ვარსკვლავიანი ცათამბჯენი სასტუმროები აშენდება".** რა თქმა უნდა, არც ლაზიკის ხსენება დავიწყებია. დაბოლოს, რეზიუმე — **ეს ყველაფერი ქუთაისის მკვდრად გამოცხადების ქრონიკააო!..**

რა ვთქვი ახალი, ბატონებო? რა, მსგავსი სისულელეები ადრეც არ მოგვისმენია? **საკვირველი ის არის, რომ ეს აშკარა შიზოიდი კიდევ ახერხებს მის ბაგეთაგან წამოროშილი დემაგოგიური სისულელეების მორჩილად ამტანი აუდიტორიის პოვნას — იმდენ ახალგაზრდებში (!!!) რატომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ადგებოდა და პირდაპირ ეთერში პირში მიახლიდა სააკაშვილს იმას, რასაც ის და მისი სისხლისმსმელი ნაცბანდა იმსახურებენ?**

## ახლა რისიღა გეშინიათ, შვილებო?



**საკვირველი ის არის, რომ ეს აშკარა შიზოიდი კიდევ ახერხებს მის ბაგეთაგან წამოროშილი დემაგოგიური სისულელეების მორჩილად ამტანი აუდიტორიის პოვნას — იმდენ ახალგაზრდებში (!!!) რატომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ადგებოდა და პირდაპირ ეთერში პირში მიახლიდა სააკაშვილს იმას, რასაც ის და მისი სისხლისმსმელი ნაცბანდა იმსახურებენ?**

აი, კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიპოვნია. **ახლა რისიღა გეშინიათ, შვილებო?**

თუ არ გეშინიათ და ოსტაპ ბენდერის კარიკატურის ბჟუტურის გჯერათ, მთლად უარესი...

1 ოქტომბერს, მეცოცხეების კრახის შემდეგ, თითქოს შეჩერდა „ნაცების" მხრიდან პატრიარქსა და საპატრიარქოზე შეტევა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ხლისტები ჭეშმარიტ რჯულზე მოექცნენ, არამედ პრაგმატიზმის გამო — მთელი ქვეყნის მასშტაბით უარყოფილი „ნაცებისთვის" ეკლესიასთანაც ღია დაპირისპირება „ნაცბანდის" ნარჩენების სრულ ლიკვიდაციას ნიშნავდა! აქედან იყო ვადაგასული პრეზიდენტის, მოქალაქე სააკაშვილის ხაზგასმული მოკრძალება მისი უწმინდესობის მიმართ, მაგრამ შუბი ხალთაში, გნებავთ, ცეცხლი თივაში დიდხანს ვერ იმალება და აკი ვერც ხლისტებმა შეძლეს დაუფარავის დაფარვა.. უფრო მეტიც, მათ პატრიარქს ჭკუის დარიგებაც კი შებედეს იმის გამო, რომ თქვა:

**„ღვთის მადლითა და წყალობით ჩემი ვიზიტი იყო წარმატებული და ვფიქრობ, რომ ეს იყო ისტორიული ვიზიტი და კარგი შედეგები მოჰყვება. ჩვენთან არს ღმერთი"...**

ამ შეფასების გამო არატრატდნენ სერგო რატიანი და ზურაბ ჯაფარიძე, „ნაცმოძრაობის" შედარებით ახლი სახეები, რომელთა პათოსსაც მოგვიანებით საგანგებო განცხადებით ძველი „ნაცმოელი", დავით დარჩიაშვილიც, შეუერთდა.

**„ჩვენ ვთვლით, რომ შეუძლებელია, რეაგირების გარეშე დარჩეს პატრიარქის უკანასკნელი ვიზიტი მოსკოვში და მისი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან — ვლადიმერ პუტინთან",** — ჭკუის სწავლებას ვინღა დაეძებს, რადგან ჯაფარიძე-რატიანის ერთობლივი განცხადების ამ პროლოგში, მუქარის ტონიც აშკარაა და რა იგულისხმება, ნეტავ, ამ „შეუძლებელია რეაგირების გარეშე დარჩეს"-ში? პატრიარქის გადაყენების მოთხოვნაზე ხელმოწერების შეგროვებას აპირებენ თუ ამ განცხადებას გვაკმარებენ?

და იქვე: **„ეს ქვეყანა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ასეთ ვითარებაში მტრული სახელმწიფოს პირველ პირთან გადაჭარბებული მოწიწებით საუბარი ვერ იქნება საქართველოს სუვერენიტეტისთვის სიკეთის მომტანი პოლიტიკური გზავნილი"...**

რა უნდა უპასუხო „ფილოსოფოს" რატიანს (რომელმაც კიდევ ერთი „სიბრძნე" დამაწია წერილზე მუშაობისას, რომ თურმე რუსეთის პატრიარქის მიერ საქართველოს პატრიარქისთვის ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილების გადმოცემა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთის ვასალები ვართ) და „პოლიტოლოგ" ჯაფარიძეს ამ „მომაკვდინებელ" არგუმენტზე?

„ნაცებს" ერთადერთი უსაფრთხო „თავშესაფარი" რუსეთის თემის პედალირება ჰგონიათ. უფრო სწორად, ამ თემაში ცდილობენ თავშეფარებას, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მსგავსი მცდელობები, აგვისტოს ომის საზოგადოებისთვის წარა-მარა შეხსენება მათ სასარგებლოდ არ და ვერ მუშაობს, რადგან საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის აგვისტოს ომის ტრაგედია და ამ ომის შედეგები სწორედ „ნაცებთან" და მათ ვაიპრეზიდენტთან ასოცირდება!

**მართლაც, რა ნამუსით იღებენ ხმას აგვისტოს ომზე პატრიარქთან მიმართებაში — ეს ხომ ის ადამიანები არიან, რომლებიც წითელ ხიდზე ერთმანეთს ასწრებდნენ, ეს ხომ ის მთავარსარდალია, რომელიც თბილისში შიშისგან ჰალსტუხს ღეჭავდა და გორში ცხვირით მიწას თხრიდა... და ეს ხომ ის პატრიარქია, რომელსაც ჯერ კიდევ საომარი ქმედების დროს ჩვენი ბიჭების უპატრონოდ დაყრილი ცხედრები გამოჰქონდა ბრძოლის ველიდან!**

და ბოლოს, ამ მათხოვარი ხლისტების განცხადების „კვინტესენცია" — **„რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტით — ეს არის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ცალსახა გადაწყვეტილება, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი, ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი".**

ათასჯერ მითქვამს და ათასმეერთედ გავიმეორებ — ვეჭვობ, რომ ნატოში გაწევრიანება „საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ცალსახა გადაწყვეტილებაა", რადგანაც ის გამოკითხვა თუ პლებისციტი 2008 წლის გაყალბებული არჩევნების პარალელურად ჩატარდა და ამდენად, „გონივრული ეჭვი" არსებობს, რომ პლებისციტის შედეგებიც გააყალბეს „ნაცებმა"!

თუმცა დავუშვათ და მართლაც ნატოს სასარგებლო შედეგი დაფიქსირდა, იმ გამოკითხვის შემდეგ მოხდა აგვისტოს ომი და სრულიად ბუნებრივია ვარაუდი იმისა, რომ დღეს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა სხვანაირად ფიქრობდეს, რადგანაც ქართველებმა კარგად დავინახეთ, რომ ამერიკელების დახმარება სასმელი წყლითა და პამპერსებით დატვირთული კრეისერები ყოფილა მხოლოდ!

**აქედან გამომდინარე კი, საზოგადოების სალად მოაზროვნე ნაწილი, რაც, საბედნიეროდ, უმრავლესობას შეადგენს, მიხვდებოდა, რომ რუსეთთან ნატოს იმედზე ჭიდაობა კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს, რადგან ნათქვამია — სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო, მითუმეტეს მაშინ თუ ამ პეტრეს, ანუ ამერიკას, მოსვლა საერთოდ არ უფიქრია!**

**იმავეს თქმა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაზეც უპრიანია — თუ საერთოდ შესაძლებელია ოდესმე აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნება, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის კეთილი ნებით და არამც და არამც ევროსაბჭოს ფარატინა რეზოლუციებით — კიდევ მილიონჯერაც რომ ჩაწერონ ნაცებისთვის საკრალური სიტყვები, ოკუპანტი და ოკუპაცია, ნიკანდრო ქირიასი არ იყოს, მიიწებეთ უკანალზე ის ქაღალდი და გქონდეთ იქ, ნაცებო!..**

მაშ, რით, საიდან უნდა დავიწყოთ რუსეთთან ახალი ურთიერთობების დალაგება თუ არა ერთმორწმუნეობიდან? კი, ეკონომიკა თუ კულტურული ურთიერთობები მნიშვნელოვანია, მაგრამ მართლმადიდებლობა, ერთმორწმუნეობა დღეს იქნებ უფრო აქტუალურიცაა, ვიდრე ეს მეფე ერეკლეს დროს იყო! აფხაზეთი რომ დავიბრუნოთ, ალბათ, რაიმე სასწაული უნდა მოხდესო, — სადღაც ამოვიკითხე მეუფე სერაფიმეს ეს სიტყვები.

**და რადგანაც სასწაულები თუ ხდება, მხოლოდ ღვთის ნებით და არა მანქურთი ნაცების მეცადინეობით, ხმა ჩაიწყვიტეთ, ხლისტებო, და აცალეთ ჩვენს პატრიარქს, რომ სამშვიდობოს გაიყვანოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო!**

**აცალეთ, თორემ თქვენთვის მოიცლის ქართველი ერი...**

**დავით მხეიძე**

**ძვირფასო ბატონო ივანე, «დიდი არმენიის» ბოდვითი იდეით ტვინგახურებული მოქალაქე ჩახალიანის თვალში ბეწვს რომ ხედავთ, საკუთარი პრეზიდენტის, მოქალაქე სააკაშვილის თვალში დირე მაინც დაინახეთ**

შერეკილები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომისიას აინტერესებს, „რატომ მოაწერა ხელი იურიდიული ლაფსუსებით სავსე, გაუმართავ ხელშეკრულებას ელდარ შენგელაიამ? თუ ჰქონდა წარმოდგენა, რა მოგებას მისცემდა „სინემა კლუბის“ დაარსება და შემდეგ მასთან ხელშეკრულების დადება კინოკავშირს? პასუხი კითხვაზე, მოუტანა თუ არა რაიმე სიკეთე ამ საზოგადოების ფუნქციონირებამ კავშირს, დღესაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია“.**

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ბრეჟნევიზაციის პროცესზე სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, თუმცა ლეონიდ ბრეჟნევი საბჭოთა კავშირს სულ რაღაც 18 წლის განმავლობაში, 1964-1982 წლებში, მართავდა, ხოლო იუბილარი და ერთ დროს დემოკრატიისთვის მებრძოლი ელდარ შენგელაია კინოკავშირს ორჯერ უფრო დიდხანს — 36 წელი ხელმძღვანელობს!

# ელდარ შენგელაიას ოქროს მთები

## კინემატოგრაფისტთა კავშირი მარჯვნიდანაც შეაქანა და მარცხნიდანაც!

1989 წლიდან მოყოლებული, ელდარ შენგელაია უშეცდომოდ ირჩევდა პოლიტიკურ პარტნიორებს და, იმის მიუხედავად, მმართველ ძალაში იყო თუ ოპოზიციაში, მატერიალურად არ გასჭირვებია. ასე იყო კომუნისტების დროს (რომლებიც მან დროულად დაგმო), ეროვნული ხელისუფლებისას (ანალოგიურად), შევარდნაძისას (ასევე დროულად გაემიჯნა) და სააკაშვილის მმართველობისას (სიტყვიერად არ გამიჯვნია, მაგრამ ბოლო წლებში დისტანცირებულია).

**2009 წელს სააკაშვილმა ელდარ შენგელაია 9 აპრილის 20 წლისთავზე წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა, რასაც მისი ძმის, კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, მკაფრი კრიტიკა მოჰყვა; საპროტესტო გამოსვლების ფონზე ეს მართლაც ვერ გამოიყურებოდა ღირსეულ საქციელად, როდესაც არაერთმა ადამიანმა სააკაშვილის ჯილდოებზე უარი განაცხადა.**

შეუძლებელია, შენგელაია ვერ გრძნობდეს, რომ დღეს მით უფრო წამგებიანია სააკაშვილისგან ორდენების მიღება, მაგრამ დავალებულია, ვალს კი გასტუმრება უნდა, თუმცა ამაზე — ქვემოთ.

26 იანვარს ბატონ ელდარს 80 წელი შეუსრულდა და მიხეილ სააკაშვილმაც მომენტი ხელიდან არ გაუშვა — ბრწყინვალების ორდენი გადასცა, მისი ძველი ფილმი „შერეკილებიც“ გაიხსენა და პოლიტიკური განცხადებებიც მოაყოლა: **„რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი გავფრინდებით, აუცილებლად, ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება ყველა იმის ჯინაზე, ვისაც უნდა დაგვაკავოს, დაგვამიწოს, ცხრაკლიტულში მოგვათავსოს. ჩვენი მთავარი ნატვრა ახდება, ყველაზე გაბედული რაღაცები მოხდება და საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა და როგორიც ჩვენ ყველას გვინდა“.**

„ერთაოზის საქართველოს“ ხსენების შემდეგ თბილისში ხუმრობენ, რომ მიშა „გარეკილის“ ფაზიდან „შერეკილის“ ფაზაში გადავიდა, თუმცა იუბილარს მივუბრუნდეთ. მისი იუბილესადმი მიძღვნილი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში შედგა და არა კინოკავშირის შენობაში, სადაც ერთ დროს შესანიშნავი დარბაზები და კომუნისტური ხელგაშლილობით მოპირკეთებული ვესტიბიულები იყო. ერთ დროს, თორემ ახლა შენობა ნაწილ-ნაწილ არის გაქირავებული და მისი პირვანდელი სახე — განადგურებული.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ხელში ჩაუვარდა კინოკავშირისა და სააქციო საზოგადოება „სინემა კლუბის“ საქმიანობის შემსწავლელი კომისიის დასკვნა, რომელშიც შავით თეთრზე იკითხება: „კომისიის წევრები დავდექით ძალიან არასასიამოვნო და კავშირის ყოველი წევრისთვის შეურაცხმყოფელი ფაქტების პირისპირ. დიდი გულისტკივილით გვინდა მოგახსენოთ: კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავშირის ხელმძღვანელობის მოღვაწეობა მიმართული იყო გაურკვეველი ინტერესების საკეთილდღეოდ“.**

„საქართველო და მსოფლიო“ **კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ აკაკი შანშიაშვილს** დაუკავშირდა, რომელიც დაინტერესდა, თუ საიდან გვქონდა ეს დასკვნა. მისი თქმით, დოკუმენტის გასაჯაროებაზე არასდროს უფიქრია და მიზანშეწონილად არ მიაჩნია, თუ ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

— **კინემატოგრაფისტთა კავშირის კომისიის დასკვნა გამგეობისთვისაც არ გვინდოდა ცნობილი გამხდარიყო, მითუმეტეს, მედიასაშუალებებისთვის არ მინდა ის ხელმისაწვდომი გახდეს. დასკვნა კონფიდენციალურია, სჯობს, არსად დაიბეჭდოს და, თუ თქვენ ამას მაინც დაბეჭდავთ, აუცილებლად გავასაჩივრებ!** – განაცხადა შანშიაშვილმა.

აკაკი შანშიაშვილს, როგორც ჩანს, აღარ ახსოვს, რომ მისივე კომისიის დასკვნის შესავალში ნათქვამია: **„ჩვენ, კომისიის არც ერთ წევრს არ გვინდოდა, რომ ეს დასკვნა დარიგებულიყო და გამხდარიყო საჯარო, მაგრამ ბატონ ელდარ შენგელაიასა და გამგეობის წევრთა დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გავხდით, ეს დასკვნა გავხადოთ საჯარო და დავირიგოთ გამგეობის წევრებს. ამ მომენტიდან ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას ყოველ მოსალოდნელ შედეგზე, თუმცა, რა თქმა უნდა, პასუხს ვაგებთ დასკვნაში მოყვანილი ყოველი ფაქტის სისწორეზე“.**

ფაქტები კი დასკვნის მიხედვით ასე გამოიყურება: **„როგორი პატივისცემითაც არ უნდა იყოს გამსჭვალული ბატონი ელდარის, როგორც ხელოვანის, მიმართ, არ შეიძლება მის საქციელში ერთპიროვნული მმართველის თვისებები არ აღმოაჩინო. კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა საკითხი, თუ რატომ არ ახდევინებდა წლების მანძილზე კინოკავშირი იჯარას „სინემა კლუბსა“ და „სინეტექსს“ კავშირის მე-4 სართულზე მათ მიერ დაკავებულ ფართებში.**



უნდა გენახათ ბატონ ელდარის გამძვინვარება. მან მაგიდაზე ხელის დარტყმითა და ყვირილით მიმართა კომისიას: — აქ მე ვარ თავმჯდომარე და ჩემი გადასაწყვეტია, ვის გადავახდევინებ იჯარას და ვის არაო!“

„საქართველო და მსოფლიო“ ასევე დაუკავშირდა **რეჟისორ ქეთი დოლიძეს.**

ჩვენ მას კინოკავშირის კომისიის დასკვნის ზოგადი შინაარსი გავაცანით და ვთხოვეთ, ესაუბრა კინოკავშირისა და ზოგადად ელდარ შენგელაიას საქმიანობის ეფექტურობაზე, რაზეც მან ასეთი პასუხი გაგვცა: **„არანაირი კომენტარის გაკეთება არ მინდა კინემატოგრაფისტთა კავშირზე. კომენტარს არ გავაკეთებ!“.**

საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ კინოკავშირში არსებულ დარღვევებზე საუბარს კინემატოგრაფისტები თავს არიდებენ. ჩვენ ასევე დავუკავშირდით **კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს.** საუბარი ბატონ რეზოსთან ტელეფონით შედგა. მან თავდაპირველად ასეთი კომენტარი გააკეთა:

— მოგეხსენებათ, ორ წელიწადზე მეტია, მოსკოვში ვარ. აქაურ ამბებში ჩახედული არ ვარ. ვერ გეტყვით ვერც ამ დასკვნაში მოყვანილი ფაქტების სამართლიანობაზე რამეს. შენგელაიამ რაიმე კანონი დაარღვია თუ არა, ეგ არ ვიცი. რაც შეეხება თვითონ კავშირის მუშაობას, კარგი იქნებოდა, ალბათ, უფრო მეტი ზრუნვა გამოეჩინათ კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრებს მთელი რიგი მტკივნეული საკითხების მოგვარებაში.

**— უფრო კონკრეტულად, რა მტკივნეული საკითხები აწუხებთ კავშირის წევრებს?**

— მთელი ორი წელიწადი ეპიზოდურად თუ ჩამოვდიოდი. ამის გამო არ შემიძლია კონკრეტულ მაგალითებზე გესაუბროთ. დაახლოებით თვე-ნახევარია, რაც აქეთ ვარ. არც ერთ კრებაზე არ დაუძახიათ. შეიძლება არც იყო, არ ვიცი.

ერთი წუთით, ახლავე მოვალ, — **გვითხრა ბატონმა რეზომ და უნებლიეთ გავხდით საუბრის შემსწრე, რომელიც, ალბათ, არც იცოდა ბატონმა რეზომ, რომ ჩვენც გვესმოდა. ბატონი რეზო ქალბატონს ესაუბრებოდა, რომელსაც უთხრა, რომ ჟურნალისტმა კინემატოგრაფისტთა კავშირის საქმიანობაზე კომენტარის გაკეთება სთხოვა.** — მე ვუთხარი, რომ მოსკოვში ვიყავი და ზუსტად არაფერი ვიციო, — **აღნიშნავდა ბატონი რეზო.** — არ ხარ მართალიო, — **ეუბნებოდა ქალბატონი,** — ივანიშვილის მთავრობა რისთვის მოვიდაო! ხმამაღლა ისაუბრე ყველაფერზე, რაც იცი. ხომ გაქვს დასკვნა წაკითხული, სიმართლე უნდა უთხრაო.

**ამის შემდეგ ბატონმა რეზომ გვკითხა, კაკო შანშიაშვილს თუ ელაპარაკეთ, დასკვნა ნანახი გაქვთო? ჩვენ ვუთხარით, რომ დასკვნა ხელთ გვქონდა და შანშიაშვილსაც უკვე ვესაუბრეთ. ამის შემდეგ მან ასეთი კომენტარი გააკეთა:**

— კინემატოგრაფისტთა კავშირი დავაარსეთ იმისთვის, რომ პრაქტიკულ მუშაობაში როდესაცაა ადამიანი – რეჟისორი, რომელიც სურათს იღებს, ოპერატორი, რომელიც კამერასთან მუშაობს, მსახიობი, რომელიც მუშაობს, რაიმე პრობლემების შემთხვევაში მიემართა კავშირისთვის. ისე, კავშირის მუშაობა რომ ხალხს შემოქმედებით საქმეებში დაეხმაროს, მგონი, თავის ადგილზე არ დგას.

საუბარში მოულოდნელად ის ქალბატონი ჩაერთო, რომელიც ბატონ რეზოს მანამდე ესაუბრებოდა, თავი უბრალო კინომოყვარულად გაგვაცნო, სახელისა და გვარის დასახელება არ ისურვა და ჩვენთან საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირება გამოქვეყნების გარეშე ისურვა. თუმცა გაზეთის რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა, მისი აზრი საზოგადოებისთვის მაინც გაეცნო.

**„თქვენ წაკითხული გაქვთ ეს დასკვნა? ჩვენც გავეცანით ამ 27-გვერდიან დასკვნას. პრინციპში, კავშირი რომ კავშირი აღარ არის და არც დარბაზია და ყველაფერი გაქირავებულია, ეს ფაქტია. ადრე კინომოღვაწე რომ კვდებოდა, იქიდან ასვენებდნენ ხოლმე. შემშურდა თეთრი შურით, გურამ საღარაძე თეატრიდან რომ გაასვენეს. რატომ, იცით? მახსოვს, გასვენებები ადრე ხდებოდა კინემატოგრაფისტთა კავშირის დარბაზიდან, რომელიც აღარ არსებობს და კაზინოდ გადააკეთეს. ის არ იყო არც ელდარის, არც პეტრესი. კომუნისტებმა დაგვიტოვეს. ყველასი იყო. ეს ალბათ, არც ელდარის ბრალია, დროის ბრალია. ფაქტი ჯიუტია, რომ კინოს სახლის მხოლოდ პირველ სართულზე არსებობს 150-კაციანი დარბაზი, რომელიც სოროს უფრო ჰგავს, ვიდრე დარბაზს. თქვენ რომ იქ მიხვიდეთ, ნახავთ, რომ პეტრეა, პავლეა — ყველაა, კინომოღვაწეების გარდა. ეს არის ძალიან ცუდი. სტუდენტები იქ კინოს სწავლობდნენ. ახლა საერთოდ ვეღარაფერს სწავლობენ. მაგრამ მარტო ელდარი, ალბათ, არაა ამაში დამნაშავე. ყველას, თვითოეულ კავშირის წევრს თავის დროზე უნდა ამოეღო ხმა. უხერხული რა არის, იცით? შენს ლოგინში სხვას რომ ნახავ დაწოლილს. ქართველებმა პირში თქმა არ ვიცით. რა გვეშველება, მე არ ვიცი. ყველაფერი განადგურდა...“**

თუმცა ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ კომენტარის მოცემაზე არა მარტო კინემატოგრაფისტები, არამედ ის პირიც აცხადებს კატეგორიულ უარს, რომელიც ელდარ შენგელაიამ ფინანსურადაც დააზარალა და დააჭერინა კიდეც! კომისიის დასკვნაში ამ ეპიზოდს დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

**2011 წლის იანვარში ბატონმა ელდარ შენგელაიამ გადაწყვიტა, დაესრულებინა თავისი მრავალწლიანი ურთიერთობა ზაზა აროშიძესთან, რომელიც წლების განმავლობაში საზკვების ობიექტის, ხან შპს „ეკრანის“ დირექტორი იყო, ხან რესტორან „დაკარგული სამოთხის“, ხანაც ყველა იმ ინდმეწარმის უკან მდგარი პირი, რომლებიც ჯერ რესტორან „დაკარგულ სამოთხეს“, შემდეგ კი რესტორან „შერეკილებს“ ხელმძღვანელობდნენ. ამ ფართის აღება მოინდომა შპს „გურმანმა“, რომელიც რესტორნების ქსელს „შემოიხედე, გენაცვალეს“ მართავს.**

კომისიის დასკვნის თანახმად, 2011 წლის 25 იანვარს ზაზა აროშიძემ კავშირის თავმჯდომარის, ბატონ ე. შენგელაიას, „სინემა კლუბის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ა. შუბაშვილისა და კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, ბატონ ა. შანშიაშვილის სახელზე გააგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: **„სინემა კლუბმა“ ერთხელ უკვე დამაზარალა 45 ათას 385 ლარით, როცა მან მთლიანად გაანიავა შპს „ეკრანის“ ქონება (იხ. აუდიტის 2004 წლის 10 სექტემბრის დასკვნა), დაარღვია 1999 წლის 4 ოქტომბრის ხელშეკრულება ჩემთან, რითაც მომაყენა 50 ათასი აშშ დოლარის ზარალი“.**

1996 წლის აგვისტოში კინოკავშირის სავაჭრო-საწარმოო ფირმა „ეკრანი“, რომლის დირექტორი მაშინაც ზ. აროშიძე იყო, გარდაიქმნა შპს-დ, რომლის პარტნიორები გახდნენ:

ა) საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, რომლის წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს 45 ათას 300 ლარის ღირებულებას, რაც შეესაბამება საწესდებო კაპიტალის 50%-ს;

ბ) ზაზა აროშიძე — 11 ათას 780 ლარით, საწესდებო კაპიტალის 13%-ს;

ბ) მამუკა სულთანიშვილი — 10 ათას 870 ლარით, საწესდებო კაპიტალის 12%-ს;

გ) ციალა ხომეზურაშვილი (ბატონ ელდარ შენგელაიას აწ გარდაცვლილი სი- ▶

## ელდარ შენგელაია:

**ის დოკუმენტი, რომელიც თქვენ გინდათ გამოაქვეყნოთ, არ შეიძლება გამოქვეყნდეს. დამიჯერეთ, ეს კავშირის შინაგანი საქმეა, რომელიც დიდი ხანია დამთავრდა. აგერ არის ამ კომისიის თავმჯდომარეც და ვფიქრობთ, რომ ამის დაბეჭდვა არ შეიძლება. თუ თქვენ ამას დაბეჭდავთ, იძულებული ვიქნებით, სასამართლოში გიჩივლოთ. ამიტომ მე ძალიან გთხოვთ, ყველაფერს თავი დაანებოთ და დოკუმენტი არ დაბეჭდოთ.**

შერეკილები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დედრი) — 11 ათას 780 ლარით, საწესდებო კაპიტალის 13%-ს;

დ) დავით ზურაბიშვილი (ზაალ ყენიას ნათლული), რომლის წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 10 ათას 870 ლარს, ანუ 12%-ს.

საინტერესოა, რომ შენგელაიას სიდედრის — ციალა ხომეზურაშვილისა და დავით ზურაბიშვილის ფულადი შენატანები — სულ 22 ათას 650 ლარი, აროშიძის მიერ იქნა გადახდილი. 1999 წლის 12 თებერვლის აქტით, რომელსაც ხელს აწერენ ე. შენგელაია და შპს „ეკრანის“ დირექტორი ზ. აროშიძე, დასტურდება, რომ კინოკავშირი შპს „ეკრანს“ საწესდებო კაპიტალის 50%-ის შესავსებად გადასცემს 799 კვ.მ ფართობს.

1998 წელს ურთიერთობა კინემატოგრაფისტთა შორის უკიდურესად დაიძაბა. კავშირის ხელმძღვანელობის ინიციატივით, იმის შიშით, რომ არ გამოაშკარავებულიყო სიდედრ-ნათლულის სახე, შპს „ეკრანის“ პარტნიორთა კრების (1998 წლის 20 იანვარი) გადაწყვეტილებით, ც. ხომეზურაშვილი (სიდედრი) და დ. ზურაბიშვილი (ნათლული) გამოყვანილ იქნენ შპს „ეკრანის“ პარტნიორთა შემადგენლობიდან და მათი წილები გადანაწილდა დანარჩენ ორ პირზე, ანუ ამიერიდან შპს „ეკრანის“ საწესდებო კაპიტალი 90 ათას 600 ლარი შემდეგნაირად გადანაწილდა პარტნიორთა შორის:

**1. კინოკავშირი — 45 ათას 300 ლარი, ანუ 50%;**

**2. ზაზა აროშიძე — 22 ათას 650 ლარი, ანუ 25%;**

**3. მამუკა სულთანიშვილი — 22 ათას 650 ლარი, ანუ 25%.**

კავშირს და ფიზიკურ პირებს — აროშიძესა და სულთანიშვილს, თანაბარი პროცენტული წილი 50-50% გაუხდათ, მაგრამ თანდათანობით გ. ლევაშოვ-თუმანიშვილის იერიში სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. კავშირის ხელმძღვანელობამ, თავისივე მომხრეებისთვის სრულიად მოულოდნელად, ფარ-ხმალი დაყარა: 1998 წლის მარტში შეიქმნა „სინემა კლუბი“. კავშირის თავმჯდომარემ 1999 წლის მარტში ჯერ ერთწლიანი, ხოლო 2000 წლის 14 აპრილს 49-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა „სინემა კლუბთან“, რომლის თანახმად, „სინემა კლუბს“ 49 წლით გადაეცა 3 ათას 243 კვ.მ, მათ შორის ის 799 კვ.მ, რომელიც შპს „ეკრანისთვის“ იყო გადაცემული ჯერ კიდევ 1998 წელს, უშუალოდ ე. შენგელაიას ხელმოწერით. ყველასგან დაუკითხავად, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ბატონმა ელდარმა ეს ფართობი გადასცა „სინემა კლუბს“, რაც კანონის უხეში დარღვევა იყო.

კავშირის ხელმძღვანელობის ქმედება რომ უკანონო იყო, ძალიან მალე, 2001 წლის 2 აპრილს დაადასტურა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ე. შენგელაიამ

იგივე ფართობი იჯარით ამჯერად 49 წლით გადასცა „სინემა კლუბს“.

**ამონარიდი კომისიის დასკვნიდან: „მიხვდა რა ბატონი ელდარი, რომ სამართლებრივი გზით ვერ დაამარცხებდა მოწინააღმდეგეს (ნებისმიერი სამართალი, მის ბრალეულობაზე გაამახვილებდა ყურადღებას), ბატონმა ელდარმა საქმეში ჩართო ძალისმიერი სტრუქტურები, კერძოდ ე. წ. სოდი, რომელმაც დააკავა ზ. აროშიძე, მ. სულთანიშვილი და აიძულა ისინი, უარი ეთქვათ კუთვნილ წილებზე შპს „ეკრანში“.**

ამრიგად, შპს „ეკრანის“ ქონება, რომელიც ბატონ ელდარ შენგელაიას პირადი გადაწყვეტილებით „თურმე“ ეკუთვნოდა „სინემა კლუბს“, სოდის ძალისხმევით დაუბრუნდა კავშირს. შპს „ეკრანი“ კვლავ შენარჩუნდა, რომლის დირექტორადაც ბატონმა ე. შენგელაიამ დანიშნა... ბატონი ე. შენგელაია!

ამის შემდეგ **ბატონმა ელდარმა იგივე ფართობი ყველასთან შეუთანხმებლად გადასცა შპს „გურმანს“ ხუთი წლის ვადით, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა კავშირის ყრილობასთან და გამგეობასთან შეთანხმების გარეშე.** შემდეგ მოვლენათა კიდევ უფრო საინტერესო განვითარება გველის. კომისიის დასკვნაში მითითებულია: **„ზაფხულის პერიოდში ბევრი მსურველი გამოჩნდა, რათა რესტორანი აეღოთ იჯარით. რესტორნით დაინტერესდა პოლონეთის საელჩო და მზად იყო, თვეში 3000 დოლარი მოეცა იჯარაში. ამის შემდეგ გამოჩნდა მსურველი, რომელიც თანახმა იყო თვეში 4000 დოლარი გადაეხადა. ყოველივე ამის საქმის კურსში იყო ელდარ შენგელაია, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მან უარი განაცხადა ყველა ამ წინადადებაზე და ყველასათვის მოულოდნელად 2000 დოლარად გადასცა ხუთი წლის ვადით შპს „გურმანს“.**

**ამრიგად, ბატონმა ელდარმა უარი თქვა წლიურ 48 ათას დოლარზე და ამ თანხას ამჯობინა წლიური 24 ათასი დოლარი! ამასთანავე, კინემატოგრაფისტთა კავშირის დასაფარი გახდა ის დავალიანებები, რომლებიც შპს „ეკრანს“ დაუგროვდა საგადასახადო სამსახურების მიმართ!**

არანაკლებ საინტერესოა ელდარ შენგელაიას ურთიერთობა „სინემა კლუბთან“, რომელსაც კომისია პირდაპირ უწოდებს „მოუშორებელ ჭირს“.

კინოკავშირის თავმჯდომარე ე. შენგელაია „სინემა კლუბთან“ ხელშეკრულების დადების დღიდან იყო კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი „სინემა კლუბში“. კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ მან ეს უფლებამოსილება თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე კავშირისთვის საზიანოდ გამოიყენა, რადგან, სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში გამოიჩინა არაკომპეტენტურობა და უპასუხისმგებლობა.

**ერთაოზიც კი გაოცდებოდა, რომ დაენახა, თუ როგორ დაიდო 1999 წლის 2 მარტს საიჯარო ხელშეკრულება „სინემა კლუბთან“ — ორგანიზაციასთან, რომელიც იმ მომენტისთვის არ არსებობდა!** 2000 წლის 14 აპრილს დაიდო ხელშეკრულება კინოს სახლის (მე-4 სართულის გარდა) 49 წლის ვადით „სინემა კლუბისთვის“ გადაცემის თაობაზე. კომისიას აინტერესებს, **„რატომ მოაწერა ხელი იურიდიული ლაფსუსებით სავსე, გაუმართავ ხელშეკრულებას ელდარ შენგელაიამ? თუ ჰქონდა წარმოდგენა, რა მოგებას მისცემდა „სინემა კლუბის“ დაარსება და შემდეგ მასთან ხელშეკრულების დადება კინოკავშირს? პასუხი კითხვაზე, მოუტანა თუ არა რაიმე სიკეთე ამ საზოგადოების ფუნქციონირებამ კავშირს, დღესაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია“.**

# «სინემა კლუბი» კინოკავშირისგან სიმბოლურ ფასად ნაქირავებ ფართს თავად აქირავებდა და სწორედ ეს წარმოადგენდა მისი შემოსავლის წყაროს

კომისიამ აღადგინა 1998-1999 წლების კინემატოგრაფისტთა კავშირის დაპირისპირების პერიოდის მოვლენები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. შენგელაიას მხრიდან გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილთან მორიგება, რასაც მოჰყვა „სინემა კლუბის“ დაარსება, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შიშით (რაზეც ხელს აწერდა კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი), რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა კავშირის თავმჯდომარის გადარჩევის საკითხის დაყენება.

**2000 წლის 14 აპრილის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია კავშირისთვის ყოველთვიური იჯარის სახით „სინემა კლუბის“ მხრიდან 4000 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარის გადახდის პუნქტი. 2000 წლის 22 ნოემბერს ე. შენგელაია რატომღაც ხელს აწერს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, რაც ითვალისწინებს 2001 წლიდან 2005 წლამდე ამ თანხის — 4000 დოლარის 1500 დოლარამდე შემცირებას.**

კომისია თვლის, რომ კავშირის თავმჯდომარეს არ ჰქონდა ამგვარ ცვლილებაზე ხელის მოწერის უფლება, რადგან არავითარი მოტივაცია საიჯარო თანხის თითქმის 2,5-ჯერ შემცირებისთვის არ არსებობდა და, რაც მთავარია, ეს საკითხი შესათანხმებლად და დასამტკიცებლად არ იყო გატანილი კავშირის გამგეობის სხდომაზე. ასე და ამგვარად, თუ 2000 წლის აპრილში ელდარ შენგელაიამ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ფართი 1 კვ.მ 1,23 დოლარად გააქირავა, უკვე ნოემბერში მისი ფასი 0,46 დოლარამდე ჩამოიყვანა!

თუმცა ესეც არაფერია იმ დიდ აფერასთან შედარებით, რომელიც „სინემა კლუბის“ ინვესტიციებთან არის დაკავშირებული: 2000 წლის 6 მაისს დაიდო საინვესტიციო ხელშეკრულება, ერთის მხრივ, სააქციო საზოგადოება „სინემა კლუბის“ ინვესტორების (გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი, მაიკლ კოფმანი, ალექსანდრე მაისურაძე და კონსტანტინე თევდორაძე), და მეორე მხრივ, ს/ს „სინემა კლუბს“ (მისი დირექტორის — მურმან თაბუკაშვილის სახით) და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის (მისი თავმჯდომარის — ელდარ შენგელაიას სახით) შორის. ამ ხელშეკრულებაში საუბარია ინვესტიციების ჩადების გარანტიებსა და პასუხისმგებლობაზე.

**ელდარ შენგელაიას ხელმოწერიდან გამომდინარე, ინვესტორების წინაშე ერთადერთ პასუხისმგებელ და ვალდებულების ამღებ მხარედ დარჩა მხოლოდ კინემატოგრაფისტთა კავშირი.** აუდიტის განმარტებით, ფაქტობრივად, მიღება-ჩაბარების აქტით, „სინემა კლუბისთვის“ იჯარით გადაცემულია კინოკავშირის შენობა და ინვენტარი, ინვესტიციები კი „სინემა კლუბს“ აქვს მიღებული.

„სინემა კლუბი“ აუდიტის დასკვნით, ფაქტობრივად, გაკოტრებული საწარმოა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ქონება. ხოლო ინვესტორის ვალი აქვს 1 მილიონ 163 ათას 896 ლარი, კინოკავშირიდან მიღებული სესხი 116 ათას 070 ლარი და ხელფასის დავალიანება 17 ათას 882 ლარი. სულ 1 მილიონ 297 ათას 848 ლარის გადახდის ვალდებულება აქვს. აქედან კინოკავშირის დავალიანება 550 ათას 699 ლარია. ამას გარდა, დასაბრუნებელი აქვს იჯარით აღებული შენობა თავისი ინვენტარით.

ამ „მომგებიან“ ურთიერთობას ისიც დაემატა, რომ 2005 წელს კინოკავშირს მთლიანად დანგრეული სახით დაუბრუნდა დიდი კინოდარბაზი, რომელიც კავშირის მთავარ მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობას წარმოადგენდა. არადა, 2000 წლის 14 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, დარბაზი უნდა დაბრუნებულიყო ისეთ მდგომარეობაში, როგორიც იქნა გადაცემული.

ასე იყო თუ ისე, **„სინემა კლუბი“ კინოკავშირისგან სიმბოლურ ფასად ნაქირავებ ფართს თავად აქირავებდა და სწორედ ეს წარმოადგენდა მისი შემოსავლის წყაროს.** აქედანვე უხდიდა კინოკავშირს იმ სიმბოლურ იჯარასაც, ხოლო ელდარ შენგელაია გამგეობის თითქმის ყოველ სხდომაზე ჩიოდა: „ეს „სინემა კლუბი“ ვერ მოვიშორეთო“. ან კი როგორ მოიშორებდა, როცა კომისიის დასკვნაში შავით თეთრზე წერია:

**„ჩვენ მიერ მოკვლეული და გაანალიზებული მასალიდან აშკარაა, რომ კინემატოგრაფისტთა კავშირს, ს/ს „სინემა კლუბს“ და შპს „სინეტექს“ ერთი და იგივე პიროვნება ხელმძღვანელობს. ეს გახლავთ ბატონი ელდარ შენგელაია, რომელიც გადაწყვეტილებებს საკუთარი ნება-სურვილით იღებს.**

2000 წლის 14 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, კავშირის სარგებლობაში დარჩა მხოლოდ მეოთხე სართული. სწორედ ამ სართულზე აქვთ განთავსებული თავისი ოფისები „სინემა კლუბსა“ და „სინეტექსს“, რომლებიც, საგადასახადო კოდექსისა და ყველა იურიდიული ნორმების თანახმად, ვალდებულნი არიან, საიჯარო თანხა გადაუხადონ კავშირს, მაგრამ არაფერი ამგვარი არ ხდება. ამას ადასტურებს აუდიტის დასკვნა. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელისთვის, რომელსაც სამივე ორგანიზაციის სადავეები ხელში აქვს აღებული, არავითარ აზრს არ წარმოადგენს მათ შორის საიჯარო ურთიერთობების დამყარება. ამ საიჯარო ურთიერთობის გაუფორმებლობისა და თანხის მიუღებლობით თუ რა ზარალი განიცადა კავშირმა და რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლებოდა, ამის შესახებ კავშირის თითოეულ წევრს თავად შეუძლია იმსჯელოს“.

არანაკლებ საინტერესოა „სინეტექთან“ ელდარ შენგელაიას ურთიერთობა. ყველაფერი 2003 წელს დაიწყო, როცა ტელეკომპანია მე-9 არხის ბაზაზე, მხატვრული ფილმების წარმოების მიზნით, გაიხსნა განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად ბატონი ელდარ შენგელაია დაინიშნა. ამ პროექტისთვის ტელეკომპანიამ შეიძინა გადამღები კინოტექნიკა და კინემატოგრაფისტთა კავშირის შენობის (ძმ. კაკაბაძეების ქ. 2-ში) მე-5 სართულზე იჯარით აიღო 80.07 კვ.მ ფართი, სადაც დააარსა გახმოვანებისა და სამონტაჟო სტუდია.

2004 წელს, როგორც ცნობილია, ტელეკომპანია მე-9 არხმა შეწყვიტა ფუნქციონირება და თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. **2005 წელს ბატონმა ე. შენგელაიამ თურმე თხოვნით მიმართა „ქართუ ჯგუფს“** (რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა კინოტექნიკა), **რათა არსებული გადამღები და პოსტ-პროდუქციის ტექნიკა გრანტის სახით გადაეცა კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირისთვის. თხოვნა „ქართუ ჯგუფმა“ დააკმაყოფილა და 2005 წელს ტექნიკის ნაწილი გადაეცა კინემატოგრაფისტთა კავშირს, ნაწილი კი — პირადად ე. შენგელაიას.**

აღმოჩნდა, რომ **ტექნიკური თვალსაზრისით, თუ რამე ღირებული იყო, ყველაფერი გადაეცა ე. შენგელაიას.** ამასთანავე არსად არ არის გაფორმებული, რომ, უბადრუკი ტექნიკის გარდა, რომელიც საწესდებო კაპიტალში 40% გაფორმდა, კინოკავშირმა შპს „სინეტექს“ რატომღაც სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო კინოსახლის შენობის მე-5 სართულზე 80 კვ.მ, სადაც ხმის ჩამწერი სტუდიაა განთავსებული, ასევე, ამავე შენობის მე-4 სართულზე ერთი ოთახი 17,5 კვ.მ და ნუცუბიძის ქუჩაზე 181-ში მდებარე კავშირის ბალანსზე მყოფი შენობის პირველი სართული 167 კვ.მ ფართობით.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, 2006 წლის აპრილში დაფუძნდა შპს „სინეტექი“, რომლის საწესდებო კაპიტალში ჩაიდო ორივე მხარის — კავშირისა და ბატონ ე. შენგელაიას საკუთრებაში არსებული კინოტექნიკა. **მხარეთა წილები კი ასე განისაზღვრა: 40% ერგო კინემატოგრაფისტთა კავშირს, 60% კი — ე. შენგელაიას.**

**კომისიის დასკვნით, სრულიად თვალსაჩინოდ იკვეთება პირადი ინტერესები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ბატონმა ე. შენგელაიამ კავშირის ბაზაზე საკუთარი საწარმო გახსნა.**

ამის შემდეგ ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისთვის „სინეტექის“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ბანკს კრედიტის გამოყოფის თაობაზე, რომელმაც, თავის მხრივ, აუცილებელ პირობად მოითხოვა უზრუნველყოფა უძრავი ქონების სახით, რაც შპს „სინეტექს“ არ გააჩნდა. კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის 2006 წლის 3 ნოემბრის გამგეობის სხდომის დადგენილებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, დროებით, შპს „სინეტექის“ საწესდებო კაპიტალში ჩადებულიყო სამონტაჟო და ხმის სტუდიის ფართი (ძმები კაკაბაძეების ქ.№2). 2007 წლის იანვარში გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს ბანკსა“ და შპს „სინეტექს“ შორის კრედიტის გამოყოფის თაობაზე 10-წლიანი ვადით.

**ყველაზე სასაცილო აქ ის არის, რომ „სინეტექის“ საწესდებო კაპიტალში ფართის ჩადება მოხდა კავშირის წესდების 6.6 პუნქტის თანახმად, რომელიც წესდებაში საერთოდ არ არსებობდა!** ამგვარად, საჯარო რეესტრის 2007 წლის 26 მარტის ამონაწერის თანახმად, კინოს სახლის შენობის თანამესაკუთრე 80.07 კვ.მ ფართით, კავშირთან ერთად გახდა შპს „სინეტექი“. **ერთი სიტყვით, დოკუმენტის გაყალბების გზით კინოკავშირის ფართი უსასყიდლოდ გადაეცა „სინეტექს“, როცა ამის უფლებამოსილება მხოლოდ კავშირის ყრილობას ჰქონდა!**

27-გვერდიან დასკვნაში მრავალი ეპიზოდია აღწერილი. 2003 წლის გადატრიალებისას პარლამენტის სხდომათა დარბაზში ვარდით ხელში შესული ელდარ შენგელაია ისევ გამარჯვებულის მხარეს აღმოჩნდა. ყველა ის დარღვევა, რომელზეც კომისიის დასკვნაშია საუბარი, კინოკავშირის წევრებისთვის ცნობილია. და მაინც, მის კრიტიკას ერიდებოდნენ და ერიდებიან, „მაინც ელდარია“! მიგვაჩნია, რომ სიმართლე უნდა ითქვას, ვისაც უნდა ეხებოდეს იგი, სამართალმა პური უნდა ჭამოს.

**ლილი მიროტაძე**

**P.S. მასალაზე კომენტარები პარასკევს ჩავწერეთ, ბატონ ელდარსაც დავუკავშირდით, რომელმაც ზრდილობიანად აგვიხსნა, რომ დასკვნის შინაარსი არ იცოდა და ორშაბათამდე დრო ითხოვა გასაცნობად, რომ უფრო კომპეტენტური პასუხი გაეცა. ორშაბათს შუადღიდან რედაქციაში კომისიის თავმჯდომარე ბატონ აკაკი შანშიაშვილის ზარები არ შეწყვეტილა. თავდაპირველად გვთხოვა, მასალა არ დაგვებეჭდა, შემდეგ, როდესაც ავუხსენით, რომ კინოკავშირი მხოლოდ მისი საკუთრება არაა და საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს სიმართლე, უკვე მუქარაზე გადავიდა: „არ დაბეჭდოთ, თორემ პატრულს მოვიყვან და გაზეთს გავაჩერებო“.**

ბატონი აკაკის სახელით რეკავდა ვიღაც ქალბატონიც, რომელიც ცალკე გვთხოვდა, მასალა არ გაგვეშვა და გვეფიქრა 80 წლის მოხუცზე, რომელსაც შეურაცხყოფას ვაყენებდით ამით. ელდარ შენგელაიას გულისხმობდა, რომელიც საბოლოო ჯამში თვითონ შეგვეხმიანა ამ ქალბატონის საშუალებით და ასეთი რამ გვითხრა:

**„ის დოკუმენტი, რომელიც თქვენ გინდათ გამოაქვეყნოთ, არ შეიძლება გამოქვეყნდეს. დამიჯერეთ, ეს კავშირის შინაგანი საქმეა, რომელიც დიდი ხანია დამთავრდა. აგერ არის ამ კომისიის თავმჯდომარეც და ვფიქრობთ, რომ ამის დაბეჭდვა არ შეიძლება. თუ თქვენ ამას დაბეჭდავთ, იძულებული ვიქნებით, სასამართლოში გიჩივლოთ. ამიტომ მე ძალიან გთხოვთ, ყველაფერს თავი დაანებოთ და დოკუმენტი არ დაბეჭდოთ“,** — გვითხრა შენგელაიამ და ტელეფონი გაგვითიშა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სხვათა შორის, ერთადერთი დაზარალებული ვიყავი, რომელიც ღუდუშაურის კლინიკაში წამიყვანეს, რადგან ამ ამბის გახმაურება არ სურდათ. სამ ნაწილად იყო თვალი გამსკდარი, 58 ნაკერი დამადეს და ბადურის ერთი მესამედი ამომაჭრეს. ამის მიუხედავად, სამი დღის განმავლობაში შოთა უტიაშვილი ურცხვად აცხადებდა, რომ აქციაზე რეზინის ტყვიით არავინ დაშავებულაო“.**

# ბესიკ ტაბატაძე: 033-ის ექიმები გადაცმული პოლიციელებივით იქცეოდნენ, დაზარალებულებს დაგვცინოდნენ, ეს გინდოდათ, მეტის ღირსები ხართო

**ყოფილი ხელისუფლების მმართველობის დროს დაზარალებული უამრავი ადამიანი დღეს დუმილს არღვევს და შემზარავ სიმართლეს ყვება.
26 მაისს განვითარებულ მოვლენებს „საქართველო და მსოფლიოსთან“ ამჯერად „სახალხო კრებისა“ და პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ სათათბიროს წევრი, უფლებადამცველი ბესიკ ტაბატაძე იხსენებს, რომელსაც საპროტესტო აქციაზე სპეცრაზმელის მიერ ნასროლმა ტყვიამ თვალი დააკარგვინა, მაგრამ ამის გამო დღემდე არავინ დასჯილა.**





— მე გახლდით „შეფიცულთა რაზმის“ წევრი და ისნის რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, შესაბამისად, მევალებოდა იმ ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლებიც სცენაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე შეტევა წყლის ჭავლითა თუ გაზის იარაღით ხორციელდებოდა და რეზინის ტყვიებს გვესროდნენ, ლიდერები მაინც არ აპირებდნენ სცენის დატოვებას, თუმცა მას შემდეგ, რაც მხუთავი გაზის ორი ბალონი შეაგდეს სცენაზე, იქ გაჩერება უკვე შეუძლებელი გახდა. როცა ქალბატონები ჩამოვიყვანეთ სცენიდან და ჩავსვით მანქანებში, **წამით მოვიხედე უკან, მაინტერესებდა, რამდენად ახლოს იყვნენ სპეცრაზმელები და გავიგონე მათი ნათქვამი: „ნახე, ბიჭო, არ ეშინია, არ გარბისო“. თან შემაგინეს და სპეციალურად პირდაპირ სახეში მესროლეს. ვიგრძენი, როგორ გასკდა თვალი. სისხლი წამომივიდა. ამ დროს ჩემს ფეხებთან ბალონი გასკდა და მეორე თვალშიც დავკარგე მხედველობა. ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ვეღარაფერს ვხედავდი.** ჩემმა მეგობარმა გურამ მარგიანმა გადამარჩინა, ზურგზე აკიდებული გამომიყვანა, თორემ იქიდან ვერ გამოვაღწევდი.

ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ სხეულზე ცხრა ნატყვიარი მქონდა. უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო აქციის დაშლა. **26 მაისს მომიტინგეების დარბევისა და გაწყვეტის სპეცოპერაცია განხორციელდა.** ხელისუფლების მიზანი თუ მხოლოდ აქციის დაშლა იყო, როგორც აცხადებდნენ, ერთი გასასვლელი მაინც უნდა დაეტოვებინათ. გზა ყველა მიმართულებით გადაკეტილი იყო, ფაქტობრივად ხაფანგში მოგვიმწყვდიეს.

მაინც გავრბოდით, ასე მივაღწიეთ მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნამდე“ და იქვე ქუჩასთან ჩავუხვიეთ, იქაც სპეცრაზმელების ავტობუსი იდგა და დაგვიჭირეს. როგორც ჩანს, აქეთ-იქით სირბილმა და წყლის ჭავლმა იმოქმედა და ამასობაში ცალ თვალში მხედველობა დამიბრუნდა.

სასტიკად ექცეოდნენ ხალხს. ყველაფერი რომ გავაანალიზეთ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ **ვინც უფრო მაგრად სცემდა, უფრო მეტ პრემიას მიიღებდა.** ჭორის დონეზე გავრცელდა კიდეც, **ერთ-ერთი სპეცრაზმელის ცოლს უთქვამს, ნეტა კიდევ იყოს დარბევები, ახლა ხომ ტელევიზორი ვიყიდეთ და ახალ მაცივარსაც ვიყიდითო.**

**— მიუხედავად იმისა, რომ თვალი გქონდათ დაზიანებული, მაინც დაგაპატიმრეს?**

— დიახ, დაგვიჭირეს და ხელბორკილები დაგვადეს. ვთხოვე, წინ მაინც შეეკრათ ხელები, რადგან თვალიდან სისხლი შეუჩერებლად მომდიოდა, მაგრამ მაინც უკან შემიკრეს. შემაგინეს კიდეც, ნეტა სულ რატომ არ მოკვდიო. აღსანიშნავია, რომ, ვინც დაგვაპატიმრა, ისინი არ იყვნენ სპეცრაზმელები, სოდის ჟილეტებიც ეცვათ. დაახლოებით 45 წუთი ეროვნული ბიბლიოთეკის წინ ვეყარეთ ბორკილდადებულები და მანქანებს ველოდებოდით, რათა სამმართველოში გადავეყვანეთ. მიკროავტობუსში ახალგაზრდა პატრულის თანამშრომელს ვთხოვე, ხელბორკილები წინ გადმოეტანა, ვერ მოახერხა, მაგრამ დამადგა თავზე და სისხლს თავისი ცხვირსახოცით მწმენდდა.

მიგვიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც საათ-ნახევარი პირველ სართულზე გაგვაჩერეს. **სასწრაფო დახმარების ექიმებს, არანაირი ყურადღება არ მოუქცევიათ. პირიქით, 033-ის ექიმები გადაცმული პოლიციის თანამშრომლებივით იქცეოდნენ. დაზარალებულებს დასცინოდნენ, ეს გინდოდათ, მეტის ღირსები ხართო, გვეუბნებოდნენ.** ბევრი სისხლი დავკარგე და ამიტომ ცუდად გავხდი, სკამი რომ მოვითხოვე, მაგრად მცემეს. მეშვიდე სართულზეც სასტიკად მცემეს, ხელებშეკრულს თავში მირტყამდნენ წიხლებს. ძალიან ცუდად გავხდი, გრძნობას ვკარგავდი და ვითხოვე, ექიმი მოეყვანათ. ალბათ, უკვე ღამის 4 საათი იქნებოდა, მოიყვანეს ქალბატონი, რომელიც არ იყო სასწრაფო დახმარების ექიმი, შესაძლოა, პოლიციის სამმართველოს ექიმი იყო, არ ვიცი. ამ ქალბატონმა თვალი

**«განსაკუთრებული სისასტიკით გლდანის საპყრობილე გამოირჩეოდა, სადაც მიზეზიც არ იყო საჭირო ადამიანების საცემად და საწამებლად. უკვე ჩვევაში ჰქონდათ გადასული ადამიანების ცემა და ხომ წარმოგიდგენიათ, თუ პატიმრისგან რაღაცას ითხოვდნენ, მას როგორ მოექცეოდნენ»**

ყურადღებით დამითვალიერა და კატეგორიულად მოითხოვა, სასწრაფოდ გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებაო. დარწმუნებული ხარო? — ეკითხებოდნენ, არ სურდათ ჩემი გაშვება. 10 წუთის განმავლობაში იკამათეს, გავეშვი თუ არა საავადმყოფოში და ბოლო-ბოლო, მხოლოდ დილის 7 საათისთვის გადამიყვანეს საავადმყოფოში.

**სხვათა შორის, ერთადერთი დაზარალებული ვიყავი, რომელიც ღუდუშაურის კლინიკაში წამიყვანეს, რადგან ამ ამბის გახმაურება არ სურდათ. სამ ნაწილად იყო თვალი გამსკდარი, 58 ნაკერი დამადეს და ბადურის ერთი მესამედი ამომაჭრეს. ამის მიუხედავად, სამი დღის განმავლობაში შოთა უტიაშვილი ურცხვად აცხადებდა, რომ აქციაზე რეზინის ტყვიით არავინ დაშავებულა.** საავადმყოფოშიც არ დამტოვეს, მეორე დღესვე გამომიშვეს სახლში, არადა, ტვინის შერყევა მქონდა.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, თავს მაინც არ მანებებდნენ, სამი კვირის განმავლობაში 10-12 პოლიციელი დღე და ღამ ჩემს სახლთან მორიგეობდა. დაჩი ცაგურიამ გადამიღო ფოტოები და ატვირთა „ფეისბუქზე“, რის შემდეგაც სოციალური ქსელების მეშვეობით ჩემი ამბავი გახმაურდა. ქართულმა თუ უცხოურმა ტელევიზიებმაც შეიტყვეს ჩემ შესახებ, ამიტომ დამანებეს თავი, თორემ ჩემი დაჭერა მაინც სურდათ. ვიცი, რომ ჩემი პიროვნებით უშუალოდ კუდი იყო დაინტერესებული.

**— თქვენ მიმართეთ ყოფილ სახალხო დამცველს, პროკურატურას, თუ მოჰყვა რაიმე რეაგირება მათი მხრიდან?**

— არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ საია და ყველა უფლებადამცველი იყო ჩემი საქმით დაინტერესებული. პროკურატურაში სამჯერ დავწერე განცხადება, ახალი გარემოებები გამოიკვეთა და ვითხოვდი დაკითხვას. ფოტოები გადამიღეს დაზიანებულს, რაც ექსპერტიზის მასალებში არ ფიგურირებდა და არც მე გადმომცეს. პასუხიც კი არ გამცეს, რატომ მოხდა ასე. ერთხელაც არავის დაურეკავს და უკითხავს არაფერი.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა პროკურატურას ჩემზე შეატყობინა, კარგა ხნის მერე დამიკავშირდნენ, მკითხეს, თუ იცნობთ, ვინ გესროლათო. ხომ არ დამცინით-მეთქი, ვუპასუხე. **გარდა იმისა, რომ ყველა სპეცრაზმელს ერთნაირი ფორმა ეცვათ, შიგნიდან ნიღაბზე კიდევ ჩაფხუტი ეხურათ. სახე ისედაც არ უჩანდათ და მაინც გვეუბნებოდნენ თვალებში არ გვიყუროთო. ეშინოდათ, მომავალში ვინმეს თვალებით არ ეცნო.**

**— თქვენ ასევე მიმართეთ შვეიცარიის ელჩს და საერთაშორისო საზოგადოება ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჰქონდათ მათ უფრო მწვავე რეაქცია?**

— საერთაშორისო საზოგადოებას რომ არასწორი რეაქცია ჰქონდა, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენს მიმართვებზე ვერ გაბედეს და პასუხიც ვერ გაგვცეს. დიპლომატიური ეტიკეტი აძლევთ ლავირების საშუალებას. თუმცა ყველა ელჩს შევახსენებ, რომ ისინი დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს დემოკრატიული განვითარება დიდწილად არის იმაზე დამოკიდებული, ე.წ. დემოკრატიული ქვეყნები რა მაგალითს მოგვცემენ. ბუნებრივია, ეს ჩვენს ურთიერთობაზე გავლენას მაინც არ მოახდენს და ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ურთიერთობას იმ ქვეყნებთან, რომლებიც პასიურად უყურებდნენ, როგორ ხოცავდა სააკაშვილი სხვაგვარად მოაზროვნე ხალხს.

როგორც ჩანს, სააკაშვილთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდათ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ გათავისუფლებული პოლიტპატიმრები კომპენსაციას ითხოვენ, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ყველაზე მეტად დაზარალდით. რას აპირებთ?**

— პირველ რიგში, სახელის აღდგენას, რეაბლიტაციას ვითხოვ. მართალია, ბრალი ჩემთვის ოფიციალურად არ წაუყენებიათ, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მე მოღალატედ ვითვლებოდი. ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით, ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ამზადებს ჩემს საქმეს სტრასბურგში გასაგზავნად. არის რაღაც-რაღაცები, რაც მატერიალურად არ იზომება, თუმცა ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მუდმივი მკურნალობა სჭირდება, დღეში სამ-ოთხ წამალს ვსვამ. იმ ამბების შემდეგ დიაბეტი დამემართა. **სამი ოპერაცია გავიკეთე, გავიგე, რომ თვალის გადანერგვის ოპერაციის ჩატარების საშუალებაც არსებობს. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით ბატონი ბიძინა ივანიშვილიც დაინტერესდა და ძალიან შეწუხდა, როცა ჩემი ამბავი გაიგო. ჯანდაცვის სამინისტროდანაც დამიკავშირდნენ და დოკუმენტაცია მომთხოვეს. ვნახოთ, რა იქნება.** ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინათ, სარჩელი უკვე მზადდება და, რა თქმა უნდა, ბრძოლას გავაგრძელებთ.

**— ალბათ, გიკავშირდებიან ყოფილი პატიმრები, რას ყვებიან ისინი?**

— საშინელ ისტორიებს ყვებიან. განსაკუთრებული სისასტიკით გლდანის საპყრობილე გამოირჩეოდა, სადაც მიზეზიც არ იყო საჭირო ადამიანების საცემად და საწამებლად. უკვე ჩვევაში ჰქონდათ გადასული ადამიანების ცემა და ხომ წარმოგიდგენიათ, თუ პატიმრისგან რაღაცას ითხოვდნენ, მას როგორ მოექცეოდნენ. მე ვიყავი სასამართლოზე და მოვისმინე, გია უჩავას რა სისულელეებიც ალაპარაკეს. ის ახლა ჩვენებას ცვლის...

**— გია უჩავას აღიარებითი ჩვენების გამო ბადრი ბიწაძეს ქვეყნის დატოვება მოუწია, ხოლო რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს. დღეს უჩავა ზეწოლაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ჩვენება ძალით მიაცემინეს. აპირებთ, აპატიოთ ყველაფერი?**

— ჯერ კიდევ გია უჩავას გათავისუფლებამდე მისმა ადვოკატმა დამირეკა და მკითხა, დარწმუნებული ხართ, რომ უჩავამ მისცა ეს ჩვენებაო? არადა, ფაქტი სახეზე იყო. გასაგებია, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა, მაგრამ, ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, მის გამო ახალგაზრდა ბიჭებს რამდენი წელი მოუწევდათ პატიმრობა? ამას გარდა, ადამიანს აპატიებ, როცა მოვა, ბოდიშს მოგიხდის და პატიებას გთხოვს. სთხოვოს მათ, ვინც მის გამო ისხდნენ ციხეში და იქნებ აპატიონ კიდეც... არ ვიცი.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

არხიდან გამოყრილი ადამიანები აცხადებენ, რომ ამ 260 „მკვდარ სულში“ არიან როგორც „ნაციონალთა“ „ფეისები“, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ წონიანი ლიდერების ნათესავ-მეგობრები, თავად არხის ხელმძღვანელების ოჯახის წევრები, ნათესავები და... ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა „მეგობარი ქალბატონები“. აი, მათ შემცირებას კი არავინ აპირებს.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საზოგადოებრივ მაუწყებელში პრეზიდენტის «მეგობარი ქალბატონები» და სტრიპტიზბარის მოცეკვავე ჰყავთ გაფორმებული

**საზოგადოებრივ მაუწყებელში დიდი ალიაქოთია. გამართლდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გიორგი ჭანტურიას მაუწყებლის დირექტორობიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი დაკვეთის — 500 კაცით შეემცირებინა არხის თანამშრომელთა რაოდენობა — შესრულებაზე უარის თქმა იყო. ცხადია, ჭანტურიას ეს თანამშრომელთა სიყვარულით არ გაუკეთებია. მას ფინანსთა სამინისტრო სოლიდური თანხის გაფლანგვას ედავება, ჟურნალისტებთან დაპირისპირება და ახალი სკანდალი კი მის მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. ჭანტურიას საქმიანობის არაერთი, რბილად რომ ვთქვათ, კანონთან არც თუ შესაბამისი ქმედება იმ თანამშრომლებმაც იციან, ვის შემცირებასაც თავდაპირველად ჭანტურია აპირებდა. ხომ შეეძლო ამ ხალხს სხვა ტელეკომპანიის ეთერში დაჯდომა და ამ საქმეებზე ლაპარაკი? ისე, არც მთავარი პროკურორის ოფისია გადაკარგულში და ძნელად მისაგნები.**

ალბათ, უკვე გასაგებია, რატომ ითამაშა გიორგი ჭანტურიამ კეთილი დირექტორის როლი და რატომ გადადგა პოსტიდან.

მისმა ტაქტიკამ გაამართლა — ტელევიზიის თანამშრომელთა დიდი ნაწილი ჭანტურიას მისტირის. არადა, **რა უბედურებაც ახლა არხზე ტრიალებს, ამაში სწორედ ჭანტურიაა მთავარი დამნაშავე.**

დავალების შესრულება, თანამშრომელთა შემცირების პროცესი, გულმოდგინედ დაიწყო გიგა ბოკერიას ახალმა ფავორიტმა — გიორგი ბარათაშვილმა, რომელიც „ნაციონალების“ მიერ დაკომპლექტებულმა ბორდმა 25 დეკემბერს აირჩია არხის ახალ გენერალურ დირექტორად. ბარათაშვილმა ვერ გაბედა და ხუთასივე თანამშრომელი ერთი ხელის მოსმით ვერ დაითხოვა, შეეშინდა, მის მიერ დაწუნებულ ხალხს საპროტესტო აქციები არ მოეწყო. არადა, ტელევიზიის თანამშრომლები მართლა იმუქრებოდნენ — თუ ბარათაშვილმა მართლა 500 კაცი გაუშვა, იმ 500-ს არხზე დარჩენილები სოლიდარობის ნიშნად გვერდით დავუდგებით, ტელევიზიის ბლოკირებას მოვაწყობთ, ახალ დირექტორს შიგნით არ შევუშვებთ და თან ყველა გადაცემას „ჩავაგდებთო“. გიორგი ბარათაშვილი იმაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს ეგონათ. მან ნელ-ნელა, ეტაპობრივად დაიწყო ხალხის გაშვება, თუმცა ეს გეგმა მხოლოდ მისი მოფიქრებული არ ყოფილა. **ტელევიზიიდან წამოსული თანამშრომლების ერთი ნაწილი „საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდა და იქ არსებული კულუარული პროცესებისა და მოვლენების შესახებ ექსკლუზიურად გაუმხილა. მაგრამ ამ ეტაპზე ვინაობის გამხელისგან ერთი მიზეზით შეიკავა თავი: შემცირების პროცესი ახალი დაწყებულია და ვაითუ არხის ხელმძღვანელობამ ზოგიერთის ოჯახის წევრი და ნათესავი, მეგობარი, რომლებიც ჯერჯერობით მუშაობენ, უკან არ მოაყოლოს.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი თანამშრომლების ინფორმაციით კი, ტელევიზიაში ასეთი მდგომარეობაა: **გიორგი ბარათაშვილი ცდილობს, დამოუკიდებელ ფიგურად და ნამდვილ დირექტორად მოაჩვენოს თანამშრომლებს თავი, მაგრამ არ გამოსდის**: ყველამ იცის, რომ ყოფილი I არხის რეალური შეფი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძეა. თავის მხრივ, გახელაძე გიგა ბოკერიასა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერების „იგრუშკაა“. გახელაძე მათ დაკვეთებს ბარათაშვილის ხელით ასრულებს. გახელაძე-ბარათაშვილის ერთობლივი გეგმა ყოფილა ხალხის ეტაპობრივად გაშვებაა და ცხადია, მისი განხორციელება ბარათაშვილის არჩევისთანავე გადაწყდა. **თანამშრომელთა უმრავლესობას იანვარში მხოლოდ 1-თვიანი კონტრაქტები გაუფორმეს, რათა გაყრილ თანამშრომლებთან სამართლებრივი პრობლემები არ შექმნოდათ. ამ ეტაპზე 80 კაცია გაშვებული: 40 წინა კვირაში გაუშვეს, 40 — ამ კვირაში. გახელაძე-ბარათაშვილის გეგმით, შემცირების პროცესი მარტის მიწურულს უნდა დასრულდეს. ჯერჯერობით შემცირება ჟურნალისტებს ნაკლებად შეხებოთ, სულ რამდენიმე ჟურნალისტი გაათავისუფლეს.**

მათი მასობრივი დათხოვნა ბოლოსკენაა დაგეგმილი. ამ დროისთვის უმთავრესად ტექნიკურ პერსონალს დაერივნენ, ძირითადად კი — ოპერატორებს, მემონტაჟეებს...

**საზოგადოებრივი მაუწყებლიდან დათხოვნილები აცხადებენ, რომ არხიდან უმთავრესად იმ თანამშრომლებს უშვებენ, რომელთაც პატრონი არ ჰყავთ**. პროფესიული ნიშნით თანამშრომლების დათხოვნა არ ხდება, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს. არხზე მუშაობენ ისეთი პროფესიონალები, რომელთაც ნებისმიერი სხვა ტელევიზია სიამოვნებით დაასაქმებს, ასეთ კადრებს კი უფრთხილდებიან. **არხზე, ძირითადად, დარჩებიან ის ადამიანები, რომლებსაც ან „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჰყავთ მფარველები, ან თავად ტელევიზიის ბოსები პატრონობენ.** მაგალითად, თავად გიორგი ბარათაშვილის მეუღლე, ანი ნადირაძე დილის გადაცემის „ჩვენი დილა“ ერთ-ერთი რუბრიკის წამყვანია და ის დარჩება არხზე. გადაცემა „შუადღის“ ერთ-ერთი წამყვანი გენდირექტორის მოადგილის, გიორგი გაჩეჩილაძის მეუღლეა და მისი დარჩენაც გადაწყვეტილია.

**ვინ გაუშვან და ვინ დატოვონ არხზე, ამას სულ ათიოდე ადამიანი წყვეტს, მათ შორის „ჩვენი დილას“ მთავარი პროდიუსერი გოგა ჩართოლანი.** ჩართოლანი ხომ ხელშეუხებელია ტელევიზიაში, მაგრამ ასეთივე სტატუსით სარგებლობს მისი მამა — სოზარ ჩართოლანი. ბატონი სოზარი ერთობ პატივსაცემი პიროვნებაა და მისი დღე და მოსწრება ტელევიზიაში მუშაობს, მაგრამ ერთი საჩოთირო ამბავია: სოზარ ჩართოლანი 75 წელსაა მიტანებული, ის ოპერატორი გახლავთ და, როგორც არხის ყოფილი თანამშრომლები ამბობენ, კამერის ტარებაც კი უჭირს, ამიტომ მხოლოდ სტუდიურ გადაღებებს ავალებენ და ტელევიზიიდან გარეთ არ უშვებენ. ამ დროს ჩართოლანმა მარტო „ჩვენი დილადან“ 5 ახალგაზრდა ოპერატორი დაითხოვა, რომლებიც დღეში ზოგჯერ 4-5 გადაღებაზე დადიოდნენ. ახალგაზრდა ოპერატორები გაუშვეს სხვა გადაცემებიდანაც. დათხოვნილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ ეს დისკრიმინაციული მიდგომაა, ხოლო პენსიონერ სოზარ ჩართოლანს ლია მიქაძის, დავით ძიგუას, დავით სოკოლოვისა და ჯულიეტა ვაშაყმაძის სატელევიზიო დებიუტი არათუ ახსოვს, ჯერ კიდევ ტელეანძაზე განთავსებულ ტელეცენტრიდან პირველი სატელევიზიო რეპორტაჟების ოპერატორიც კი იყო.

## «რა უბედურებაც ახლა არხზე ტრიალებს, ამაში სწორედ ჭანტურიაა მთავარი დამნაშავე»

**საზოგადოებრივ მაუწყებელში 260 „მკვდარი სული“ ყოფილა გაფორმებული.** მათი უმრავლესობა ქართული შოუბიზნესის ე. წ. ცნობადი სახეა. ცხადია, იმ ადამიანების „ხელფასი“, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ერთგული მხარდამჭერები არიან და მას დითირამბებსაც უმღერიან, ყოველთვიურად სოლიდურ გასამრჯელოს სწორედ „დედა პარტიის“ ერთგულებისთვის იღებენ — 2000-დან 3000 ლარამდე და უფრო მეტსაც. ეს ადამიანები, წლებია, ტელევიზიაში თვალით არავის უნახავს — ხელფასი ბანკში ერიცხებათ. **არხის ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ 3000-3000 ლარი აქვთ ხელფასი მსახიობებს: გოგოლა კალანდაძესა** და **მალხაზ ქვრივიშვილს,** თუმცა, უკვე წლებია, მათთვის თვალიც არ მოუკრავთ. მგონი, არც ამ არხის მაყურებელს გაუჭირდება იმის გახსენება, რომ არც გოგოლა კალანდაძე და არც მალხაზ ქვრივიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის არც ერთ პროექტში არ მონაწილეობენ. ასევე სახელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის ყოფილი მოადგილე — **გიორგი გამსახურდია.** ის არხის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ ყოფილა გაფორმებული და მასაც სოლიდური ანაზღაურება ჰქონია, თუმცა ეს, როგორც იტყვიან, ჟურნალია...

**არხიდან გამოყრილი ადამიანები აცხადებენ, რომ ამ 260 „მკვდარ სულში“ არიან როგორც „ნაციონალთა“ „ფეისები“, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ წონიანი ლიდერების ნათესავ-მეგობრები, თავად არხის ხელმძღვანელების ოჯახის წევრები, ნათესავები და... ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა „მეგობარი ქალბატონები“.**

აი, მათ შემცირებას კი არავინ აპირებს. ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი აცხადებს, რომ დაახლოებით 50 სხვადასხვა სამოდელო სააგენტოს მოდელია გაფორმებული ტელევიზიაში და მათ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, „მეგობრობის“ საფასურს წლების მანძილზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან უხდიან.

„მოდელი მეგობრების“ **გარდა, 2500-ლარიან სახელფასო შტატშია ერთ-ერთი სტრიპტიზბარის მოცეკვავეც, რომელიც, ცხადია, ყოფილი ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნის „გულის ბროშკაა“.**

იმ 50-მდე მოდელში, რომლებიც დღემდე ჩვენი ჯიბიდან გადახდილი გადასახადებიდან იღებდნენ დიდჩინოსნებთან „მეგობრობის“ საფასურს, 3 არის მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ფავორიტი. მართალია, ჩვენს მექალთანე პრეზიდენტს მათთან ურთიერთობა აღარ აქვს, მაგრამ მიშა ფავორიტყოფილთ მაინც უხდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მისი რა მიდის?!

ზემოხსენებული ბაქქანალიის ფონზე, არხის ხელმძღვანელები, შტატების შემცირების გარდა, სხვა მეთოდებითაც ცდილობენ ტელევიზიის ბიუჯეტის დაზოგვას. კერძოდ, ვინც დარჩება, მათ ხელფასები 20%-ით შეუმცირდებათ, ოღონდ ეს ტელევიზიის ადმინისტრაციასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ შეეხება.

მთელი ეს აურზაური საზოგადოებრივ მაუწყებელში მას შემდეგ დაიწყო, რაც ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო ჯგუფი შევიდა ტელევიზიის შესამოწმებლად და, უკვე არსებული საბიუჯეტო დავალიანების გარდა, სხვა გაუსტუმრებელი სახელმწიფო ვალებიც აღმოაჩინა. **ამ დროისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელს 23 მილიონი ლარი აქვს სახელმწიფო დავალიანება. მართალია, ეს თანხა წლების მანძილზე გროვდებოდა, მაგრამ მისი დიდი წილი, 16 მილიონ ლარზე მეტი, ტელევიზიას ლევან ყუბანეიშვილისა და გიორგი ჭანტურიას მმართველობის პერიოდში დაუგროვდა.**

შტატების შემცირებაც და სხვა კუთხით თანხების დაზოგვაც სწორედ ამ დავალიანების ნაწილის გადახდას ემსახურება — 2013 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი სოლიდურ თანხას დაზოგავს და ბიუჯეტს რამდენიმე მილიონს გადაუხდის. არხის ყოფილი თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი გიორგი ჭანტურიასა და ლევან ყუბანეიშვილის გადასარჩენად კეთდება, რომელთაც უყაირათოდ და ფრიად საეჭვოდ სოლიდური თანხები აქვთ გახარჯული ტელევიზიის ბიუჯეტიდან და, თუ დროულად არ დააბრუნეს ეს თანხები ბიუჯეტში, შესაძლოა, მათი გადასახდელი გახდეს. მეტიც, შესაძლოა, მათ პროკურატურიდანაც მიაკითხონ. მათივე თქმით, **თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ლევან გახელაძეცაა გარეული და ის ყოფილი დირექტორების გადასარჩენადაც ირჯება და, უპირველესად, საკუთარი ტყავისა.**

საზოგადოებრივი მაუწყებელი ფორმატს და შინაარსს იცვლის და შემოდგომაზე ახალი სატელევიზიო სეზონიდან მაყურებელი რეფორმირებულ არხს იხილავს. რა გამოვა ამ რეფორმიდან, ამას ახლო მომავალში ვნახავთ, მაგრამ სადღეისოდ იმის თქმა უკვე შეიძლება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უფრო შემეცნებით გადაცემებზე გააკეთებს აქცენტს მცირე დოზით, მაგრამ არხზე დარჩება პოლიტიკური და მუსიკალურ-გასართობი თოქშოუები. **სავარაუდოდ, ტელევიზიის ბიუჯეტი პირდაპირი წესით მხოლოდ საინფორმაციო გადაცემას დააფინანსებს, ყველა დანარჩენ გადაცემას კი მზა პროდუქციის სახით კერძო სტუდიებისგან შეიძენს ტენდერების საფუძველზე. არხის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ ამითაც ფულს დაზოგავენ და „შინ“ დამზადებულზე უფრო იაფი დაუჯდებათ ნაყიდი გადაცემები.**

იმის გამო, რომ საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი კერძო სტუდიები, რომლებიც ღირებულ პროდუქციას შესთავაზებენ საზოგადოებრივ მაუწყებელს, **უკვე სახელდება 2 კომპანია, რომლებიც პირველ ეტაპზე თავიანთი მიმართულებით არხზე სრულ მონოპოლიას მოიპოვებენ. ორივე კომპანიის ხელმძღვანელი და თანადამფუძნებელი ამ ტელევიზიის ყოფილი გენერალური დირექტორია.** სავარაუდოდ, **ზაზა შენგელიას BRAVO REKORDS-ი არხს მუსიკალურ თოქშოუებს მოუმზადებს, ხოლო TBC-TV, ლევან ყუბანეიშვილის მეთაურობით, — პოლიტიკურ თოქ-შოუებს.** არხზე გაჩნდება ჟურნალისტური გამოძიებაც, თუმცა ჯერ გაურკვეველია, ამ ტიპის გადაცემა ტელევიზიაში მომზადდება თუ მასაც ბაზარზე შეიძენენ. ერთი რამ ნათელია: ჟურნალისტური გამოძიება საზოგადოებრივ მაუწყებელზე არ იყო, რადგან თავის მეპატრონეებს კრიტიკას ვერ უბედავდნენ, ახლა კი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაკვეთას შეასრულებენ და ახალ ხელისუფლებას ამ გადაცემით კრიჭაში ჩაუდგებიან.

**კადრების შემცირებამდე საზოგადოებრივ მაუწყებელში 1300 კაცი მუშაობდა. 500 კაცით შემცირების შემდეგ კი 800 ადამიანი დარჩება. ამ 800-ს უნდა გამოვაკლოთ დაახლოებით 300 კაცი (260 „მკვდარი სული“, რომელთა შემცირებასაც გასაგები მიზეზების გამო ვერ ბედავს გიორგი ბარათაშვილი და ადმინისტრაციის 30-40 თანამშრომელი). გამოდის, რომ არხზე საქმის მკეთებელი 500 თანამშრომელი რჩება, რომელთა შრომის ხარჯზე, ვიღაც-ვიღაცების ყოფილმა და ამჟამინდელმა „მეგობრებმა“ ყოველთვიურად სოლიდური „ხელფასები“ უნდა ჩაიჯიბონ.**

**ლევან ჯავახიშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბევრი, შესაძლოა, ფიქრობს, ამ ხელმოცარულებს რაღა უნდათო, მაგრამ მოდით პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაგვანახოს — გვინდა თუ არ გვინდა. ბევრი მინახავს პოლიტიკაში ფურორით მოსული და ძალიან მალე შეცვლილა სიტუაცია. მინახავს დაცემული პარტიებიც, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული, დღეს ასეთი მაგალითებიც გვაქვს“.**

# მამუკა კაციტაძე: თუ ნატოსკენ მივისწრაფვით, რუსეთთან პარტნიორობა შეუძლებელია

**რუბრიკაში „გაკრეფილები“ შემდეგ სტუმრად „ახალი მემარჯვენეები“ მოხვდნენ, მაგრამ, როგორც თვითონ ამტკიცებენ, პოლიტიკური არენიდან კი არ გაიკრიფნენ, უბრალოდ, ტაიმაუტი აიღეს და ახლა უკვე პარტიის ახალ ლიდერთან, ფიქრია ჩიხრაძესთან, ერთად ახალი შემართებითა და პოლიტიკური დოკუმენტით დაუბრუნდებიან დიდ პოლიტიკას. „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, საკრებულოს წევრი მამუკა კაციტაძე.**



**— ბატონო მამუკა, თქვენ პოლიტიკური არენიდან გაიკრიფეთ, შესაბამისად, მოხვდით რუბრიკაში „გაკრეფილები“. გაიკრიფეთ თუ ტაიმაუტი აიღეთ?**

— თქვენი ნებართვით, თემას ორ ნაწილად დავყოფ: პირველი, ეს არის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგი და მეორე, ავიღეთ ტაიმაუტი და ამის შესახებ 4 ოქტომბერს გამოვაცხადეთ.

საუბარს მეორე ეტაპიდან დავიწყებ. ტაიმაუტის მიზეზი პარტიაში მნიშვნელოვანი გახდა, ჩვენმა ლიდერმა აქტიური პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. ჩვენი დროებითი სიჩუმე იმანაც გამოიწვია, რომ, თუ შარზე არ ხარ, ყველა ახალი ხელისუფლება იმსახურებს, მისცე დრო, რათა ხალხს უჩვენოს თავისი უნარი, შესაძლებლობები, ენერგია. ამ და კიდევ სხვა ორგანიზაციული საკითხების გამო, ჩვენ გამოვაცხადეთ ტაიმაუტი. როდესაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდება ტაიმაუტი მოხსნილი იქნება და ქართულ პოლიტიკურ სპექტრს დავუბრუნდებით.

ახლა, „გაკრეფილობის“ თემაზე გადავიდეთ. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში შემოვიდა ფინანსურად ძლიერი, წონადი ფიგურა, რუბრიკა „გაკრეფილები“ მისი პირველივე საჯარო ტექსტის ამონარიდია, მისი მხრიდან საზოგადოებაში ასეთი დაკვეთა გაიგზავნა — შუაში ყველაფერი უნდა გაიკრიფოს! **ჩვენ იმთავითვე ვამბობდით, რომ შუა კი არ უნდა გაიკრიფოს, უნდა გაძლიერდეს, რადგან მიგვაჩნია, ორპოლუსიანი პოლიტიკა, შავ-თეთრი პოლიტიკა და ამგვარი რაღაცეები (და ყოველთვის ასე ვიქნებით) არ არის სასარგებლო ქართული დემოკრატიისთვის.** ქართული სახელმწიფო, დემოკრატიის თვალსაზრისით, ახალი სახელმწიფოა და ასეთი პოლიტიკური ვითარება არ შეშვენის, ამით დემოკრატია ვერ განვითარდება და არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც გედავებიან, რომ ამერიკაში ხომ ორი პარტიაა?! ჯერ ერთი, ამერიკაში ორი პარტია არ არის, ამერიკაში ორი ძლიერი პარტიაა, ისინი ამ ეტაპამდე გარკვეული დროის და გამოცდილების შემდეგ მივიდნენ. რაც შეეხება ევროპას, იქ არ არის ორპოლუსიანი პოლიტიკა.

**„გაკრეფილობა“ ავნებს ქართულ პოლიტიკას, თუმცა 1 ოქტომბრის არჩევნებმა თავისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი შედეგი მოიტანა, საქართველოში პირველად ხელისუფლება არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ აქვს ნეგატიური მხარეც, რადგან „ახალი მემარჯვენეები“ აქტიური პოლიტიკის მიღმა დავრჩით.**

„გაკრეფილებში“ აღმოჩენა კარგი არ არის, მაგრამ თუ თქვენი მკითხველი დამეთანხმება, 1 ოქტომბრის არჩევნებს ხელისუფლების წინააღმდეგ ჩატარებულ რეფერენდუმს დავარქმევდი. ეს იყო: ხო ან არა! მესამე და მეოთხე ვერსია არ არსებობდა.

არსებულ ვითარებასა და მდგომარეობაში მყოფი „ნაცმოძრაობა“ „ქართული ოცნების“ ოპონირებას ვერ შეძლებს. „ახლები“ კი თავს ვუყურებთ, როგორც არსებული ხელისუფლების კვალიფიციური და გამოცდილი ოპონენტები. თქვენი გაზეთის რუბრიკა „გაკრეფილები“ ცოტა ხანში შეფასდება, როგორც დროებითი მოვლენა.

**— თქვენ შეცდომები დაუშვით, შევარდნაძის პარლამენტში შესვლას გაგახსენებთ, უახლოეს წარსულში კი „რვიანის“ დაშლას. მაშინ ხალხი ამბობდა, რომ თქვენ ამ საქმეში დიდი ფული აიღეთ, რადგან „რვიანის“ დაშლის შემდეგ დაიწყეთ ოფისების გახსნა და პოლიტიკური აქტივობა, რაც მანამდე არ გქონდათ. ამას ისიც მოჰყვა, რომ ბრალი დაგდეს ხელისუფლებასთან გარიგებაში.**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენ შევარდნაძის დროს „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედთა რიგებში არ აღმოვჩნდით, იმდროინდელ ლიდერთა შემოთავაზებაზე, რომ მათ გვერდით ვმდგარიყავით, უარი გააზრებულად განვაცხადეთ. ამის შემდეგ, მახსოვს, პოლიტიკურ კეთროვანებს გვეძახდნენ, მაგრამ **ძალიან მალე ჩვენ აღმოვჩნდით ერთადერთი ძალა პარლამენტში, რომელიც ოპონირებას უწევდა ხელისუფლებას.** მოკლე ხანში დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ჩვენი ნაბიჯი სწორი იყო.

**«ძალიან მიკვირს, ნატოზე უარის თქმის ხარჯზე რატომ უნდა დაგვიბრუნოს რუსეთმა ტერიტორიები?!»**

ვისაუბროთ „რვიანზე“. „რვიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პოლიტიკური პარტიების ერთობა იყო, რომელიც ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად შეიკრიბა, ეს მოლაპარაკება შედგა და დასრულდა კონკრეტული შედეგით. ამ შედეგით კი ყველამ ისარგებლა. იმ მილიონით, რომელიც ბარიერის გადალახვის შედეგად ეძლეოდა პოლიტიკიურ პარტიას და არა სხვაგვარად, ჩვენ არ გვისარგებლია, პარლამენტში შესულმა ყველა პარტიამ ისარგებლა, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ დაფინანსების საკითხი, ეს იყო სისტემის საკითხი, კონსტიტუციური უმრავლესობის საკითხი, ბარიერის გადალახვის შემთხვევაში გარანტირებული ფრაქციის მიღება, სიებთან დაკავშირებული თემები, რომელიც მუდმივად გაკიცხვის საგანი იყო, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ სიებთან დაკავშირებული პრობლემა 1 ოქტომბრის შემდეგ განულდა. **პირველად ვამბობ თქვენთან: იცით, რამდენი საჩივარი დაიწერა? — 714, აქედან მხოლოდ 7 საჩივარი იყო სიებთან დაკავშირებული. თემა, რომლის გამოც 2003 წელს რევოლუცია მოხდა, დასრულდა.** მედიამონიტორინგი, რომელიც მხოლოდ პირველ არხზე ტარდებოდა, კონკრეტული შედეგით დასრულდა. სანამ თქვენ მკითხავთ, რატომ დაფიქსირდა ფაქტი, რომ თქვენ დაშალეთ „რვიანი“?! მე გეტყვით, **„რვიანი“ შეიქმნა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მიზნით და არა პოლიტიკური ბლოკის შესაქმნელად.**

მოლაპარაკების ბოლოს შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ დაიწყო საუბარი პოლიტიკური ბლოკის შექმნაზე, რაზეც ჩვენ მწარე გამოცდილების გამო უარი განვაცხადეთ.

**რაც შეეხება იმას, რომ „ახლებმა“ ფული აიღეს, იცით, რომ ჩვენ ოფისის თანხა ვეღარ გადავიხადეთ და ახლა, აბაშიძის №16-ში უფრო პატარა და მოკრძალებულ ოფისში დავბინავდით. როგორ ფიქრობთ, ფული რომ აგვეღო, ოფისს გამოვიცვლიდით?**

**— თქვენ იმ ფულის დახარჯვა საარჩევნო კამპანიის დროს შეგეძლოთ.**

— როგორ?! თქვენ არ აკვირდებოდით ჩვენს საარჩევნო კამპანიას? ვისი ბილბორდებით იყო აჭრელებული ქალაქები, როგორი რეკლამები ჰქონდათ სხვა პარტიებს და როგორი იყო ჩვენი? ვინ ატარებდა ძვირადღირებულ შეხვედრებს? ეს იყო ტალახის სროლა ჩვენი მისამართით, ამ ტალახს კი ყველა გვესროდა, რადგან არჩევნებში ყველას კონკურენტი ხარ.

რაც შეეხება შეცდომებს, ჩვენ არ გავურბივართ მათ აღიარებას. **ჩვენ მთავარი შეცდომა დაშვებული იყო 2008 წელს. მაშინ, როდესაც უარი ვთქვით კუთვნილ მანდატებზე და შეცდომა ის კი არ იყო, რომ პარლამენტში არ შევედით, შეცდომა ის იყო, რომ ჩვენი უარი არ გამოდგა საყოველთაო და ჩვენ ეს ვერ გავთვალეთ.** მაშინ ყველა პარტია ჩვენსავით რომ მოქცეულიყო, სააკაშვილს სახლში მარტო დავტოვებდით. ამას მოჰყვა 2009 წელი, რადიკალი „მემარჯვენეები“ არავის უნახავს, მაგრამ მაშინ საერთო „კაშაში“ მოვხვდით, რაც ძალიან ცუდი აღმოჩნდა და რამაც იდენტობა დაგვაკარგვინა.

**— რატომ იყო ბიძინა ივანიშვილი თქვენ მიმართ ასეთი კატეგორიული?**

— ეს მას უნდა ჰკითხოთ? თუმცა მაინც ვიტყვი იმას, რომ **ივანიშვილის მიზანი იყო, დარჩენილიყო პირისპირ სააკაშვილთან და ამ ვითარებაში „ახალი მემარჯვენეები“ არ გამოვადგებოდით, რადგან უკვე მკაფიოდ გვქონდა დაფიქსირებული, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად ვიღებდით მონაწილეობას. ამ დროს ის ამბობდა, რომ შუაში ყველაფერი უნდა გაიკრიფოსო!**

**«ივანიშვილის მიზანი იყო, დარჩენილიყო პირისპირ სააკაშვილთან და ამ ვითარებაში «ახალი მემარჯვენეები» არ გამოვადგებოდით»**

**— რატომ წყვეტთ ტაიმაუტს, რამე ისეთი მოხდა, რის გამოც გაჩუმება აღარ ღირს?**

— არა, ჩვენ გვჭირდებოდა შიდა გადაწყობა, მომხდარის გააზრება და, ასე ვთქვათ, ჭრილობების მოშუშება. არ არის იოლი პარტიიდან გამოკვეთილი ლიდერის წასვლა. ასევე, როგორც გითხარით, არსებობს ახალი ხელისუფლებისთვის კუთვნილი დრო.

**— მოგწონთ თუ არა ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც უკვე გადაიდგა?**

— ვამზადებთ პოლიტიკურ დოკუმენტს, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი თემაა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები. **„ახალი მემარჯვენეები“ ვიყავით და ვრჩებით დასავლეთზე ორიენტირებულ ძალად.**

2002 წელს პარლამენტმა ნატოსკენ სვლის პროექტი რომ მიიღო, იმ პროექტის ავტორები ჩვენ ვიყავით. **ყველანაირი სიკეთე, რომელზეც ვოცნებობთ, ნატოზე გადის. იმას არ ვამბობ, რომ ჩრდილოეთისკენ ზარბაზნები უნდა მივმართოთ. რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა და ნატოში ინტეგრაციის სინთეზის ერთად განხორციელება რთულია. ურთიერთობა უნდა დალაგდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ნატოსკენ მივისწრაფვით, რუსეთთან პარტნიორობა შეუძლებელია. შეთავსება შეუთავსებლისა არ არსებობს!**

**— რამდენიც უნდა ვისაუბროთ, ფაქტი ჯიუტია — რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება საზოგადოების დაკვეთაა.**

— ქვეყნის სწორი განვითარება არ შეიძლება გაიცვალოს მანდარინის გაყიდვაზე, როდესაც საუბრობენ ტერიტორიულ მთლიანობაზე, **ძალიან მიკვირს, ნატოზე უარის თქმის ხარჯზე რატომ უნდა დაგვიბრუნოს რუსეთმა ტერიტორიები?!**

**— ტერიტორიების დაბრუნების საკითხში მხოლოდ ნატოზე ორიენტირებულებს არჩევნებზე ხელი მოგეცარათ, ბევრი ამბობს, რომ თქვენი დრო წავიდა...**

— ბევრი, შესაძლოა, ფიქრობს, ამ ხელმოცარულებს რაღა უნდათო, მაგრამ მოდით პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაგვანახოს — გვინდა თუ არ გვინდა. ბევრი მინახავს პოლიტიკაში ფურორით მოსული და ძალიან მალე შეცვლილა სიტუაცია. მინახავს დაცემული პარტიებიც, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული, დღეს ასეთი მაგალითებიც გვაქვს, ამიტომ არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ვიღაცის დრო დამთავრდა.

პოლიტიკური ცხოვრება გრძელდება, საქართველო უკეთეს მდგომარეობაში ნამდვილად არ არის — არც შინ და არც გარეთ, მოსახლეობასაც უჭირს, მაგრამ მე არ მინდა ხალხს იმედი გაუცრუვდეს.

ამიტომ უკაცრავად ყველასთან, ვისაც ჰგონია, რომ პოლიტიკიდან გავიკრიფეთ. ჰოოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ალექსანდრე ჭაჭია რასაც ამბობს, მართალია. ტენდენცია, რომელზეც მიგვანიშნებს, მთელ მსოფლიოს მოედო, ხოლო ჩვენ ფეხის ხმას აყოლა და მიბაძვა რომ გვჩვევია, ჩავერთეთ ამ პროცესში, ვერ გათვალა სახელმწიფომ პერსპექტივა, მით უფრო, გარდამავალ პერიოდში.“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიკო ლეკიშვილი: სააკაშვილი კანიდან ძვრება, დადებითი შედეგი რომ არ დადგეს

**„საქართველო და მსოფლიოში“ თქვენი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ჩვენი გაზეთის არაერთმა მკითხველმა მოგვმართა შეკითხვით — რატომ წავიდა ბატონი ნიკო პოლიტიკური ასპარეზიდან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით დავიწყეთ დღევანდელი საუბარი.**



— მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ვიყარე კენჭი 2008 წელს, იყო კანონი, რომლის მიხედვით კანდიდატი აუცილებლად პარტიულ სიაში უნდა ყოფილიყო: დამოუკიდებელი ინსტიტუტი ამოიღეს.

**არ დაგიმალავთ, „ნაციონალური მოძრაობა“ მთავაზობდა მისი პარტიული სიით გასვლას, სხვებიც, მაგრამ მე ამის გაკეთება არ შემეძლო: ვერც წარმომედგინა ნაციონალთა კანდიდატად ჩემი თავი.**

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც შემომთავაზეს, თბილისში მეყარა კენჭი, ამაზეც უარი ვუთხარი. ვერ ვიქნებოდი იქ, სადაც ვერ ვიქნებოდი. ყოველთვის დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყავი, საინიციატივო ჯგუფის მიერ წამოყენებული.

**— დღეს ვითარება შეცვლილია.**

— დღეს უკვე გამოჩნდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელთანაც შემიძლია ვითანამშრომლო.

**ნაციონალების მართულ ქვეყანაში რა ვითარებაც შეიქმნა, იმას გაოგნებული ვუყურებდი და, მოდით, პირდაპირ გეტყვით, შეგნებულად დავმალე ჩემი თავი, გავედი ასპარეზიდან, გავერიდე: ხან თვალის ოპერაცია მოვიმიზეზე, ხან რა, ნაციონალების დაჟინებული შემოთავაზებებისგან თავის ასარიდებლად.**

**— უსაქმოდ დარჩენილი ნიკო ლეკიშვილი ძნელი წარმოსადგენია...**

— სიმართლე გითხრათ, დიდი არაფერი გამიკეთებია. ერთი პროექტი გვქონდა, — დელისის პროექტი, რომელიც ძალიან კარგად ხორციელდებოდა, მაგრამ შეჩერდა იმიტომ, რომ პარტნიორი ბაკურ კილურაძე დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით. ახლა გათავისუფლდა.

**— ჯაშუშობაში დასდეს ბრალი?**

— პიროვნულად გადაეკიდნენ რამდენიმე ფაქტორის გამო: მთავარი მაინც ის იყო, რომ სახელმწიფოს ედავებოდა თავის პირად საკითხებზე.

მისი ფირმის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც დაპატიმრებული იყო, დაკითხვაზე აჩვენა, რომ ბაკურ კილურაძე ჯაშუშიაო...

**— ციხეს ყველა ვერ უძლებდა, დააწერინებდნენ, რაც სურდათ.**

— ის ყოფილი თანამშრომელი გამოუშვეს და ეს ჩასვეს. ბუნებრივია, შეჩერდა „დელისის“ პროექტიც. ახლა, ალბათ, განახლდება. კილურაძეს უზურფრუქტით მიცემული ჰქონდა თბილისის ყოფილი ოფიცერთა სახლი. წაართვეს, რა თქმა უნდა, უკანონოდ. მისცეს სხვას. მიწის ფართობი ჰქონდა მთაწმინდის რაიონში. წაართვეს. ღამით მიიყვანეს პროკურატურაში და ხელი მოაწერინეს „თავისი ნებით“ მიწის ამ ნაკვეთის დათმობაზე. პრობლემები შეუქმნეს მის ოფისთან დაკავშირებითაც და ა.შ. გარდაბნის რაიონში გაუნადგურეს ნუშის პლანტაციები, რომელთა მოშენებაში უამრავი ფული ჰქონდა დახარჯული. ამას მოჰყვა სასამართლოები, რომლებშიც გაიმარჯვა, მაგრამ...

**— მაგრამ ასეთი „მომაბეზრებელი“ ფიგურა „ნაციონალებს“ აღიზიანებდა.**

— პრეზიდენტამდეც კი მივიდა საკითხი. ცხადია, ის რასაც იყვირებდა.

**— და თავზე დაიმხობდა ყველაფერს.**

— ბაკური დაიბარეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, უარი ეთქვა თავის ქონებაზე. ერთ-ერთი კომპეტენტური პირისგან გავიგე, რომ, თუ კილურაძე უარს იტყოდა თავისი პლანტაციების დათმობაზე, დავალებული გვაქვს, დავაპატიმროთო.

ბაკური იძულებული გახდა, გამოეტანა საჩივარი, მაგრამ უკვე ამუშავებული ძრავა აღარ შეაჩერეს.

ახლა გამოვიდა ციხიდან და, სხვათა შორის, ძველი ჩანიშნული სასამართლო სხდომა მოიგო.

მარტო ეს საქმე რომ ყოფილიყო... უამრავი სხვა საქმეც იყო.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, გოჩა ძასოხოვის ამბავი.

გოჩასთან ახლო ურთიერთობა მქონდა და ჩემ თვალწინ მოხდა ყველაფერი, რამაც მის თავზე გადაიარა.

ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მათ შორის, თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციაც. ისე მოუწყეს საქმე, რომ დიდ ვალებში ჩავარდა. რატომ შეიძულეს, იცით?

**— ვიცი, რა ლაპარაკიც იყო.**

— „ნაციონალების“ ხელისუფლებამ შესთავაზა, დათანხმებულიყო აბსოლუტურად კარიკატურულ თანამდებობაზე (სანაკოევი რომ დაინიშნა შემდეგ) წასვლას. ამან უარი შეუთვალა. ვერ და არ გააკეთებდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სულელური შეთავაზება იყო, მეც ვურჩიე, თავი არ გაეყო ამ უაზრობაში. მეორეც იმიტომ, რომ მას სულ სხვა ურთიერთობა ჰქონდა როგორც ცხინვალელ ოსებთან, ისე ჩრდილოეთ ოსეთელებთან.

დაიჭირეს, კეზერაშვილთან მიიყვანეს შუა ღამეს, ხელი მოაწერინეს რაღაც საბუთებზე. მოკლედ იძულებული გახდა, გადახვეწილიყო საქართველოდან. ან ალეკო გოცირიძეს ფაქტი ავიღოთ. გაითამაშეს ასეთი მიზანსცენა: სააკაშვილი მეტროში რომ ჩადიოდა, ქალი შეახვედრეს, რომელმაც შესჩივლა, რომ გაზი არ ჰქონდა.

„ხალხზე მზრუნველი“ მიშა აღშფოთდა: აუ, ეს გოცირიძე არის დამნაშავეო! გოცირიძეს თბილისის გაზმომარაგებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა: რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტს ემსახურებოდა. ისიც იძულებული გახადეს, წასულიყო საქართველოდან. **ბაჩანა ახალაია ცხოვრობდა წავკისში ალეკო გოცირიძის სიმამრის კომუნისტების დროს აშენებული აგარაკის მეზობლად. ჩამოართვეს და „საიდუმლო შეხვედრების“ ობიექტად აქციეს.**

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

**— მიგაჩნიათ, რომ დღეს სამართლიანობა იმარჯვებს?**

— რა თქმა უნდა. და არა მარტო სამართლიანობა. მთავრობამ დაიწყო მუშაობა. საკუთარ უფლებებში აღდგა სახელისუფლებო სტრუქტურები. მაგალითად, სააკაშვილის ხელში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არაფერს წარმოადგენდა. ახლა როგორც არის, როგორც უნდა ყოფილიყო, ხალხმა დაინახა. ინგრევა მონოპოლიები, ბიზნესი თავისუფლდება. სახელმწიფო რეკეტისგან და ა.შ. **დღეს სამართლიანობის აღდგენა ბიზნესში განსაკუთრებით გამოჩნდა.**

**— თუმცა ხალხი ბოლომდე კმაყოფილი არ არის იმით, რომ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს.**

— ცნობილია, რომ 10 ათასზე მეტი განცხადებაა შესული პროკურატურაში წართმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამ საქმეების შესწავლას პროკურორების შესაბამისი რაოდენობა ხომ სჭირდება? მაგრამ სად არის ამდენი პროკურორი?

მთავარია, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. სულსწრაფებს სურთ, რომ ყველაფერი სწრაფად დამთავრდეს.

**— გამოსავალს როგორს ხედავთ?**

— ჩემი აზრით, **უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ე.წ. რეზონანსული საქმეების შესწავლა. შედარებით წვრილმანზე ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ.** მაშინ უფრო სწრაფად გამოჩნდება შედეგები. სამართლის აღსრულება გართულებულია მიზეზთა გამო მრავალთა. ამიტომ არ უნდა ვიჩქაროთ.

**— მდგომარეობა კი მარტივი არ არის.**

— მეტსაც გეტყვით: სააკაშვილმა გამოაცხადა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უცხოეთში თავისი გამოსვლებით, ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ მის კომპეტენციაში არსებული შესაძლებლობით პარლამენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა დაბლოკვით იგი ხელოვნურად ქმნის ბარიერებს. მთავრობას ძალიან დიდი დრო ეხარჯება ამ წინაღობათა გადასალახად. მუდმივი თავის მართლების პოზიციაში ჩაყენებას უამრავი დრო მიაქვს.

## «დღეს სამართლიანობის აღდგენა ბიზნესში განსაკუთრებით გამოჩნდა»

**— ხალხს კი ეჩქარება შედეგების დანახვა.**

**— სააკაშვილი კანიდან ძვრება, დადებითი შედეგი რომ არ დადგეს. ხელის შეშლის სტრატეგიაა, რასაც მიშა აკეთებს.**

**— გავაფართოოთ საუბრის არეალი. ქართველ მეცნიერს, პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას ფრიად საყურადღებო ინტერვიუების ციკლში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა, ერთმა ასეთმა დებულებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: *„დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებსა და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას „ბერძნული ვარიანტი“ ელის“.*
ეთანხმებით?**

— „ნაციონალებმა“ თავიანთი „ეკონომიკური მოღვაწეობა“ ყველაფრის გაყიდვით დაიწყეს და გააგრძელეს. ერთი თვალსაჩინო მაგალითი: შევარდნაძეს ირანელებმა ფოთის ნავსადგურის ერთი ნაწილის მიყიდვა შესთავაზეს. დღესაც მახსოვს, რა თქვა მაშინ შევარდნაძემ: მე იმათ ისტორიულ ოცნებას ვერ ავუხდენო. სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა სააკაშვილის მთავრობამ დაიწყო: ფოთის პორტი და სანაოსნო მის დროს გაიყიდა. სანაოსნო ას მილიონ დოლარად გასხვისდა, ხოლო იმან, ვინც იყიდა, ორი ახალი გემი 150 მილიონ დოლარად გაყიდა! ამას პატარა გემებიც მიაყოლეს და, პირდაპირი გაგებით, დავრჩით მშრალზე.

**ალექსანდრე ჭაჭია რასაც ამბობს, მართალია. ტენდენცია, რომელზეც მიგვანიშნებს, მთელ მსოფლიოს მოედო, ხოლო ჩვენ, ფეხის ხმას აყოლა და მიბაძვა რომ გვჩვევია, ჩავერთეთ ამ პროცესში, ვერ გათვალა სახელმწიფომ პერსპექტივა, მით უფრო, გარდამავალ პერიოდში.**

**— მსოფლიოშიც ვერ გათვალეს?**

— პირდაპირ გეტყვით: უწინ უფრო სერიოზული იდეები იყო მსოფლიოში. შემდეგ დაკნინდა. ეს იდეები აიტაცეს ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა. სახელმწიფოების სათავეებში მოვიდნენ მცირე კალიბრის „მოღვაწენი“, რომელთაც ალღო ვერ აუღეს შექმნილ ვითარებას, ირწმუნეს ამ „ახალი“ იდეების და ახლა ვერ გამოდიან მდგომარეობიდან.

პატარა ქვეყნები უფრო ადვილად უვლიან გვერდს კრიზისებს, თუ ჭკვიანი ხელისუფლება ჰყავს, ნაკლები დანაკარგებით. სწორი მართვის პირობებში შეგვიძლია ავცდეთ ამ კატაკლიზმებს.

საბერძნეთი დიდი ქვეყანაა, გახსნა თავისი ბაზარი, შემოუშვა დიდი კომპანიები, რომლებმაც შეჭამეს მისი რესურსები და სამათხოვროდ ხელგაწვდილი დატოვეს. ვალებმა დაახრჩო სახელმწიფოები. ამერიკაც კი ვერ გადაურჩა ამ ტენდენციას.

**ახლა ყველაზე უფრო სახიფათოა, რომ შეიქმნა ისეთი პოლიტიკური ვითარება, როცა უპასუხისმგებლო ფიგურანტების მცდელობითა და მეშვეობით შესაძლებელია ძალიან დიდი კრიზისების გამოწვევა. ვლაპარაკობ კონკრეტულ ადამიანზე, რომლის მოქმედების პროგნოზირება შეუძლებელია.**

**— მიხეილ სააკაშვილს გულისხმობთ?**

— დიახ. იმდენად იმპულსურია, იმდენად დიდი სიცრუის მანქანას ფლობს, იმდენი ბერკეტი აქვს, რომ დიდი უბედურების დატრიალება შეუძლია. გამორიცხული არ არის, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოიწვევს ხალხის მღელვარებას, მასობრივ გამოსვლებს, და დაინგრევა ის იმედები, რომლებიც ადამიანებს აქვთ.

**— აქედან გამომდინარე, შემოთავაზებული კოაბიტაცია საეჭვოა?**

— მე ასე მგონია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «ბაჩანა ახალაია ცხოვრობდა წავკისში ალეკო გოცირიძის სიმამრის კომუნისტების დროს აშენებული აგარაკის მეზობლად. ჩამოართვეს და «საიდუმლო შეხვედრების» ობიექტად აქციეს»

გამოცდილება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის კონსტიტუცია და ფედერალური კანონმდებლობა კოლეგიის წევრებს არ ავალდებულებს, ხმა მისცენ მათი თანამემამულეების მიერ დაფიქსირებული ხმების შესაბამისად...**



## გორბაჩოვმა შევარდნაძეს იუბილე მიულოცა

**25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 85 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იუბილარს მიულოცეს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, გერმანიის ყოფილმა ვიცეკანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა, მისალოცი წერილი გამოუგზავნა სსრკ ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა, რომელიც ამჟამად სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტოლოგიური კვლევების საზოგადოებრივ ფონდს უდგას სათავეში. მის წერილს უცვლელად გთავაზობთ:**

**„საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს**

**ძვირფასო ედუარდ!**

მიიღე ჩემი უგულითადესი მოლოცვა შენს 85 წელთან დაკავშირებით. ჩვენ წილად გვერგო დიდი ცხოვრება, რომელიც გამორჩეული იყო ისტორიული მოვლენებით, უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პირადი განსაცდელით. მაგრამ ჩვენი სავალი გზა ჩვენივე არჩეული იყო, გზა, რომლის საბოლოო მიზანი იყო გარღვევა თავისუფლებისკენ, ადამიანების თავისუფლებისკენ, ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი ხალხების კეთილდღეობისკენ, რაგინდ პათეტიკურად ჟღერდეს ეს!

დღევანდელ დღესავით მახსოვს 1979 წლის დეკემბრის ის დღე ბიჭვინთაში, რომელიც ჩვენი ურთიერთობის ჭეშმარიტების მომენტად იქცა: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!" — ვუთხარით მაშინ ერთმანეთს. ეს ბევრი სიახლის დასაწყისი იყო. მარშრუტი უფრო რთული და მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდით. მაგრამ სწორედ ჩვენ, ჩვენმა თანამოაზრეებმა, ჩვენმა მომხრეებმა ვიკისრეთ პასუხისმგებლობა და დავიწყეთ საფუძვლიანი თანამედროვე დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებსაც ელოდნენ და მიესალმნენ თანამოქალაქეთა თაობები, ჩვენი შემცვლელი ახალგაზრდობა.

ყველაფრის გაკეთება ვერ შევძელით. თავიდან ვერ ავიცილეთ შეცდომები და დანაკარგები, დასანანი უკანდახევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ: თავისუფლებისკენ გარღვევა შეუქცევადია. დარწმუნებული ვარ: გონიერება და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებანი, რომლებსაც ამ მიწაზე ჩვენი ხალხები საუკუნეობით იცავდნენ, გაიმარჯვებს.

გისურვებ შენ და შენს ახლობლებს ახალ ძალებს — ფიზიკურსა და სულიერს.

**გეხვევი მიხაილი.**
**2013 წლის 25 იანვარი.**

**P.S. გიგზავნი ჩემს ახალ წიგნს, რომელსაც ვუწოდე „საკუთარ თავთან მარტო". იქ, ცხადია, ბევრი მითითებაა ჩვენს თანამშრომლობაზე".**

# რას წარმოადგენს ამომრჩეველთა ლიგა ანუ აშშ-ის ნახევრადდემოკრატია

**ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს: ამ სახელმწიფოებრივ აქტს განახორციელებენ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები. საქართველოში დღეს აქტიურად ბჭობენ პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის საკითხზე, ამ უფლების პარლამენტისთვის მინიჭების თაობაზე. ამიტომ უპრიანია, დეტალურად გავერკვეთ ამერიკული დემოკრატიის ზემოთ ნახსენებ წარმონაქმნზე, რომელსაც ზოგი კონსტიტუციონალისტი ნახევრადდემოკრატიას უწოდებს, ზოგი ექსპერტი ხალხის ნების დათრგუნვად მოიხსენიებს, ზოგი ანალიტიკოსი აშშ-ის ისტორიის რელიქტურ გადმონაშთად მიიჩნევს.**



## საიდან მოდის ამომრჩეველთა კოლეგია?

ამომრჩეველთა კოლეგიის (Electoral College) ინსტიტუტი აშშ-ში 1787 წელს შეიქმნა. მთელმა რიგმა მიზეზებისა განაპირობა მისი შემოღება: იმ დროს აშშ-ში არ იყო ძლიერი პოლიტიკური პარტიები, არ ფუნქციონირებდა საერთოეროვნული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომუნიკაციის სისტემაც არ არსებობდა. საინტერესო დეტალია: იმ პერიოდის ამერიკელები და მათი თანამედროვე ევროპელები თავიანთ საცხოვრისს იყვნენ მიბმულნი და 8-10 კილომეტრით თუ დასცილდებოდნენ მას.

ჩვეულებრივ მოქალაქეებზეა ლაპარაკი, უბრალო ხალხზე.

ხალხზე, რომელსაც უნდა აერჩია ქვეყნის პრეზიდენტი.

მაგრამ ვინ? რომელი პოლიტიკური მოღვაწე? ის, რომელსაც იცნობდა, ან ის, ვისზეც რაღაც მაინც გაეგო. **პოლიტიკოსები კი ასე თუ ისე პოპულარულები იმ მოქალაქეებში შეიძლება ყოფილიყვნენ, რომლებიც მცირე ტერიტორიაზე სახლობდნენ: საერთოეროვნულ მასშტაბზე ოცნება არ შეიძლებოდა.**

**ისტორიკოსები გაგვისწორებენ და ჯორჯ ვაშინგტონის მაგალითს დაგვისახელებენ, რომელიც საერთოეროვნული მასშტაბის ფიგურა იყო. მართალია. ვერ შეეკამათები, მაგრამ იგი პოლიტიკაში არმიის სარდლობიდან მოვიდა. ეს კი განსაკუთრებული და გამონაკლისი მოვლენა იყო.**

გამონაკლისებზე არ ვლაპარაკობთ.

შტატების დამაარსებლებს, ზემოთ თქმული ფაქტორების გარდა, კიდევ ერთი თავსატეხი ჰქონდათ: მათ აფიქრებდათ (და საფუძვლიანადაც), რომ არსებულ რეალობაში ამომრჩეველთა სიმპათია შეიძლება მოეპოვებინათ პოპულისტებს და სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტებს. **მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მცირემცოდნე იყო და მისი შეცდენა სავსებით შესაძლებელი იყო. ამას ნებისმიერი პოლიტიკანი შეძლებდა და სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლების სათავეში არ აღმოჩენილიყო შემთხვევითი ადამიანი, მღვრიე ნაკადის გაფილტვრა დაეკისრა ამომრჩეველთა კოლეგიას.**

შემდეგი არგუმენტი ისეთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხება, როგორიც იყო და არის ცალკეული შტატების სუვერენიტეტი, უწინარეს ყოვლისა, მცირედდასახლებული შტატების სუვერენიტეტი. სწორედ მათ არ დაუჭირეს მხარი საერთოეროვნული პირდაპირი არჩევნების სისტემას. მათი შიში საფუძვლიანი იყო, რადგან შტატებს, რომელთა მოსახლეობა გაცილებით დიდი რაოდენობით გამოირჩეოდა (ნიუ იორკის, ვირჯინიის შტატები) ამომრჩეველთა რაოდენობის წყალობით, წლიდან წლამდე შეეძლოთ აშშ-ის პრეზიდენტად თავიანთი კანდიდატის გაყვანა.

**ამომრჩეველთა კოლეგიას, რომელიც დაკომპლექტდებოდა თავთავიანთ შტატებში ავტორიტეტული მოქალაქეებისგან, დაეკისრა საყოველთაოდ მისაღები, გააზრებული და გონიერი გადაწყვეტილებების მიღება.**

აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, **ამომრჩეველთა კოლეგია სახელისუფლო ინსტიტუტი კი არ არის, არამედ იურიდიული პროცესია, რომელშიც ამჟამად 538 ამომრჩეველი მონაწილეობს.** აშშ კონსტიტუცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ კოლეგიის წევრები (ამომრჩევლები) უბრალო მოქალაქეები კი არ არიან, არამედ გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნებები, რომლებსაც ხელეწიფებათ შტატის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა. კონკრეტულად ვინ უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ შტატს კოლეგიაში, დამოუკიდებლად წყვეტს თითოეული შტატი.



წარმომადგენლებს ირჩევენ შტატის პარტიულ ყრილობებზე ან შტატის პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე. ტრადიციულად ამომრჩევლებად გვევლინებიან სენატორები და კონგრესმენები, პოპულარული პოლიტიკოსები ან პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაახლოებული ადამიანები.

**არჩევნების დღისთვის თითოეულ შტატში საბოლოოდ აქვთ ჩამოყალიბებული ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების ორი სია, რომლებიც წარდგენილია დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მიერ.**

**მას შემდეგ, რაც დამთავრდება არჩევნების შედეგების გამოქვეყნება, გუბერნატორი ხელს აწერს იმ პარტიის ამომრჩეველთა სიას, რომლის კანდიდატმაც გაიმარჯვა ამ შტატის არჩევნებში. სწორედ ეს ადამიანები, უკვე ფორმალურად, აირჩევენ პრეზიდენტს.**

ზოგიერთ შტატში ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების გვარები შეაქვთ საარჩევნო ბიულეტენებში, ზოგში — არა.

## როგორ ადგენენ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრთა რაოდენობას?

ძალიან მარტივად: მათი რაოდენობა დგინდება შტატის მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით და აქედან გამომდინარე. ბუნებრივია, რომ ამის გამო რაოდენობრივი მხარე არჩევნების მომდევნო ციკლში განსხვავდება წინამორბედისგან.

აქვე უნდა ითქვას, ყვე- ▶

## მარტიდან სასამართლოში ფოტო, აუდიო და ვიდეო გადაღება აღდგება

**სასამართლო სხდომებზე ფოტო, აუდიო და ვიდეო გადაღება 2013 წლის პირველი მარტიდან კვლავ იქნება შესაძლებელი. შესაბამისი ცვლილება საქართველოს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" უკვე შევიდა.** მედია.გე-ს ინფორმაციით, ახალი ნორმის თანახმად, სასამართლოს თანხმობით, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, ვიდეოჩაწერა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მხარეებს და სხვა პირებს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე შეეძლებათ. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული განჩინებით.

კანონში ასევე ჩაიწერა, რომ **დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისთვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო, ვიდეო და სხვა აუდიოსაშუალებების ჩამორთმევა.**

1 მარტიდან სასამართლო ვალდებული იქნება, თავად ჩაიწეროს სასამართლო პროცესი და მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს აუდიო-ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის ან სხვა პირთათვის ხელმისაწვდომობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკაში ამომრჩეველთა კოლეგიის წევრებს თუ მაინც ირჩევს ხალხი, ჩვენთან ცესკოს რამდენიმე წევრს ჰქონდა მინდობილი გადაწყვეტილების გაფორმება — მიშა იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი თუ... მიშა.

◀ლაზე მცირემოსახლეობიან შტატს კოლეგიაში 3 წევრზე ნაკლები არ შეიძლება ჰყავდეს. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 3-3 წევრი ჰყავდა ალიასკის, ვაიომინგის, მონტანას, ჩრდილოეთ დაკოტის, ვერმონტის და კოლუმბიის ფედერალური ოლქის (დე ფაქტო — ქალაქი ვაშინგტონი), მაქსიმალური წევრებით იყო წარმოდგენილი კალიფორნიის (55), ტეხასის (38), ფლორიდისა და ნიუ იორკის (29-29) შტატები.

ამერიკელი ამომრჩევლების ყველა ხმას ერთი და იგივე „წონა“ აქვს. ვაიომინგის შტატში ცხოვრობს 568 ათასი ადამიანი, ანუ კოლეგიის ერთი წევრი დაახლოებით 189 კაცზე მოდის. კალიფორნიის შტატის მოსახლეობა 37,7 მილიონია. კალიფორნია კოლეგიაში აგზავნის, როგორც ზემოთ მიგანიშნეთ, 55 წევრს: ერთი ამომრჩეველი 700 ათას კალიფორნიელზე მოდის. მაშასადამე, ხმა, რომელიც მიცემულია პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ვაიომინგში, გაცილებით „მნიშვნელოვანია“, ვიდრე კალიფორნიელის მიერ მიცემული ხმა.

**ამომრჩეველთა კოლეგია იკრიბება პირველ ორშაბათს პრეზიდენტის არჩევნების მომდევნო დეკემბრის მეორე ოთხშაბათის შემდეგ.** (პრეზიდენტის არჩევნები კონსტიტუციის მიხედვით იმართება პირველ სამშაბათს ნოემბრის პირველი ორშაბათის შემდეგ). **კოლეგიის ამომრჩეველთა საერთო კრება არ იმართება: მათთვის ხმის მიცემის პროცედურა ეწყობა მშობლიური შტატების მიხედვით ცალ-ცალკე.**

ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები, რომლებიც ერთ შტატს წარმოადგენენ, როგორც წესი, ერთხმად აძლევენ ხმას. გამონაკლისი ნებრასკისა და მენის შტატებია, სადაც ამომრჩევლების ნების გამოხატვის უფრო რთული სისტემა მოქმედებს.

მაგრამ ამ სირთულეებში გარკვევის მცდელობა ჩვენთვის იგივეა, რაც ლაბირინთში შესვლა მეფე მინოსის ქალიშვილის არიადნას ძაფის გარეშე.

**კოლეგია, ფაქტობრივად, არ არსებობს, როგორც ერთობლივი სხდომების ჩამტარებელი ორგანო: ერთსა და იმავე დღეს მისი წევრები იკრიბებიან თავიანთი შტატის დედაქალაქში და აძლევენ ხმას, მათ ხმებს შემდეგ აჯამებენ. სულ ესაა.**




თითოეული შტატის ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები იმდენივეა, რამდენი წარმომადგენელიც ჰყავს ამ შტატს კონგრესში. ფედერალური ოლქი კოლუმბია, რომლის ტერიტორიაზე ქვეყნის დედაქალაქი ვაშინგტონი მდებარეობს, კონგრესში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნებში კოლეგიის იმდენი წევრითაა წარმოდგენილი, რამდენიც შეიძლებოდა ჰყოლოდა, შტატი რომ ყოფილიყო, მაგრამ არაუმეტეს ყველაზე უფრო დასახლებული შტატისა.

**აშშ-ის კონსტიტუცია და ფედერალური კანონმდებლობა კოლეგიის წევრებს არ ავალდებულებს, ხმა მისცენ მათი თანამემამულეების მიერ დაფიქსირებული ხმების შესაბამისად, მაგრამ ამავე დროს ასეთი მოთხოვნა ჩაწერილია 26 შტატის კანონმდებლობაში.**

იშვიათ შემთხვევაში ამ კანონის დამრღვევი ჯარიმდება მაქსიმუმ ერთი ათასი დოლარით. **კოლეგიის წევრები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი პარტიების წინაშე.**

თუ პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების უმრავლესობის ხმებს (270 ხმას), პრეზიდენტს ირჩევს წარმომადგენელთა პალატა, ვიცეპრეზიდენტს კი — სენატი. უკანასკნელად ასეთი არჩევნები გაიმართა 1824 წელს.

**კონგრესის ორივე პალატის ერთობლივ სესიაზე, რომელიც 6 იანვარს იმართება, კოლეგიის წევრების ხმები ჯამდება. არჩევნების ოფიციალურ შედეგებს აქვეყნებს მოქმედი ვიცეპრეზიდენტი.**

## გამარჯვებულს – ყველაფერი

ამომრჩეველთა კოლეგიის საქმიანობის თავისებურებამ უკანასკნელ ათწლეულებში გამოიწვია ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთი დროისა და სახსრების უდიდეს ნაწილს ახმარენ იმ, ყველაზე უფრო „საკამათო“ შტატებში აგიტაციის წარმართვას, რომლებშიც არ არის რესპუბლიკური ან დემოკრატიული უმრავლესობა: **თუ რესპუბლიკელების კანდიდატი თუნდაც ერთი ხმით გაიმარჯვებს დემოკრატების კანდიდატზე, იგი ავტომატურად მიიღებს კოლეგიის ყველა წევრის ხმებს.**

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თეთრი სახლის ახალი პატრონი გამოავლინა რამდენიმე ათეულმა ხმამ, რომლებიც ჯორჯ ბუშ უმცროსს ფლორიდის შტატის ამომრჩევლებმა მისცეს. იმუშავა პრინციპმა: „გამარჯვებულს — ყველაფერი“. ფლორიდის ამომრჩეველთა კოლეგიის ყველა წევრმა ხმა ბუშს მისცა, რამაც უზრუნველყო მისი გამარჯვება ანგარიშით 271:266. ბუში პრეზიდენტი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ხმების საერთო რაოდენობით მას გაუსწრო კონკურენტმა, დემოკრატმა ელ გორმა. ასეთივე სიტუაცია დაფიქსირდა 1824, 1876 და 1888 წლების არჩევნებში, როცა გამარჯვებულებმა საერთოეროვნული მასშტაბით ნაკლები ხმები მიიღეს დამარცხებულ კანდიდატებთან შედარებით.

აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის მონაცემებით, ორი საუკუნის განმავლობაში კონგრესმა განიხილა კანონებისა და კონსტიტუციის შესწორების 700-ზე მეტი პროექტი, რომლებიც საარჩევნო სისტემის სერიოზულ რეფორმირებას ითვალისწინებდა.

**ექსპერტები, კონსტიტუციონალისტები, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მოქმედი სისტემა მოძველდა, რომ ქვეყნის ბედს წყვეტენ არა მისი მოქალაქენი, არამედ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები.**

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ამ საკითხზე იშვიათად ტარდება, მაგრამ ბოლო 15 წლის მანძილზე გამოიკვეთა მისი შეცვლის მოთხოვნის ტენდენცია. ამერიკელები უპირატესობას პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს ანიჭებენ, მაგრამ, როგორც ანალიტიკოსები ასკვნიან, კოლეგია კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

რატომ?

იმიტომ, რომ ასე სურს მმართველ ელიტას, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, უმსხვილეს კორპორაციებს, ძლიერთ ამა ქვეყნისა.




## „სექენდ ჰენდი“

მაშ, ასე: შევეცადეთ, გავრკვეულიყავით შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის საარჩევნო სისტემის თავისებურებებში, ჩახლართულობასა და ჩაგვირისტებაში და მივადექით ერთადერთ დასკვნას: **აშშ-ში პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს.**

აბა — დემოკრატიააო?

ხალხი ირჩევს ამომრჩეველთა კოლეგიას, რომლის წევრების რაოდენობა, საბჭოური ГОСТ-ებისა არ იყოს, ზუსტად დადგენილ-დაწესებულია. ისეა, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრებს ირჩევდნენ პარტიის წევრთა მასიდან. ისინი კი — ქვეყნის მეთაურს — გენერალურ მდივანს.

ის სისტემა არ იყო დემოკრატიული.

ამათი სისტემა თურმე დემოკრატიულობის ნიმუშია. ისეთი ნიმუში, რომელიც მსოფლიოში უნდა დაინერგოს, ამისთვის თუნდაც ბალკანეთის დაბომბვა გახდეს საჭირო, თუნდაც ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების სახელმწიფო წყობილების აფეთქება.

მეორე წელიწადია, ვერ დაწყნარდა აშშ-ის მიერ გადემოკრატიულებული მაშრიყ-მაღრიბი.

ნახევრადდემოკრატია.

ანუ — ელიტის მიერ უზურპირებული ნება ხალხის, როგორც საქართველოში იყო სააკაშვილის მმართველობის ოქროს ხანაში და რომელიც „მოსწონდა ასე ძლიერ“ აშშ-ის ელჩს საქართველოში — ჯონ ბასს, რომელიც, როგორც ბასმაჩები გასული საუკუნის დასაწყისში აკონტროლებდნენ ცენტრალური აზიის ტერიტორიას, ისე განაგებდა საქართველოს ნაცელიტის ხელით.

**კალკირებული ერზაცდემოკრატია. რა თქმა უნდა, ნაციონალური თავისებურების მაქსიმალიზმით გამორჩეული: ამერიკაში ამომრჩეველთა კოლეგიის წევრებს თუ მაინც ირჩევს ხალხი, ჩვენთან ცესკოს რამდენიმე წევრს ჰქონდა მინდობილი გადაწყვეტილების გაფორმება — მიშა იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი თუ... მიშა.**

ბასმაჩები საბჭოთა ხელისუფლებამ ალგავა უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და ყირგიზეთიდან.

ახლა მოჯაჰედები გამოვიდნენ ასპარეზზე, იგივე ბასმაჩები — ჯიჰადის მებრძოლები ურწმუნოთა წინააღმდეგ.

რიჩარდ ნორლანდიც ასევე ხომ არ ჩაენაცვლა ჯონ ბასს?

**დავა-კამათი საქართველოში პრეზიდენტის არჩევის სისტემის შეცვლის თაობაზე ძალიან ჰგავს შემოგდებულ პრობლემას და ბევრ შეკითხვას ბადებს.**

პასუხის გამცემიც გამოჩნდება. ჯერჯერობით კი აშკარად ჩანს, რომ ამერიკული სისტემა საქართველოს ვერ მოერგება. თავად ამერიკელები უპირატესობას პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს ანიჭებენ და არსებულის შეცვლას მოითხოვენ.

ეგეც „სექენდ ჰენდი“ ხომ არ არის, ჩვენ რომ მივაწყდეთ?

პუბლიკაცია მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

## რას უკავშირდება მესტიაში ტურისტების შემცირება?

**სამვარსკვლავიანი სასტუმროების ქსელის მმართველი კომპანია „ჯეო ოტელის“ დამფუძნებელი გუდაურის კურორტზე ტურისტების სიმცირეზე საუბრობს, ხოლო სვანეთთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მესტია, როგორც ზამთრის ტურისტული მიმართულება, თითქმის აღარ არსებობს და ამ კურორტზე სასტუმროს გაჩერებაზე ფიქრობენ.**

თუმცა „გუდაურის განვითარების ფონდში“ ამტკიცებენ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ყველა სასტუმრო ტურისტებითაა გადავსებული. ფონდში ვერ აკონკრეტებენ, რა რაოდენობის ტურისტი ეწვია კურორტს, მაგრამ აცხადებენ, რომ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მესტიის უმსხვილეს სასტუმრო „თეთნულდის“ ადმინისტრაციაში „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ გასულ წელთან შედარებით ტურისტების რაოდენობა შემცირებულია, თუმცა კურორტი საკმაო რაოდენობის ვიზიტორს მასპინძლობს. მათი თქმით, მარტო „თეთნულდმა“ ამ დრომდე 1000 ტურისტი მიიღო, ტურისტთა სიმრავლეა საოჯახო სასტუმროებშიც.

## ბენდუქიძესთან გია ხუხაშვილის დებატები ჩაიშალა

**„რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „ბიზნესკურიერში“ გია ხუხაშვილისა და კახა ბენდუქიძის დებატები არ შედგა. ჟურნალისტის შეკითხვისა და კახა ბენდუქიძის რეპლიკების გამო გია ხუხაშვილმა ეთერი პროტესტის ნიშნად დატოვა.**

პროტესტი ექსპერტს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც გადაცემის წამყვანმა აკაკი გოგიჩაიშვილმა ხუხაშვილს რუს ინვესტორებთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა, ეგულებოდა თუ არა მას პატიოსანი ინვესტორები რუსეთში.

**„რა შუაში იყო ახლა რუსეთი! აბსოლუტურად არაპროფესიონალის მიერ დასმული შეკითხვაა და ეს არის თქვენ მიერ მიზანმიმართულად განხორციელებული პროვოკაცია. მე აღარ გაგცემთ პასუხს, ესაუბრეთ მეორე რესპონდენტს“,** — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ექსპერტის განცხადება და პროტესტი კახა ბენდუქიძემ იუმორისტულ შოუს შეადარა.

მოკლედ

## პატიმარი, რომელსაც ცოლის გაუპატიურება აყურებინეს, ჭკუიდან შეიშალა

**ყოფილი პოლიტპატიმრის, რატი მაისურაძის, ინფორმაციით, ეს საზარელი ფაქტი გლდანის ციხის უფროსის მოადგილის, ვიქტორ ყაჭეიშვილის, კაბინეტში მოხდა — პატიმარს ცოლის გაუპატიურება აყურებინეს, რის გამოც ის ჭკუიდან შეიშალა. ამის თაობაზე განცხადება მაისურაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

მაისურაძის განცხადებით, პატიმრების მიმართ ცემისა და წამების ათასნაირ მეთოდს იყენებდნენ.

**„გლდანის ციხის პატიმართა 80%-ს ყურთასმენა აქვს დაკარგული და იცით, რატომ? დააყენებდნენ პატიმარს ორივე ყურზე ერთდროულად მთელი ძალით დაარტყამდნენ გაშლილ ხელებს და ყურის ბარაბანს უხეთქავდნენ“,** — აცხადებს მაისურაძე. მისივე ინფორმაციით, 2011 წლის 25 მაისს, რუსთაველის გამზირზე აქციის დარბევის წინა ღამეს, ციხეში გადაჭრილი არმატურები და სპეცრაზმის ფორმები შეიტანეს და ოფიცრებს დაურიგეს. შემდეგ კი გადაჭრილი არმატურებით შეიარაღებული დაახლოებით 100 თანამშრომელი 26 მაისის აქციის დასარბევად წაიყვანეს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ამერიკაში განგსტერული ბანდების შემადგენლობაში 1 400 000 ადამიანი შედის. 2009 წლიდან ეს რიცხვი 40%-ით გაიზარდა. ჩიკაგოში პოლიციის ორასი ოფიცერი იბრძვის 100 000 ბანდიტის წინააღმდეგ, ანუ თანაფარდობაა 1/500.**

# მაიკლს სნაიდერი: ჩვენ ნამდვილად დანწყევლილნი ვართ

**ნოემბრის დასასრულს აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და არჩევნებზე მისი ყოფილი კონკურენტი მიტ რომნი ინდაურის ხორცს და გრილზე შემწვარი ქათმის სალათს მიირთმევდნენ კერძო სადილების დარბაზში, რომელიც ოვალურ კაბინეტს ახლავს. თან საუბრობდნენ ამერიკის ლიდერულ პოზიციებზე მსოფლიოში და მის შენარჩუნებაზე სამომავლოდ. ვიდრე ეს ბატონები დელიკატესებს აგემოვნებდნენ, ოპოზიციის აქტივისტები ამერიკაში მოშიმშილეებს ითვლიდნენ. აშშ-ში მილიონობით ადამიანს ახალ წელსა და შობას საჭმელი არაფერი ჰქონდა.**



2012 წლის აგვისტოში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც აშშ-ში სურსათის ტალონებს იღებს, 47,1 მილიონამდე გაიზარდა. 2008 წლის ოქტომბერში ეს ციფრი 30,8 მილიონს შეადგენდა. მოშიმშილეთა რაოდენობა ერთ-ნახევარზე მეტჯერ გაიზარდა. ამერიკაში ყოველი მეშვიდე ადამიანი და ყოველი მეოთხე ბავშვი 2012 წელს სურსათის ტალონების ხარჯზე ცხოვრობდა. ამით გადააბიჯეს მათ ახალ, 2013 წელში.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, **2011 წელს ღატაკი ამერიკელების რაოდენობა ახალ რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა და 49,7 მილიონს გადააჭარბა.** ეს ციფრი ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონით იზრდება. აშშ-ში ბავშვების 22% სიღატაკეში ცხოვრობს.

ჟურნალისტი მაიკლ სნაიდერი წერს, რომ ამერიკელები უკვე ძალიან დაიღალნენ კრიზისისგან. ახლა ამერიკაში მოსახლეობის 49% ცხოვრობს ოჯახში, სადაც ერთი წევრი მაინც იღებს სახელმწიფო დახმარებას. ამერიკაში არა მხოლოდ ადამიანები შიმშილობენ, არამედ ქალაქები კვდებიან. მაგალითად, **დეტროიტში მთელი რაიონებია გამოცარიელებული და თავდაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობები წელიწადში დაახლოებით 7%-ით იზრდება.**

იმავე ავტორის მასალის თანახმად, გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, **ახლა ამერიკაში განგსტერული ბანდების შემადგენლობაში 1 400 000 ადამიანი შედის. 2009 წლიდან ეს რიცხვი 40%-ით გაიზარდა. ჩიკაგოში პოლიციის ორასი ოფიცერი იბრძვის 100 000 ბანდიტის წინააღმდეგ, ანუ თანაფარდობაა 1/500.**

ამერიკელები უგულოები გახდნენ. ახლახან არლინგტონში ადამიანს მანქანა დაეჯახა. მსხვერპლი ძირს ეგდო და სისხლისგან იცლებოდა, ვიდეოთვალთვალის კამერებმა დააფიქსირა — გვერდით გამვლელთაგან არავინ შეიწუხა თავი მის დასახმარებლად.

**ამერიკელები მასიურად განიცდიან განგაშის შეგრძნებას.** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ამერიკელთა 31% მუდმივად შფოთავენ. ასე არ შფოთავენ მსოფლიოს არც ერთ სხვა, თუნდაც ყველაზე ღატაკ და ყველაზე უპერსპექტივო ქვეყანაში.

**ამერიკაში მხოლოდ ფილმებსა და სერიალებს იღებენ ოჯახური ცხოვრების შესახებ, რეალობაში კი ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა განქორწინებების მხრივ.**

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში!

XXI საუკუნის ამერიკას თავისუფალი ადამიანების ქვეყანას ვერავინ უწოდება, ეს გერმანული გესტაპოს გაფართოვებული ვერსია უფროა.

## აშშ: თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დატოვეთ ყველამ!

იყო დრო, როდესაც სახლი და მიწის ნაკვეთი „ამერიკული ოცნების" განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ამერიკაში კერძო საკუთრებაც კი ძალზე პირობითი მცნებაა. იქ აკონტროლებენ ყველაფერს — სახლში სტუმრების რაოდენობიდან დაწყებული უძრავი ქონების დანიშნულებისამებს გამოყენების წესის ჩათვლით. სამართალდამცავებს ყველაფერზე შეუძლიათ შემოდავება. მაგალითად, კერძო საკუთრების „არასწორი" გამოყენება ისჯება. ამერიკელს, შესაძლოა, სახლში შეუვარდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ მის გაზონზე ბალახი დასაშვებზე მაღალია. სახლის გადაკეთების მსურველებმა ეს სახლი ჯერ მიწასთან უნდა გაასწორონ, შემდეგ ჯარიმები გადაიხადონ და მხოლოდ ამის შემდეგ ააშენონ ახალი. როდ-აილენდში 81 წლის ქალს სულ რაღაც 474 დოლარი მართებდა სახელმწიფოსი. საგადასახადო ვაჭრობაზე კორპორაციამ მისი სახლი სულ რაღაც 836 დოლარად და 39 ცენტად იყიდა. ქალი გამოასახლეს სახლიდან, სადაც 40 წელზე მეტი იცხოვრა, კორპორაციამ კი სახლი 85 000 დოლარად გაყიდა.

რაც მთავარია, ეს ყველაფერი არც მეზობლებს ადარდებთ, არც ახლობლებს. მეორე მხრივ, **ამერიკაში ხმამაღლა აღშფოთებაც სახიფათოა**. ნებისმიერს მუდმივად უთვალთვალებს „უფროსი ძმის" მახვილი თვალი. ამერიკაში ახლა არაფერია უფრო მეტი, ვიდრე თვალთვალის საშუალებები. „უფროსი ძმა" ყველგანაა და აქ პირადი ცხოვრების მცნების შინაარსი მალე აღარავის ემახსოვრება. მაგალითად:

კომპანია „BRS Labs"-მა გამოიგონა კამერები, რომლებიც წინასწარ ხვდებიან, როდესაც ადამიანი დანაშაულის ჩადენას აპირებს. მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალებზე უკვე აყენია ათობით ასეთი გულთმისანი სათვალთვალო კამერა და ახლა მეტროს ათვისება მიმდინარეობს.

კომპანია IDair ასრულებს იმ სისტემაზე მუშაობას, რომლის საშუალებითაც შორ მანძილზე შესაძლებელი იქნება თითის ანაბეჭდების სკანირება და მისი პატრონის იდენტიფიცირება. ფირმის ძირითადი დამკვეთები სამხედროები არიან, მაგრამ ის სამოქალაქო პროექტების განხორციელებასაც გეგმავს.

## მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც ადამიანის სახეზე მის გრძნობებს კითხულობენ




ამერიკული დემოკრატიის სადარაჯოზე დგანან უპილოტო საფრენი აპარატები. სამართალდამცავები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იყენებენ მათ შიდა ჯაშუშობისთვის. ვინაიდან პოლიციისა და უშიშროების სამსახურისთვის ეს ტექნოლოგია უკვე ხელმისაწვდომია, ახლა მუშაობა მიმდინარეობს უპილოტოების გამოსაყენებლად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. ასე რომ, მალე ამერიკელების თავზე ეს მოვლენა ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცევა.

**გონების კონტროლი ამერიკელი სამხედროების სამომავლო ამოცანაა.** ისინი აპირებენ, არაძალადობრივად დაარწმუნონ ტერორისტები, რომ ტერორისტობა ცუდია. ახლა ეძებენ, თუ რა ხდის ადამიანს დაუნდობელს და ამის შემდეგ უნდა მოძებნონ, თუ როგორ მოხდეს ტვინში ტყუილი, მაგრამ სინამდვილის მსგავსი, ისტორიების ინპლანტირება.

**მიკროჩიპები ამეიკელების ყოველდღიურობა ხდება.** ახლა ჩიკაგოში მოსწავლეების გადაადგილების გასაკონტროლებლად, ცხადია, კეთილი მიზნებით, მიკროჩიპების გამოყენებას ნერგავენ. უნივერსიტეტებში სტუდენტების გადაადგილება სტუდბილეთში ინპლანტირებული ჩიპებით უნდა გაკონტროლდეს.

**ცალკე თემაა ფიჭური თვალთვალი. მხოლოდ 2011 წელს სამართალდამცავებმა გააგზავნეს 1,3 მილიონი მოთხოვნა.** სამართალდამცავები აქტიურად იყენებენ ამერიკელთა მობილურებს მათივე თვალთვალისთვის. ფიჭური კავშირგაბმულობის მხოლოდ ერთ კომპანიაში ამერიკაში 100-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს 24-საათიან რეჟიმში იმისთვის, რომ სამართალდამცავთა მოთხოვნებს მოემსახუროს.

სანომრე ნიშნების სკანირების ტექნოლოგია ავტომატურად აკონტროლებს ავტომანქანის მოძრაობას ვაშინგტონში შესვლის წამიდან ქალაქის დატოვებამდე. პოლიცია ამ ინფორმაციას ინახავს, ქმნის მონაცემთა ბაზებს და აარქივებს მილიონობით ავტომანქანის მოძრაობის ტრაექტორიას.

**მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც ადამიანის სახეზე მის გრძნობებს კითხულობენ.**

მსხვილი ქალაქების ქუჩებში დგას ლამპიონები, რომლებიც აკონტროლებენ ადამიანების მოძრაობას, ისმენენ მათ საუბარს და აკეთებენ ჩანაწერებს.

**ინტერნეტში პირადი აღარაფერი არსებობს, ყველაფერი კონტროლირებადია.** პროვაიდერები ვალდებულნი არიან, აკონტროლონ ნებისმიერი ფაილის გადმოწერა და ნებისმიერი საიტის გახსნა. მომხმარებლები ინტერნეტიდან ვერაფერს გადმოწერენ, ვიდრე ხელს არ მოაწერენ თანხმობას, არ გადმოწერონ საავტორო უფლებებით დაცული მასალები.

ცსს-ს დირექტორობისას მისტერ პეტრეუსს არ ასვენებდა იდეა, მდუმარე საოჯახო ტექნიკაში — მაცივრებში, ღუმელებში, სარეცხის მანქანებში და ასე შემდეგ ვებაპარატურა ჩაემონტაჟებინათ ადამიანების უშეც-

▶

# 1972 წელს აშშ-ში 300 ათასზე ნაკლები პატიმარი იყო, 1990 წელს — 1 მილიონი, ახლა კი ამერიკაში 2,3 მილიონი პატიმარია. ეს მსოფლიო პატიმრების 25 პროცენტს შეადგენს, არადა, ამერიკის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 5 პროცენტს არ აღემატება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დომო და მუდმივი კონტროლისთვის.

გარდა საყოველთაოდ ცნობილი კამერებისა, ამერიკაში არის უამრავი ფარული კამერა, რომლის არსებობის შესახებაც არავინ არაფერი იცოდა „ვიკილიკსზე“ ინფორმაციის გაჟონვამდე.

**მასობრივი მონაცემების დამუშავებას აწარმოებს ფირმა „Acxiom“, რომელიც მარკეტინგული მიზნებით შეიქმნა, მაგრამ 1969 წლიდან მეთოდები და ტექნოლოგიები იმდენად დახვეწა, რომ ახლა მის ოფისში 23 000 სერვერი განუწყვეტლივ მუშაობს და მილიონობით ადამიანის შესახებ მონაცემებს აანალიზებს.**

აღარაფერს ვამბობთ საავადმყოფოების სათვალთვალო კამერებზე, კომპანიების თანამშრომელთა საქმიანობის საკონტროლო კამერებზე, თუნდაც ტვიტერზე, რომელსაც პერიოდულად სთხოვენ მომხმარებელთა მონაცემებს და რის შესახებაც კომპანიამ ღიად განაცხადა თავის ანგარიშში.

ამ ყველაფრის პარალელურად ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი ინტენსიურად ყიდულობს ვაზნებს, მათი საერთო რაოდენობა უკვე აჭარბებს 1,4 ტრილიონს და ეს მარაგი სულ 6 თვის განმავლობაში დაგროვდა. არადა, როგორც ვიეტნამის ომის დანახარჯების დაანგარიშებიდან გაირკვა, ამერიკელი საზღვაო ქვეითები ერთი ადამიანის მოსაკლავად საშუალოდ 1,3 ვაზნას იყენებდნენ.

უწყებამ იყიდა 450 მილიონი ვაზნა, რომლებიც მაქსიმალურ ზიანს აყენებს ადამიანის შინაგან ორგანოებს, შემდეგ კი არსენალი შეავსო კედლების გამრღვევი 750 მილიონი ვაზნით. ამას მოჰყვა ტყვიაგაუმტარი საკონტროლო-გამშვები პუნქტებისა და სხვა თავდაცვითი აღჭურვილობის შეძენა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ამერიკაში დემოკრატიის გამყარებისთვისაა საჭირო. იმავე საქმეს სჭირდება საკონცენტრაციო ბანაკები და კუბოები.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში აშშ-ში ადამიანთა განსათავსებელი 800 სპეციალური ობიექტი აშენდა. **ამბობენ, რომ ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი ალიასკაზეა და მას ერთდროულად 2 მილიონამდე ადამიანის დატევა შეუძლია.** ბანაკები ყველაფრითაა აღჭურვილი, გაზის კამერებითაც კი.

**კითხვებს, თუ ვისთვის შენდებათ ეს ბანაკები და რის საფუძველზე მიენიჭა მათ საიდუმლოს სტატუსი, ოფიციალურმა სტრუქტურებმა უპასუხეს, რომ მიზანი ნარკოვაჭრობასთან მასშტაბური ომია.** ეს პასუხი, ცხადია, არავინ მიიღო, რადგან არც ლოგიკას შეესაბამება და არც სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ ამ ბანაკებს მართავს მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენის ფედერალური სააგენტო და არავინ იცის, რა კავშირი აქვს მას ნარკოვაჭრობასთან. 2010 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ამ სააგენტოს ფუნქციები გაეზარდა და ძალოვანი სტრუქტურა გახდა. ამერიკაში თუ რამ სტრუქტურა არსებობს, ყველა ძალოვანია.

ახლა აშშ-ში იქმნება პოლიციისა და არმიის ჰიბრიდი, რომელსაც თავს დასტრიალებს „უფროსი ძმის“ აჩრდილი. შაკმარისია, სადღაც, რომელიღაც ოლქში, რომელიღაც შერიფმა ვიღაც „უსაფრთხოებისთვის საფრთხედ“ მიიჩნიოს, მას შეუძლია დასახმარებლად არმიას უხმოს. და ამას „შიდა კატასტროფისგან“ სამშობლოს დაცვა ჰქვია.

აქ დროული იქნებოდა იმ განკარგულების გახსენება, რომელსაც „ეროვნული თავდაცვის რესურსების მზადყოფნის შესახებ“ ჰქვია და რომელსაც პრეზიდენტმა ობამამ 2012 წლის 16 მარტს მოაწერა ხელი. 2016 წლიდან აშშ-ის არმიის ოპერატიული კონცეფცია ითვალისწინებს საკუთარ ტერიტორიაზე ძალის გამოყენებას.

ჟურნალისტმა პოლ ჟოზეფ უოტსონმა სამოქალაქო არეულობისას არმიის სამხედრო პოლიციის მიერ ოპერაციის ჩატარების ოფიციალური ინსტრუქციის მიხედვით აღწერა, თუ როგორ მოიქცევიან ამერიკელი სამხედროები შიდა არეულობების შემთხვევაში. ეს ინსტრუქცია სულ ახლახან გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. ის ასახავს, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არმიის შესაძლებლობები აშშ-ის შიგნით არეულობების ჩასახშობად. მასში ბევრ რამეზეა საუბარი — იარაღის ჩამორთმევიდან ამერიკის მოქალაქეების დახოცვამდე.

ტექსტში განმარტებულია, თუ როგორ და ვის წინააღმდეგ უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო ძალა წესრიგის აღდგენისა და მასობრივი არეულობების ჩახშობის გამო, ასევე რა შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს საომარი მდგომარეობა. ჯარს უფლება აქვს, არასანქცირებული შეკრებები დაშალოს, გამოიყენოს ძალის დემონსტრირების მეთოდი მასის დასაშინებლად, გახლიჩოს ბრბოები, გამოიყენოს მომწამვლელი ნივთიერებები და ასე შემდეგ. ინსტრუქცია ითვალისწინებს იმ ამერიკელებთან მოპყრობის წესებსაც, რომლებიც არეულობებში აღმოჩნდნენ ჩარეულნი. მათ დააკავებენ და გა-




**მხოლოდ უკანასკნელ წლებში აშშ-ში ადამიანთა განსათავსებელი 800 სპეციალური ობიექტი აშენდა. ამბობენ, რომ ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი ალიასკაზეა და მას ერთდროულად 2 მილიონამდე ადამიანის დატევა შეუძლია. ბანაკები ყველაფრითაა აღჭურვილი, გაზის კამერებითაც კი**

ნათავსებენ ბანაკებში. ესეც 800 ბანაკის შექმნის მიზანი და დანიშნულება. სხვათა შორის, ბანაკების მკვიდრებს უნდა შეეცვალოთ ცნობიერება და გაურკვეველი მეთოდებით უნდა დაარწმუნონ, რომ ამერიკის მიერ წარმოებული პოლიტიკა სწორი და კარგია.

**ამ ბანაკების მშენებლობა ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს 386 მილიონი დოლარი უჯდებათ.**

როგორც მწერალი რენდ კლიფორდი ირწმუნება, ბანაკებში ადამიანებს გაგზავნიან წითელი და ცისფერი სიებით. წითელ სიაში იქნებიან ახალი მსოფლიო წესრიგის მოწინააღმდეგეთა ლიდერები ან პოტენციური ლიდერები, რომლებიც სამხედრო მმართველობის შემოღებამდე ორი კვირით ადრე უნდა განადგურდნენ. ცისფერ სიაშიც ამ წესრიგის მოწინააღმდეგე, ოღონდ არალიდერები, მოხვდებიან. მათ ბანაკებში „გადაპროგრამირება“ ელით, გადარჩენილები მონებად იქნებიან გამოყენებულნი.

**ვიდრე ბანაკებს შეავსებდეს, ამერიკამ უკვე შეავსო და გადაავსო ციხეები. „ოცნებების საამქროს“ თავისი ვაშლის ღვეზელებით, საშობაო ინდაურითა და ეტალონური დემოკრატიით, მისგან გამომავალი მთელი უფლებებით, თავისუფლებებითა და ღირებულებებით, ყოველ ათას სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით უცვლელად უჭირავს მსოფლიოში ლიდერის პოზიცია.**

ამერიკის პენიტენციალური სისტემა უკვე თვითგანადგურების რეჟიმშია. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც აშენებენ ბანაკებს — მალე პატიმრების ადგილი აღარსად იქნება.

**თუ 1980 წელს აშშ-ში 100 ათას მოსახლეზე 220 პატიმარი მოდიოდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი გასამმაგდა და 741-ს მიაღწია. ანალიტიკოსები მიანიშნებენ 2018 წელზე, როგორც მოსალოდნელი სოციალური აფეთქების თარიღზე. ყველაზე გადაჭედილი კალიფორნიის სასჯელაღსრულების დაწესებულებებია. იქ 80 000 პატიმარზე გათვლილ 33 ციხეში 140 000 ადამიანი იხდის სასჯელს. 2018 წლისათვის, პროგნოზების მიხედვით, პატიმრების ზენორმატიული რაოდენობა 45%-ს შეადგენს, ამჟამად ციხეების „ჭარბი მოსახლეობა“ 39%-ს უტოლდება. კამერების ნაცვლად პატიმრებს სძინავთ ყველგან — სამრეცხაოში, სასწავლო ოთახებში, სპორტდარბაზებში...**

# 2011 წელს ღატაკი ამერიკელების რაოდენობა ახალ რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა და 49,7 მილიონს გადააჭარბა




აშშ-ის პენიტენციალური სისტემა გადავსებულია იმიტომაც, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პატიმრების მოდინებამ იმატა, ერთ ადამიანზე გათვლილ გალიაკამერებში 3-3 ადამიანია მოთავსებული, საძინებელი ნარები კი სამ იარუსადაა განლაგებული.

**1972 წელს აშშ-ში 300 ათასზე ნაკლები პატიმარი იყო, 1990 წელს — 1 მილიონი, ახლა კი ამერიკაში 2,3 მილიონი პატიმარია. ეს მსოფლიო პატიმრების 25 პროცენტს შეადგენს, არადა, ამერიკის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 5 პროცენტს არ აღემატება.** ასი ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობამ ამერიკა მსოფლიოში ლიდერთა სიის სათავეში მოაქცია. ამერიკაში ციხეში ჩასვეს ნახევარი მილიონით მეტი ადამიანი, ვიდრე ჩინეთში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ხუთჯერ აღემატება ამერიკისას. თუ პატიმართა რაოდენობას დავუმატებთ იმ ამერიკელებს, რომლებზეც გავრცელდა პირობითი და პირობით ვადამდელი გათავისუფლების ნორმები, აღმოჩნდება, რომ სადამსჯელო სისტემამ მოიცვა 7.3 მილიონი ადამიანი, ანუ ქვეყნის ყოველი მეორმოცე მოქალაქე.

ხუთი მილიონი ამერიკელი, რომელთაც მიესაჯათ სასჯელი, ციხეში ვერ მოხვდა — გალიებში მათ ადგილი არ ერგოთ. ამიტომაა, რომ ამერიკის პატიმართა სტატისტიკა მკვეთრად სხვადასხვანაირია სხვადასხვა წყაროში — ზოგი ითვალისწინებს მათ, ვისაც ციხეში ადგილი არ შეხვდა, ზოგი — არა. სხვათა შორის, ამ უადგილო პატიმართა შორის არაერთი რეციდივისტია...

ამერიკაში ციხის სისტემა ნაწილობრივ კერძოა, გარდა ამისა, ის კერძო კომპანიებს საშუალებას აძლევს, დაიქირაონ სამუშაო ძალა. ამიტომ ციხე ამერიკაში, პირველ რიგში, ბიზნესის სახეობაა და მხოლოდ მეორე ან, უფრო სწორად, ორმოცდამეცხრე რიგში — სასჯელი.

**ციხის ბიზნესით დაკავებულია ამერიკის კორპორატიული საზოგადოების ნაღები: „IBM“, „Boeing“, „Motorola“, „Microsoft“, „AT & T“, „Wireless“, „Texas Instrument“, „Dell“, „Compaq“, „Honeywell“, „Hewlett-Packard“, „Nortel“, „Technologies“, „3Com“, „Intel“, „Northern Telecom“, „TWA“, „Nordstrom's“, „Revlon“, „Macy's“, „Pierre Cardin“, „Target Stores“** და სხვა მრავალი. ყველა ეს კომპანია აღფრთოვანებული შეეგება სასიხარულო ეკონომიკურ პერსპექტივებს. 1980-დან 1992 წლამდე ამ ბიზნესის შემოსავალი 392 მილიონი დოლარიდან მილიარდ 31 მილიონამდე გაიზარდა.

ეს და სხვა კომპანიები პატიმრებს მონებივით ამუშავებენ. მაგრამ რატომ მონებივით? მათ უხდიან... საათში 4-20 ცენტს ბამბის პლანტაციებზე მუშაობისათვის.

რაც შეეხება ამერიკის კერძო ციხეებს, მათ „საციხო სამრეწველო კომპლექსი“ შეერქვათ და სამართლიანადაც. ამ ეკონომიკურმა მიმართულებამ სწრაფად დაიკავა წამყვანი ადგილი მრავალი სახის პროდუქციის წარმოებაში. პარადოქსია, მაგრამ ამერიკის ციხის ინდუსტრია უშვებს სამხედრო ჩაფხუტების, ქამრების, ჯავშანჟილეტების, საიდენტიფიკაციო რუკების, პერანგების, შარვლების, ცხვირსახოცების, ზურგჩანთებისა და დროშების 100%-ს აშშ-ის არმიისთვის. სავარაუდოდ, ანალოგიური წარმოებით იქნებიან დაკავებულნი საკონცენტრაციო ბანაკების მომავალი ტყვეებიც, რითაც გაზრდიან ქვეყნის სამხედრო და პოლიციურ პოტენციალს. შემდეგ ეს პოტენციალი გამოყენებული იქნება არა მხოლოდ პლასტიკატის კუბოების ახალი პარტიების მომარაგების, არამედ ახალი საკონცენტრაციო ბანაკების შექმნისთვისაც. ასე რომ, წრე შეიკრა.

რაც შეეხება აშშ-ის ხელისუფლებას, წინასაარჩევნო კამპანიისას დაპირებული სამუშაო ადგილების შესახებ ტყუილი არც ობამას უთქვამს და არც რომნის. **ამერიკა მართლაც ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ოღონდ — ციხეში.**

topwar.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1979 წლიდან 1997 წლამდე, ანუ 20-წლიან შუალედში ცეცხლსასროლი იარაღით უფრო ბევრი ამერიკელი მოკლეს (651 697 ადამიანი), ვიდრე 1975 წლიდან მოყოლებული ყველა ომში ერთად.**

# მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვის მსოფლიო ეპიდემია ლიდერი ამერიკაა...

**პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მთელი პროგრამა დაწერა და წარადგინა ამერიკაში ძალადობის დონის შესამცირებლად. სხვა ყველაფერთან ერთად ეს პროგრამა ითვალისწინებს საბრძოლო ავტომატური იარაღისა და დიდი მოცულობის სავაზნეების გაყიდვის აკრძალვას. მაგრამ კონსერვატორები თვლიან, რომ ამერიკელებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან თავი თუნდაც იარაღით და მათი გადარწმუნება იოლი საქმე არ იქნება. არადა, ამერიკაში 2012 წელი მასობრივი მკვლელობებით გამორჩეული გახდა. საკმარისია, გავიხსენოთ 12 ადამიანის მკვლელობა კოლორადოს კინოთეატრში ფილმის პრემიერაზე და 20 ბავშვისა და 6 მასწავლებლის ჩაცხრილვა კონექტიკუტის შტატის სენდი ჰოუკის დაწყებით სკოლაში. არც 2013 წელი ჩამორჩება გასულს — კონექტიკუტის კოლეჯში ატეხილ სროლას ორი ადამიანი ემსხვერპლა, მისურის შტატის კოლეჯში კი სტუდენტმა ჯერ სასწავლებლის ერთ-ერთი თანამშრომელი დაჭრა, შემდეგ კი ტყვია მკერდში დაიხალა.**




სხვათა შორის, თუ ობამას მართლაც სურს ამერიკელთა „განიარაღება“, მას ამის გაკეთება შეუძლია შესაბამისი განკარგულებების გაცემით თავისი გეგმის სხვა კომპონენტების სარეალიზაციოდ. მაგალითად, ბაიდენმა უკვე ჩამოთვალა 19 ზომა, რომლის მიღებაც პრეზიდენტს კონგრესის გარეშეც შეუძლია. მათ შორიაა **სასჯელის გამკაცრება მათთვის, ვინც არასწორ მონაცემებს აფიქსირებს იარაღის შეძენისას და იარაღის უკანონო შემოტანის სამართალდარღვევის კატეგორიიდან სისხლის სამართლის დანაშაულებში გადატანა.**

მაგრამ წარმომადგენელთა პალატის ტეხასელი წევრი რესპუბლიკელი სტივ სტოკმანი პირობას დებს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ობამას იმპიჩმენტის მისაღწევად, თუ ეს უკანასკნელი რაიმე ზომებს გაატარებს განკარგულებების საშუალებით. მან პრეზიდენტის გეგმას ამერიკის შეერთებული შტატების ფუძემდებლურ პრინციპებზე არაკონსტიტუციური შეტევა უწოდა. მართლაც, **ამერიკელებს თავის დროზე კონსტიტუციის შესწორებით მიენიჭათ უფლება, იქონიონ იარაღი და ახლა ამის წინააღმდეგ ნებისმიერი ნაბიჯი არაკონსტიტუციური შეტევაა.**

მეორე მხრივ, ამერიკაში მოსახლეობის შეიარაღების სტატისტიკა გამაოგნებელია. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მონაცემებით, **1979 წლიდან 1997 წლამდე, ანუ 20-წლიან შუალედში ცეცხლსასროლი იარაღით უფრო ბევრი ამერიკელი მოკლეს (651 697 ადამიანი), ვიდრე 1975 წლიდან მოყოლებული ყველა ომში ერთად. მხოლოდ 2011 წელს შეიარაღებული მკვლელების ხელით 6 543 ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს.**

**ამჟამად ამერიკის 40 შტატში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც ნებისმიერს, ვინც შეიტანს განაცხადს იარაღის ფარულად ტარების შესახებ და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, ამის უფლება უნდა მიეცეს. შედეგად, თუ ათი წლის წინ ამერიკაში ამგვარი ლიცენზია სულ რამდენიმე ასეულ ათას ადამიანს ჰქონდა, ახლა ის 6 მილიონ ადამიანზე მეტს აქვს.**

და, რაც ყველაზე მთავარია, ჯერჯერობით, მიუხედავად ცალკეული მცდელობებისა, განაიარაღონ ამერიკელები, როგორც კანონმდებლობა, ასევე საზოგადოების განწყობა იმ ამერიკელების მხარესაა, რომელთაც სურთ, კარადაში შაშხანას ინახავდნენ, ქურთუკის ჯიბეში კი პისტოლეტი ედოთ.

შედეგად სახეზეა სტატისტიკა, რომელიც სიმშვიდისთვის საბაბს არ ტოვებს. სულ ახლახან, გასული წლის დეკემბერში, მთელი მსოფლიო გლოვობდა ამერიკის კონექტიკუტის შტატის სენდი ჰოუკის სკოლაში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დახოცილ ბავშვებს. და ეს ერთადერთი შემთხვევა არაა მსოფლიოში, როდესაც თავდაცვისთვის შეძენილი იარაღიდან ნასროლ ტყვიებს არა თავდამსხმელები, არამედ მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან.

**ამერიკელებს თავის დროზე კონსტიტუციის შესწორებით მიენიჭათ უფლება, იქონიონ იარაღი და ახლა ამის წინააღმდეგ ნებისმიერი ნაბიჯი არაკონსტიტუციური შეტევაა**

**2012 წლის 19 მარტს უცნობმა პირმა სროლა ატეხა საფრანგეთის ქალაქ ტულუზის ერთ-ერთი ებრაული სასწავლო დაწესებულების გვერდით.** სროლას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა, მათგან სამი ბავშვია. მსროლელი შემთხვევის ადგილიდან მოტოროლერით მიიმალა.

**2012 წლის 14 მარტს ჰალუცინოგენური ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა განურჩეველი სროლა ატეხა კოლუმბიის დედაქალაქის ცენტრში.** შედეგად სამი შემთხვევითი გამვლელი დაიღუპა, ოთხი კი — დაიჭრა. ნარკომანმა შექმნილ ქაოსში მიმალვა შეძლო.

**2012 წლის 11 მარტს ავღანეთში, ყანდაგარის პროვინციაში ამერიკელმა სამხედროებმა მოკლეს 16 მშვიდობიანი მოსახლე, რომელთა ცხედრებიც შემდეგ დაწვეს. მასობრივი მკვლელობის მიზეზი გახდა ამერიკული ჯავშანტრანსპორტერის აფეთქება. ვიდრე თავიანთ მსხვერპლთ სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ორი ავღანელი ქალი გააუპატიურეს.**

2012 წლის 23 იანვარს გვატემალის ქალაქ ვილია ნუევაში ერთ-ერთ დისკოთეკაზე მასიური ხოცვა-ჟლეტა ატყდა. პოლიციის მონაცემებით, შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი შევიდა გასართობი დაწესებულების შენობაში დაახლოებით ნაშუაღამევს და ხალხს გაუხსნა ცეცხლი. სამი ადამიანი ადგილზე იქნა მოკლული, კიდევ ორი მოგვიანებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა, კიდევ 20 ადამიანზე მეტი საავადმყოფოში გადაიყვანეს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების გამო, მათგან მრავალს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა.

**2011 წლის 24 დეკემბერს მოხუცმა იტალიელმა მორიგი წაჩხუბების შემდეგ თავისი მეზობლები შაშხანით დახოცა.** ტრაგედია პატარა იტალიურ ქალაქ ჯენცანო-დი-ლუკანიაში მოხდა და გახდა გრძელვადიანი დავის დასასრული მენკიზების ოჯახსა და 77 წლის ეტორე ბრუჩელას შორის. მოხუცს მეზობლების სამრეცხაოდან გამომავალი საკვამური აღიზიანებდა. მორიგი ჩხუბის შემდეგ მოხუცი სახლში შევიდა, კარადიდან შაშხანა გამოიღო და პირდაპირ გაუხსნა ცეცხლი მეზობლებს. შედეგად ოჯახის უფროსი მძიმედ დაიჭრა, მისი მეუღლე და ორი შვილი კი გარდაიცვალნენ.

**2011 წლის 13 ოქტომბერს კალიფორნიის ქალაქ სილბიჩში მდებარე სილამაზის სალონში სროლა ატყდა. ინციდენტი მოხდა სალონ „Meritage“-ში. 13 ადამიანი მოკლეს.** სამი ადამიანი დაიჭრა და საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფნი მიიყვანეს. ეჭვმიტანილი სკოტ დეკრაი პოლიციას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა. მისგან მრავალი სახის იარაღი იქნა ამოღებული. დანაშაულის მოტივად გამოძიება განიხილავდა დამნაშავის სიძულვილს საკუთარი ყოფილი ცოლის მიმართ, რომელიც ზემოხსენებულ სალონში მუშაობდა. დანაშაულის ჩადენის პერიოდში ყოფილ მეუღლეებს შორის სასამართლო დავა განიხილებოდა არასრულწლოვანი ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით.

**2011 წლის 4 ოქტომბერს მოტოციკლეტებზე მსხდომმა უცნობმა პირებმა გზატკეცილზე მიმავალი ავტობუსის მგზავრები ჩაცხრილეს პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანის ადმინისტრაციულ ცენტრ კვეტაში.** მოტოციკლეტისტებმა გააჩერეს ავტობუსი და იარაღის მუქარით აიძულეს მგზავრები, ჩამოსულიყვნენ, შემდეგ კი მათ სროლა აუტეხეს ავტომატური იარაღიდან. 12 ადამიანი მოკვდა, 15 დაიჭრა. ყველა გარდაცვლილი ადგილობრივი შიიტი მუსილმანი იყო.

**2011 წლის 8 ნოემბერს სომალელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც სასადილოში სურსათის დარიგებაზე იყო პასუხისმგებელი, დამშეულ ლტოლვილებს სროლა აუტეხა.** შედეგად ხუთი ადამიანი მოკვდა. ინციდენტი სომალის დედაქალაქის სამხრეთით, ვაბერის რაიონში მოხდა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, სამხედრო მოსამსახურემ სროლა ატეხა მაშინვე, როგორც კი სურსათის დარიგება და რიგში ჭყლეტა დაიწყო.

**2011 წლის 7 სექტემბერს დამნაშავემ განურჩეველი სროლა ატეხა კარსონ-სიტის კაფეში, ნევადის შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში. შედეგად აშშ-ის ეროვნული გვარდიის სამი სამხედრო მოსამსახურე და ერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა, კიდევ რამდენიმე ადამიანი კი დაიჭრა.** ხალხის ჩახოცვის შემდეგ დამნაშავემ თავისივე იარაღით მოიკლა თავი.

**2011 წლის 7 აგვისტოს ამერიკის ოჰაიოს შტატის დასახლებულ პუნქტ კოპლიში მამაკაცმა, რომლის ვინაობის შესახებაც მონაცმები არ გახმაურებულა, ოჯახური კამათის საფუძველზე ხუთი ადამიანი ჩახოცა.** პირველი ინციდენტის ადგილიდან ოდნავ მოშორებით მან კიდევ ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ამის შემდეგ ბოროტმოქმედი სამართალდამცავებმა მოკლეს.

**2011 წლის 22 ივლისს ნორვეგიაში მოხდა გახმაურებული ორმაგი ტერორისტული აქტი**, რომლის შემსრულებელიც ანდერს ბერინგ ბრეივიკი გახლდათ. თავდაპირველად აფეთქება გაისმა სახელისუფლო შენობების კომპლექსთან ოსლოს ცენტრში, სადაც პრემიერ-მინისტრის კანცელარია მდებარეობს, რამდენიმე საათის შემდეგ კი ბრეივიკი პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი მიადგა ახალგაზრდულ ბანაკს და პირდაპირ გაუსხნა ცეცხლი დამსვენებლებს. **ორმაგმა ტერაქტმა 77 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ოსლოში რვა ადამიანი მოკვდა, 69 ადამიანი კი კუნძულზე მდებარე ბანაკში დაიხოცა.**

2011 წლის 7 ივლისს როჟიკ შონტე დანცლერმა ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ გრენდ-რეპიდში შვიდი ადამიანი მოკლა. ნათესავების განცხადებით, უკიდურესად აგზნებულ მდგომარეობაში მყოფმა დანცლერმა სამი ადამიანი ერთ სახლში მოკლა, კიდევ ოთხი — მეორე სახლში. მოკლულებს შორის ერთი ბავშვია. ცდილობდა რა პოლიციისგან თავის დაღწევას, მან ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სამი მძევალი აიყვანა. მას შემდეგ, რაც ▶

**2012 წლის 11 მარტს ავღანეთში, ყანდაგარის პროვინციაში ამერიკელმა სამხედროებმა მოკლეს 16 მშვიდობიანი მოსახლე, რომელთა ცხედრებიც შემდეგ დაწვეს**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად ამერიკის 40 შტატში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც ნებისმიერს, ვინც შეიტანს განაცხადს იარაღის ფარულად ტარების შესახებ და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, ამის უფლება უნდა მიეცეს. შედეგად, თუ ათი წლის წინ ამერიკაში ამგვარი ლიცენზია სულ რამდენიმე ასეულ ათას ადამიანს ჰქონდა, ახლა ის 6 მილიონ ადამიანზე მეტს აქვს.**

◀ დამნაშავის ადგილსამყოფელს პოლიციამ ალყა შემოარტყა, დანცლერმა თავი მოიკლა.

2011 წლის 19 ივლისს უცნობმა დამნაშავემ აფთიაქში ოთხი ადამიანი ჩაცხრილა ამერიკის ქალაქ მედფორდში ნიუ იორკის აღმოსავლეთით. მოკლულ იქნა ორი აფთიაქარი და ორი მყიდველი, მკვლელმა მიმალვა მოახერხა.

**2011 წლის 2 ივლისს არიზონას შტატის ქალაქ იუმაში მოხუცმა მამაკაცმა რამდენიმეჯერ გაუხსნა ცეცხლი ქალაქში ხალხს**. ხუთი ადამიანი მოკვდა, ერთი კი — დაიჭრა, რის შემდეგაც დამნაშავემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მსროლელი 73 წლის კერი ხედ დაესი აღმოჩნდა.

**2011 წლის 9 აპრილს ქალაქ ალფრენ-ან-დე-რეინში, ნიდერლანდების ამსტერდამიდან სამხრეთ-დასავლეთით გზის 21-ე კილომეტრზე მამაკაცმა სავაჭრო ცენტრში ატეხა სროლა.** მამაკაცი 25 წლის იქნებოდა. იგი შევიდა სავაჭრო დარბაზში და სროლა დაიწყო განურჩევლად, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მკვლელის ჩათვლით სულ შვიდი ადამიანი მოკვდა, 11 კი — დაიჭრა.

**ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს დასავლეთ ოლქში მდებარე სკოლაში სროლა ატეხა 23 წლის ამავე სკოლის ყოფილმა მოსწავლემ**. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ ადგილობრივი დროით დაახლოებით 8 საათზე იგი სკოლის შენობაში შევიდა, ავიდა სართულზე, სადაც გაკვეთილები ტარდებოდა და გადავსებულ საკლასო ოთახებში ორი რევოლვერიდან ატეხა სროლა. ადგილზე მოსულმა პოლიციის ოფიცერმა მოახერხა, მსროლელი ფეხში დაეჭრა, რის შემდეგაც მან თავი მოიკლა. მოგვიანებით პოლიციამ იპოვა წერილი, რომელშიც დამნაშავე ცდილობდა, ამ საზარელი საქციელის მოტივები აეხსნა. ტრაგედიას 12 ადამიანი ემსხვერპლა. დახოცილებს შორის 12-დან 14 წლამდე ასაკის 10 გოგო, 1 ბიჭი და თავად მკვლელი იყო. ქალაქის საავადმყოფოებში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობებით 11 ბავშვი მიიყვანეს.

**2011 წლის 3 მარტს საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ რივსალტში ჭკუიდან გადასულმა მამაკაცმა იარაღიდან სროლა ატეხა და მუნიციპალიტეტის ორი თანამშრომელი და ერთი შემთხვევითი გამვლელი მოკლა.** ამის შემდეგ 78 წლის კაცი შეეცადა, თავი მოეკლა. სახის მძიმე ჭრილობით იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

**31 იანვარს სომალელმა სამხედრო მოსამსახურემ საზენიტო ზარბაზნით ესროლა ბრბოს ქვეყნის დედაქალაქში.** ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც სამხედროებს შორის კამათი ჩხუბში გადაიზარდა. როგორც ჩანს, სამხედრომ შემთხვევით გაუხსნა ცეცხლი მშვიდობიან მოქალაქეებს. შედეგად 17 ადამიანი მოკვდა და 50 დაიჭრა.

**11 იანვარს უცნობმა ცეცხლი გახსნა სამგზავრო მატარებლის ვაგონში ეგვიპტის პროვინცია ელ-მინიაში.** პოლიციის მონაცემებით, დამნაშავე ვაგონში შევარდა და პირდაპირ სროლა ატეხა. ერთი ადამიანი მოკვდა და ხუთი დაიჭრა. თავდამსხმელმა გაქცევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**2011 წლის 8 იანვარს აშშ-ის არიზონას შტატში კონგრესის წევრ გაბრიელ გიფორდსის შეხვედრისას ამომრჩევლებთან ბრბოდან გამოვარდნილმა მამაკაცმა შეკრებილებს აუტეხა სროლა.** შედეგად 6 ადამიანი მოკვდა, 13 კი — დაიჭრა. თავად გიფორდსმა მძიმე ჭრილობა მიიღო. მსხვერპლთა შორისაა 9 წლის გოგო, ფედერალური მოსამართლე და გიფორდსის რამდენიმე თანაშემწე. მსროლელი 22 წლის ჯარედ ლოფნერი აღმოჩნდა, იგი შეურაცხადად მიიჩნიეს და იძულებით მკურნალობაზე გაგზავნეს.

**2011 წლის 5 იანვარს სროლა გაისმა ნებრასკას შტატის ომახის ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში.** ადგილობრივი სამართალდამცავების ინფორმაციით, სავარაუდოდ, ისროლა 17 წლის ბიჭმა, ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის შვილმა, რომელმაც შემთხვევის შემდეგ თავი მოიკლა. მომხდარის შედეგად ორი ადამიანი მოკვდა და ერთი დაიჭრა.

**2010 წლის 6 ნოემბერს ქალაქ სიკაგოში მრისხანების შემოტევით შეპყრობილმა პოლიციელმა სამ ბარში ათამდე ადამიანი მოკლა.** 30 წლის პოლიციელი სამართალდამცავებს ჩაბარდა. როგორც გაირკვა, მამაკაცი ბარებში თავის მეგობარ გოგონას ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ.

**30 აგვისტოს ახალგაზრდა მამაკაცმა განურჩეველი სროლა ატეხა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში.** შედეგად 14 ადამიანი დაიჭრა და 7 — მოკვდა. დაზარალებულთა უმეტესობა დაჭრილი იყო კიდურებისა და გულმკერდის არეში. შემთხვევის ადგილზე ანტიტერორისტული ქვედანაყოფების მისვლის შემდეგ მამაკაცმა თავი მოიკლა. სლოვაკეთის პრესა წერდა, რომ დამნაშავე ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი 15 წლის ბიჭი იყო.



**2011 წლის 3 მარტს საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ რივსალტში ჭკუიდან გადასულმა მამაკაცმა იარაღიდან სროლა ატეხა და მუნიციპალიტეტის ორი თანამშრომელი და ერთი შემთხვევითი გამვლელი მოკლა**

**2010 წლის 12 ივლისს ყოფილმა თანამშრომელმა ცეცხლი გახსნა ბოჭკოვანი კაბელების საწარმოში,** რომელიც აშშ-ის ნიუ-მეხიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკში მდებარეობს. 3 ადამიანი მოკვდა, 6 კი — დაიჭრა. ამის შემდეგ დამნაშავემ თავი მოიკლა. მისი ქმედების საბაბი შეყვარებულთან დაძაბული ურთიერთობა გახდა.

**2010 წლის 6 ივლისს ეგვიპტური სამშენებლო კომპანია „Arab Contractors"-ის 54 წლის თანამშრომელმა მაჰმუდ ტახა სუვეილიამმა განურჩეველი სროლა ატეხა ავტობუსში.** 6 ადამიანი მოკვდა და 16 დაიჭრა. ყველა დაზარალებული კომპანიის თანამშრომელი იყო, ისინი ავტობუსით ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე მიჰყავდათ სამუშაოდ. როგორც მოგვიანებით სამართალდამცავებმა დაადგინეს, დანაშაული ამ ავტობუსის მძღოლმა შურისძიების მოტივით ჩაიდინა.

**2010 წლის 2 ივლისს კოლუმბიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ენვიგადოში უცნობმა მამაკაცმა სროლა ატეხა.** პოლიციის მონაცემებით, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი რამდენიმე ადამიანი დისკოთეკისთვის განკუთვნილ შენობაში შევიდა და სროლა ატეხა. შენობაში საკმაოდ ბევრი სტუმარი იყო. ამ შემთხვევისას 8 ადამიანი დაიღუპა და 13 დაიჭრა. თავდამსხმელებმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

**2010 წლის 18 იანვარს უცნობმა პირმა სამხრეთ კალიფორნიის ერთ-ერთ სწრაფი კვების რესტორანში განურჩეველი სროლა ატეხა.** პოლიციის ინფორმაციით, მამაკაცი რესტორანთან ველოსიპედით მივიდა, შევიდა შენობაში და რამდენიმეჯერ ისროლა ორი პისტოლეტით ერთდროულად. ამის შემდეგ კი თავის მოკვლა სცადა. ბოროტმოქმედის მიერ ნასროლი ტყვიები მოხვდა მამაკაცს, მის 29 წლის ცოლს და მათ 5 და 8 წლის შვილებს. ოჯახის მამა ადგილზე გარდაიცვალა, ერთ-ერთი ბიჭი — საავადმყოფოში, დანარჩენმა სამმა, მათ შორის თავად დამნაშავემაც, მძიმე ჭრილობები მიიღეს.

**2010 წლის 6 თებერვალს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი შევარდა მექსიკის საკურორტო ქალაქ მასატლანის ერთ-ერთ ბარში და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა ხალხს**



**2010 წლის 2 ივლისს ტაქსის მძღოლმა დერიკ მერდმა განურჩეველი სროლა ატეხა ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კამბრიას საგრაფოს ქალაქებში.** პოლიციის მონაცემებით, ადგილობრივი დროით 11-ის ნახევარზე მან მამაკაცი მოკლა ქალაქ უაიტჰეივენში, საიდანაც სამხრეთისაკენ გაემართა. მორიგი მსხვერპლი გახდა დასახლებულ პუნქტ გოსფორტის ფერმერი. მამაკაცი საკუთარი ოჯახის თვალწინ ჩაცხრილეს. კიდევ ორი ადამიანი ქალაქ სისკეილში მოკლა და გზა განაგრძო. საერთო ჯამში მკვლელ ტაქსისტს 12 ადამიანი ემსხვერპლა, 25 კი — დაიჭრა. დამნაშავემ ტყეში მოიკლა თავი.

**2010 წლის 19 აპრილს ამერიკის ქალაქ ნოკსვილში (ტენესის შტატი) უცნობმა მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა ადამიანებს, რომლებიც სამედიცინო ცენტრის ეზოში იდგნენ.** ინცინდენტის შედეგად ორი ადამიანი მოკვდა, ორი დაიჭრა, თავად დამნაშავემ კი თავი მოიკლა.

**2010 წლის 4 აპრილს უცნობმა მამაკაცმა სროლა ატეხა ჩრდილოეთ ჰოლივუდში მდებარე რესტორანში,** რის შედეგადაც ოთხი ადამიანი მოკვდა და ორი დაიჭრა. დამნაშავემ პოლიციისგან დასხლტომა მოახერხა.

**2010 წლის 30 მარტს უცნობმა მამაკაცმა ვაშინგტონში სროლა ატეხა.** დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელის კეტი ლენიერის განცხადებით, მან ბირდაპირ ხალხის ბრბოს აუტეხა სროლა. სამი ადამიანი დაიღუპა, ექვსი — დაიჭრა. ხანგრძლივი დევნის შემდეგ პოლიციელებმა მოახერხეს სამი ეჭვმიტანილის დაკავება. ამ ოპერაციის შემდეგ ოთხ პოლიციელს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

**2010 წლის 6 თებერვალს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი შევარდა მექსიკის საკურორტო ქალაქ მასატლანის ერთ-ერთ ბარში და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა ხალხს.** 6 ადამიანი დაიღუპა. ყველა თავდამსხმელმა გაქცევა შეძლო.

**2010 წლის 10 იანვარს ვირჯინიის შტატის ქალაქ ლინჩბურგში ატეხილ სროლას 8 ადამიანი შეეწირა.** დამნაშავე წინააღმდეგობის გარეშე დანებდა პოლიციას. 39 წლის კრისტოფერ სპეიტი ჯერ დასახლებული პუნქტის ერთ სახლში შევარდა და შვიდი ადამიანი ჩაცხრილა, კიდევ ერთი მისი მსხვერპლი გზის პირას იპოვეს დაგდებული.

**2010 წლის 12 იანვარს უცნობმა მამაკაცმა იაპონიის პროვინცია ოსაკაში მდებარე ერთ-ერთ ბარში ატეხა სროლა.** ინცინდენტი ქალაქ ხაბიკინოში მოხდა. სროლას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დაიჭრა. დაჭრილების მდგომარეობა ექიმებმა კრიტიკულად შეაფასეს. როგორც პოლიციელებმა განაცხადეს, მსროლელმა თავი მოიკლა.

**2010 წლის 7 იანვრის ღამეს შეიარაღებულმა მამაკაცმა მანქანიდან ესროლა ეგვიპტელი ქალების ჯგუფს,** რომელიც საშობაო მსახურების შემდეგ ტაძრიდან გამოვიდა ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ქალაქ ნაგ-ხამადიში. დაიღუპა 15-დან 37 წლის ასაკამდე შვიდი ადამიანი, მათ შორის მუსლიმანი პოლიციელიც, რომელიც ტაძარს იცავდა. კიდევ 10 ადამიანი დაიჭრა. 8 იანვარს ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი სამართალდამცავებს ჩაბარდა. დანაშაულის მოტივი გახდა ორ თვეზე მეტი ხნის წინ ჩადენილი იმ დანაშაულისთვის შურისძიება, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა ქრისტიან მამაკაცს მუსლიმანი ქალის გაუპატიურება ედებოდა ბრალად.

**2010 წლის 7 იანვარს ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში, ერთ-ერთ საწარმოში უცნობმა პირმა სროლა ატეხა.** ინციდენტის შედეგად 3 ადამიანი მოკვდა და 5 დაიჭრა.

**შარშან მხოლოდ მარტში ამერიკაში არამოტივირებულ მკვლელობებს 50-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.**

РИА Новости, ng.ru

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალთა“ დამარცხება მისი მფარველი ბუშმანებისთვის კატასტროფის ტოლფასია. მათი ლაქია სტრატეგიული პარტნიორი პრეზიდენტი ნაცემი გოშიასავით წკავწკავებს, ისინი კი, თითის ქნევის გარდა, ვერაფრით შველიან.**

# გაგვყიდეს ამ ძაღლიშვილებმა!

**მსოფლიოს ხალხთა ისტორიას სიძულვილით, მუხთლობითა და ბოროტებით თავისი ხალხის მოსასპობად შემართულ ისეთ არსებათა ბანდა არ ახსოვს, როგორიც „ნაციონალთა“ სახით მოევლინა მრავალტანჯულ ქართველ ერს, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა უბედურებად, დაქცევად და დაქუცმაცებად რომ უქცია.**

რომელი მბრძანებელიც გაძლიერდა, მაშინვე მეზობელი ხალხების დაპყრობას, დამონებას, ძარცვას მიჰყო ხელი.

რა ბედნიერია, ვინც სიკეთითა და სიყვარულით ცხოვრობს ამ მოკლე წუთისოფელში, და რა უბედურია სიძულვილითა და ბოროტებით სიცოცხლის მწამლავი არსება.

ამქვეყნიურობა ისეთი მოკლეა, რომ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე წამოეგები მიქელგაბრიელის ცელს. მხოლოდ გავლილი გზის ავკარგიანობის კვალი რჩება. სასაცილოა მოხვეჭის ბაცილით პირუტყვის დონემდე დაცემული ადამიანის გავლილი გზა და ფინიში.

განგება კი ფრთხილობს და მუხთალთ ხელს უშლის, რათა მათი სულის სიმახინჯე პანდემიად არ იქცეს და სულით მახინჯი ადამიანების ხელისუფლებაში გაძრომით თვითონ ადამიანს, ბუნების ამ ულამაზეს ქმნილებას, გადაგვარების საფრთხე არ შეექმნას.

რომელი ქვეყნის მოამაგე ადამიანი გაყიდიდა მიწებს უცხოელებზე?! აბა, სცადე ინდოეთში მიწის ყიდვა, თუ გინდა, — ჩინეთში ან რუსეთში.

ადამიანთა პირველყოფილი თემებიდან იქმნებოდა მათივე კანონებიც, მაგრამ **დღემდე ვერსად მოძებნით ისეთ კანონს, რომელიც საკუთარი თემის, ერისა და ქვეყნის გადაშენებას, დაქცევა-მოსპობას ემსახურებოდეს**. აი რა დაგვემართა ევროპელობამონატრებულ, ნატოს კვალს აყოლილ ვაიხელისუფლების ხელში.

ქართველ კაცს ყოველთვის ეროვნული სიამაყე ამშვენებდა, რამეთუ მსოფლიოს ხალხთა შორის იმ პატარა მარგალიტის წარმომადგენელია, რომელსაც, მიუხედავად საშინელ ქარტეხილებში გამოვლისა, აქვს უაღრესად ბრწყინვალე დამწერლობა, ენა, კულტურა; ბევრისთვის სასწავლებელი კაცთმოყვარეობით, სიკეთითა და ადამიანში ადამიანობის თაყვანისცემით გავლილი, მუხთლობის ეკლით მოფენილი, ცრემლითა და სისხლით მორწყული გზაა.

**რა იქნებოდა კაცობრიობა ამგვარი მარგალიტების გარეშე, ერთფეროვანი, უზნეო, გარყვნილი, უხეში და თავხედი ძალის გნიასის პირობებში?** დღეს საქართველოს დასეული ჰყავს მისი ფსევდოსტრატეგიული პარტნიორები, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის გაშიშვლებული მახვილით მოჯირითე ნატოელი მშვიდობისმაძიებელნი.

**ამერიკა როგორ შეიძლება შენი სტრატეგიული პარტნიორი იყოს, როცა, სადაც კი ვინმე მის დაუკითხავად გაფაჩუნდება ან დამოუკიდებლად ამოსუნთქვას გაბედავს, კეტითა და მათრახით ისე უჟეჟავს გვერდებს, რომ საუკუნეების განმავლობაში წელგამართული გავლა ვეღარ შეძლოს.**

„ნაციონალთა“ ბანდამ ნატოში შესვლისათვის რასმუსენს აულოკავი ადგილი აღარ დაუტოვა. არადა, რასმუსენი, ეტყობა, ფორნის მეხუთე თვალიც არ არის, თორემ ძირითადად ნატოელ საფრანგეთს ავღანეთიდან ჯარი გამოჰყავს, იმისთვის ვერაფერი უთქვამს და „ნაციონალებს“ ქებით იკლებს, ჯარი კიდევ გაგზავნეთ ავღანეთში და, თუ ნატოში ვერ შეგიყვანეთ, ნატოს მაინც მოვიყვან თქვენთანო.

**ნატოში შესვლა კი არა, ნორმალურმა მშვიდობისმოყვარე ხელისუფლებამ ამ აგრესიული სამხედრო ბლოკის დაშლა უნდა მოითხოვოს, რომელსაც სხვა არავითარი ფუნქცია აღარ დარჩა, გარდა ურჩი ქვეყნების ცხვირპირის დაჟეჟვისა.**

მაგრამ რა ვუთხრა ბედის ტრიალს! სამიოდე კი არა, მათი ლაქია „ნაციონალებიც“ ხელიდან ეცლებათ. ამ დამნაშავეთა ხროვას ისე ექომაგებიან, რომ დემოკრატიისათვის თავდადებულთა ნიღაბი სახეზე აღარ უჩერდებათ. შეშფოთებულები ბუდემოშლილ კრაზანებივით აიშალნენ და ჩოქბჯენში ჩაყენებული „ნაციონალების“ წამოყენების მცდელობით აბრმავებენ დემოკრატიას.

**როგორი მოსათმენია, პატარა ქვეყანაში საკუთარი ძაღლიშვილი გყავდეს პრეზიდენტად და ყველაფერს ისე ანადგურებდეს, საზარელ დამპყრობელს რომ შეშურდება.**

„ნაციონალების“ ეზოსმოძღვარმა, თეთრ მელად მონათლულმა, ახლანდელმა ბებერმა კინტომ — შევარდნაძემ კომუნისტობის დროს ქართველებს იმდენი უბედურება დაატეხა თავს, რომ ყველა ქართველთმოძულე ბღენძის კერპად იქცა. დაიშალა ის ქვეყანა, „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო“, გადავწყვიტეთ და ისევ ეს მელა წამოგვაჯდა თავზე. სხვა ბევრ ბოროტებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართველთა სისტემატიური აწიოკებით, სამეგრელოს მრავალგზის დარბევითა და აფხაზეთში ომით შექრით სცადა საქართველოს ხერხემალში გადატეხა. ახლა სინანულით აცხადებს, აფხაზეთიდან სამარცხვინოდ გამოქცევის შემდეგ თავი უნდა მომეკლა, მაგრამ ჯაბა იოსელიანმა არ გამიშვაო. თუ ასე ხვდებოდა თავის დანაშაულს, ჯაბა ხომ აღარ არის და ხელს აღარ შეუშლის, ახლა რატომ არ იკლავს თავს?! ისე კი, მაშინ რომ მოეკლა თავი, „ნაციონალების“ გამოჩეკვა-დაბუმბვლას და საქართველოს უბედურებას ავცდებოდით.



**როგორი მოსათმენია, პატარა ქვეყანაში საკუთარი ძაღლიშვილი გყავდეს პრეზიდენტად და ყველაფერს ისე ანადგურებდეს, საზარელ დამპყრობელს რომ შეშურდება**

ქართველთა ბედის ბორბალი კი „ნაციონალთა“ ხელით უცხოეთის საამებლად ბრუნავდა. ამათ კიდევ სალაფავი, ჯილდო, წაქეზება და თავზე ხელის გადასმა არ მოჰკლებიათ, ერთგული ნაგაზივით სიამოვნებდათ ყოველივე ეს და ქართველი ხალხი საბოლოო ამოგდებისკენ მიჰყავდათ.

რა უნდა ეწოდოს სარკოზისთან სამარცხვინო პომპეზური შეხვედრის მოწყობის შემდეგ მიშას საპატიო ლეგიონერის ორდენით დაჯილდოებას? ისე გამოდის, თითქოს ნაპოლეონმა ეს ორდენი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სამარცხვინო ომის დაწყებისათვის და შემდეგ ლაჩრულად გამოქცევისთვის დააწესა. სხვაგვარად როგორ უნდა იფიქრო, როცა სარკოზიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამერიკული პამპერსდადებული, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ყველაფრის მკადრებელი გიჟის გონზე მოსაყვანად სტრასბურგის მწარე აბები იყო საჭირო და არა თავზე ხელის გადასმა.

ნამამაძაღლარ, ნაძარცვ და ნაოხრალ მომხვეჭელს, ერისა და ქვეყნის უბედურებაზე გაზულუქებულ, ადამიანის ფორმის ცხოველს ქვეყანა თავისი ჰგონია და ამგვარ ილუზიაში ისე იძირება, როგორც ღორი ტალახში, სანამ იქიდან არ ამოაძრობენ სამართლის სუსხიანი განაჩენით; გასუქებულს გისოსებიან გალიაში ჩასვამენ გასარეცხად და სხვების ჭკუის სასწავლებლად. **თუ გინდა, ამერიკას და ნატოელ ევროპას ემსახურო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მაგრამ თუ მაგ სამსახურით საქართველოს დაკნინება, დაბეჩავება, დაქუცმაცება და ბოლოს ქართველთა გადაშენების ხარჯზე თავზე ხელის გადასმით გარყვნა გახარებს, მაშინ ნურც ის გეწყინება, თუ ქართველი ერი ყველა მუხთლობით დამძიმებულს ვირთხების გალიაში შეგაძვრენს, რათა სოფლის წარმავლობას ცხარე სინანულით შეუერთდე.**

არადა, ძალაუფლებით განებივრებულებმა რბევის, ნგრევისა და ერის სათაყვანებელი სიწმინდეების განადგურებით ვანდალებს ვანდალიზმით გაასწრეს. იმათ სხვა ტომის სიწმინდეები დაარბიეს. „ნაციონალებმა“ კი საკუთარი ერის სამამულო ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნის წმინდათაწმინდა ობელისკები მოსპეს.

კაცობრიობა დიდი პატივით ეთაყვანება ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. ნეოფაშისტებიც ვერ ბედავენ მათი წმინდა ადგილების ხელყოფას. ბერლინში, ტრეპტოვ პარკში საბჭოთა მეომრის უზარმაზარი ძეგლის შეკეთებას მილიონობით მარკა მოახმარეს. იქ, სადაც ფაშიზმი ყვაოდა, საბჭოთა მეომრების ძეგლები დაცული და მოვლილია. ხალხი პატივითა და სიყვარულით მოსავს ფაშიზმისაგან მის მხსნელს. ნატოელი პარტნიორებისა და ამერიკელი ზეპარტნიორების ისეთ რა საიდუმლო დავალებას ასრულებენ ეს „ნაციონალები“, რომ ამგვარ საზარელ დანაშაულს პატიობენ და აჯილდოებენ კიდეც. საქართველოს მთელი ანალიტიკური სამსახური ამერიკელებისთვის იწყალებს თვალებს, აქ რა ძალადობის უკანონობის, თავხედობისა და სიმართლის მოხრჩობის სისხლიანი ბორბალი ააბრუნეს „ნაციონალებმა“, არ იციან? **ეს ჩრდილდაკარგულებიც ისე ასრულებენ მათ დავალებებს, რომ ამგვარ ერთგულ ლაქიებს ჯერ არ მოსწრებიან, ამიტომ ნებაზე მიშვებულები ასე დაუზოგავად წეწავენ და გლეჯენ ქართველ ერს. აბა, საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტის, ძარცვა-რბევა-წამების, ქვეყნის დაქუცმაცებისა და დემოკრატიის მოხრჩობის გამო ამგვარ ერთგულ მსახურს შეელევიან? ამერიკელთა დავალებები შეასრულე და, დემოკრატია კი არა, თუ გინდა, პირველყოფილი თემის საყასბოში შეგირეკია მთელი ერი. ამერიკელები ამასაც დემოკრატიისათვის მებრძოლის რომელიმე მუხლს მიუსადაგებენ.** ჰოდა, ამგვარი აღვირახსნილობითა და ყვარყვარეს უტიფრობით დათარეშობდა და არბევდა საქართველოს „ნაციონალთა“ პრეზიდენტი. ამ არჩევნებზეც, მთელი მათი მუხთლობის, ძალადობის, თვალთმაქცობის, მოსყიდვისა და დაშინების არსენალის გამოყენების მიუხედავად, ქართველმა ხალხმა მათ პირველი პანღური უთავაზა, რომელიც ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ამერიკელ და ნატოელ სტრატეგიულ პარტნიორებსაც მისწვდა. შეშფოთებულები აღავლავდნენ, მაღალჩინოსნებს პოლიტიკური ნიშნით იჭერენო. **მაშ, რა ქნან, როცა ყველა მაღალჩინოსანი დამნაშავე „ნაციონალია“? ამათი მეთოდით ხომ არ იმოქმედებენ, როგორც ანეკდოტშია: დამნაშავე მჭედლის ნაცვლად უდანაშაულო დურგლებს რომ სჯიდნენ.**

ხალხი ელოდება „ნაციონალთა“ ღალატისა და მისი დამღუპველი შედეგების გამოძიებას, რათა ეს ხელისუფლებაში გამძვრალი კრიმინალური ბანდა მკაცრი სამსჯავროს წინაშე წარსდგეს და მათი არსებობა აიკრძალოს. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლების თუ პოლიტიკური პარტიების უპირველესი მოვალეობა ქვეყნისა და ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებაა, რაც სიყვარულითა და პატივისცემით ამკობს მათ. უცხოელთა ლაქიად ყოფნას და მათ საამებლად საკუთარი ერის დაქცევით გაპაპაჯორების ხალხის მკაცრი სამსჯავროს წინაშე სამარცხვინო დასასრული ახლავს.

**ვისი ბრალია, რომ ამ ნაძირლებმა გაბედეს, ხელი აღემართათ ქართველი ხალხის უსპეტაკესი ხსოვნის ობელისკების მოსასპობად? ამათ მიერ ჩადენილ უამრავ ღალატთან წილნაყარ დანაშაულთან ერთად განა შეიძლება ამ ვანდალიზმის მიტევება?! მაშ, რატომ ცდილობენ გადაგვარებულ „ნაციონალთა“ სიბინძურეში ფართხალისათვის დემოკრატიის ნიღბის წამოცმას?!** თაობებს სინანულად, სირცხვილად და გაფრთხილებად შემორჩებათ ერის მიერ დაწყევლილი, უმანკო სისხლით მორწყული, „ნაციონალთა“ მუხთლობის ძეგლი — პარლამენტის შენობა, რომლიდანაც ასე უტიფრად და უსირცხვილოდ ყაშყაშებენ თავიანთ გედის მოთქმას „ნაციონალი“ ძალატპარლამენტარები.

არსებას, რომელიც საქართველოში ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის ობელისკებს ანგრევს, პოლონეთში ფაშიზმის მსხვერპლის, გრიგოლ ფერაძის, საფლავზე ყვავილები მიაქვს. ესეც მიშას ქამელეონისტყავიანი შინა და გარეთა პოლიტიკა. რა ეშველება ახლა ამას? **ამგვარი პაციენტისათვის ყველაზე კარგი წამალია პანღური, რომელიც უკვე მიიღო ამ პრეზიდენტად გასაღებულმა არარაობამ.** უკეთეს შემთხვევაში მკურნალობის ეს დოზა ეყოფოდა და უმტკივნეულოდ გადადგებოდა, მაგრამ, რადგან ეს არ ჰყოფნის, საჭიროა ჭიტლაყი, თუ ამანაც შედეგი ვერ გამოიღო და ყვარყვარეს ბოდვები გააგრძელა, მაშინ მუსოლინის ან ნიურნბერგის ქართულად შენელებული აბები დაუმშვიდებს ამბიციებს.

**„ნაციონალთა“ დამარცხება მისი მფარველი ბუშმანებისთვის კატასტროფის ტოლფასია. მათი ლაქია სტრატეგიული პარტნიორი პრეზიდენტი ნაცემი გოშიასავით წკავწკავებს,ისინი კი, თითის ქნევის გარდა, ვერაფრით შველიან. არადა, როგორი ასატანია!**

კახეთში შაჰის მიერ ჩამოსახლებული ოთხმოცი ათასი ელის ტომის თურქმანი აჯანყებულმა ქართველებმა ისე დაუბრუნეს იმავე შაჰს, რომ აქ მათი ავი ხსენებაღა დარჩა. ამგვარად გაყიდული მიწები ისევ დაუბრუნდება შრომით უძლებ ქართველ გლეხს, ისევ მძლავრად იგუგუნებს უკვდავი მრავალჟამიერი. „ნაციონალთა“ მუხთლობა კი თავის „საპატიო“ ადგილს დაიკავებს ისტორიის სანაგვეზე გახსენების მწარე სინანულთან ერთად.

**გივი სოხიშვილი**



**კახა მიქაია:**

**რეზიდენციაში შეჭრისაგან თავს ვიკავებთ და ეს ნამდვილად აქ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ დევნილები მოითხოვენ, რომ ეს რეზიდენცია გადაეცეს უსახლკაროებსა და დევნილებს. ჩვენ გვინდა, ეს პროცესი მშვიდობიანად მოხდეს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «კვარციტიადა» გრძელდება

**ბოლო დროს განახლდა საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი ფლაგმანის — „კვარციტის" ოქროს ფაბრიკის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, დილეტანტური, ბრალდებები, რომლებიც ემსახურება ერთ მიზანს — დაანახონ საზოგადოებას თავისი განსწავლულობის მარგი ქმედების კოეფიციენტი. მაგალითისთვის მოვიყვან გარემოს დაცვის სამინისტროს თანამდებობის პირის, დოლიძის, „ბრძნულ" მოსაზრებებს „კვარციტის" მავნებლობის თაობაზე, რომელსაც ის აფრქვევდა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში.**



თურმე ნუ იტყვით და **„კვარციტს" მიუძღვის ბრალი მდინარე მაშავერას მძიმე ლითონებით (რატომღაც, დარიშხანიც ამ სიაში მოხვდა) დაბინძურებაში, მოსახლეობის უკურნებელი სენით დაავადებაში, ცხრათითიანი თუ უთითო ბავშვების დაბადებაში და ა.შ.** რატომღაც გამახსენდა შუა საუკუნეების ევროპაში, „ცოდვების" მატარებელ კუდიანებზე ინკვიზიციის ნადირობის პერიოდი.

ჩემს შენიშვნაზე, თუ რა შუაშია აქ დარიშხანი, მან უტიფრად განმიცხადა, რომ ამ მამაკაცმა არ იცის ოქროს თანამედროვე მეტალურგია.

ისე, **გარემოს დაცვის სამინისტროში შემუშავებული ოქროს დარიშხანით წარმოების მეთოდი ჩემთვის სიახლეა, ხოლო ბრალდებების სტილი და დონე ძველია, როგორც ოქროს წარმოების ასაკი.**

ანალოგიური ბრალდებები „კვარციტის" მიმართ გააჩნდა ჩემთვის პატივსაცემ პიროვნებას, მეცნიერების დოქტორს, პარლამენტარ გიორგი გაჩეჩილაძეს რადიოთი გამოსვლის დროს. ჩემს შენიშვნაზე, რომ **კარიერული და გამამდიდრებელი კომბინატის ჩამდინარე წყლებს საერთო არ გააჩნიათ „კვარციტის" ტექნოლოგიასთან,** მან თემა შეცვალა და ბრძანა, რომ **ფრანგული ფირმა „კოჟემა" გვთავაზობდა უკეთეს ტექნოლოგიას,** რომ **„კვარციტის" არსებული ტექნოლოგია კორუფციული გარიგების პროდუქტია.** აი ასე, ყველაფრის თავი კორუფცია ყოფილა. ბატონო გიორგი, ვინატრებდი, რომ ასეთი გარიგებით კიდევ ერთი ასეთი ოქროს ფაბრიკა აშენდეს.

**გარემოს დაცვის სამინისტროში შემუშავებული ოქროს დარიშხანით წარმოების მეთოდი ჩემთვის სიახლეა, ხოლო ბრალდებების სტილი და დონე ძველია, როგორც ოქროს წარმოების ასაკი**

**როგორც გარემოს დაცვის სპეციალისტს მოგახსენებთ, რომ გროვითი გამოტუტვის მეთოდი, „კოჟემას" მიერ შემოთავაზებული ციანირების CIP მეთოდისგან განსხვავებით, აკმაყოფილებს გარემოს დაცვის ყველაზე მაღალ მოთხოვნას, თუ დაცული იქნება ტექნოლოგიური რეგლამენტი. ცნობისთვის: ფრანგული ფირმა „კოჟემა" 90-იან წლებში ჩრდილოეთის ზღვის ურანის გადამუშავების ნარჩენებით დაბინძურების გამო დააჯარიმეს არც თუ პატარა თანხით.**

როგორც ამ დარგის სპეციალისტი (ახლა მოდაშია პროფესიონალი), მოგახსენებთ, რომ ამ ტიპის მადნების გადამუშავებისთვის, ოქროს დაბალი (0.7-1.2 გ/ტ) შემცველობის გამო, პერკოლაციურ (როფულ და გროვით) ციანირებას, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ალტერნატივა არ გააჩინა.

თავად ვიყავი ავსტრალიელების მიერ წარმოდგენილი „კვარციტის" პროექტის საექსპერტო კომისიის წევრი, საექსპერტო დასკვნის ერთ-ერთი შემსრულებელიც და გარწმუნებთ, რომ პროექტი აღიარეს აკადემიის საუკეთესო მეცნიერებმა. თუ გაეცნობით ოქროს მეტალურგიას, დარწმუნდებით კომისიის გადაწყვეტილების სისწორეში.

**თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „კვარციტის" მიმართ არსებობს რიგი კითხვებისა (მაგალითად, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, არსებული გროვის ზომების დაპროექტებისას გათვალისწინებულია თუ არა რეგიონის სეისმური საშიშროება, მიმდინარეობს თუ არა გროვის ექსპლუატაციის ეკოლოგიური მონიტორინგი და ა.შ.), რომლებზეც საინტერესოა საწარმოს ტექნიკური ხელმძღვანელობის და მფლობელების პასუხი. ოღონდ დამეთანხმეთ, რომ კითხვების დასმა და პასუხის ანალიზი უფრო ამ დარგის „ჩარეცხილი" სპეციალისტების საქმეა.**

**რევაზ კანაშვილი,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**

# ვნებათაღელვა ზუგდიდში პრეზიდენტის რეზიდენციის წინ გაშლილი კარვის გამო

**საპროტესტო აქციების ეპიცენტრმა ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან პრეზიდენტის რეზიდენციის — „მეგრული ოდის" წინ გადაინაცვლა, სადაც ახლა კარავია გაშლილი. იქ, ძირითადად, დევნილები იმყოფებიან. ისინი პრეზიდენტის გადადგომასთან ერთად საცხოვრებელი ფართის გამოყოფას მოითხოვენ, პრეზიდენტის რეზიდენციაშიც კი.**





აქციის მონაწილეთა მიზანია, გააკონტროლონ და არ შეუშვან ვადაგასული მიხეილ სააკაშვილი შენობაში, სადაც ის გადაბარგებას, გავრცელებული ვერსიით, აპირებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს დევნილები ამ რეზიდენციაში შეჭრას და იქ დამკვიდრებას ცდილობენ. თუმცა არც ამაშია რაიმე სახიფათო და დაუშვებელი, რადგან მიხეილ სააკაშვილმა იქ რუსი გენერლის, ჩაბანის, ბინადრობის შემდეგ რეზიდენციის გაყიდვის თუ გასაჩუქრების ბრძანება გასცა, თუმცა ისეთი ფასი დაადო, ეს რეზიდენცია ისევ მის განკარგულებაში დარჩა, სადაც ორჯერ თუ იქნება ნამყოფი.

არასამთავრობო ორგანიზაციის „დევნილი ქალები საკუთარი უფლებებისთვის" ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა უბილავამ კარავში მყოფი დევნილების დაცვა სცადა, რადგან მას მიაჩნია, რომ დევნილებს პროვოკაციისთვის იყენებენ აქციის ორგანიზატორები. მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ დევნილები აქციის მონაწილეებმა შეცდომაში შეიყვანეს და ხდება მათი რეზიდენციაში შეჭრისკენ წაქეზება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია. ნონა უბილავამ ზუგდიდში მყოფ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილსაც მიმართა თხოვნით, რომ ხელი შეეუშალოს დევნილების შეჭრას პრეზიდენტის რეზიდენციაში. დევნილთა უფლებებისა და მათი შესაძლო პროვოკაციისგან დაცვის მიზნით, ნონა უბილავამ ე.წ. საინიციატოვო ჯგუფი შექმნა, რაც კარვის აქიის მონაწილეებმა გააპროტესტეს და ნონა უბილავას პროვოკატორი უწოდეს.

კარვის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ორგანიზაცია „დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების" წარმომადგენელმა მანანა გაბელიამ განაცხადა, რომ ნონა უბილავა არის „ნაციონალური მოძრაობის" მიერ მართული და მათ დავალებებს ასრულებს. **„ყველაზე მეტად გაჭირვებული ადამიანები არიან დღეს კარავში, მადლობა ზუგდიდის საზოგადოებას კახა მიქაიას ხელმძღვანელობით, რომ დევნილებს შეუქმნეს პირობები, შუქი და სითბო.** ეს **ქალბატონი კი ცდილობს პროვოკაციის მოწყობას. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები პირადი კეთილდღეობის მოწყობას ცდილობენ. ჩვენ არ გვიყენებს ვინმე, სწორედ ის არის გამოყენებული მიშას მიერ და მოვითხოვთ, რომ დაიშალოს ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ან ტაიმაუტი აიღოს",** — განაცხადა მანანა გაბელიამ.

ნონა უბილავას განცხადებას, რომ დევნილები შეცდომაში შეიყვანეს და მათ აქციის ორგანიზატორები პრეზიდენტის რეზიდენციაში შეჭრისკენ აქეზებენ, აქციის ორგანიზატორმა კახა მიქაიამ იაფფასიანი პროვოკაცია უწოდა. **„რეზიდენციაში შეჭრისაგან თავს ვიკავებთ და ეს ნამდვილად აქ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ დევნილები მოითხოვენ, რომ ეს რეზიდენცია გადაეცეს უსახლკაროებსა და დევნილებს. ჩვენ გვინდა, ეს პროცესი მშვიდობიანად მოხდეს",** — აცხადებს კახა მიქაია.

ნონა უბილავას თქმით, ის მხოლოდ დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე და მათი უფლებების დაცვის მიზნით მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნონა უბილავამ მის მიერ ახლადშექმნილი ე. წ. საინიციატივო ჯგუფი დატოვა. **„აღმოჩნდა, რომ არც ჩვენ და არც საზოგადოება არ ვართ მზად ამ თანამშრომლობისთვის, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება ჯგუფის დატოვების შესახებ. ვფიქრობ, მათი საქმიანობა ვერ იქნება პროდუქტიული",** — აღნიშნა ნონა უბილავამ.

აფხაზეთიდან დევნილთა ე. წ. საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა დევნილთა ინტერესების დასაცავად. მათი მთავარი მოთხოვნაა ცვლილებების განხორციელება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონულ სამმართველოში და კადრების დაკომპლექტება კონკურსის საფუძველზე.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

მეცნიერება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გია კვაშილავას ამ აღმოჩენის შედეგად სახეზეა ქართული სახლემწიფოებრიობის 40-საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები, რომ ქართველური ტომის — პელაზგების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივლიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივილიზაციას.**

# ქართული გონის გაბრწყინება

**გამჟღავნდა ფესტოსის დისკოს საიდუმლოება. ნათელი მოეფინა ძვ.წ.-ის II ათასწლეულის I ნახევრის ბერძნებამდელი პერიოდის ევროპის ისტორიას, დიდებულ მინოსურ ცივილიზაციას, ეგეოსის ზღვის იმდროინდელი კულტურის შემოქმედი ხალხის ვინაობას. ფესტოსის დისკო 1908 წელს კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ. იგი წარმოადგენს 16 სმ დიამეტრის თიხის დისკოს, რომლის ორივე მხარეს გამოსახული ნახატ-ნიშნების ამოკითხვას ერთი საუკუნე ლამობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები: ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ლ. გოდარი, ჟ.-პ. ოლივიე, ივ დიუ, გ. ოუენსი, ჰ. ძებიში და სხვები. ეძიებდნენ, რამეთუ სწამდათ და სჯეროდათ, რომ ამ წარწერით მრავალ საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა.**



ფესტოსის დისკო მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი ტექსტია, რომელიც 40 საუკუნემდე ასაკისაა. იგი 3500 წლით უსწრებს გუტენბერგის სტამბაში დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნს. დღეს უკვე გაირკვა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის შემოქმედნი კოლხური წარმოშობისანი იყვნენ, რომელნიც ფლობდნენ წერის სპეციალურ ხელოვნებას, რასაც ბერძნები „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდნენ. სავარაუდოა, რომ ასეთი ხელნაწერები მათ კოლხეთიდან ჩამოიტანეს კრეტასა და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებზე. ოქროთი წერის ტექნიკა ვერძის ტყავზე ყოფილა აღწერილი. ამდენად, სარწმუნოა მოსაზრება, რომ არგონავტები „ოქროს საწმისისთვის“ ჩამოვიდნენ კოლხეთში.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ 1894-1909 წლების ინგლისელმა არქეოლოგმა, სერ არტურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა ათასობით ფირფიტა — A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერები, რომლებიც ძვ.წ.-ის II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

ფესტოსის დისკოს, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების საიდუმლოების გამხელას განსაკუთრებით ელოდნენ ქართველები, რამეთუ შინაგანად სწამდათ არსებული მეცნიერული მოსაზრებები. ლოგიკური მსჯელობა კი მათ აძლევდა საფუძველს, ევარაუდათ, რომ წინაბერძნული პერიოდის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროები და კუნძულები ქართველური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული.

ამ აღმოჩენით ყველაზე მეტად გაიხარებდა იაფეტურ ენათა თეორიის შემოქმედი აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელიც ქართველებს, ბასკებს, პელაზგებს, ეტრუსკებსა და რიგ ჩრდილოკავკასიელ ხალხს ერთ მონათესავე ენების ხალხად განიხილავდა. ნიკო მარმა ბასკეთში მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ თავის წიგნს „პირინეის გურია“ უწოდა.

რაოდენ მართალი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ბრძანებდა: „ქართველებს ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნით ადრე უნდა ჰქონოდათ მწერლობა, შესაძლებელია გამოირკვეს, რომ ამ ხანის დამწერლობა მეგრულ-ჭანურ ან სვანურ შტოს ეკუთვნოდეს...“ შემდეგ სახელოვანი მეცნიერი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ „საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებითა და მითებით“.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე სტალინმა დაავალა ქართველ მეცნიერებს ღრმად ჩასწვდომოდნენ ევროპაში ბერძნების მოსვლამდე მცხოვრები ხალხის ისტორიას, გაერკვიათ მათი ნათესაური კავშირი ქართველებთან. ბელადი არ გამორიცხავდა ქართველთა ნათესაობას კაცობრიობის ცივილიზაციის ფუძემდებელ შუმერებთანაც.

ჩვენს თაობას კარგად ახსოვს ამ ოციოდე წლის წინ საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში ზვიად გამსახურდიას მიერ წაკითხული მოხსენება, სადაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მეცნიერულად წარმოადგინა საქართველოს ეროვნული მისია და მედიტერიანული სივრცის ბერძნებამდელი კულტურის შემოქმედ ხალხად ქართველთა წინაპრები აღიარა.

**უცხოელ მეცნიერთაგან ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ჰერბერტ ძებიში მივიდა, რომელმაც არგუმენტირებული მოსაზრება გამოთქვა, რომ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ენა შეიძლება პროტოქართველურ-კოლხური ყოფილიყო.** მის მიერვე შექმნილი სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, სადაც ნებისმიერი ენის ჩასმა შეიძლებოდა, მხოლოდ ქარველურმა ენამ „უპასუხა“.

ჩატარებული კვლევების შედეგებზე ჰ. ძებიში 1988 და 1991 წლებში მოხსენებით გამოვიდა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესსა და რომის მიკენოლოგთა სამეცნიერო კონფერენციაზე. მრავლისმთქმელია ჰ. ძებიშის მონოგრაფიათა სათაურები: „იბერიული — ღმერთების ენა“ და „პელაზგური — იბერიული ენა“, რომლებშიც ავტორმა წამოაყენა არგუმენტირებული ჰიპოთეზა, რომ „პელაზგური ენა ქართველურ ენათა დედაა“ და „ფესტოსის დისკოს წარწერის ენა პროტოქართველურ-კოლხურია“.

მიუხედავად ამისა მსოფლიო მეცნიერთა უმრავლესობა მაინც დუმდა და ყოველივე ეს სურვილებად და ჰიპოთეზის დონეზე რჩებოდა. მათი უმრავლესობა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას ბერძნულ, ფილისტიმურ, ეგვიპტურ, ხეთურ, ებრაულ და სხვა ენებზე დაყრდნობით ცდილობდნენ. ჰ. ძებიშის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „დამწერლობის ისტორია“ (2002 წ.), ავტორები გერმანელი მეცნიერები ე. დობლჰოფერი და ი. ფრიდრიხი წერდნენ: „ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფვრაში ენათმეცნიერული შტამპები და სტანდარტები უძლურია, იგი გენიოსის წილხვედრია“.

**და ვინ უნდა ყოფილიყო ის გენიოსი, სად უნდა შობილყო იგი, რომელიც ნათელს მოჰფენდა II ათასწლეულების ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის სივრცეში, წინაბერძნული ევროპის ისტორიას, კრეტის, იგივე მინოსური ცივლიზაციის შემოქმედი ხალხის ვინაობას?**

და აი, ჭყონდიდელის სხივითა და სიბრძნით მოსილ ძველთაძველ ქართულ მიწაზე, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში 1973 წელს დაიბადა ბიჭი, რომელმაც 17 წლის ასაკიდან თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა. ძირითადი სპეციალობის — მათემატიკის პარალელურად სწავლობს შუმერულ, ეგვიპტურ, ხეთურ, სიანიტურ, ქანაანურ და სხვა ტიპის დამწერლობებს; აგროვებს 400-მდე ნახატ-ნიშანს, წვდება საიდუმლოებას — თუ როგორ შეიძლებოდა ნახატ-ნიშნებით პროტოქართველურ-კოლხური მარცვლების გადმოცემა. დიდი მიზნის მისაღწევად შეიმუშავა წარწერების ამოკითხვის ალგორითმი, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ ფესტოსის დისკოს გრაფიკულ მონაცემებს, არამედ ვრცელდება დანარჩენ წარწერებზე, კერძოდ, არქალახორის ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის დისკოს ლარნაკის წარწერებზე, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობებზე.

შედეგი მიღწეული იქნა. ქართველი შამპოლეონი ამხელს ფესტოსის დისკოს საიდუმლოს და ახდენს მის ამოკითხვას — **„ჩხოფაი ორონე ნანა“ — „სხივოსანო დედაღმერთო“.** გვაუწყებს, რომ ეს 40 საუკუნის წინანდელი სავედრებელ-საგალობელი მიძღვნილია „აია-ნეშკარის“ მფარველ პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანასადმი, ანუ რეა-კიბილესადმი. **ეს წარწერა პროტოქართველურ-კოლხურია. იგი პირველი ბეჭდური დოკუმენტია მსოფლიოში, ნიმუშია „კოლხური ოქროდამწერლობისა“.**

ამ აღმოჩენის საფუძველზე გია კვაშილავამ ასევე ამოიკითხა A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების მთელი არქივი. გაირკვა, რომ ეს დამწერლობებიც ქართველთა წინაპრების შემოქმედებაა.

რეალობად იქცა ბერძნული მითები და ლეგენდები კოლხეთზე. ფრთები შეისხა ყველა დროის დიდი გეოგრაფის, სტრაბონის, 20 საუკუნის წინანდელმა ხატოვანმა გამოთქმამ — „სახელგანთქმული კოლხეთის დიდებას ღაღადებენ მითები“. ნათელი გახდა თუ რატომ ადიდებდნენ ქართველთა წინაპრებს ბერძნები. დიახ, ის ბერძნები, რომლებიც ყველა არაბერძენს ბარბაროსად მოიხსენიებდნენ, ხოლო კოლხებს ადიდებდნენ.

რაოდენ ბედნიერი იქნებოდა დღეს ჰ. ძებიში, რომელმაც პირველმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა — პელაზგური ენა — პროტოქართველურ-კოლხურია. გაიხარებდა სერ არტურ ევანსი, როელმაც პირველმა აღმოაჩინა და შეისწავლა კნოსოსის სასახლე, დაადგინა კრეტის კულტურის პერიოდიზაცია, სისტემაში მოიყვანა და გამოსცა ძველი კრეტული დამწერლობების ნიმუშები, მაგრამ არ იცოდა მისი შემოქმედი ხალხის ვინაობა.

ბედნიერი იქნებოდა ფესტოსის დისკოს აღმომჩენი ლ. პერნიე, ყველა ის უცხოელი და ქართველი მკვლევარი, რომლებიც გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ პირინეის ნახევარკუნძულის, აპენინის ნახევარკუნძულის, სამხრეთი ბალკანეთის, ეგეოსის ზღვის კუნძულების, ანუ როგორც მას უწოდებენ მედიტერიანული, ანუ პროტოიბერიული სივრცის კულტურის შემოქმედნი ქართველთა წინაპრები არიან.

**ერთობ სასიხარულოა, რომ გია კვაშილავას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა, შესაბამისობაშია როგორც ცნობილი უცხოელი და ასევე ქართველი მეცნიერების ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ი. მეგრელაძის, ს. მაკალათიას, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ბერაძის, აკ. ურუშაძის, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანისა და სხვათა მეცნიერულ მოსაზრებებთან, ხოლო მისი კვლევის მეთოდები მეცნიერულად სრულყოფილია და მიესადაგება საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებს.** ყოველივე ეს გია კვაშილავას უმკვიდრებს ადგილს მსოფლიოში ისეთ ცნობილ აღმომჩენთა გვერდით, როგორიცაა, შამპოლიონი, გროტეფენდი, ბიურნუფი, რაულინსონი, ჰინკსი, ოპერტი, ტალბოტი, ჰროზნი, ვენტრისი და ჩედვიკი. მისი სახელი, როგორც ეს ითქვა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მალე ღირსეულ ადგილს დაიკავებს ამ აღმომჩენებს შორის. ▶

## აუცილებელია, რომ დაარსდეს მედიტერიანულ სივრცეში მცხოვრები პროტოქართველურ-კოლხური მოსახლეობის კულტურის მეცნიერული კვლევა-ძიების ხელშემწყობი ფონდი



**გია კვაშილავას ეს აღმოჩენა აუცილებელს ხდის, გადაიწეროს მსოფლიო ისტორიის მრავალი გვერდი, არსებითად შეიცვალოს ევროპაში ბერძნებამდელი პერიოდის ისტორია.**

სიტუაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მე, როგორც რიგით ქართველს, გია კვაშილავას აღმოჩენა მავსებს ეროვნული სიამაყის გრძნობით, მიმტკიცდება რწმენა იმისა, რომ ჩემი წინაპრები იდგნენ ევროპული ცივლიზაციის კარიბჭესთან და წონადი წვლილი შეჰქონდათ ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში, რომ მედიტერიანული სივრცის ძველთაძველი, ბერძნებამდელი ცივლიზაციის შემოქმედნი ჩემი წინაპრები იღწვოდნენ, ქმნიდნენ და დომინირებდნენ პირინეიდან მოყოლებული ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და ნახევარკუნძულებზე, მცირე აზიაში, კავკასიასა თუ მესოპოტამიაში.**

ფესტოსის დისკოს წარწერის, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობების ამოკითხვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა — ვინც ქმნის დამწერლობას, ის არის ამ ეპოქის ცივილიზაციის მებაირახტრე. შესაბამისად ქართული სახელმწიფოებრიობა ახალ სივრცეებსა და კიდევ უფრო შორეულ სამანებს სწვდება, იზრდება ქართველი ხალხის, როგორც მსოფლიო ცივლიზაციის სათავეებთან მდგომის, შემოქმედის როლი და ავტორიტეტი. თუკი აქამდე არსებული მტკიცებებით, ძველი კოლხური სახელმწიფოს ისტორია ძვ. წ.-ის XII საუკუნეს ვერ სცდებოდა, გია კვაშილავას ამ აღმოჩენის შედეგად სახეზეა ქართული სახლემწიფოებრიობის 40-საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები, რომ ქართველური ტომის — პელაზგების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივლიზაციას.

**გია კვაშილავამ კრეტის ქურუმებს დაუკავშირა კოლხი, ლემნოსელი, სამოთრაკიელი ქურუმები — კორიბანტები და მათი კირბები.** აჩვენა, რომ ამ ენაზე მეტყველებდნენ მინოსელები, მათი ლეგენდარული მეფე მინოსი და მისი მეუღლე — კოლხი პასიფაე (აიეტის და), კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი და იაზონის მეუღლე — მედეა, ოდისევსის მეუღლე კირკე (აიეტის და).

კარგად მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი აღმოჩენა მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც იგი ფართო საერთაშორისო აღიარებას ჰპოვებს. ამ მხრივ უკვე სახეზეა პირველ შედეგები: 2010 წელს ირლანდიაში გამოცემულ 504 — გვერდიან ფუნდამენტურ ენციკლოპედიაში „ატლანტიპედია“, სადაც ცნობილი მეცნიერი ტონი ოკონელი ნათლად წარმოაჩენს ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის ისტორიას, გია კვაშილავას აღმოჩენას მთელი თავი აქვს დათმობილი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ შემოგვთავაზა ყველაზე მისაღები და რეალური დეშიფრირება ფესტოსის დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტოქართველურ ენაზე და დაბეჭდილია უნიკალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით“. **ენციკლოპედიის თანახმად, გია კვაშილავას ეს ნაშრომი, როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რეკომენდირებულია მაღალი კურსის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისა და ამ დარგის მეცნიერთათვის მთელ მსოფლიოში.**

ქართველი მკვლევარის სახელი უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს, დიდია მისი გამოკვლევისადმი უცხოელ სპეციალისტთა ინტერესი, მას სისტემატურად იწვევენ საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „ფესტოსის დისკო“-ს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 2008 წელს ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებაში. მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა წინაშე გია კვაშილავა წარსდგა მოხსენებით — „კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის, ფესტოსის დისკოს ამოკითხვა“. კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით — „ამ ისტორიული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გვირგვინი ქართველი მეცნიერის მოხსენება იყო“.

დღეს, როდესაც მეცნიერები საუბრობენ ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუა ზღვის ოთხი ათასი წლის წინანდელ და შემდგომი პერიოდის ცივილიზაციაზე, უპირველესად გია კვაშილავას აღმოჩენებს იშველიებენ და მას მოიხსენიებენ უდიდეს აღმომჩენთა გვერდით.

„თქვენი მოხსენება სრულიად გამორჩეული და განსაცვიფრებელი იყო“, — წერს ცნობილი მკვლევარი, დოქტორი ჯ. აიზენბერგი.

„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, მე წავიკითხე თქვენი ნაშრომი. იგი ძალიან შთამბეჭდავია. ...თქვენ დაამტკიცეთ, რომ ფესტოსის დისკო არის კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში. ...ამ ანტიკულტურის დროში თქვენი ნაშრომები არის მაცოცხლებელი ენერგია. ...თქვენ ბრწყინვალე მკვლევარი ბრძანდებით“, ვერ ფარავს თავის აღფრთოვანებას კანადელი მეცნიერი, დოქტორი რ. მორიტი.

ეს ის ცნობილი მეცნიერი მორიტია, რომელმაც 2010 წელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობაში გამოაქვეყნა მონოგრაფია — „ქვები, რომლებიც მეტყველებენ“, რომელიც მთლიანად მიუძღვნა გია კვაშილავას ამ აღმოჩენას და ასკვნის: „გია კვაშილავა არის ის მეცნიერი, რომელმაც ახალი ხედვით შეცვალა და შეავსო უძველესი კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია“.

არსებითი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით ბერძენი მეცნიერების აზრს ამ საკითხებზე. ცნობილი ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი საქვეყნოდ აცხადებს: „კოლხებს, რომლებიც მაშინ კრეტაზე სახლობდნენ შეუძლიათ არა მხოლოდ იოცნებონ, არამედ გაითავისონ ის, რომ ისინი ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები“. უკეთესს მართლაც ვერაფერს ინატრებდა ქართველი. უკვე ნივთიერი და მატერიალური წყაროებით დადასტურდა ისტორიის მამის ჰეროდოტეს 25 საუკუნის წინანდელი ნათქვამი: „კოლხები მთელ სამყაროში არიან განფენილნი, კოლხთა წინაპარები, პელაზგები და ეტრუსკები პირველნი ცხოვრობდნენ საბერძნეთის კუნძულებზე“.

გია კვაშილავას ეს აღმოჩენა აუცილებელს ხდის, გადაიწეროს მსოფლიო ისტორიის მრავალი გვერდი, არსებითად შეიცვალოს ევროპაში ბერძნებამდელი პერიოდის ისტორია, თავისი კანონიერი სახელი დაუმკვიდრდეს კრეტის ანუ მინოსურ ცივილიზაციას, უფრო ინტენსიურად წარიმართოს კვლევითი სამუშაოები ქართველთა წინაპრების განსახლებისა და მოღვაწეობის შესახებ პირინეის, აპენინის ნახევარკუნძულებსა და ხმელთაშუა ზღვისპირა აზიის, ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე.

გიხაროდენ ქართველნო! მეცნიერულად განმტკიცდა ჰიპოთეზა, რომ ბერძნებამდელი ევროპის ცივილიზაციის შემოქმედნი ქართველთა წინაპრები არიან და ეს ზოაგდსაკაცობრიო მოვლენა სამყაროს ქართველმა მეცნიერმა, გია კვაშილავამ ამცნო.

„გმირს ყველაზე მეტად უნდა ქებანი“, ბრძანებდა დიდი კონსტანტინე. როდესაც სახეზეა ასეთი დიდი აღმოჩენა, ახლა უკვე დღის წესრიგში დგება საკითხი ამ მიმართებით მეცნიერთა და ფართო საზოგადოების აზრის კონცენტრირებისა, რომ იგი დროულად და სათანადოდ აისახოს ისტორიულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში. ინტენსიურად წარიმართოს მუშაობა არა მხოლოდ მედიტერიანულ სივრცში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც კოლხთა ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი დღემდეა შემორჩენილი. გამოიძებნოს ფინანსური და სხვა საჭირო რესურსები ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა სპეციალური ჯგუფის შექმნისათვის, შესაბამისი მეცნიერული შრომების გამოცემისა და სხვადასხვა ქვეყნებში გასავრცელებლად, რომ იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისათვის. აუცილებელია, რომ ამ საკითხებზე საქართველოში მოწვეული იქნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ისტორიისა და სიძველეთა კვლევის ცენტრების, აკადემიების, ინსტიტუტების, მუზეუმების, გამომცემლობების წარმომადგენლები, ცნობილი უცხოელი მეცნიერები და მკვლევარები.

**აუცილებელია, რომ დაარსდეს მედიტერიანულ სივრცეში მცხოვრები პროტოქართველურ-კოლხური მოსახლეობის კულტურის მეცნიერული კვლევა-ძიების ხელშემწყობი ფონდი.**

ეს ყველა ქართველის, უპირველესად, შესაბამისი სახელისუფლო ორგანოების, ბიზნესმენების, საქართველოზე, კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე ყველა დაფიქრებული კაცის მოვალეობაა.

**დემურ ღაღანიძე**
**ისტორიკოსი**

# როგორ გამოვიდეთ მოჯადოებული წრიდან, ანუ მეორე გზა საქართველოსთვის

„დიპლომატი არის ადამიანი, რომელიც ორჯერ დაფიქრდება, ვიდრე არაფერს იტყვის“.
**უინსტონ ჩერჩილი**

„დიპლომატია ძალის „გახედვნის“ ხელოვნებაა“.
**ჰენრი კისინჯერი**

„ერთადერთი, სადაც საქართველო გაერთიანდება, ნატო და ევროკავშირია“.
**მაია ფანჯიკიძე**



რა აქვთ საერთო, დიპლომატის გადმოსახედიდან, უინსტონ ჩერჩილისა და ჰენრი კისინჯერის „ფრთიან“ ფრაზებს მაია ფანჯიკიძის განცხადებასთან?.. არც არაფერი!

ერთის მხრივ, რიგითი ობივატელისთვის ასეთი კატეგორიულობით, რიხიანად და თვითდაჯერებულად ნათქვამი ეს განცხადება, შესაძლოა, მოსაწონი და მისაღები იყოს, მაგრამ, როგორც ვიცით, მედალს ორი მხარე აქვს და ქალბატონი მინისტრის განცხადების სწორედ ის, მეორე მხარეა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, რაზეც ქვემოთ მოკლედ გამოვთქვამ ჩემს მოკრძალებულ აზრს.

ვიდრე საქართველოს ხელისუფლება არ შეიცვლის საგარეოპოლიტიკურ კურსს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, არაფერი მეტ-ნაკლებად პოზიტიური არ მოხდება. ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, რომელიც კარგად არ არის გარკვეული პოლიტიკაში, ეს ნაკლებადაა გასაგები და მისაღები, მაგრამ რატომ ვერ ხვდებიან ამას ქართველი პოლიტიკოსები, ვერ გეტყვით. ეჭვი მაქვს, რომ უფრო არ უნდათ, მიხვდნენ, ხელს არ აძლევთ და იმიტომ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მათთვის პრიორიტეტულია არა საქართველოს ინტერესები, არამედ გარკვეული ვალდებულებები და კონიუნქტურა. კერძოდ, სხვა კონტინენტზე მდებარე ქვეყნის — აშშ-ის ინტერესები, რომლებიც კავკასიის რეგიონში და კერძოდ, საქართველოში წინააღმდეგობაში მოდის ჩვენი მეზობელი რუსეთის ინტერესებთან რეგიონში.

რა ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდე ან ვის გაუგია მსგავსი რამ პოლიტიკაში, რომ, ერთის მხრივ, რუსეთისგან ურთიერთობების დათბობას და შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას ითხოვდე საქართველოს მიმართ, მეორე მხრივ კი, ნატოში გაწევრიანებას საქართველოსთვის ერთადერთ გზად აცხადებდე (იხ. საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადება)?! ეს ან უცოდინარობაა და ინფანტილიზმი, ან კიდევ რუსულ-ქართული ურთიერთობების განზრახ მორიგ ჩიხში შეყვანის მცდელობა... ორივე შემთხვევაში ეს ავნებს საქართველოს!

**თუ რეალურად გვაქვს სურვილი, რომ ოდესღაც მაინც გაჩნდეს დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, უკეთეს შემთხვევაში, ან თუნდაც ქართველების, ოსებისა და აფხაზების მეტი ინტეგრაციის პერსპექტივა მაინც, უნდა შეიცვალოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი!**

პირველ რიგში, საქართველომ უარი უნდა თქვას ნატოში გაწევრიანებაზე,

რუსეთისთვის ყოველგვარი წინაპირობების წამოყენების გარეშე, ეს უნდა იყოს კეთილი ნების ჟესტი რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მისამართით, ცალმხრივი ნაბიჯი და არა ვაჭრობის საგანი, ანუ ქთშ ნთ ქთშ, როგორც რუსები ამბობენ.

ნუ ვიქნებით ინფანტილურები და ნუ გვექნება გადაჭარბებული მოლოდინები – რა თქმა უნდა, **ნატოში შესვლაზე უარის თქმის შემთხვევაში**, რუსეთი აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს არ დაავალდებულებს საქართველოში დაბრუნებას, თუმცა **ეს ჟესტი ერთმნიშვნელოვნად რუსეთისთვის გახდება იმის მანიშნებელი, რომ საქართველო რეალურად დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით კავკასიის რეგიონში და არ სურს გააგრძელოს რუსეთთან დაპირისპირებისა და კონფრონტაციის პოლიტიკა.**

ამის შემდეგ უკვე რუსეთიც გადადგამს შემხვედრ ნაბიჯებს საქართველოს მიმართ, რაც პირველ ეტაპზე გამოიხატება მეტ ინტეგრაციაში რუსეთთან, რუსეთის ბაზრის დაბრუნებაში, ცხადია, აღდგება და გამარტივდება მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის და ასე შემდეგ.

მეორე ეტაპზე კი ნელ-ნელა, ეტაპობრივად, ყოველგვარი ბრავირებისა და სიჩქარის გარეშე, უნდა მოისინჯოს ნიადაგი დაკარგული ტერიტორიების ეტაპობრივი ინტეგრაციისთვის საქართველოში. ცხადია, საწყის ეტაპზე ეს იქნება, პირველ რიგში, ეკონომიკური დაინტერესება, საერთო პროექტები და სახალხო დიპლომატიის გააქტიურება, შემდგომ პერიოდში კი, შესაძლოა, გამოჩნდეს ის ნანატრი შუქი გვირაბის ბოლოს, რომელსაც, აგერ უკვე 20 წელზე მეტია, ასე უშედეგოდ ელოდება ქართველი ხალხი.

**კოტე ჩიკვილაძე**

## ამერიკაში მასწავლებელი პორნოფილმში მონაწილეობის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს

**სტეისი ჰალასის ადვოკატის, რიჩარდ შვაბის, თქმით, ჰალასმა ფილმში მონაწილეობა ფინანსური პრობლემების გამო მიიღო. მისი თქმით, სრულყოფილი ადამიანი არ არსებობს და არ შეიძლება ადამიანის დასჯა წარსულში დაშვებული შეცდომების გამო.** სასამართლომ ადვოკატის თვალსაზრისი არ გაითვალისწინა და განაცხადა, რომ ტექნოლოგიების განვითარების გამო, მოსწავლეებს ადვილად მიუწვდებათ ხელი ფილმებზე, რომლებიც უფროსებისთვისაა გადაღებული, მათ შორის იმ ფილმზეც, რომელშიც მათი მასწავლებელი მონაწილეობს. შესაბამისად, სტეისი ჰალასი მასწავლებელი ველარ იქნება.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დიეტური ჩანგალი

**ამერიკული ორგანიზაცია Hapilabs-ის დამოუკიდებელმა სამეცნიერო კვლევამ აჩვენა, რომ საკვების მიღების სისწრაფე ადამიანის წონაზე მოქმედებს. თუ თქვენ კერძს სწრაფად მიირთმევთ, ამით წონაში მომატების საფრთხეს ზრდით.** ენთუზიასტი სწავლულების ჯგუფმა შექმნა ჩანგალი HAPIfork, რომელიც გააკონტროლებს კერძის მიღების სისწრაფეს. ჩანგალში ჩამონტაჟებულია მოწყობილობა, რომელიც ითვლის, რამდენჯერ მიიტანეთ პირთან ლუკმა და რა სისწრაფით მიირთვით. გამომთვლელი მანქანა ადგენს მანძილს ტუჩიდან თეფშამდე და კერძის მისართმევად საჭირო სისწრაფეს განსაზღვრავს. თუ ის დააფიქსირებს, რომ ჩანგლის მოძრაობის სიჩქარემ ნორმას გადააჭარბა, ვიბრირებას იწყებს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დანაყრების გრძნობა ადამიანს საკვების მიღებიდან 20 წუთში ეუფლება. ჩანგლის მიზანია, რომ ამ დროის განმავლობაში ადამიანმა საკვების დამატებითი ულუფა არ მიიღოს.



# 2012 წლის მთავარი გმირები

**2012 წლის დასრულებისთანავე რამდენიმე პრესტიჟულმა უცხოურმა გამოცემამ თვალი გადაავლო გასული წლის განმავლობაში სხვადასხვა სფეროში გამორჩეულ ადამიანებს. ამ წლის მთავარი გმირების ტიტული კი რჩეულთაგან რჩეულებს ერგოთ.**

## ადელი



**გაბზარული გულის შესახებ ნაღვლიანი თეთრი სოულის შემსრულებელმა, 24 წლის ბრიტანელმა ადელმა ალბომით „21“ გაყიდვების მრავალწლიანი რეკორდი მოხსნა,** მუსიკალური მსოფლიო ინდუსტრიის რეანიმირება პრაქტიკულად მარტომ შეძლო და დაამტკიცა, რომ აუცილებელი სულაც არ არის, თანამედროვე პოპვარსკვლავმა სცენაზე შიშველმა იაროს და უძვირესი კლიპები გადაიღოს. ალბომმა „21“ ადელს ექვსი „გრემი“ მოუტანა და ამ მაჩვენებლით მომღერალმა 2010 წელს ბიონსეს მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა.



## მიუჩა პრადა

**სამოდელო ბიზნესის მემკვიდრე მიუჩა პრადა ერთ-ერთი საუკეთესო იყო გასულ წელს ამ სფეროში.** გარდა ამისა, მან მოდისა და თანამედროვე ხელოვნების შეთავსება მოახერხა. არადა, ტანსაცმლის დიზაინის შექმნა დიდი ხნის განმავლობაში არ სურდა. მხოლოდ 2000-იანი წლების მოდის მწვერვალზე აღმოჩნდა, რომ სავსებით შესაძლებელია ფეშენის თანამედროვე ხელოვნებასთან შერწყმა, სილამაზის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების უგულებელყოფა, შალის წინდებისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის კომბინირება, ბუმბულის ქვედაბოლოების, პლასტიკატისგან დამზადებული ბანანის ფორმის საყურეების შექმნა და თან კომერციული წარმატების მიღწევა.





## ნორმან ფოსტერი

**ამ არქიტექტორის სახელი მათთვისაც ცნობილია, ვისაც არქიტექტურა საერთოდ არ აინტერესებს.** ბრიტანულ ჟურნალ Building Desing-ის რეიტინგში შემავალი ათი უმსხვილესი არქიტექტურული ბიუროდან ერთს ყველა იცნობს, რადგან ამ ბიუროს შენობებიდან თითოეულს რომელიმე რეკორდი აქვს დამყარებული. მანჩესტერის მუშათა კვარტალში დაბადებულმა და გაზრდილმა ნორმან ფოსტერმა ყველა შესაძლო არქიტექტურული ჯილდო მიიღო. დღეს მისი ბიურო, რომელშიც ათასამდე ადამიანი მუშაობს, თანამედროვე არქიტექტურის ნამდვილი ფაბრიკაა, რომლის სახესაც ფოსტერი წარმოადგენს.



## სლავოი ჟიჟეკი



**მსოფლიოში ერთადერთი ფილოსოფოს-სუპერვარსკვლავი უსასრულოდ მოგზაურობს გასტროლებით, უნივერსიტეტებსა და მოედნებზე გამოდის, ლინჩსა და ჰიჩკოკს აანალიზებს!** კაპიტალიზმს ამხელს და მის გამოსვლებს მრავალი ათასი ადამიანი ესწრება, რომლებსაც მარქსის შრომები წაკითხული არ აქვთ და ლაკანის გვარიც კი არ სმენიათ. ფროიდო-მარქსისტული ყაიდის სლოვენიელი კულტუროლოგი, ასოციალური ფილოსოფოსი, რომელიც თავს „მებრძოლ ათეისტად“ მიიჩნევს, ლუბლიანაში ცხოვრობს, მუშაობს და ამ სფეროში გასულ წელს ყველაზე შთამბეჭდავი იყო.

## რენე რეძეპი

**გასტრონომიული მოღვაწე, რომლის შესახებ მსოფლიოში ყველაზე მეტს ლაპარაკობენ, რესტორან Noma-ს შეფმზარეულია.** ამ რესტორანში კლიენტებს ჭიანჭველების, მიწისა და ქვებისგან დამზადებული კერძებით უმასპინძლდებიან. რენე რეძეპიმ გასტრონომიაში საკუთარი მიმართულება შექმნა, რომელსაც ბევრი საკვებად უვარგისად მიიჩნევს. დანიელმა შეფ-მზარეულმა კოპენჰაგენში რესტორანი Noma 8 წლის წინ გახსნა და ამ ხნის განმავლობაში Michelin-ის ორი ვარსკვლავი მიიღო. 2010 წლიდან მოყოლებული, ბრიტანულ ჟურნალ Restaurant-ის უცვლელი ლიდერია და, Time-ის ვერსიით, მსოფლიოში 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შედის.



## ჯეიმს კამერონი

**დღეს ჯეიმს კამერონი ჰოლივუდის მთავარი რეჟისორია, 1980-იან წლებში კი მიაჩნდა, რომ აუტსაიდერულ ფილმებს იღებდა და მაყურებელი მას ვერ გაუგებდა.** როდესაც 6.5 მილიონ დოლარად გადაღებული „ტერმინატორის“ შემოსავალმა 100 მილიონს გადააჭარბა, რეჟისორმა უამრავი შეთავაზება მიიღო. „ტერმინატორი 1“, „ტერმინატორი 2“, „ტიტანიკი“, „ავატარი“ — შედეგად 21 „ოსკარი“ და 6 მილიარდი დოლარი. ამჟამად კამერონი ფილმებს იშვიათად იღებს და ძირითად დროს ოკეანის სიღრმეში ატარებს, მაგრამ მაინც ჰოლივუდის ყველაზე წარმატებულ და ავანგარდულ კომერციულ რეჟისორად რჩება.




## ლიონელ მესი

**„ბარსელონას“ არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მას წინამორბედ კოლეგებზე მეტი ბურთი გააქვს, მათზე სწრაფად დარბის და მეტოქესთან ორთაბრძოლაში მათზე უფრო მოხდენილი ფინტებითაც გამოირჩევა.** ლიონელ მესი აქარწყლებს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ XXI საუკუნეში ფეხბურთი, ბოლოს და ბოლოს, შოუბიზნესის დიდი და დინამიკური დარგი გახდა. მილიონობით გულშემატკივრის მიერ ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ მესის შოუბიზნესისთვის არანაირი სარგებლობა არ მოაქვს, არც გარეგნულად არის გამორჩეული, არც ბიოგრაფიით და არც ქალებისკენ სწრაფვით. ის თავის საქმეს აკეთებს, ეს არის და ეს.



## ჯულიან ასანჟი

**დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჟურნალისტი ამჟამად ბრიტანულ სასამართლოს ლონდონში ეკვადორის საელჩოში ემალება, რადგან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი შვედეთს უნდა გადაეცეს. ეს ქვეყანა კი, თავის მხრივ, აპირებს, რომ ასანჟი აშშ-ს გადასცეს. ის არის ადამიანი, რომელმაც ყველა ქვეყნის ხელისუფლებას ომი გამოუცხადა და მისი გამოწვევა მიღებულ იქნა...**

ჯულიან ასანჟმა იმგვარი დოკუმენტების მოპოვება შეძლო, რომელთა ხელში ჩაგდება მანამდე ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ მოახერხა. მან ტუნისის რევოლუციის პროვოცირებაც შეძლო და ამჟამად ამერიკელი ხალხის მტრის ოფიციალური სტატუსით საელჩოს ერთ პატარა ოთახში იმალება. WikiLeaks-ის დამაარსებელი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე კინემატოგრაფიული პერსონაჟია. მისი ბიოგრაფიის მიხედვით, ნებისმიერი სიუჟეტის ფილმის გადაღებაა შესაძლებელი.



## რეკორდული გუნდაობა

**ქალაქ სიეტლის ქუჩებში მსოფლიოში ყველაზე მასობრივი გუნდაობა გაიმართა. ერთმანეთს თოვლის გუნდები დაახლოებით 6000-მდე ადამიანმა დაუშინა. მასობრივი გუნდაობა, როგორც ახალი რეკორდი, გინესის რეკორდების წიგნში უკვე შევიდა.** გუნდაობის მონაწილეებმა თოვლში სანგრები გააკეთეს და საკუთარი საგუშაგოები ყველა შესაძლო ხერხით გაამაგრეს. გუნდაობისას სულ დაიხარჯა 73 ტონა თოვლი, რომელიც ადგილზე ახლომდებარე მთებიდან ჩამოზიდეს. მასობრივმა გუნდაობამ დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა. დღემდე მასობრივი გუნდაობის რეკორდი სამხრეთ კორეაში დაამყარეს. მაშინ ბრძოლაში მონაწილეობდა 5000-მდე ადამიანი.

ეს საინტერესოა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაშველი ბურთები ჩინეთში და სამყაროს აღსასრული

**ჩინეთში დააპროექტეს მაშველი ბურთები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გადავურჩეთ სამყაროს აღსასრულს.**

ჩინელების აზრით, ბევრს მოსწონს პანიკა, შიში და სამყაროს აღსასრულის სცენარებს არა მხოლოდ იჯერებს, არამედ ავრცელებს კიდეც.

სწორედ ამიტომ ლუ ჩჟენჰაიმ დააპროექტა და შექმნა 7 მაშველი სფერული, დალუქული ბუნკერი, რომელთაც შეუძლიათ წყალში ცურვა და გათვლილია მასში შეკედლებულთა გადასარჩენად.

სამაშველო სფეროების მშენებლობა გაგრძელდა დაახლოებით 2 წელი და თითქმის 160 ათასი დოლარი დასჭირდა. ბუნკერების მშენებლობისთვის გამოყენებულ იქნა სამშენებლო მასალა დამზადებული მცენარეული ბოჭკოებისგან. ამ ბურთებიდან თითოეული აღჭურვილია ღვედიანი ადგილებით და ჟანგბადის ცილინდრებით. თითოეულ სამაშველო ბუნკერში არის საკმარისი სივრცე სამი ადამიანისთვის.

როგორც იტყობინება ექსცენტრიული გამომგონებელი, ერთ ბურთს შეუძლია გადაარჩინოს 3 ადამიანისგან შემდგარი ოჯახი და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება 10 თვის ვადით; გამომგონებელი ვარაუდობს, რომ სამყაროს აღსასრული დადგება დიდი წყალდიდობის სახით.














# ლედი გაგას ორეულების კონკურსი

**ჩიკაგოს ერთ-ერთ პიცერიაში სახელწოდებით „State Street Pizza“ ჩატარდა ლედი გაგას ორეულების პატარა კონკურსი. სამი გამარჯვებული დაჯილდოვდა ბილეთით ფესტივალ Lollapalooza-ზე, რომლის დროსაც ჩატარდება ცნობილი მომღერლის კონცერტი.**

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ფესტივალზე 3 წლის წინ ლედი გაგა „შეიჭრა“ და წარსდგა მსოფლიო პოპ-სცენაზე; ლედი გაგამ ამ ფესტივალზე თავისი ფანებისთვის მოაწყო სიურპრიზი — ყველას გაუმასპინძლდა პიცითა და მინერალური წყლით. გარდა ამისა, მსმენელებს დაურიგდათ სილამაზის სალონის უფასო მოსაწვევები, რომელშიც შედიოდა პარიკმახერ-უნივერსალის, კოსმეტოლოგის, მაკიაჟის (ვიზაჟის) ოსტატის, მანიკურისა და პედიკურის ოსტატის მომსახურებები.



# თოვლის ქანდაკებების ფესტივალი ჩინეთში





**ჩინეთში ჰარბინის ყინულისა და თოვლის 28-ე ფესტივალი დაიწყო. ზამთრის საოცრებათა გამოფენა 750 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და ყინულისა და თოვლის 2 000-მდე ნამუშევარს მოიცავს.**

**ფესტივალზე უზარმაზარი ყინულის სასახლეების ნახვის გარდა, დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ კონცერტებს და თავადაც გაერთონ.**

# საქართველო გურმანების ქვეყნების სიაში მოხვდა

**პოპულარული ამერიკული საიტი huffingtonpost.com გურმანებს საქართველოში ეპატიჟება. საიტმა იმ 7 ქვეყნის სია გამოაქვეყნა, რომელსაც 2013 წელს აუცილებლად უნდა ეწვიონ გემრიელი კერძების მოყვარულები.**

საქართველო ამ სიაში ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილზეა.

„საქართველოს რესპუბლიკა კულინარიის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი და მომაჯადოვებელი ადგილია. ამ პატარა ქვეყნის სამზარეულო მისი გეოგრაფიული მდებარეობის გავლენის ქვეშაა, რის შედეგადაც ხდება ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საკვების გემოვნური თვისებების ჩინებული შერწყმა. თბილისში თქვენ აუცილებლად შეგიყვარდებათ ხაჭაპური — მდნარი ყველით ფარშირებული პიცის მსგავსი კერძი. სხვა ტრადიციულ კერძებს შორის არის ხორციანი ცომის გუფთები (ხინკალი), წითელი, ქინძით შეზავებული ლობიო და ქვანახშირზე გამომცხვარი პური.

და ღვინო, რომელიც ქართულია. ეთნო-ისტორიკოსების ცნობით, საქართველოს ღვინის დასაყენებლად ვენახის მოვლის უძველესი ტრადიცია აქვს, რომელიც ჩვწ.აღ-მდე 5000 წლით თარიღდება“, — წერს huffingtonpost.com-ი.



სტატიის ავტორი კიდევ რამდენიმე აბზაცს უძღვნის ქვევრში ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას.

**„აუცილებლად მიუჯექით ქართულ სუფრას, სადაც ღვინოსა და საკვებს ტრადიციული მუსიკა ერწყმის“,** — წერს სტატიის ავტორი.

ესპანეთისა და საქართველოს გარდა, გურმანებისთვის საუკეთესო ქვეყნების სიაში მოხვდნენ იაპონია, პერუ, უკრაინა, სიცილია, გვატემალა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მექსიკელმა ქალმა ექვსი ტყუპი გააჩინა

**მექსიკელმა სალუდ რომერო რუიზმა ექვსი ტყუპი გააჩინა. მათგან ორი გოგონაა, ოთხი კი — ბიჭი. 12 წლის წინ ქალს ოთხი ტყუპი ეყოლა. ასე რომ, ეს გამოცდილება მისთვის ახალი არ ყოფილა.** თუმცა 31 წლის რომერო რუიზი ამბობს, რომ გაკვირვებულია, რადგან მხოლოდ ხუთს ელოდებოდა. ექვსი ტყუპის გაჩენა იშვიათობაა. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, ხელოვნური განაყოფიერების შედეგია, მექსიკელი ქალბატონი ერთ-ერთი გამონაკლისია. 6 ტყუპი ნაადრევად, ორსულობის მეექვსე თვეში, საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადა, რის გამოც ორი მათგანის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.







# ლონდონის მეტრო 150 წლისაა



**რკინიგზის მშენებლობა დიდ ბრიტანეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. მალე დედაქალაქ ლონდონში უკვე რვა დამოუკიდებელი სადგური იყო: ლონდონ ბრიჯი (London Bridge), იუსტონი (Euston), პედინგტონი (Paddington), კინგს კროსი (Kings Cross), ბიშოფსგეითი (Bishopsgate) და ვატერლოო (Waterloo). მეტრომ იხსნა ქალაქი გადატვირთვისგან, იმხანად ქუჩებში საკმაოდ დიდი საცობები იყო. მეტროს ქსელის აგება რამდენიმე წლით უსახსრობის გამო შეჩერდა, თუმცა სამუშაოები განახლდა 1860 წლის თებერვალში ინჟინერ ჯონ ფოულერის ხელმძღვანელობით.**

ლონდონის მეტროპოლიტენი 1863 წლის 10 იანვარს გაიხსნა. ის მსოფლიოში მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი პირველი საქალაქო მიწისქვეშა სარკინიგზო სისტემაა. გახსნიდან სულ მოკლე ხანში მეტრომ დღიურად 26 000 მგზავრის გადაყვანა დაიწყო. შემდეგომ ხანებში პირველი მიწისქვეშა სამგზავრო რკინიგზა განვითარებას არ წყვეტდა და დღეს მას უკვე 150 წელი შეუსრულდა.




# ყველაზე დიდი პიცა



**რომში მცხოვრებმა ხუთმა შეფ-მზარეულმა მსოფლიოში ყველაზე დიდი პიცა „გამოაცხო“. კერძს რომაელი იმპერატორის, ოქტავიან ავგუსტის, პატივსაცემად სახელად Ottavia დაარქვეს.**

**პიცის დიამეტრი 40 მეტრია და 24 ტონას იწონის. მსოფლიოში ყველაზე დიდი პიცა არ შეიცავს ხორბალს, ქერსა და ჭვავს. მის მოსამზადებლად მზარეულებს 9 ტონა ფქვილი, 4.5 ტონა ტომატი, 4 ტონა ყველი „მოცარელა“, 675 კილოგრამი მარგარინი, 250 კილოგრამი მარილი და 25 ლიტრი ძმარი დასჭირდათ.**

კერძის მომზადებას 48 საათი დასჭირდა. გიგანტური პიცა Ottavia გინესის რეკორდების წიგნში უკვე ოფიციალურად შევიდა. დღემდე ყველაზე დიდი პიცის დიამეტრი 37 მეტრი იყო. ის 1990 წელს სამხრეთ აფრიკაში დაამზადეს.

ახალი რეკორდის დამადასტურებელი მოწმობა 5 იტალიელ მზარეულს — დოვილიო ნარდის, ანდრეა მანოჩის, მარეო და მარკო ნარდის და მარეო გიონეტეს გადაეცათ.




# დაუსახლებელი ქალაქი



**ჩინეთის ქალაქი Ordos-ი დაუსახლებელია. მისი ერთ-ერთი რაიონი კანგბაში, სადაც მილიონზე მეტი მოსახლე უნდა იყოს, კვლავაც უკაცრიელია.**

ქალაქი რამდენიმე წლის წინ აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. იქ არის ყველაფერი — თანამედროვე კლუბები, ბიბლიოთეკები, ავტომაგისტრალები, მუზეუმები, მერიაც და პოლიციაც, მაგრამ მილიონობით ადამიანზე გათვლილ ორდოსში უკაცრიელი შენობა-ნაგებობების მეტს ვერაფერს ნახავთ.

ქალაქის ადმინისტრაციას იმედი ჰქონდა, რომ მოსახლეობის ნაწილი მოისურვებდა გადასახლებას ულტრათანამედროვე ახალ აშენებულ ქალაქში, სადაც ყველა პირობა იქნებოდა კომფორტული ცხოვრებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ის, რასაც ჩინეთის მთავრობაში არავინ ელოდა. ახალაშენებულ ქალაქებში დაბალშემოსავლიანმა ოჯახებმა საცხოვრებლის შეძენა ვერ შეძლეს. საცხოვრებლების შეძენა დაიწყეს მდიდრებმა, რომლებმაც უძრავ ქონებაში, უბრალოდ, ფული დააბანდეს, თორემ იქ საცხოვრებლად გადასვლა აზრადაც კი არ მოსვლიათ. ამიტომაც ჩინურ ქალაქ-მოჩვენებებში არავინ ცხოვრობს.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რბოლა საოფისე სავარძლებით

**გერმანიის ქალაქ კიოლნში ენთუზიასტებმა გამოიგონეს ახალი აზარტული რბოლის სახეობა, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ საოფისე სავარძელია საჭირო.** „რბოლა საოფისე სავარძლებით“ — ასე ეწოდება ახალ სპორტულ შეჯიბრს, რომელიც ქალაქის ქუჩებში ჩატარდა. ფინიშამდე მონაწილეებს საოფისე სკამით არა მხოლოდ ასფალტზე ერთმანეთის გასწრება, არამედ სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვა ევალებათ. წელს სავარძლებით რბოლაში მონაწილეობისთვის კიოლნში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ.





# გამხდარი მოდელები ალარავის უნდა



**ისრაელში ანორექსიის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. 2013 წლიდან სამოდელო სააგენტოები ზედმეტად გამხდარ გოგონებს კონტრაქტს შეუწყვეტენ და პოდიუმზე მხოლოდ ჯანსაღი გარეგნობის ქალები გამოვლენ. ისრაელში ამბობენ, რომ ე. წ. სტერეოტიპი „ჩამომხმარი მოდელი“ წარსულს ჩაბარდა. „ჩვენ გვჭირდება ჯანსაღი ტანადობის მქონე ქალები და არა უჭმელობისგან დასუსტებული გოგონები“, — ამბობენ ახალი წესების მომხრენი.**

მოდელი ვალდებულია, ჰქონდეს ისეთივე სავსე, ქალური ფორმა, როგორიც პოპულარულ ებრაელ მოდელ ბარ რაფაელის აქვს. ისრაელში მოღვაწე ყველა მოდელს ევალება, შოუს ჩვენებამდე, ან ფოტოსესიამდე ექიმის ხელმოწერილი სამედიცინო ცნობა წარმოადგინოს, სადაც მითითებული იქნება, რომ გოგონა არ შიმშილობს.

**„არ გვჭირდება არაბუნებრივად სუსტი გოგონები. გამხდარ მოდელებს გოგონები ბაძავენ, თვითნებურად იცავენ დიეტებს, არასწორად იკვებებიან და შედეგად ავადდებიან. ყველა ქალს ვთხოვთ, იკვებონ სწორად, მიირთვან ჯანსაღი პროდუქტი, აქტიურად ივარჯიშონ და გააცნობიერონ, რომ სიგამხდრე სილამაზეს არ ნიშნავს“,** — აცხადებენ ახალი წესების ინიციატორები.

**ბოლო დროს პოპულარულნი ხდებიან „ჭარბწონიანი“ მოდელები, რომელთაც სავსე მკერდი და თეძოები აქვთ. 23 წლის ავსტრალიელი მოდელი რობინ ლავლი სწორედ ის გოგონაა, რომელმაც ყველაზე პოპულარული მოდის ჟურნალების გარეკანები დაამშვენა. რობინი ჭარბწონიანი ქალებისთვის შეკერილ სამოსს უკეთებს რეკლამას. ის ე.წ. Plus-size მოდელია. ტერმინი Plus-size გამოიყენება იმ სამოსის მიმართ, რომელიც ზედმეტი წონის ადამიანებისთვის იკერება. სხვადასხვა გავლენიანი გამოცემა ხშირად იწვევს რობინს ფოტოსესიებში მონაწილეობის მისაღებად. მამაკაცები ამბობენ, რომ ის გაცილებით მიმზიდველია, ვიდრე მისი სიფრიფანა, გაძვალტყავებული კოლეგები.**

მსოფლიოში უამრავი მოდელი იტანჯება ანორექსიით. 2006 წელს იტალიასა და ინდოეთში სამოდელო სააგენტოებმა მასიურად დაითხოვეს ზედმეტად გამხდარი გოგონები. ჯანსაღი კვების მხარდამჭერი ორგანიზაციების კატეგორიული მოთხოვნით, რამდენიმე თვით პოდიუმიდან, ფოტოსესიებიდან და სარეკლამო რგოლებიდან სუსტი აღნაგობის მოდელები საერთოდ გაქრნენ, ხოლო მილანისა და მადრიდის მოდის კვირეულებზე ახალი კოლექციების წარდგენის პატივი მხოლოდ „ხორციან“ მოდელებს ერგოთ.

შეგახსენებთ, მკაცრი დიეტის წინააღმდეგ ბრძოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბრაზილიელი და ურუგვაელი მოდელები სწორედ არასწორი კვებისა და დიეტების შედეგად გარდაიცვალნენ.

# როგორ იცინის ზვიგენი



**ზვიგენის გამოჩენა უეჭველ სიკვდილს მოასწავებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გართობა მათაც ჰყვარებიათ.**

დასავლურ პრესაში უცნაური ფოტოსურათი გავრცელდა. სტატია **„მაჩვენე შენი მარგალიტივით თეთრი კბილები“** იმ ზვიგენზე მოგვითხრობს, რომელიც მყვინთავთან ახლოს მივიდა. მყვინთავი **ელი მარტინეზი** ამბობს, რომ ფაქტით გაოგნებულია, რადგანაც ზვიგენს თავზე ხელიც კი გადაუსვა და მისგან აგრესია არ უგრძვნია, პირიქით, ზვიგენს სხვა მიმართულებით არ გაუცურავს და თამაში დაიწყო. ფოტოსურათი ბაჰამის კუნძულებზეა გადაღებული.

**„ზვიგენის პირისპირ ყოფნისას 100%-ით თავდაჯერებული და მშვიდი ვერ იქნები. 10 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ზვიგენი ბუნებით მშვიდია. ის სახიფათო მას შემდეგ ხდება, როცა ვემუქრებით და შევაშინებთ. მნიშვნელოვანია, არ მივიქციოთ მათი ყურადღება. ისინი თავს იმიტომ არ მესხმიან, რომ ხვდებიან, მათთვის საფრთხეს არ წარმოვადგენ და ზიანის მიყენებას არ ვაპირებ“,** — ამბობს ის.

# საუკეთესო «პუტკუნა» მოდელები

**როცა გვესმის სიტყვა „სუპერმოდელი“, უმეტესობა წარმოიდგენს კეიტ მოსს, ნაომი კემპბელს, სინდი კროუფორდს. თუმცა ეს მიდგომა სამოდელო ინდუსტრიაში აშკარად მოძველდა. ბოლო დროს იმისთვის, რომ წარმატებული მოდელი გახდე, აღარ არის საჭირო თითოეული გრამის დათვლა.**

თუ ადრე სასურველი იყო პარამეტრები 90-60-90, ახლა ეს დოგმა აღარ არსებობს. დღეს ზედმეტი კილოგრამები და სიმსუქნეც კი მოდელების კოზირად იქცა. სულ უფრო ხშირად ჩანან პოდიუმებსა და მოდური ჟურნალების გარეკანებზე პუტკუნა გოგონები.



ამჯერად საუკეთესო, ყველაზე წარმატებულ პუტკუნა მოდელებს წარმოგიდგენთ:

**ტარა ლინი** სიის სათავეშია. ის სექსუალურად გამოიყურება ცნობილი გამოცემების გარეკანებზე H&M, V Magazine, VOGUE.

ერთ-ერთი ყველაზე „გემრიელი“ ბრაზილიელი მოდელი **ფლავია ლასერდაა,** რომელსაც „ჟიზელ ბიუნდჰენის პუტკუნა ვერსიას“ უწოდებენ. ფლავია რა ხანია, ევროპულ ბრენდებთანაც მუშაობს.

განსაკუთრებით „მადის აღმძვრელი“ ფორმები აქვს **ეშლი გრემს**, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პუტკუნა მოდელს, რომელიც თამამად წარადგენს ქალის საცვლებს და საერთოდ არ აწუხებს კომპლექსები.

პუტკუნა მოდელები სულაც არ ცდილობენ მუცლის დაფარვას და სუნთქვის შეკავებას, რომ გამხდრები გამოჩნდნენ. **ტის მიუნსტერიც** მათ შორის არის. ტისი ამაყობს თავისი მძიმე წონით და წარმატებით იწყობს სამოდელო კარიერას.





ასევე წარმატებულთა შორისაა **კენდის ჰაფინი**, რომელიც 14 წლიდან იცავდა დიეტას და მოდელობაზე ოცნებობდა. მოგვიანებით კი მიხვდა, რომ მისი მშვენება მისივე წონა იყო, ნორმალური მდგომარეობა დაიბრუნა და პოპულარობაც მალე ეწვია.

სიას ასრულებს **ველვეტ დამური.** ველვეტი პირველად ჟან პოლ გოტიეს ქვედა საცვლების ჩვენებაზე გამოჩნდა და ნამდვილი ფურორი მოახდინა. მას მერე აგრძელებს წარმატებულ სვლას მოდის ბიზნესში.



# ძაღლი, რომელიც მესას ესწრება

**იტალიის ქალაქ ბრინდიზის კათოლიკურ ეკლესიაში ძაღლი მესას ესწრება.**

7 წლის გერმანული ნაგაზი ლოიალ ტომი პატრონის, 57 წლის მარგერიტა ლოჩის, გარდაცვალებას ძალიან დარდობს. სწორედ ამ ეკლესიაში გაიმართა მარგერიტას პანაშვიდი. ზარის რეკვისას ძაღლი ეკლესიაში შედის და მესას მორჩილად ესწრება.

თვითმხილველები ამბობენ, რომ უზარმაზარი ნაგაზი ეკლესიაში ყოველთვის ჩუმად ზის და არ ყეფს.

**„როდესაც მესას ვატარებ, ტომი ყოველთვის ეკლესიაშია. მისგან ხმაური არასდროს გამიგია, ძაღლი ჩუმად ზის და არ ყეფს. როდესაც მისი პატრონი ცოცხალი იყო, უფლებას ვაძლევდი, რომ ეკლესიაში ტომისთან ერთად მოსულიყო. მრევლისგან უკმაყოფილება არასდროს გამიგია. ძაღლი არავის აწუხებს. შეიძლება ითქვას, რომ მარგერიტას გარდაცვალების შემდეგ ტომი ქალაქში მცხოვრებმა ყველა ოჯახმა იშვილა. ხალხს მისთვის საჭმელი მიაქვს, ეფერება, ეთამაშება... ტომი ყველას მეგობარია“,** — ამბობს მამა დონატო პანა.

# მიხეილ ქარელი «ყოფილი რეჟიმის» ერთ-ერთ ავტორად ირაკლი ოქრუაშვილს ასახელებს





შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ ქარელი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. იგი ყოფილი რეჟიმის ერთ-ერთ შემქმნელად ირაკლი ოქრუაშვილს ასახელებს.

**„მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ ყველასთან ერთად სამშობლოში მეც მეძლევა ცხოვრების შესაძლებლობა, დავუბრუნდები წლების უნახავ ოჯახს, მშობლებს, მეგობრებს და იმ ადამიანებს, რომლის გარეშე ცხოვრება ადამიანისთვის აუტანელია. ვაპირებ, უახლოეს მომავალში დავბრუნდე სამშობლოში და თავისუფალი მართლმსაჯულების პირობებში სასამართლოს დავუმტკიცო ჩემი უდანაშაულობა და ღირსეულად გავიარო ეს არც თუ სასიამოვნო პროცედურები“,** — აცხადებს ქარელის თავის განცხადებაში.

ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილს ვადაგასულ პრეზიდენტს და ჯერ კიდევ საფრთხის მატარებელს უწოდებს. მიხეილ ქარელი ბიძინა ივანიშვილს „ქართული ოცნების“ წარმატების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო მადლობას უხდის.

# 11 მილიონი «არალეგალი» აშშ-ის მოქალაქეობას მიიღებს




**რვა ამერიკელი სენატორისგან შემდგარმა ჯგუფმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სასტემაში კარდინალურ რეფორმებს ითვალიწინებს. გეგმის მიხედვით, 11 მილიონი არარეგისტრირებული იმიგრანტი, რომლებიც აშშ-ში ცხოვრობენ, შეძლებენ მიიღონ მოქალაქეობა, თუ სასაზღვრო კონტროლი გაძლიერდება.**

სენატორები ამ წინადადებით ერთი დღით ადრე გამოვიდნენ, ვიდრე პრეზიდენტი ბარაკ ობამა რეფორმების საკუთარ გეგმას წარმოადგენდა. დამკვირვებელთა განცხადებით, კონსერვატორების მკვეთრმა პოზიციამ ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეამცირა არჩევნებში რესპუბლიკელების შანსი. დემოკრატმა სენატორმა ნიუ იორკის შტატიდან ჩარლზ შუმერმა პრესკონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ კანონპროექტი, რომელიც პარტიათაშორისი ჯგუფის მიერ არის მომზადებული, სენატის მიერ მხარდაჭერილი გაზაფხულის დასასრულს ან ზაფხულის დასაწყისში იქნება.

ამ თემაზე განცხადება ჯონ მაკკეინმაც გააკეთა.

**„ვფიქრობ, ყველა შეთანხმდება, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არ არის, რომ ეს ადამიანები იმალებოდნენ. მოდით, შევქმნათ სისტემა, რომელიც მათ ნებას დართავს, გამოვიდნენ ჩრდილიდან და შეასრულონ აუცილებელი მოთხოვნები, რასაც ამ ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქეები ასრულებენ“,** — განაცხადა მაკკეინმა.

როგორც ვარაუდობენ, პრეზიდენტი საიმიგრაციო რეფორმების იმ ვერსიას წარმოადგენს, რომელიც ამ ჯგუფის პროექტიდან გამომდინარეობს. სხვა მცდელობები ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სისტემის გადახედვისა, უკვე იყო 2006 და 2007 წლებში.

# «იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ «ნაციონალები 2» მოსულიყვნენ სათავეში»



**რაიონებში ახლადდანიშნული გამგებლების კანდიდატურების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის შემდეგ ხალხი უკვე „ქართული ოცნების“ პარტიის რაიონული ოფისების თავმჯდომარეების კანდიდატურებს აპროტესტებენ. წყალტუბოში უკვე დაიწყო ფუნქციონირება პარტიის ოფისმა.**

„ოცნების“ აქტივისტების კანდიდატურაა ჯეირან ლიპარტელიანი, თუმცა პარტიის თავმჯდომარედ ყოფილი მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ძმა — ლაშა ნარჩემაშვილი მოიაზრება. მოსახლეობა არ აპირებს მისი პარტიის თავმჯდომარედ მიღებას და სთხოვს ბიძინა ივანიშვილს, პირადად გააკონტროლოს რაიონებში პარტიული ორგანიზაციის დაფუძნების პროცესი. ხალხი ითხოვს იმის უფლებას, რომ თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

**„ჩვენ არ შევეგუებით, რომ ისევ „ზევიდან“ იმართებოდეს პროცესები და ვიღაცვიღაცები წყვეტდნენ, როგორც ადრე, ცალკეული რაიონებისა და ადამიანების ბედს. კრება უნდა ჩატარებულიყო 25-ში, 2 საათზე და რატომ გადაიდო, ვისი მითითებით არ დაბრუნდა ლიპარტელიანი მანდატებთან ერთად და საერთოდ, ვინ დანიშნა ნარჩემაშვილი თავმჯდომარედ, უცნობია. იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ „ნაციონალები 2“ მოსულიყვნენ სათავეში და ისევ მათ ემართათ ყველაფერი. არაფრით არ შევეგუებით ამ სიტუაციას და ვთხოვთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ჩაერიოს ამ პროცესებში, სანამ ისევ უმართავი გახდება ყველაფერი“,** — ამბობს „ქართული ოცნების“ წევრი გიორგი გორდეზიანი.

სიმაღლეში მომატება



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?
დარეკეთ:
574 47 39 04
0790 309 435

facebook

# ჩერგოლეიშვილი — «ოცნებისტებს»: გაიაზრეთ, რომ შარვალჩახდილი მთავრობა ხართ!




ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი facebook-ის საკუთარ გვერდზე ახალი მთავრობის წევრებს მიმართავს:

**„მოკლედ, ოცნების წარმომადგენლებო, თავში აზრი რომ მოგივათ, ჯერ განიხილეთ პრემიერ-მინისტრთან, აიღეთ ნებართვა, რომ შეგიძლიათ ამ თემაზე მეგობრებთან საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკეთ თქვენს ვიწრო წრეს. სხვა შემთხვევაში დაისჯებით. თუ შემთხვევით ეს წესი დაარღვიეთ, თქვენი ნებით მიდით ივანიშვილის ბიზნესცენტრში, თან წაიღეთ გრძელი სახაზავი, გადაიკუზეთ და შეირგეთ, რამდენ დარტყმასაც მიიღებთ. მერე გამოდით და საზოგადოებას განუცხადეთ, რომ თქვენ ამას იმსახურებდით და მზად ხართ, მომავალშიც გადაიკუზოთ. პარალელურად, გთხოვთ, ნახოთ ფრანგული ფილმი „სათამაშო“. განსაკუთრებით დააკვირდეთ იმ სცენას, რომელშიც მდიდარი რამბალ კოშე თანამშრომელს შარვლის ჩახდას სთხოვს და გაიაზროთ, რომ შარვალჩახდილი ადამიანების მთავრობა ხართ“,** — წერს ჩერგოლეიშვილი.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ უფროს კოლეგასა და მეგობარს — გურამ გოგიაშვილს მეუღლის**

**ლილი მალაციძე-გოგიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009